

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**პუმანიტარულ მეცნიერებათა დაკულტური**

სოფიო იმედაძე

არაბული წარმოშობის ლექსიკა სულხან–საბა ორბელიანის  
„ლექსიკონ ქართულში“

1005 - ფილოლოგია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

**დისერტაცია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფ. გურამ ჩიქოვანი

ქუთაისი 2014

## შინაარსი

შესავალი .....	1
თავი I	
1.1. კვლევის ლექსიკოგრაფიული კორპუსი .....	9
1.2. „ლექსიკონი ქართული“ – მნიშვნელოვანი ძეგლი ადმოსავლური ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით .....	15
თავი II	
2.1. არაბული ლექსიკა „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით.....	28
2.2. თურქული ლექსიკა „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით .....	45
2.3. სპარსული ლექსიკა „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით .....	61
2.4. „სხვათა ენაა“ „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით .....	72
2.5. ქართულად მიჩნეული არაბული ლექსიკა „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით .....	102
2.6. არაბიზებული ლექსიკა „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით.....	144
თავი III - ფონეტიკური ტრანსფორმაციები .....	
3.1. არაბულ ხმოვანთა გადმოსვლა ქართულში.....	178
3.2. არაბულ თანხმოვანთა გადმოსვლა ქართულში .....	182
დასკვნა .....	188
ბიბლიოგრაფია .....	193

## შესავალი

სიტყვათა სესხება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ნასესხობათა გამოვლენა და კვლევა ენის ისტორიის შესწავლის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ქართული ენის ლექსიკურ ფონდში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღმოსავლური ენებიდან, მათ შორის არაბულიდან ნასესხებ სიტყვებსა და გამოთქმებს. აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკის ქართულში კვლევას ისტორიულ-ლინგვისტური საფუძველი გააჩნია, რასაც საქართველოსა და აღმოსავლურ სამყაროს შორის ხანგრძლივი ურთიერთობების პრინციპი განსაზღვრავს.

ქართულ-აღმოსავლური ენობრივი კონტაქტების კვლევისას ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ქართულ ენაში არსებულ ნასესხობებზე, მათი დამკვიდრების გზებსა და ეტიმოლოგიებზე. ამ მიმართულებით არაერთი ნაშრომი დაიწერა, რომლებშიც წარმოდგენილია მნიშვნელოვანი მასალა ქართველური ენების აღმოსავლურ ენებთან ურთიერთობის, ქართული და აღმოსავლური ენების (სემიტური, თურქული, ირანული) ისტორიული ლექსიკისა და ეტიმოლოგიის შესახებ.

ქართულში აღმოსავლური ლექსიკის გამოვლენა მნიშვნელოვანია ფონეტიკური ტრანსფორმაციების (ბგერების ქართულში გადმოსვლის კანონზომირებებისა), მნიშვნელობათა რეკონსტრუქციისა და საკუთრივ აღმოსავლურ ენათა (სემიტურ, თურქულ, ირანულ) შესწავლის თვალსაზრისით.

აღმოსავლური ლექსიკა ფიქსირდება ქართველური ენების კილო-კავებშიც, რაც განპირობებულია იმ გეოგრაფიული არეალით, რომელშიც საუკუნეების განმავლობაში ქართველები თანაარსებობდნენ ირანელებთან, არაბებთან და თურქებთან. ხშირად ნასესხობები სახეშეცვლილია როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად. ნასესხობებისათვის დამახასიათებელია მნიშვნელობათა მოდიფიკაციები. ასეთი ცვლილებები ფონეტიკურთან ერთად, ლექსიკური ერთეულის ენაში დამკვიდრების გზის გასაღებად და სესხების ქრონოლოგიის დასადგენად გამოდგება. უცხოენოვანი

ლექსიკის გამოვლენა, თავის მხრივ, ხელს უწყობს მთელი რიგი პრობლემების, მათ შორის ენის ექსტრალინგვისტული ისტორიის გაშუქებას.

ქართულ ენას თავისი ისტორიის მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სემიტურ ენებთან, განსაკუთრებით არაბულთან.

ქართველების ურთიერთობა არაბებთან ისლამის პირველი საუკუნიდან იწყება. მეშვიდე საუკუნის ორმოციანი წლებიდან საუკუნეთა მანძილზე საქართველოს (ქართლის) მოსახლეობა უშუალო ურთიერთობაშია არაბებთან. „მუსლიმი მოსახლეობა თბილისში არაბთა გაბატონების შემდეგ გაჩნდა და გაიზარდა საამიროს შექმნასთან (VII საუკუნის 30-იანი წლები) ერთად. მუსლიმები განაგრძობდნენ თბილისში ცხოვრებას 1122 წლის შემდეგაც, როცა თბილისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი გახდა. საქართველოს დედაქალაქში მუსლიმები სახლდებოდნენ მუსლიმური სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან“ (ჯაფარიძე 1989: 78). საუკუნეთა მანძილზე არაბებთან ერთად თანაცხოვრება და ენობრივი კონტაქტები არაბულენოვან, სპარსულენოვან და თურქულენოვან სამყაროსთან განაპირობებდა აღმოსავლური ლექსიკის დამკვიდრებას ქართულში (ავალიანი 2005: 7).

ბევრი არაბული სიტყვა ქართულ ენაში სხვა აღმოსავლური ენის მეშვეობით (თურქულიდან, სპარსულიდან) არის შემოსული. ქართულში არსებული არაბული წარმოშობის ლექსიკური ელემენტების შესწავლა საინტერესოა, აგრეთვე, არაბული ენის ისტორიული ფონეტიკისთვისაც. ქართულში ხმოვნების ზუსტი აღნიშვნა მნიშვნელოვანია არაბული სიტყვების სტრუქტურის გარკვევისათვის. ამიტომ საკვლევ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს არაბულ-სპარსულ-ქართული და არაბულ-თურქულ-ქართული ენობრივი და კულტურული ურთიერთობის შესასწავლად.

ქართულში აღმოსავლური, კერძოდ არაბული წარმოშობის ლექსიკის გამოვლენისა და კვლევისათვის უმნიშვნელოვანესი წყაროა ქართული ლექსიკოგრაფიის შედევრი სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, რომელშიც არაბული წარმოშობის მრავალი ლექსიკური ერთეულია თავმოყრილი.

ნაშრომის მიზანია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არაბული წარმოშობის ლექსიკის გამოვლენა, ფონეტიკური და სემანტიკური ტრანსფორმაციების ანალიზი,

ნასესხობების შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დადგენა; სულხან–საბას მიერ „სხვათა ენაად“ კვალიფიცირებული, ეტიმოლოგიაზე არასწორი მითითების ან მითითების გარეშე დატოვებული ერთეულების ეტიმოლოგიური შესწავლა მათი არაბული წარმომავლობის დასადასტურებლად; არამონათესავე ენათა ურთიერთობების კვალობაზე გამოვლენილი მასალის ფონეტიკურ–სემანტიკური შესწავლა და მოდიფიკაციების ანალიზი.

ამ მიმართულებით ჩატარებული მნიშვნელოვანი სამუშაოს მიუხედავად, ზოგიერთი რამ შევსებასა და ახლებურად გაშუქებას მოითხოვს. არაბული წარმოშობის ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით ს.-ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ ჯერ კიდევ არ გამხდარა სპეციალური კვლევის ობიექტი. საკითხის ამგვარად დასმას ავტორის მიერ ქართულში დამკვიდრებული არაბული ლექსიკის წარმომავლობაზე მითითებებისა და კვალიფიკაციათა არაერთგვაროვნება, რიგ შემთხვევაში მცდარი ინტერპრეტაცია ან ნასესხობათა მითითების გარეშე დაფიქსირება განაპირობებს.

ნაშრომში გაანალიზებული მასალა მნიშველოვანია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. იგი ფასეულია, როგორც ქართული ენის ისტორიული და ეტიმოლოგიური ლექსიკონებისათვის, ასევე საკუთრივ, აღმოსავლური (არაბული) ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით; სვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა გზით შემოსულ არაბულ სიტყვებში ფონეტიკური და სემანტიკური ანალიზი მნიშვნელოვანია ქართული ენის ლექსიკური სისტემის ისტორიის შესწავლისათვის.

ამდენად, აღნიშნული საკითხის კვლევა ღირებული და აქტუალურია ქართველოლოგიის, ორიენტალისტიკისა და ისტორიულ–შედარებითი ენათმეცნიერებისათვის. წმინდა ენათმეცნიერული მნიშვნელობის გარდა, გაანალიზებული მასალა ფასეულია ისტორიულ–კულტუროლოგიური ასპექტითაც. მიღებული შედეგები დამატებით არგუმენტებად შეიძლება გამოდგეს განსხვავებული თვალსაზრისების დასასაბუთებლად ან უარსაყოფად.

ქართულში აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკის შესახებ არაერთი მონოგრაფია, სტატია თუ სადისერტაციო ნაშრომი დაიწერა. ამგვარი სამუშაო თურქული მასალის გამოვლენისა და შესწავლის მიზნით ჩატარებული აქვს პროფ. ც. აბულაძეს სტატიაში

„თურქული ლექსიკური მასალა სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონსა“ (1962) და მონოგრაფიაში „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები“ (1968). „სიტყვის კონაში“ ბერძნული ლექსიკა კი შესწავლილი აქვს ი. ჩანტლაძეს (1960).

ფონეტიკური ტრანსფორმაციები „ქართული ლექსიკონის“ მასალაზე დაყრდნობით განხილული აქვს პროფ. მ. სახოკიას ნაშრომში „ახალსპარსულ ფონემათა გადმოცემისათვის ქართულში (სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ მიხედვით)“ (1970), რომელიც მნიშვნელოვანია არაბულ-სპარსულ-ქართული სიტყვების საკითხის კვლევის თვალსაზრისით.

ქართულში დამკვიდრებული აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ერთეულების კვლევის მიმართულებით მნიშვნელოვანია: აკად. ნ. მარის შრომები. მას აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ერთეულები მითითებული აქვს ლაზურ-რუსულ ლექსიკონში (1910); აკად. გ. წერეთლის ნაშრომი „სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის“ (1947), რომელშიც მეცნიერი არაბისტიკისა და სემიტოლოგიის მნიშვნელობის შესახებ საუბრობს საქართველოსა და კავკასიის კულტურის ისტორიის შესასწავლად და ენობრივი კონტაქტებისა და ნასესხობათა საკითხებს განიხილავს; აკად. ს. ჯიქიას „აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან“ (1960; 1987); აკად. მ. ანდრონიკაშვილის „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“ (I ტომი: 1966, II ტომის ნაწილი I (მასალები ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის): 1996) და მისივე სტატია „არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში“, რომელიც 1965 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში დაიბეჭდა. 1964 წელს „ბედი ქართლისაში“ გამოქვეყნებული პ. ფენრიხის მოცულობითი სტატია „Arabische Lehnwörter in der georgischen sprache“. აღსანიშნავია ი. გიპერტის ნაშრომი „Iranica Armeno-Iberica (Studien zu den iranischen Lehnwörtern im Armenischen und Georgischen)“, რომელშიც ძველი და ახალი აღთქმის, ჰაგიოგრაფიულ, ჰომილეტიკურ და კლასიკური ხანის ტექსტებზე დაყრდნობით განხილულია ირანული წარმოშობის რამდენიმე ათეული ფუძე და მისგან ნაწარმოები ფორმები სომხურსა და ქართულში.

არაბულიდან ნასესხები საკუთარი სახელები განხილული აქვს ზ. სიხარულიძეს საკანდიდატო დისერტაციაში „არაბულ-ქართული ურთიერთობანი (საკუთარი სახელები)“ (1989). არაბულ – ქართულ ლექსიკურ ურთიერთობას ეხება ვ. ლეკიაშვილის დისერტაცია „ორიენტალიზმები (არაბული ლექსიკა) ქართულში“ (1992). ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან არაბული წარმომავლობის ლექსიკის ანალიზი.

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში არაბულიდან მომდინარე პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინები შესწავლილი აქვს ლ. ავალიანს დისერტაციაში: „არაბულიდან მომდინარე პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინები ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში“ (2005). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ასევე ლ. სამყურაშვილის გამოკვლევა „არაბიზმები „წიგნი სააქიმოვში“ (1985).

დისერტაციაში დასმული პრობლემების კვლევის დროს გამოყენებულია აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი და ლექსიკოლოგიური კვლევის მეთოდები.

ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია სხვადასხვა კვლევითი მიმართულების კომბინირებას წარმოადგანს, რასაც საკვლევი მასალის სპეციფიკა განაპირობებს.

არაბული წარმოშობის ლექსიკის შემოსვლის გზის დასადგენად გათვალისწინებულია:

1) ფონეტიკური ტრანსფორმაციების (ბგერათა გადმოსვლის) კანონზომიერებები, როგორც პირველი რიგის არგუმენტი შემოსვლის გზის დასადგენად.

2) სემანტიკური ცვლილებებისა და სიახლოვის ფაქტორები, სპარსული და თურქული (მათ შორის, ოსმალურის) მასალის მიხედვით; გამოვლენილი და შესწავლილია პირველადი და მსესხებელ ენებში განვითარებული, მეორეული მნიშვნელობები, რომლებიც ქართულისათვის რიგ შემთხვევებში, პირველადი, ძირითადია.

3) საკვლევი ლექსიკური ერთეულის დადასტურება კლასიკური და აღორძინების ხანის ქართულ წერილობით ძეგლებში; ამ მხრივ დისერტაციაში

გათვალისწინებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდის მასალები.

ლექსიკური ერთეულის არაბული წარმომავლობის დასადასტურებლად გამოყენებულია ძველი არაბული წერილობითი ძეგლების – ყურანისა და ჰადისების მონაცემები და შუა საუკუნეების არაბული ლექსიკოგრაფიული ნაშრომები. ამ თვალსაზრისით, ზოგჯერ გათვალისწინებულია მონათესავე ენათა მონაცემები.

როდესაც ფონეტიკური ტრანსფორმაციებისა და სემანტიკური სიახლოვის ფაქტორის გათვალისწინება არ ხერხდება, რთულია ცალკეული ლექსიკური ერთეულის ქართულში დამკვიდრების გზების შესახებ გადაჭრით მსჯელობა. მხოლოდ სემანტიკური სიახლოვისა და წერილობითი ძეგლების მონაცემებზე დაყრდნობა ზოგჯერ მცდარი დასკვნების გამოტანის საფუძველი შეიძლება გახდეს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ორენოვნების პირობებში სიტყვები იჭრება ლიტერატურული (წერილობითი) და საყოფაცხოვრებო (ზეპირი) გზით, რაც სიტყვაში ბგერათა ცვლილების ხასიათს განსაზღვრავს.

დისერტაციაში წარმოდგენილ თავებში შესწავლილია სულხან–საბა ორბელიანის მიერ არაბულად, სპარსულად, თურქულად, „სხვათა ენაა“–დ მიჩნეული ან კიდევ, წარმომავლობაზე მითითების გარეშე დატოვებული არაბული წარმოშობის ლექსიკური ერთეულები. თითოეული ლექსიკური ერთეული განხილულია შემდეგი პრინციპით:

1. „ლექსიკონ ქართულში“ დადასტურებული ფორმა და მისი განმარტება,
2. ამოსავალი არაბული ფორმა,
3. ქართული სალექსიკონო ფორმა,
4. პარალელური ფორმები სპარსულ, თურქულ და სხვა ენებში; ყველა განხილული ერთეული გადამოწმებულია არაბულ, სპარსულ, თურქულ და ოსმალურ ლექსიკონებში.
5. ფონეტიკური და სემანტიკური მოდიფიკაციები ქართულში და მათი შემოსვლების გზები.

ზემოაღნიშნული განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას. I თავში აღწერილია:

1. კვლევის ლექსიკოგრაფიული კორპუსი. არაბული ლექსივის, პარალელური ფორმების, სემანტიკის დაზუსტების, არაბულში ნასეხობებისა და მათი ძველ არაბულ წყაროებში დადასტურებისა და დაზუსტების მიზნით გათვალისწინებულია ქართველი, ევროპელი და აღმოსავლელი ლექსიკოგრაფებისა და მკვლევრების ფუნდამენტური ნაშრომები (I ქვეთავი).

2. სულხან–საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ როგორც მნიშვნელოვანი ძეგლი აღმოსავლური ლექსივის შესწავლის თვალსაზრისით. სულხან–საბას ლექსიკონში დამოწმებული არაბული წარმოშობის ზოგიერთი ლექსიკური ერთეული დღეს უკვე არქაიზმია. ზოგჯერ საბას ზოგიერთ ლექსემაზე „უკმ.“ ნიშანი უზის. დღევანდელ, თანამედროვე ქართულში კი პროდუქტიულია. მათი ამოკრება და მეცნიერული კვლევა–ძიება გვეხმარება ადრეული საუკუნეების ლექსიკური ფონდის შესწავლაში (II ქვეთავი).

II თავში შესწავლილია გამოვლენილი ლექსიკური ერთეულების ფონეტიკურ–სემანტიკური ტრანსფორმაციები; დადგენილია მათი არაბული წარმომავლობა და განხილულია შემოსვლის სავარაუდო გზა (ები) და დრო.

ლექსიკონში არაბული წარმომავლობის ლექსიკა კვალიფიცირებულია როგორც არაბულ, სპარსულ, თურქულ, თათრულ წარმოშობისად და „სხვათა ენაა“–დ. სიტყვები, რომელთა წარმომავლობაში დარწმუნებული არაა, ან კიდევ, ზუსტი შესატყვისი ვერ მოუძებნა სულხან–საბამ. აღსანიშნავია, უეჭველად, არაბული წარმოშობის სიტყვები, რომელთა წარმომავლობაზე ავტორი მითითებას არ იძლევა, ე. ი. მათ ქართულად მიიჩნევს და არაბიზებული ლექსიკური ერთეულები (ნასესხობები არაბულში), რომლებიც არაბულ ყალიბებს მოერგნენ, ენის ორგანულ ნაწილად იქცნენ და არაბიზებული ფორმით დაბრუნდნენ გამსესხებელ და სხვა ენებში.

შესაბამისად, II თავში შესწავლილია ლექსიკა, რომელსაც სულხან–საბა არაბული (I ქვეთავი), თურქული ან თათრული (II ქვეთავი), სპარსული (III ქვეთავი) წარმოშობისად მიიჩნევს; არაბული წარმოშობის „სხვათა ენაა“–დ კვალიფიცირებული

სიტყვები (IV ქვეთავი) და ლექსიკა, რომლის წარმომავლობაზეც ავტორი არაფერს ამბობს (V ქვეთავი). ცალკეა განხილული ე. წ. არაბიზებული ერთეულები (VI ქვეთავი).

III თავში განხილულია ქართულში არაბული ბგერების ტრანსფორმაციის საკითხები. გათვალსწინებულია ის გარემოება, რომ შუალობითი სესხების დროს საქმე გვაქვს არა პირველადი (არაბული) ენის, არამედ შუამავალი, გამსესხებელი ენის ფონოლოგიურ სისტემასთან. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქართული გადმოსცემს შუამავალი ენის (სპარსულის, თურქულის) ფონემებსა და ალოფონებს.

# I თავი

## 1.1 კვლევის ლექსიკოგრაფიული კორპუსი

სულხან–საბა ორბელიანის თხულებაში „ლექსიკონი ქართული“ (I ტომი – 1991; II ტომი – 1993. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ) დადასტურებული არაბული წარმოშობის ლექსიკური ერთეულების გამოვლენისა და ანალიზის, ქართულში შემოსვლისა და დამკვიდრების მიახლოებითი თარიღის დასადგენად საანალიზო ლექსიკური ერთეულები მოძიებულ იქნა ძველ, კლასიკურ და აღორძინების ხანის ქართულ წერილობით ძეგლებში: ი. ცურტაველის „მარტვილობად შუშანიკისი“ (ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი აბულაძემ, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფ., 1938); „ბალავარიანის“ ქართული რედაქციები (გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1957); „მამათა ცხოვრებანი“ (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1975); ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX-Xსს. ხელნაწერთა მიხედვით); ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1959); „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“ (გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბ., 1946); ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა, თბ., 1940). შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ტექსტი გამოიცა ილ. აბულაძის რედაქტორობით, თფ., 1914); „ვეფხისტყაოსანი“ (იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, ტფ., 1926); მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ (გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა, თბ., 1967); „ვისრამიანი“ (ალ. ბარამიძის, პ. ინგოროვას და კ. კეკელიძის რედაქციით,

ლექსიკონი ი. აბულაძის, თბ., 1938); „ვისრამიანი“ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ, თბ., 1962); „წიგნი სააქიმოდ“ (ლ. კოტეტიშვილის „მედიცინა ძველ საქართველოში XIII საუკუნე“ თფ., 1936); „შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები I (ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო იუსტ. აბულაძემ, ტბ., 1916); „შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები III (ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო დ. კობიძემ, თბ., 1974); „ძველი ქართველი მეხოტენი I“ (ჩახრუხაძე ქება მეფისა თამარისი; ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1957); „რუსუდანიანი“ (ი. აბულაძის, ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957); „იადიგარ დაუდი“ (ლ. კოტეტიშვილის წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1938); „ქილილა და დამანა“ (სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და ს.-ს. ორბელიანის მიერ. ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მ. თოდუამ, თბ., 1975); „შაჰნავაზიანი“ (ვახტანგ V-ის შაჰნავაზის (1620-1675) და მისი შვილის არჩილის (1647-1713) საქებლად; XVII ს. ავტორი ფეშანგი ფაშვიბერტყაძე, რედ. შ. რადიანი, თბ., 1932); ვახტანგ VI - ლექსები და პოემები (ი. აბულაძის რედაქტირებით. 1975); არჩილის „საქართველოს ზნეობანი“ და თეიმურაზ მეორის „დღისა და ღამის გაბაასება“ (ბოლოსიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ლ. მენაბდემ, თბ., 1976); თეიმურაზ I - თხზულებათა სრული კრებული (ტექსტი, გამოკვლევა ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1933); თეიმურაზ II – თხზულებათა სრული კრებული (გ. ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონითა და შენიშვნებით, ტფ., 1939). ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“ (წიგნი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხ. შენგელიამ, I, თბ., 1986); ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობა“ (გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1980); იოანე ბაგრატიონის „სჯულდება“ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბილისი., 1957); სამუალო სპარსულში არაბული ლექსიკის შესახებ მონაცემები ამოკრებილია თხზულებებიდან: „არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი“ და „ფინიკის ხე და თხა“

(ფალაურიდან თარგმნა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ ჩხეიძემ, თბილისი, I – 1975; II - 1991).

ლექსიკური ერთეულები დაიძებნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებულ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდში.

სადისერტაციო ნაშრომში გასაანალიზებელი არაბული ლექსიკა გადამოწმებულია სხვადასხვა სახის ქართულ და უცხოურ ლექსიკონებში, სადაც, უმეტეს შემთხვევაში, მითითებულია ეტიმოლოგიები: ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“ 1973; „ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი“ (შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, კ. კეკელიძის, ზ. სარჯველაძის და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით, თბ., 2008); ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ (მასალები), თბ., 1995; „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ტ. I- VIII (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-64); „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ (შედგენილი აკ. შანიძის ხელმძღვანელობით; მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1956); „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ლექსიკონები“ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ი. წაქაძემ, თბილისი, 1976). იუსტინე აბულაძის „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (სალიტერატურო, საპოლიტიკო, სატექნიკო და უცხო სიტყვათა და ტერმინთა ჩართვით, თფ., 1927); დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. ქუთათელაძემ, თბ., 1967); თეიმურაზ ბაგრატიონის „წიგნი ლექსიკონი“ (თბ., 1979); იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი“ (ლ. ქუთათელაძის რედაქციით, თბ., 1975); იოანე ბაგრატიონის „საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი“ (თბ., 1986). ივ. იმნაიშვილის „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“ (აკ. შანიძის რედაქციით, თბ., 1948/49); ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონი“ (მცენარეთა სახელწოდებანი, თბ., 1961); ფ. გორგოჯანიძის „ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი“ (ვლ. ფუთურიძის გამოცემა, ტბ., 1941); იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონი“ (თბ., 1997); ნ. ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (ალ. ღლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით ტ. I-II. თბ.,

1971-73); დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ. 1984); ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი“ (თბ., 1961); გ. წერეთლის „არაბულ-ქართული ლექსიკონი“ (თბ., 1951); კ. წერეთლის „თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ“ (თბ., 1980); ვ. ბერიძის „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“ (1912); ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ (1984). იოსებ ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკა ქრესტომათითა და ლექსიკონით“ (1914); ჟ. ფეიქრიშვილის „მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა“ (1992).

ეტიმოლოგიის დასადგენად გასაანალიზებელი მასალა გადამოწმებულია ევროპელ მეცნიერთა ნაშრომებში, რომლებშიც სხვადასხვა პერიოდში არაბულში შესული უცხო სიტყვები და ტერმინებია შესწავლილი. მათ შორის მნიშვნელოვანია: ე. ლენის არაბულ-ინგლისური ლექსიკონი (ლენი 1968), სადაც კლასიკური არაბულის გვერდით მოყვანილია იშვიათი, დიალექტური ფორმები და ეყრდნობა უმნიშვნელოვანეს აღმოსავლურ წყაროებს, არაბულ ლექსიკოგრაფიულ შრომებს, ლიტერატურულ ძეგლებს. ზოგჯერ მითითებულია ნასესხობა, შეიცავს გრამატიკულ და კრიტიკულ კომენტარებს. ამ ლექსიკონის შესახებ პროფ. გ. ბადგერი წერდა, რომ ის არის ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც გამოირჩევა მასალის სიმდიდრითა და განმარტებების სიზუსტით, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება (ლენი 1968: 2); ფ. ჯონსონის სპარსულ-არაბულ-ინგლისური ლექსიკონი (ჯონსონი 1852), რომელშიც ვრცლადაა წარმოდგენილი ეტიმოლოგიები, სპარსული მასალისათვის გათვალისწინებულია ისეთი წყაროები, როგორიცაა: „Burhān qāṭī“ (برهان قاطع), „Haft Kulzum“ (هفت قلزم), კალკუტაში გამოცემული „ṣurāḥ“ (صراح) – სპარსულად ახსნილი არაბული სიტყვების ლექსიკონი (1812), ხოლო არაბული მასალისათვის – დიდი არაბული ლექსიკონი - qāmūs (قاموس) (1817) და მუნტაჰა აბდ არ-რაჰიმის “Muntaha l-'arb fī lughāt al-'arab (الْأَرْبَعَةِ الْمُتَّقَدِّمَةِ لِغَاتِ الْأَرَبِ) (1257/1841); თ. ზენკერის თურქულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი (ზენკერი 1866); ი. ა. ვულერსის სპარსულ-ლათინური ეტიმოლოგიული ლექსიკონი (ვულერსი 1855); კ. ბროკელმანის სირიულის ლექსიკონი ბროკელმანი 1893); ს. ფრენკელის „Die aramäischen Fremdwörter im Arabischen“ (ფრენკელი

1886); ა. სიდდიკის „Studien über die Persischen Fremdwörter im klassischen Arabisch“ (სიდდიკი 1919).

გარდა ზემოაღნიშნული ლექსოკოგრაფიული თხზულებებისა, არაბული ლექსიკური ერთეულების, პარალელური ფორმების, სემანტიკის დაზუსტების, არაბულში ნასეხობებისა და მათი ძველ არაბულ წყაროებში დადასტურების მიზნით დისერტაციაში გათვალისწინებულია შუა საუკუნეების არაბული ლექსიკოგრაფიული ნაშრომები; ვ. ფ. გირგასის არაბულ–რუსული ლექსიკონი ყურანისა და ჰადისებისათვის (გირგასი 1881). ჯერ კიდევ ძველი არაბი ფილოლოგები მათთვის დამახასიათებელი სკრუპულოზობით ცდილობდნენ აღწერათ არაბული ენის ლექსიკური ფონდი, მათ შორის ნასეხობები. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია იბნ მანზურის (ابن منظور) 1233–1311 „lisān al–‘arab“ (لسان العرب), რომლიც, თავის მხრივ, ხუთ ძველ წყაროს ეფუძნება და არაბული ლექსიკოგრაფიის ყველაზე მოცულობითი ნაშრომია (<http://adel-ebooks.mam9.com>); ალ–ჯავარის (الجوهري) -1002/1006 „as-ṣiḥāḥ“, რომელიც „lisān al–‘arab“-ის ერთ–ერთი წყაროა. ასევე მნიშვნელოვანია კაიროს არაბული ენის აკადემიის განმარტებითი ლექსიკონი „al-mu‘ṭam al-wasīt“ (المعجم الوسيط).

არაბულ სალიტერატურო ენაში შესული ნასეხობების გამოწვლილვით აღნუსხვის საუკეთესო ნიმუშია ჯავალიკის (الجواليقي) 1072-1145 „al-mu‘arrab“ (المغرب) / გაარაბიზებული სიტყვების ლექსიკონი). იგი წარმოადგენს ერთგვარ კომპილაციურ ნაშრომს, სადაც განხილული და დამუშავებულია ყველა წინამორბედი ლექსიკოლოგის ნაშრომი და გამონათქვამიც კი. ამავე დროს მოყვანილია არაერთი ახალი კონსტატაციაც, მაგრამ მასშიც ზოგიერთი რამ მოითხოვს დაზუსტებასა და შევსებას (ნედოსპასოვა 1978: 3); ჯ. ბიშბიშის „gāmi‘“ al-mu‘arrab biṭarīqi l-qarīb“ (جامع المعرف بالطريق القريب) (1995); ალ–თუნჯის „mu‘ṭamu l- mu‘arrabāti l-fārisiyya fī al-lugati l-‘arabiyya“ (معجم المعرفات الفارسية في اللغة) (العربية) და ედი შირის „kitāb al-alfāz al-fārisiyya al-mu‘arraba“ (كتاب الألفاظ الفارسية المعرف) (ادارا) (العربية) დადაც გაარაბიზებულ ფორმებთან ერთად მოტანილია ვარიანტები პალესტინის ქრისტიანული არამეულიდან, სირიულიდან, ბერძნულიდან, ლათინურიდან, სომხურიდან და ა. შ.

არაბული სიტყვების წარმომავლობა გადამოწმებულია ცნობილ მკვლევართა მიერ შექმნილ სპარსულ, თურქულ და ოსმალური ენების ლექსიკონებში, რომლებშიც

მითითებულია საკვლევი ლექსემების ეტიმოლოგია. ასეთია, მაგ.: ი. დ. იაგელოს სპარსულ-არაბულ-რუსული ლექსიკონი (1910). ბ. ვ. მილერის სპარსულ-რუსული ლექსიკონი (1950); მ. ა. გაფაროვის სპარსულ-რუსული ლექსიკონი (1974); იუ. ა. რუბინჩიკის სპარსულ-რუსული ლექსიკონი (1964); მ. მოინის სპარსული ენის განმარტებითი ლექსიკონი (1966); ჰ. ანვარის სპარსული ენის მოკლე განმარტებითი ლექსიკონი (1382); დ.ლ. მაგაზანიკის თურქულ-რუსული ლექსიკონი (1945); საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული თურქულ-რუსული ლექსიკონი (1977); ლ. მეიერის ბერძნული ეტიმოლოგიური სახელმძღვანელო (1901), ე. ბოისაკის ბერძული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი (1916), ე. იშლერის თურქულ-არაბული განმარტებითი ლექსიკონი (2008) და დ. ორსის... ოსმალურ-თურქული ლექსიკონი (2007).

## 1.2. „ლექსიკონი ქართული“ – მნიშვნელოვანი ძეგლი აღმოსავლური ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით

„ლექსიკონი ქართული“, ანუ „სიტყვის კონა ქართული“, როგორც ეს, სულხან-საბას ცნობით, მისი ნაღვაწისათვის შეურქმევია ვახტანგ VI-ს, სამი ათეული წლის გარჯის შედეგია. ასეთი ხანგრძლივი მუშაობა უეჭველად მომასწავებელია იმისა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონია საერთოდ ლექსიკონს და კერძოდ, ქართულისას მისი შემდგენლის თვალში. გულისტკივილით აღნიშნავს ს.-ს. ორბელიანი ფაქტს, რომ ქართველებს, რომლებსაც ადრეც ჰქონიათ ლექსიკონი, დაპარგვიათო; იგი „ჟამთა ვითარებითა უჩინოთ ქმნილ იყო“-ო. მის დაკარგვას კი, როგორც თვითვე აღიარებს ლექსიკოგრაფი, მოჰყოლია ის, რომ „ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაურყონიათ“. აქედან ნათლად ჩანს, რომ ლექსიკონის ერთი უმთავრესი დანიშნულება, სულხან-საბას შეხედულებით, ენის დაცვა და წაუხდენლობა ყოფილა (ლექსიკონი ქართული 1991:5).

„ჟამთა ვითარება“ ანუ „ჟამთა შლა“, როგორც ეს პირველის პარალელურად აქვს გამოყენებული ლექსიკოგრაფს, იმ ხანას უნდა გულისხმობდეს, რომელიც საქართველოს ცალკე სამეფოებად და სამთავროებად დანაწილებას მოჰყვა და განსაკუთრებით XVI-XVII საუკუნეებში გამწვავდა შინაურ აშლილობათა და ირან-ოსმალეთის მომძლავრების გამო. სწორედ ენის წახდენის შესაკავებლად, ერთი მხრივ, და მისი მდიდარი მარაგის მართებული ცოდნისა და გამოყენების მიზნით, მეორე მხრივ, მიუყვია ხელი საბას „ქართული ლექსიკონის“ შედგენისათვის.

ს.-ს. ორბელიანის მთელი შემოქმედება არის მშობლიური ენის დაცვის თეორიული დასაბუთება და პრაქტიკული განხორციელება (ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლები). „მწერალ სპარსოფილების ბარბარიზმებსა და აღმოსავლური ყაიდით წერის მანერას საბამ დაუპირისპირა პურიზმი და ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი სისადავე“ (აბულაძე 1962: 58).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიული მუშაობით ფრიად დაინტერესებული ყოფილა ვახტანგ VI, ენის სიწმიდისა და მის საუნჯის დასაცავად,

ჩანს, უზრუნვიათ საბას დროის წარჩინებულ ქართველთ და ამის შესახებ წერს საბა იქვე: „ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ მიბრძანა ამის კელყოფა...“ (სიტყვის კონა 1949: 8), ხოლო საბას გარდაცვალების შემდეგ მის ლექსიკონს გამოსჩენია გამვრცობნი, შემვსებნი, გამომკრებნი, გადამკეთებელნი და შემმოკლებელნიც ვი.

პირველი გამვრცობი საბას ლექსიკონისა იყო მისივე ძმა და უახლოესი თანამშრომელი ზოსიმე (ზაალ ყოფილი) ორბელიანი. XVIII- XIX საუკუნეთა მიჯნაზე ახალი ცოდნისა და სიტყვიერი მარაგის დაგროვებამ წარმოშვა მოთხოვნილება მათთვის ადგილის მიჩენისა ქართულ ლექსიკონში. საბას ლექსიკონის ნუსხებზე თავისი მუშაობის კვალი დატოვეს დავით რექტორმა, იოანე და დავით ბაგრატიონებმა. საბას ლექსიკონის შემმოკლებელია პეტრე ლარამე. 1843 წელს საბას ლექსიკონის გამართვა ენათმეცნიერების თანადროულ მიღწევათა საფუძველზე უცდია ნიკოლოზ ჩუბინაშვილს.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ლექსიკონის კვლავ შევსებაზე უმუშავნია ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძესაც. საბას ლექსიკონს ემყარება „ვინმე მესხის“ ივანე გვარამაძის ლექსიკონი და დავით ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონიც.

აღსანიშნავია საბას ლექსიკონის ფრანგული თარგმანი: „ქართულ-ფრანციცული ლექსიკონი“ შესრულებული მარი ბროსეს მიერ 1833 წელს. საბას ლექსიკონის პირველი შემფასებელიც ვახტანგ VI იყო. ჩვენამდე მოღწეულია მისი ლექსიკონის 100-ზე მეტი ნუსხა.

მიუხედავად საბას ლექსიკონის რამდენიმე ათეული ნუსხის არსებობისა, XVIII-XIX საუკუნეების გადამწერნი უჩიოდნენ სანდო დედნის უშოვნელობას. მოთხოვნილება მასზე იმდენად დიდი იყო, რომ ერთი და იგივე გადამწერნი ხშირად ერთი წლის განმავლობაში ლექსიკონის ორ ცალს აღნუსხავდა, ხოლო სხვადასხვა დროს მეტსაც (ქუთათელაძე 1957: 7).

მკვეთრად დადგა საბას ლექსიკონის გამოცემის საჭიროება, რაც 1884 წელს განხორციელდა. ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან, გამოცემულია რაფაელ ერისთავის რედაქტორობითა და ალექსანდრე ეპისკოპოზის საფასით, თბილისი, არსენ კალანდაძის და ამხ. სტამბა, 1884. მეორედ – 1928 წელს.

სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, ტფილისი, 1928; მესამედ – „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“, რომლის წინასიტყვაობაც ეკუთვნის ამ გამოცემის რედაქტორს სოლ. იორდანაშვილს, თბილისი, 1949. „ლექსიკონი ქართული“ ილ. აბულაძის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1965-66. ხოლო 1991-93 წლებში ილ. აბულაძის გამოკვლევითა და განმარტებით, შევსებული და განახლებული სახით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ იქნა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ ორ ტომად.

საბას ლექსიკონს, მომწონებელ-დამფასებელთა გარდა, წუნის დამდებნიც ჰყოლია ძველად. თავის ანდერძნამაგში ავტორი წერს: „... ვიცი, მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნაშრომთა ამათ ჩემთა. მათ თუცა წერილნი უყუარან, მრავალნი სხუანი წერილნი არიან, საღმთონი რა საერონი, და რომელიც ენებოსთ, იგი იკითხნენ, ხოლო ესე ჩემებრ უცებისათვის აღიწერა და დაუტეონ“.

გასაოცარია სულხან-საბა ორბელიანის გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ მომდევნო თაობათა და თვით თანამედროვეთა მიერ საყოველთაოდ აღიარებული სახელოვანი ლექსიკოგრაფის ღვაწლის სათანადოდ შეუფასებლობა დავით რექტორის მიერ. მის დედანს წარმოადგენს ხელნაწერი S-N2987. საბას ლექსიკონის გადამწერ-კომენტატორი ლექსიკოგრაფს უწუნებს ზოგიერთი სიტყვის განმარტებას, ხოლო ზოგის განუმარტაობა იწვევს მასში გაოცებას (ქუთათელაძე 1957: 12).

39 წლის მანძილზე გაწეულ ამ მთლიანს, თითქმის უწყვეტ შრომაში აღმავალი საფეხურები შეიმჩნევა. ყოველ მათგანზე აღბეჭდილია რაიმე ახალი, წინასაგან განსხვავებული. სულხან-საბა ორბელიანის მეცნიერული მუშაობის ეს ვრცელი გზა ძირითადად სამი ეტაპის შემცველია:

1. ლექსიკონზე მუშაობის დაწყებიდან ევროპაში გამგზავრებამდე (1685-1713 წწ.);
2. ევროპაში მოგზაურობისა და ცხოვრების პერიოდი (1713-1716 წწ.);
3. საქართველოში დაბრუნებიდან - გარდაცვალებამდე (1716-1725 წწ.)  
(ქუთათელაძე 1957: 53 );

D რედაქციის შესწავლამ, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ნუსხაა და, რომელსაც ლექსიკონის დასრულებული სახეც კი არა აქვს, მისი მკვლევარი ელ. მეტრეველი დაარწმუნა იმაში, რომ საბას ლექსიკოლოგიური მუშაობის დაწყების დროისათვის სრულიად ჩამოყალიბებული ჰქონდა ლექსიკონის შედგენის მირითადი პრინციპები, პირობითი ნიშნები და დასამოწმებელი ლიტერატურული მასალის გამოყენების წესი. ამის მიუხედავად მუშაობის ამ ეტაპზე საბა თავისი ლექსიკონის მხოლოდ ჩონჩხს ქმნის, რომელიც შემდეგ თანდათან ივსება და სრულდება (მეტრეველი 1956: 13)

პირველ ეტაპზე ლექსიკოლოგიური მუშაობის სამზადისი, როგორც ეს შემონახული ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით ირკვევა, საბას მარტივი ლექსიკონების დაჩხრევით დაუწყია. რაკი ასეთი მშობლიურ ენაზე არ იპოვებოდა, „დაცაკარგვოდათ ქართველთა“, ამიტომ მას სომხური ბარგირქისათვის მიუმართავს. „ერთი სომხური მომცრო ლექსიკონი ვნახე ... და მეც მათის ბაძით, კელი მივყავ და, რაოდენ ძალი მედვა, აღვწერე“ (სიტყვის კონა 1949: 8). ამ ლექსიკონს ანუ ბარგირქს საბა, როგორც თვითონ აცხადებს, იყენებს „ბაძად“ და ისიც იმ მირითადი წყაროებით სარგებლობს, რომლებითაც - სომხური ლექსიკონის შემდგენელნი. მირითადი წყარო სომხური ბარგირქისათვის ბიბლიაა. ამავე ნიმუშის მიბაძვით თავის ლექსიკონში საკუთარ სახელთა თარგმანებანი მოუთავსებია, „კაცთა სახელი, ანუ ქვეყანათა და სოფელთა.“ გარჩევის მიზნით ეს საკუთარი სახელები საბას საგანგებო ნიშნით (0 ჩიტისთვალით) აღუნიშნავს, რაც უმთავრესად გადმოღებული აქვს არა ნიმუშიდან, არამედ ამ უკანასკნელის წყაროდან და კირილე ალექსანდრიელის ქართულად თარგმნილი ლექსიკონიდან (ქუთათელაძე 1967: 23). თუმცა, ალექსანდრიელის ლექსიკონის მასალის შედარებამ საბას ლექსიკონის D რედაქციასთან გამოარკვია, რომ საბას ამ ნუსხის შედგენის დროს არ უსარგებლია კირილეს ლექსიკონით. ამ ორ ლექსიკონში საერთო მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა, იმ დროს, როდესაც შემდგომ რედაქციებში კ. ალექსანდრიელის ლექსიკონის თითქმის მთელი მასალაა შესული. ასევე არ უსარგებლია საბას პირველი რედაქციის ჩამოყალიბების დროს სომხური ბიბლიის საკუთარ სახელთა განმარტებითი ლექსიკონით. მისი გამოყენება შემდგომ რედაქციებში კი დადასტურებულია (მეტრეველი 1956: 12).

სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ „საბა თავისი ლექსიკონისათვის სომხურ ბარგირქს მხოლოდ აღნაგობის, ტექნიკის მხრით იყენებს მისაბაძავად“ (აბულაძე 1938: 253-270).

ევროპაში მოგზაურობის (1713-1716) შემდეგ საბა გასცნობია სხვადასხვა ენის ლექსიკონებსაც და ზოგი რამ თავისი ლექსიკონის უკანასკნელ რედაქციაში იმათ ბაძით აუწერია. „ანდერძნამაგში“ ვკითხულობთ: „მე უწინარეს ლათინური და ელლენური ლექსიკონი ვერ ვნახე, თვარა უკეთესის რიგით აღვწერდი. მას უკან ვნახე და ზოგი რამ იმით გავმართე და რიცხვებიც წერილთანი თან ჩართვთ დაუსხი...“ (სიტყვის კონა 1949:8).

მთავარი ამოსავალი წყარო საღვთო წერილია. საბას ასევე უხვად გამოუყენებია ისეთი ქართული ორიგინალური და თარგმნილი თხზულებები, როგორიცაა, წინასწარმეტყველება აბდიასი, წინასწარმეტყველება ამბაკუმისა, წინასწარმეტყველება ამოსისა, დიონისო არიოპაგელი, წიგნი II გამოსვლათა მოსესი, გამოცხადება წმიდისა იოანე ღვთისმეტყველისა, გოდებანი იერემია ღვთისმეტყველისა, წიგნი I შესაქმე მოსესი (დაბადება), იოანე დამასკელის გარდმოცემად, ბარამიანი, ამირან-დარეჯანიანი, ევსტატი ქართველი, წინასწარმეტყველება ეზეკიელისა, ეფრემ ასური, ვეფხისტყაოსანი, ვისრამიანი, იგავნი სოლომონისანი, წიგნი ივდითისა, წმიდა სახარება იოანესაგან, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“, კათიღორია არისტოტელისა, კარაბადინი, წმიდა სახარება ლუკასაგან, წმიდა სახარება მათესაგან, მამათცხოვრება, ქართლის ცხოვრება, წიგნი ქება ქებათა მეფისა სოლომონისა, წმ. ეფთვიმე ქართველის ცხოვრება., წმ. ნინოს ცხოვრება, ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა რომაელთა მიმართ და სხვა მრავალი (სიტყვის კონა 1949: 581-583). პარალელურ ტექსტებად საბა ბიბლიის წიგნებს განზრახ არჩევს, ვინაიდან ამ კანონიკურ წიგნებში მეტ-ნაკლებად გამორიცხულია მთარგმნელის თვითნებობა (მეტრეველი 1956: 15).

თავისი მუშაობის წესა და მეთოდზე სულხანი ამომწურავ ცნობებს გვაწვდის „ანდერძნამაგში“. აქ ის მიგვითითებს კვლევა-ძიების იმ ხერხებზე, რომლებითაც ის სარგებლობდა განმარტების შედგენის დროს.

თავდაპირველად საბას ყურადღება მიუქცევია ძეგლებში გამოყენებულ იმ სიტყვათათვის, რომლებიც გაუგებარი ყოფილა ქართველი მკითხველისათვის და რომელთა ახსნა გაუადვილებდა მას არსებული საერო თუ სასულიერო ლიტერატურის გაცნობას.

სიტყვები, რომელთა უეჭვო განმარტებები საბას გააჩნდა, ლექსიკონში ყოველგვარი დამოწმების გარეშე იწერებოდა, – „რომელნიცა ვიცოდი, დავწერე“. მნელ სიტყვათა ასახსნელად კი საბა სხვადასხვა გზას მიმართავდა, – „რომელნიცა ძნელნი სიტყვანი არ ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვეძიე“.

საბა ბრმად არ ენდობა წყაროებს, ავტორებსა თუ მთარგმნელებს. მხოლოდ „გამოწვლილვით“ გამოძიების შემდეგ უცხადებს ნდობას ამა თუ იმ წყაროს და მხოლოდ მაშინ შეაქვს ესა თუ ის სიტყვა თავის ქართული ენის საუნჯეში (სიტყვის კონა 1949: 24), მაგრამ თუ ვერც ამ გზით ახერხებს საბა სიტყვის მნიშვნელობის გარკვევას, მაშინ მას კიდეზე გაჰქონდა წყარო და ლიტერატურული მასალა განმარტებისათვის (სიტყვის კონა 1949: 27). მესამე ხერხი – „ნუთუ სხვა წერილთა მისთანათა სიტყუა ეწეროს, გამოძიებით იპოება“, ე. ი. ავტორი ეძებს სხვა წყაროში ამავე სიტყვას, რათა სიტყვა ახალ კონტექსტში გამოჩნდეს; ანდა საბა ეძებს ერთი ტექსტის ორ სხვადასხვა თარგმანს, რათა ნაცნობი სინონიმის საშუალებით აიხსნას უცნობი სიტყვა (მეტრეველი 1956: 23).

ასევე საბა ცდილობს გამოავლინოს ქართული ენის მთელი სიმდიდრე. ამიტომ ის ხშირად მიმართავს ხალხურ წყაროებს, აგროვებს „სოფლიოთა“ შორის, ე. ი. ხალხში გავრცელებულ ტერმინებს და ცდილობს ქართული ენა წარმოადგინოს მთელი სისრულით. „ამისთანაები მე ამისთვის ჩაურთევ, რომ სხვას ენაში არ მოვა და არც იციან“. დახმარებისათვის სულხანს მიუმართავს მთის მოურავისათვისაც, რომელმაც მას მიაწოდა საძიებელ სიტყვათა მთაში გავრცელებული მნიშვნელობა. ლექსიკონში „მთის კაცთა“ დამოწმების რამდენიმე შემთხვევა არის (მეტრეველი 1956: 20- 23).

თავიდანვე უნდა შესულიყო ლექსიკონში, აგრეთვე, უცხო წარმოშობის ის სიტყვები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში შეესისხლხორცა ქართულს და სრულუფლებიანობა დაიმკვიდრა. სულხან-საბა, რასაკვირველია, სრულიად გაუწვრთნელი არ იქნებოდა უცხო ენათა ლექსიკონის მოხმარებაში, კიდევაც რომ

დავიჯეროთ მისი თავმდაბლური ორგზისი განცხადება: მე სხვა ენა არ ვიცოდი ქართულის მეტიო. „სიტყვის კონისადმი“ წარმძღვანებულ „ანდერძნამაგში“ საბას მიერ დასახელებულ: ელლენთა, ლათინთა, სომეხთა, რუსთა და არაბთა წიგნებს უეჭველია საბა გომოიყენებდა ამა თუ იმ სიტყვის წარმომავლობის გასარკვევადაც (სიტყვის კონა 1949: 15-16). მით უმეტეს, რომ იგივე საბა ერთ-ერთი უკანასკნელი ავტოგრაფის ფურცლებზე წერდა: „ამა წიგნთა შინა რაოდენთა ადგილთა ბერძული სიტყუა სწერია, რომელიც წიგნით შევიტყევ, სწორედ დავწერე. ერთი მღვდელ-მონაზონი იყო, ბერძულს ჩემობდა. რომელიმე მისის სიტყვით დავწერე და მას უკან ვცან, არა იცოდა რა. ვინც საზომს მისწუდეთ, გასინჯეთ, ესრე მომიკდა. მე სხუა ენა არა ვიცოდი ქართულის მეტი“. ამგვარად, ბერძნული ენის „უცოდინარე“ საბას ბერძნული იმდენად სცოდნია, რომ შესძლებია წიგნებში გამოეძია მისთვის საჭირო მასალა და შეემოწმებინა ბერძნის მიერ მიწოდებული ცნობების სისწორე (მეტრეველი 1949: 14).

როგორც ჩანს, სომხურ ენას საბა უკეთ არის დაუფლებული, ვიდრე ბერძნულს. ის დამოუკიდებლად, თუ სხვათა დახმარებით სარგებლობს სომხური განმარტებითი ლექსიკონით. ასევე, ლათინურ წყაროში თვითონვე აგნებს მისთვის საჭირო სიტყვას, ერკვევა ნახაზის მნიშვნელობაში, რომელიც გადმოაქვს თავის ლექსიკონში, მაგრამ ენის არასაკმარისი ცოდნის გამო, დამოუკიდებლად ვერ ბედავს სიტყვის აღწერას. ამ დროისათვის საბას ხელთ შეიძლება ჰქონოდა არა მარტო ლათინური განმარტებითი ლექსიკონი, არამედ ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონებიც, ვინაიდან ლათინ მისიონერთა მოღვაწეობის გაძლიერებასთან ერთად ქართულ საზოგადოებაში იზრდებოდა მოთხოვნილება ამგვარ ლექსიკონებზე. საქართველოს სახ. მუზეუმში დაცულია იტალიურ-ქართული ლექსიკონი, ქართული გრამატიკითურთ, შედგენილი თუ დაწერილი 1724 წელს (მეტრეველი 1956: 17).

ლექსიკოგრაფს სასაუბრო ენისთვისაც არ მოუკლია ყურადღება და მშობლიური ენის ლექსიკის გასათვალისწინებლად ყოველდღიურად გამოყენებული სიტყვებისთვისაც დიდი ადგილი დაუთმია.

ასეთი პირვანდელი სახით ს.-ს. ორბელიანს ლექსიკონი მანამდე უნდა დაემთავრებინა, ვიდრე იგი ბერად აღიკვეცებოდა. თუმცა, ლექსიკონზე მუშაობა მას არც ბერობაში შეუწყვეტია.

მეორე ეტაპზე, ანუ ევროპაში მოგზაურობის დროსაც, საბა ერთი წუთითაც არ ივიწყებდა თავის საზრუნავს. იქაც ჩხრეკდა და ეძიებდა. სამშობლოდან წაღებული ლექსიკონი კონსტანტინეპოლში გადაწერა, სიტყვათა შესატყვისებს (სომხურსა და თურქულს) იტალიურიც მიუმატა, მრავალრიგად გაჩალხა, აუხსნელი სიტყვების დიდი ნაწილი განმარტა, შეასწორა და შეავსო.

მესამე ეტაპი ლექსიკოგრაფიული მუშაობისა ყველაზე მძიმეა. სამშობლოში დაბრუნებულს, გულგატეხილსა და შეურაცხყოფილს ლექსიკონი მივიწყებისათვის არ მიუცია, პირიქით, ამ პერიოდში გააფართოვა, გაამდიდრა ახალი მასალით და კიდევ სამი ნუსხის შესწორება-შევსება მოასწრო.

გადაწერის პროცესში ავტორს ლექსიკონში ცვლილებები არ შეჰქონდა იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ ყოველი ახალი ნუსხის დედანი ყოველთვის უკვე შევსებულ-შესწორებულ ცალს წარმოადგენდა. ლექსიკონს რედაქცია უკეთდებოდა მხოლოდ გადაწერის დასრულების შემდეგ (ქუთათელაძე 1957: 55).

ელ. მეტრეველს ლექსიკონის პირველი რედაქციის დათარიღების საშუალებას აძლევს 1707 წელს ყანდაარიდან საბასთან მოწერილი გიორგი XI-ის სამძიმრის წერილი, რომელიც დაწერილია საბას ძმის, ვახუშტის, ყანდარში დაღუპვის გამო. გიორგის წერილიდან ირკვევა, რომ ის 1707 წელს პირველად გებულობს ლექსიკონის დასრულების ამბავს და პირველად ეცნობა ლექსიკონსაც.

ყანდაარს გიორგი XI 1701 წელს წასულა, ხოლო ვახუშტი 1703 წელს. ვახუშტის ყანდაარს წასვლის დროისათვის საბას ლექსიკონი საბოლოოდ გაფორმებული არ ჰქონია, წინააღმდეგ შემთხვევაში ვახუშტი საქართველოშივე გაიცნობდა მას და თან წაიღებდა ყანდაარში. 1707 წ. ლექსიკონის დასრულებისთანავე საბას ის ყანდაარში გაუგზავნია (მეტრეველი 1956: 38-39).

„ლექსიკონი ქართული“, რომელიც ცხრა, ასე თუ ისე, სრული, ავტოგრაფიული ნუსხით არის ჩვენამდე მოსული, ძირითადად განმარტებითია. თუმცა, ის რამდენადმე არაა მოკლებული ენციკლოპედიურსა და თარგმნით ხასიათსაც.

საბას ლექსიკონის ავტოგრაფიულ ნუსხებს თავსა და ბოლოში გარკვეული ნაწილები ერთვის. თავში - შესავალი (რომელსა ერთგან ავტორი „ღრამატიკოსობას“ ეძახის) „ანდერმნამაგითურთ“, ხოლო ბოლო ბოლოში - ე.წ Curriculum Vital, მოციქულთა სახელები, მოხელეთა ქართულ-თურქული სახელწოდებანი და სხვა (ლექსიკონი ქართული 1991: 6).

ლექსიკონში, სადაც მთელი სისრულით არის წარმოდგენილი, ერთი მხრივ, „ღრმათა წიგნებთა შინა გამოძიებული ფილოსოფიური, ასტრონომიული, მხატვრული, საეკლესიო და, მეორე მხრივ, „მსოფლიოთა“ ანუ „ვიეთთა“ და „მთის კაცთაგან“ თქმული ყოველდღიურად სახმარი სიტყვები, შეტანილია წიგნურსა და ხალხურ მეტყველებაში ეგოდენ ფეხმოვიდებული - არაბული, სპარსული, თურქული, სომხურ-ბერძნული და ა.შ. „სხვათა ენის სიტყვები“.

სხვათა ენისაგან შემოსული სიტყვის განმარტება იწყება ამ სიტყვის წარმომავლობის დადგენით. „თათართ“, „თურქთ“, „სპარსთ“, „არაბთ“ და ა.შ. „ენა“. შემდეგ მოცემულია ამ სიტყვის შემოსვლის მიზეზი და ახსნილია იგი „ჟამთა სიავით“ ან „ჟამთა შლით“. დახასიათებულია, როგორც „უმეცრად ნათქვამი“, „უკმარი“, „ცუდი“, „უჯერო“. შემდეგ კი მოყვანილია ამ უცხო წარმომავლობის სიტყვის, ქართველთაგან მივიწყებული, ქართული ფარდი (აბულაძე 1962: 58).

მაგ.: ფიქრი - არაბთა ენაა, ქართულად საგონებელი, განზრახვა, გულისთქმა და წვლილი მოგონება ჰქვიან.

უცხო წარმომავლობის სიტყვების განმარტებისას, წარმომავლობაზე მითითების შემდეგ, მოყვანილია ამ სიტყვის ქართული ფარდი. აქ კი ქართულად ზოგჯერ მიჩნეულია თავისთავად უცხო წარმომავლობის, მაგრამ ისტორიულად განსამარტზე უფრო ადრე შემოსული და დამკვიდრებული სხვათა სიტყვა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა განსამარტი უცხო წარმომავლობისაა, მაგრამ მიჩნეულია ქართულად და განმარტებულია სხვა ენიდან უფრო გვიან შემოსული სინონიმით.

სულხან-საბა ლექსიკონში მიუთითებს არაბულ ლექსიკას, რომელიც მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. იგი უცხო წარმომავლობის სიტყვებს ხშირად ქრონოლოგიური პრინციპით გამოყოფს.

როგორც ელ. მეტრეველი შენიშნავს „საბა ცდილობდა თავის ლექსიკონში წარმოედგინა ქართული ენა იმ მოცულობითა და სისავსით, როგორითაც ქართველებს, ჯერ კიდევ ფარნავაზ მეფის დროს გააჩნდათ, გარეშე „ჟამთ სიავით“ შემოსული „სხვათა და უკმარ“ სიტყვებისა. არის ფაქტები, როცა სიტყვებს ლექსიკონში უცხო წარმომავლობაზე მითითება არ ახლავს და ქართულად არის მიჩნეული ზოგჯერ ისეთი სიტყვები, როგორიცაა მაგ.: ავზი, ალყა, ალვა, ამაყი, ამბარი, ამირა, არიფი, ასაბადი, ასაბია, ბადრი, ბავასირი, ეჯიბი, ვაქილი, ზაჰმი, ზარადი, კაბალა, კეფა და სხვ.

ლექსიკონში ხშირად ვხვდებით გამოთქმებს „ბერძულში თქვეს“, „სომხურში სწორად ეწერა“, „ბერძნულ, სომხურ, ლათინურ ლექსიკონებსა და ტექსტების გარდა, საბა არაბულსაც მიმართავს“.

უცხო წარმომავლობის სიტყვის სადაურობა ყოველთვის არ არის მითითებული, მაგრამ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ განსამარტავი ერთეული „ჟამთა შლათგან შემოღებული სხვათა ენაა“ და მოცემულია „სხვათა სიტყვის“ ქართული ფარდი. ამ „სხვათა სიტყვაში“ ან „სხვათა ენაში“ ხშირად არაბული იგულისხმება. მაგ: აქიმი, ბარათი, ბალდამი, ბურჯი, ვარაყი, ზანდუკი, დარაჯა, თავაზა, თაღლითი, მასხარა, მაფრაშა, მაშრაპა, მერამლე, ნაზირი, ნალი და ა. შ.

მალიან ხშირად არაბულ-სპარსული წარმომავლობის სიტყვები საბას თურქულისეულად აქვს მიჩნეული, რადგან საუკუნეთა მანძილზე თურქული ენის ლექსიკური ფონდის დიდ ნაწილს არაბულ-სპარსული სიტყვები შეადგენდნენ. გარდა ამისა, სპარსულ-არაბული სიტყვების დიდი რაოდენობა სწორედ თურქული ენის მეშვეობითაა ქართულში შემოსული. სულხან-საბა თურქულ ენას მიაწერს არაბული

წარმომავლობის ისეთ სიტყვებს, როგორიცაა ბედაური, ბუხარი, ზაფრა, თამაში, მავთული, მასხარა, მუშაბაღი, რუბი, ფალი, ჰალვა და ა. შ.

სულხან-საბა სპარსულ ენას მიაწერს არაბული წარმომავლობის ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: ალამი, ლაყაფი, მეჯლიში, მურასა, სუფრა და ა. შ.

ამრიგად, არაბული ლექსიკური მასალა, რომელიც საკმაო ოდენობითაა წარმოდგენილი ამ შრომაში შეიძლება დაჯვაფდეს გარკვეული რიგით:

1. ქართულში დამკვიდრებული არაბული სიტყვები, რომელთაც სწორი მითითება ახლავს წარმომავლობაზე.
2. არაბული სიტყვები, რომელთაც არ ახლავს უცხო წარმომავლობაზე მითითება, ანუ განმარტებულია როგორც ქართული ლექსიკური ერთეულები.
3. არაბული სიტყვები, რომლებიც იგულისხმება „სხვა ენისა“ თუ „სხვათა სიტყვის“ ქვეშ.
4. არაბული სიტყვები, რომლებიც თურქული ან სპარსული ენის წარმომავლობისად მიაჩნია სულხან-საბას.

აღნიშნული ლექსიკა ფართოდ გამოიყენება დღევანდელ სალიტერატურო ქართულში. ორენოვნების პირობებში ლექსიკის შეღწევის გარდა, ერთი ენის გავლენა შეიძლება გავრცელდეს ენის სისტემის სხვა დონეებზეც. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ქართულისა და არაბულის ურთიერთობა ლექსიკურ ნასესხობებს არ გასცილებია. უცხოენოვანი ლექსიკის გამოვლენა, თავის მხრივ ხელს უწყობს მთელი რიგი პრობლემების, მათ შორის ენის ექსტრალინგვისტული ისტორიის გაშუქებას.

არაბული წარმოშობის ლექსიკური ელემენტები, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში, ფეხს იკიდებს ქართულში დაახლოებით VIII საუკუნიდან. პირველად არაბული წარმოშობის საკუთარი სახელებისა და სამოხელეო ტერმინების სახით, რომელთაც უკვე მეცხრე საუკუნიდან დაწყებული მოსდევს რამდენიმე ზოგადი სახელი, დამოწმებული ძველი ქართული ლიტერატურის ისეთ ძეგლებში, როგორიცაა, მაგ. „ბალავარიანი“, „მამათა სწავლანი“ და სხვა. ეს სიტყვები თავისი ფონეტიკური სახის მიხედვით ახლოს არიან

არაბულ ფორმებთან. მათი უმრავლესობა შემოსულია, როგორც ჩანს, უშუალოდ არაბულიდან, ნაწილი კი ახალი სპარსულის მეშვეობით, სადაც არაბული წარმოთქმა ზუსტად იყო დაცული და მათი შეგუება სპარსული ენის ფონეტიკასთან დასრულებული არ იყო. მეთერთმეტე საუკუნიდან იწყება უკვე ახალი სპარსულის მეშვეობით არაბული სიტყვების მოძალება, განსაკუთრებით მრავლად ისინი კლასიკურ საერო ლიტერატურის ძეგლებში გვხვდება ქართულში (ანდრონიკაშვილი 1965: 326-327.)

შემოსვლის გზას (უშუალოს თუ შუალობითს) ხშირად სიტყვის ფონეტიკური მხარე მიგვანიშნებს, რომელიც გარკვეულად სპარსული ენის კვალს ატარებს. მაგალითად, ქართულში სპარსულის მსგავსად არ გამოითქმის ზოგი სპეციფიკურად არაბული, სპარსული ბუნებისათვის უცხო ბგერები (თანხმოვნები չ (') / ჟ (h) არაბული სიტყვის თავში და ზოგჯერ შიგნითაც. არ განსხვავდება ინტერდენტალური და ემფატიკური ბგერები Z, S და სხვა), განსაკუთრებით სპარსული ზეპირი გზით შემოსულ სიტყვებში. უშუალოდ არაბულიდან შეთვისებულ სიტყვებში არაბულ ბგერებს ქართული სხვაგვარად გადმოსცემს თავისი მდიდარი კონსონანტიზმის მეოხებით (ანდრონიკაშვილი 1996: 299).

არაბულიდან ნასესხებ ლექსიკაში კარგად შეიმჩნევა ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებანი. ფონეტიკური ბგერის დაკარგვა, ბგერის ამოვარდნა, ასიმილაცია, დისიმილაცია. ბგერითი ცვლილებების გარდა არაბულიდან ნასესხებ სიტყვებში გვხვდება სემანტიკური ცვლილებები.

არაბული ლექსიკის სემანტიკური ტრანსფორმაციების განხილვა გვიჩვენებს, რომ ქართულში არაბული ლექსიკის დამკვიდრების პროცესი ხასიათდება რიგი თავისებურებებით. არაბული სიტყვები, ქართულში შემოსვლისას, უმეტესწილად ინარჩუნებენ ძირითად მნიშვნელობას, რიგ შემთხვევებში იძენენ დამატებით ელფერს; ზოგჯერ, მათი სემანტიკა საკმაოდ განსხვავდება არაბულში დადასტურებული მნიშვნელობისაგან.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია სესხების პროცესში გამოვლენილი ტენდენცია - ქართულში გადმოსვლისას სიტყვას შენარჩუნებული აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც ძირითადია არაბულში, ხოლო ნაკლებ გავრცელებული მნიშვნელობები

იკარგება. როდესაც საქმე ეხება სემანტიკურ ტრანსფორმაციებს, გასათვალისწინებელია ქართულში არაბული სიტყვების შემოსვლის გზაც. არაბულ ბგერათა სისტემაში არსებული ემფატიკური და რამდენიმე სხვა სპეციფიკური თანხმოვანი, რომელთა ფონეტიკური ადეკვატიც ქართულში არ მოგვეპოვება, აგრეთვე არაბულის ხმოვანთა სისტემა თავისებურად აისახა ქართულში ნასესხებ სიტყვებში.

გარდა ამისა, ხშირად ერთი არაბული ფონემის პოზიციური ვარიანტები ქართულში გადმოვიდა სხვადასხვა ქართული ფონემის საშუალებით (ლეკიაშვილი 1992: 53-54).

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ მართლაც რომ მნიშვნელოვანი ძეგლია აღმოსავლური ლექსიკის შესწავლისათვის. ნასესხებ ტერმინთა გაანალიზების საფუძველზე ირკვევა, რომ უშუალოდ არაბულიდან შემოსულ სიტყვათა რაოდენობა მცირეა, ჭარბობს სპარსულისა და თურქულის გზით შემოსული სიტყვების რიცხვი.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დამოწმებული არაბული წარმოშობის ზოგიერთი ლექსიკური ერთეული დღეს უკვე არქაიზმია, მაგ.: აჯი, აჯაფთა, ბაბლანი, ბავასირი, ბალდამი, დალალი, ვეზირი, მუაბა, მურასა, ნიშატი, ფალი, ფანოსი, ხადუმი. ზოგჯერ საბას ზოგიერთ ლექსემაზე „უკმ.“ ნიშანი უზის. დღევანდელ, თანამედროვე ქართულში კი მათი გამოყენება პროდუქტიულია, ასეთებია: აშიკი, ბარათი, ლაყაფი, ნალი, ფიქრი. მათი ამოკრება და მეცნიერული კვლევა-ძიება გვეხმარება ადრეული საუკუნეების ლექსიკური ფონდის შესწავლაში.

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული რაოდენობა ნასესხები სიტყვებისა ქართულ ენაში არსებული საშუალებებით კიდევ განიცდის ცვლილებას და მათგან ნაწარმოები სიტყვები გვევლინება, რაც უფრო ამდიდრებს ენას.

## თავი 2

### 2. 1. არაბული ლექსიკა „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით

არაბულიდან ნასესხები ყველა სიტყვა არ შემორჩა ქართულ ენას. ბევრი მათგანი მხოლოდ დროებით იქნა მიღებული. თუ თვალს გადავავლებთ ქართული ენის განვითარების გრძელ პერიოდს, შეიძლება გამოვყოთ არაბულ სიტყვათა სამი ჯგუფი:

პირველი, მოიცავს ნასესხებ სიტყვებს, რომლებიც განსაზღვრული დროის მანძილზე დამკვიდრდა ლიტერატურულ ენაში, მაგრამ შემდეგ კვლავ განდევნილი იქნა. მაგ. azabi- საოცრება, magribi-დასავლეთი.

მეორე ჯგუფი თუმცა ჯერ კიდევ არის შეტანილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, მომველებულია და თანდათან ქრება, მაგ. bazazi - ვაჭარი, dunia - სამყარო, მსოფლიო.

მესამე ჯგუფი მოიცავს არაბულიდან ნასესხებ სიტყვებს, რომელიც თანამედროვე ქართული ენის ლექსიკურ ფონდს მიეკუთვნება. ისინი გვხვდება გამოთქმებში და მათგან ნაწარმოებ სხვა სიტყვებში. ეს სიტყვები ისე დაემსგავსა ქართულს ფონეტიკური თუ მარცვლების სტრუქტურით, რომ ხშირად ისინი აღიქმება არა როგორც ნასესხები, არამედ როგორც ქართული სიტყვები, ისე შეესისხლხორცნენ ქართული ენის სისტემას (ფენრიხი 1964: 155).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არაბთა სახალიფოს დაცემის შემდეგ არაბული სიტყვები ქართულ ენაში არა მხოლოდ სპარსული და თურქული ენების მეშვეობით მკვიდრდებოდა. არაბთა პოლიტიკური ძლიერების გაქრობის შემდეგაც არაბული ენა დიდხანს დარჩა ახლო აღმოსავლეთის რელიგიისა და მეცნიერების ენად. არაბული სამეცნიერო ტერმინოლოგიიდან ბევრი რამ შევიდა შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის დასავლეთის სამწიგნობრო ენაში - ლათინურში, იქედან კი ახალ ევროპულ ენებსა და ინტერნაციონალიზმების სახით - ქართულში (ფოჩხუა 1974: 358-359).

საკუთრივ არაბიზმებთნ დაკავშირებით გასათვალისწინებელია ორი ამოსავალი პოსტულატი: ა) არაბულ სამყაროსთან პირდაპირი კონტაქტი ქრონოლოგიურად გრძელ

მონაკვეთს მოიცავს, რამაც განაპირობა უშუალო არაბული გავლენები. გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

ბ) ქართული ენის ლექსიკურ სისტემაში არის ისეთი სიტყვების დიდი კორპუსი, რომელთა უშუალო არაბული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს (მათ შორის წერილობითი გზით შემოსული ფორმები, რომელთაც არაბული ფლექსიური და დერივაციული აფიქსები გადმოჰყვათ): რაც მთავარია, არის არაბული წარმოშობის ისეთი სიტყვების საკმაო რაოდენობა, რომლებიც არაბულს სპარსულისათვის (ან თურქულისათვის) არ უსესხებია (სილაგაძე 2008: 35).

მიუხედავად იმისა, რომ XI საუკუნიდან დაწყებული არაბული სიტყვების შემოსასვლელად სპარსული ძირითადი გზაა, არ შეიძლება დაბეჯითებით იმის თქმა, რომ XI საუკუნის შემდგომ არც ერთი არაბული სიტყვა აღარ შემოდის ქართულში უშუალოდ. გარკვეული რაოდენობა არაბული სიტყვებისა, დადასტურებული „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანსა“ და კლასიკური საერო ლიტერატურის სხვა ძეგლებში, თავისი ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით უფრო ახლოს დგას ამოსავალ არაბულ ფორმებთან, ვიდრე სპარსულ ნასესხებთან.

იმის გამო, რომ არაბულმა სიტყვებმა გზა გაიკაფეს ქართულში იმ დროს, როდესაც ქართული სალიტერატურო ენა უკვე ჩამოყალიბებული და განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი იყო, მათ (იშვიათ გამონაკლისის გარდა) სიმრავლის მიუხედავად ვერ მოახერხეს ისე „გაქართულება“, რომ ძნელი იყოს მათში ნასესხები სიტყვების ამოცნობა, როგორც ეს ირანული ენებიდან ძალიან ძველი ნასესხებების შემთხვევაში გვაქვს. არაბულ სიტყვათა ფონეტიკური იერი და სტრუქტურა ადვილად გვაგრძნობინებს თავის უცხოურობას, მიუხედავად გავრცელებულობისა და მათი გამოყენებისა ყოველდღიური და აუცილებელი ხმარების ცნებათა აღსანიშნავად (ანდრონიკაშვილი 1965: 328).

ლექსიკური ერთეულების რაოდენობა, რომელზედაც სულხან-საბა ორბელიანს ლექსიკონში მინიშნებული აქვს არაბული წარმომავლობა, შედარებით მცირეა სპარსულისა და თურქულისგან განსხვავებით. ესენია: არაყი, აშიკი, აჯაფთა, ბარაქა, თაჯური ენა, მუაბა, ნიშატი, ფიქრი, შათირი, ხადუმი, ხურმა.

არაყი - არაბულად ოფლს ჰქვიან, ვინაიდგან იგიცა ქვაბისა ოფლი არს, ხოლო ქართულად არაყსა სახელად იყი ეწოდების Z (საბა 1991: 60).

იგივე მნიშვნელობით გვხვდება A და B რედაქციებშიც. სამივე შემთხვევაში აღნიშნული ლექსიკური ერთეული არაბულად აქვს ჩათვლილი სულხან-საბას. შდრ:.. არყისა (არაბ.) 'არაკ „ოფლი, არაყი“ - პურეულიდან, ჭაჭიდან, ხილიდან გამოხდილი მაგარი ალკოჰოლიანი სასმელი (ქეგლ 1950-64: 555).

არაყი არაბულიდან ნასესხობადაა ჩათვლილი ნ. ჩუბინაშვილის, გ. წერეთლის, იოანე ბაგრატიონის ლექსიკონებში და იგივე მნიშვნელობა უდასტურდება. დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს მის თათრულ წარმომავლობას, „რახი, ვიდკა“ (ჩუბინაშვილი 1984:43), ხოლო ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ არაყი არაბულ-სპარსულ ლექსემადაა მიჩნეული. „არაყი-ქასნი. ქასნის არაყი“ („უსწორო კარაბადინი“ 1940: 475).

„შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიების I ნაწილში ვხვდებით სიტყვას არაყბარი ან არყაბარი (618,2), რომელიც, დ. კობიძის აზრით, არაბულია. عرق بحار არაყი ბიჰარ - თურინჯისა და ნარინჯისაგან გამონახადი სუნნელოვანი სითხელე (შაჰ-ნამე 1916: 793). აღნიშნულ ძეგლში ამ ლექსიკურ ერთეულს სულ სხვა სემანტიკური მნიშვნელობა უდასტურდება, ვიდრე საბას მიერ განმარტებულს.

عرق/*araq* ოფლის მნიშვნელობით დასტურდება გირგასის „ყურანისა და ჰადისების ლექსიკონში“ - поэт, кузовокъ изъ пальмовых листьев (გირგასი 1881: 521), ხოლო ლენთან მას ემატება კიდევ ერთი მნიშვნელობა: „ცვრით, წვიმის წვეთებით დანამული მიწა“ (ლენი 1968: 2018). სულ სხვა განმარტებაა ლ. მალუფის არაბული ენის განმარტებით ლექსიკონში: „قر- سითხე, რომელიც ადამიანის სხეულიდან გადმოდის; კედლის სისველე, ნესტი; სპირტიანი სასმელი, რომელიც მზადდება ყურძნის წვენის ან ფინიკისაგან; ბადაგი“ (მალუფი 1992: 501). ჩანს, ამავე ლექსიკონს ეყრდნობა ჰასან ანვარიც, რომელიც სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ ლექსემას არაბულად მიიჩნევს და ჩამოთვლის იმ მნიშვნელობებს, რაც სპარსულ ენაში უდასტურდება: 1. ნივთიერება, რომელიც ძუძუმწოვართა ჯირკვლებიდან სხეულის ტემპერატურის მომატებასთან ერთად გამოიყოფა. 2. ალკოჰოლური სასმელი, რომელსაც ამჟავებული

ხილის (ყურძენი, ხურმა) გამოხდის შემდეგ იღებენ 3. წყლის ორთქლი (ანვარი 1382: 1549). გ. წერეთელი არაბ. عرق-‘araq ფორმას ადარებს ქართ. არაყს (წერეთელი 1951:147).

ფარინგალური მჟღერი ნაპრალოვანი չ/-ის ექვივალენტი ქართულში არ არის და არაბულიდან შემოსულ სიტყვებში უმეტეს შემთხვევაში იკარგება. შდრ.: არაბ. علم (‘alam) > ქართ. ალამი; არაბ. عاشق (‘āšiq) > ქართ. აშიკი.

არაბული წარმოშობის ნასესხობებში არაბ. ق/q > ქართ. ყ მიმართებასთან დაკავშირებთ გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება. მ. ანდრონიკაშვილი მიიჩნევს, რომ ის სიტყვები, სადაც არაბული ق გადმოსულია ქართულ-ყ-დ, უნდა ჩავთვალოთ არა უშუალოდ არაბულიდან, არამედ სპარსული ენის გზით შემოსულებად იმ სიტყვათა საპირისპიროდ, სადაც დაცულია ق-კ მიმართება (ანდრონიკაშვილი 1965: 328). კ. წერეთელის აზრით, არაბული q-ის კ-დ ან ყ-დ გადმოსვლას სესხების რაგვარობა განსაზღვრავს. სემიტ. q > ქართ. კ ასახავს სესხების წერილობით გზას, განსაკუთრებით იმ ენების მეშვეობით, სადაც q-ს გადმოცემის ერთადერთი საშუალება k-ა (თურქული, ბერძნული, სომხური). იგი აღნიშნავს: „საყურადღებოა, რომ თითქმის ყველა იმ შემთხვევაში როდესაც არაბული q-სათვის ქართულში „ყ“ გვხვდება, სპარსულში იგივე სესხება დასტურდება (ამასთან ყველა პოზიციაში). სპარსული ბერძნი კ ცნობილია როგორც უვულარი თანხმოვანი მსგავსად არაბულისა, ამიტომ ორსავე შემთხვევაში (არაბულიდან მოდის ქართულში უშუალოდ სიტყვა თუ სპარსულის გზით) საქმე გვაქვს უვულარი თანხმოვნის გადმოცემასთან... სათანადო მაგალითების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ უმეტეს შემთხვევაში სემიტური კ ქართულში ყ-თი გადმოცემა, განსაკუთრებით ზეპირი გზით შემოსვლისას, რასაც კარგად ადასტურებს როგორც ქართ. ყ-ს არაბულში სისტემატურად ق-თი გადმოცემა.“ ამავე დროს, მეცნიერი არ ეწინააღმდეგება მ. ანდრონიკაშვილის დებულებას და არ გამორიცხავს, რომ არაბ. q-ს ქართულში „კ“-თი გადმოცემა უფრო ადრეულია, ვიდრე იმავე q-ს ქართულში „ყ“-თი გადმოცემული სიტყვები, რომლებსაც მ. ანდრონიკაშვილი უფრო გვიანდელ და ქართულში სპარსულის მეშვეობით შემოსულად ვარაუდობს (წერეთელი 1992: 92, 98–99). ამ აზრს იზიარებს ჯ. გიუნაშვილიც. ის მიიჩნევს, რომ კ ბერძნის გაჩენისა და დამკვიდრების მიზეზი სპარსულში არაბული ენის გავლენაა. არაბულიდან სპარსულმა

ისესხა მრავალი ტ/ყ –იანი სიტყვა. ამ სიტყვების ხვედრითი წონა იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მოხდა „ღ“ და „ყ“ ფონემების შერწყმა ერთ ფონემა „ყ“–ში, რომელიც ფონეტიკური პოზიციების მიხედვით წარმოითქმის, როგორც „ყ“, „ღ“ და „ხ“ (გიუნაშვილი 1960:76). ვ. ლეკიაშვილიც აღნიშნავს, რომ არაბულ ტ-ს ზუსტი ფონეტიკური შესატყვისი ქართულ ფონემათა შორის არ არის და ყველაზე ახლოს მასთან ქართულ ფონემათაგან კ და ყ დგანან (ლეკიაშვილი 1992: 71).

**არაყი**, პირველად XI საუკუნის „უსწორო-კარაბადინში“ გვხვდება. ალ-ქიმია ანუ მედიცინა ძველ არაბულ სამყაროში ძალიან მაღალ დონეზე იდგა და საკმაოდ კარგადაც იყო შესწავლილი. ბირითადად, იმდროინდელი სამკურნალო ტიპის წიგნები ქართულად სწორედ არაბულიდან იქნა თარგმნილი. გასათვალსიწინებელია ისიც, რომ არაბული ენის გავლენა ჯერ მთარგმენლთა მეტყველებაში, შემდეგ ნაწერშიც ზეპირი გზით შეიჭრა და აირევლა (მენაბდე 1993: 20)

სავარაუდოდ, ქართულში არაყი XI საუკუნემდე ზეპირი, უშუალო გზით დამკვიდრდდა. „უსწორო კარაბადინში“ ამგვარი ფორმაა ასახული.

აშიკი - (აშიყი და აშიკი Cab; აშიყი, აშიკი Cq; აშიყი D) (+ვეფხისტყ. Z) აშიყი არაბულია, ტრფიალს(ა) ჰქვიან ZA (საბა 1991: 82).

აშიკი მომდინარეობს არაბული **عاشق**/**âšiq** - „მოტრფიალე, უზომოდ შეყვარებული, საყვარელი“ (გირგასი 1881: 530; ჯონსონი 1852: 832). თურქულსა და სპარსულ ლექსიკონებშიც მინიშნებულია ამ სიტყვის არაბული წარმომავლობა. **عشق** / **'esq** - დიდი გრძნობა, სიყვარული (ანვარი 1382: 1555). aşk 1. სიყვარული; 2. გადატ. გულისხმიერება, ენთუზიაზმი (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 72).

**عاشق** (**'esq**) აშიკი - ტრფიალის, ძლიერ მოყვარულის, შეყვარებულის, მიჯნურის მნიშვნელობით გვხვდება აღორძინებისა და კლასიკური ხანის ტექსტებში: „ვეფხისტყაოსანი“, „შაჰ-ნამე“, „ვახტანგ VI -ეს ლექსები და პოემები“, „თეიმურაზ I“, ასევე ნ. ჩუბინაშვილის, დ. ჩუბინაშვილის, გ. წერეთლის ლექსიკონებში. თ. ბაგრატიონი, აღნიშნულ ლექსემას სპარსული წარმომავლობისად მიიჩნევს. „აშიყ-ტრფიალი, სპარსული სიტყვა არის. აქედანვეა ნაწარმოები ქართულში აშიყობა“ (წიგნი ლექსიკონი 1979: 25 ).

საერთოდ, არაბულიდან ქართულ ენაში შემოსულ სიტყვების მნიშვნელობათა ტრანსფორმაციისას, იმ შემთხვევაში, თუ ქართულში ჩნდება ამ სიტყვებისაგან წარმოებული ზმნური ფორმები, მიმღეობები ან ფორმით მიმღეობის მსგავსი მო-ე აფიქსით ნაწარმოები სახელები, შეიმჩნევა ტენდენცია ამ სიტყვათა გადააზრებისა მოქმედების სახელებად ან ამოსავალი არაბული სიტყვის სემანტიკასთან დაკავშირებულ ისეთი ცნების აღმნიშვნელ სახელად, რომლისგანაც ზმნური ფორმის წარმოება ქართული ენისთვის უფრო ბუნებრვი იქნებოდა - თუ ამოსავალი სიტყვა არის რაიმე კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი. **عشق**- შეყვარებული, არაბული მიმღეობის ფორმამ ქართულში მიიღო შესაბამისი მოქმედების სახელი - აშიკი, ტრფიალი (ლეკიაშვილი 1992: 86). **عشق** ('isq) – ძლიერი სიყვარული (შდრ. ქართ. ეშხი), **عشق** ('āšiq) ძლიერ მოყვარული, არშიყი (შდრ. ქართ. აშიკი, არშიყი) (წერეთელი 1951: 150).

არაბული ალვეოლარული **ش** ქართულში შემოსულ სიტყვებში ყოველთვის გვაძლევს ქართულ შ-ს.

ამ სიტყვას ქართულში სემანტიკურად მნიშვნელობა არ უცვლია. საწყისი ფორმით დასტურდება თანამედროვე ქართულშიც. სულხან-საბა ადასტურებს პარალელურ ფორმებს: აშიკი // აშიყი. არაბ. **ف** > ქართ. **ვ** უშუალოდ არაბულიდან სესხებას ადასტურებს. ხოლო, აშიყი, სავარაუდოდ, სპარსულის გზით შემოსული ნასესხობაა (არაბ. **ف** > ქართ. **ვ** ფაქტორის გათვალისწინებით).

**აჯაფთა** - (აჯაფათა Z, აჯაბთა CqD) დარეჯანიანში მოუყვანიათ, არაბთა ენად არს (ენაა A), საკვირველს ჰებიან ZA (საბა 1991: 86).

B, Cab და Cq რედაქციებში დასტურდება საკვირველთა მნიშვნელობით. D რედაქციაში აღნიშნულია: „საკვირველი, ეს მიკვირს, დარეჯანიანში უთქვამს, აჯაფი არაბთა ენაა“ (საბა 1991: 86).

ანდერმნამაგში ვკითხულობთ სულხან-საბას თავმდაბლურ განცხადებას „მე სხუა ენა არა ვიცოდი ქართულისა მეტიო“. მას შეეძლო როგორც არაბული, თურქული, სომხური, ბერძნული, ასევე ლათინური დამწერლობის გარჩევა და მით უმეტეს, კარგადაც იყო დაუფლებული მათ. ლექსიკონის D ნუსხაშივე სიტყვათა განმარტების ჩამოყალიბების დროს საბა სომხურ და არაბულ წყაროსთან ერთად ლათინურსაც

იმოწმებს. სიტყვა **ბრანგგთან** დაკავშირებით ხელნაწერის კიდეზე საბას მიუწერია: „არაბულსა, სომხურსა და ლათინურში ბრანგპი გარეულ ნადირად, მმვინვარედ ეწერა, ბერძნულშიაც ვნახოთ“ (მეტრეველი 1956: 17). ე.ი. სულხან-საბას შეეძლო აჯაფთა სიტყვა თვითონვე დაეძებნა არაბულ ლექსიკონში და მაშინ მართლაც გაკვირდებოდა, თუკი მას სწორედ **اعجف** (*'aġif*) ძირზე მოძებნიდა, რადგან **عجيف** / **اعجف** (*'aġīf / 'aġaf*) ნიშნავს: სუსტი, გამხდარი (გირგასი 1881: 507)

სწორედ, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს ამ რედაქციაში საბას სიტყვები **აჯაფთა-სთან** დაკავშირებით. ეს უკანასკნელი უნდა მომდინარეობდეს არაბული **عجيب** (*'aġīb*) ელატივისაგან **أعجَب** (*'aġab*) - უფრო საკვირველი, საუცხოო (გირგასი 1881: 506).

იქ, სადაც არაბულ სიტყვაში არის ბილაბიალური მჟღერი ხშული **ب/b**, ქართულში შემოსულ სიტყვებში მას შეესაბამება ბილაბიალური მჟღერი ხშული **ბ**, ბილაბიალური ყრუ მკვეთრი **ڭ**, ბილაბიალური ფშვინვიერი **ფ**, ბილაბიალური ნაზალი **ڏ**. ასევე, გხვდება პარალელური ფორმები, სადაც მონაცვლეობს **ბ/ფ** (მაშრაბა/მაშრაფა) (ლეკიაშვლი 1992: 56). შესაძლოა ეს ქართულის ნიადაგზე აიხსნას. მაგ.: აჭარულ დიალექტში მონაცვლეობს აჯაბი / აჯაფი – არაბ., თურქ. მომდინარე *acep „ნეტავ, მართლა“* (ღლონტი 1984: 52).

B, Cab და Cq რედაქციებში განმარტებულ **აჯაფთას** მნიშვნელობა ასეთია: დარეჯანიანში მოუყვანიათ, არაბთა ენაა, საკვირველთა B (უკმ.) თა – თანიანი მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსია, რომელიც არაბულ **'aġab-ს** დაერთვის (საკვირველი + თა = საკვირველთა). „ამირანდარეჯანიანი“, როგორც სარაინდო-საგმირო ეპოსის ღირსშესანიშნავი ძეგლი სავსეა საკვირველი და დაუჯერებელი ამბებით.

არაბული **წარმოშობის** აჯაფთა, რომელშიც, ქართული ფონეტიკური კანონზომიერების მიზედვით **ბ-ს** დაყრუებით მიღებულია ჰომორგანული თანხმოვანი **ფ** – **შდრ.**: სითბო > სითფო (ჯორბენაძე 1998: 389), სავარაუდოდ სპარსულიდან შემოსული და XII ს.-იდან დამკვიდრებული ნასესხობაა.

**ბარაქა - არაბულად კურთხევა ZABCDE** (საბა 1991: 95).

**ბარაქა** მომდინარეობს არაბული **بركة/ barakat** სიტყვიდან - კურთხევა, წყალობა (ლენი:194). ამავე მნიშვნელობით დასტურდება ასევე გირგასის, დ. ჩუბინაშვილის, გ. წერეთლის ლექსიკონებში, ლ. კოტაშვილის „აღმოსავლურ რეალიებში“, კლასიკურ

ტექსტებში. მკვლევარები მას არაბული წარმოშობისად მიიჩნევენ. გ. წერეთელი აღნიშნულ ლექსემას ქართულ ბარაქას ადარებს (წერეთელი 1951: 26).

არაბულ **بركة** (barakat-un)-ს „დალოცვა“, „წყალობა“, „ცით მოვლენილი წყალობა“ სპარსულში მას უფრო „მიწიერი მნიშვნელობა“ აქვს - „დალოცვა, სიუხვე, მოგება, კეთილდღეობა, რაც სრულად აისახა ბარაქას მნიშვნელობებში - ხვავრიელობა, დიდი მოსავალი (ლეკიაშვილი 1992: 112).

არაბული წარმომავლობისაა აღნიშნული ლექსემა სპარსულ, თურქულ და ოსმალურ ლექსიკონებშიც. **برکت** –bar[e(a)]kat – არაბ. **بركة** 1. სიუხვე, სიმრავლე 2. ბედნიერება, კეთილდღეობა, 3. ბუნებაში არსებული წყალობა, მაგალითად - პური (მოინი 1996: 507). Bereket (-ti) - არაბ. ბედნიერება, კეთილდღეობა (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 109). berekât – არაბ. კეთილდღეობა, ხვავრიელობა (ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2008).

არაბული მდედრობითი სქესის დაბოლოებიდან **-at**, ქართულში რჩება **-a, Baraka** - იგივე მნიშვნელობით (ფენრიხი 1964: 159).

აღნიშნული ლექსემა დასტურდება აღორძინების ხანის ტექსტებში: „შაჰ-ნამე I“; „იყო აქა მათი ბარაქა, თუ არ ასეცა მიმსგავსებოდით“ (არჩილ I: 16,1); „ბარაქას დასდებს ღვინოს და პურსა“ (გურამიშვილი 236; 390).

ამ სიტყვას ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილება არ განუცდია. სავარაუდოა მისი, როგორც მისასალმებელი ფორმულირების ძირითადი შემადგენელი კომპონენტის „السلام عليكم ورحمة الله وبركته“ (as-salāmu ‘alaykum warahmatu l-lāhi wabarakatuhu) უშუალოდ არაბულიდან მომდინარეობა ზეპირი გზით, ხოლო წერილობით ძეგლებში უკვე XV საუკუნიდან დაფიქსირება.

თაჯური ენა - არაბთა ენაა, რომელსა ტაჭიკს უწოდენ ZA. თურქთა ენაა, რომელსა ტაჭიკს უწოდენ B (საბა 1991: 302).

ტაჭიკი - ტაიჭი სომხურია - არაბული ცხენი, ვკითხულობთ ი. აბულაძის რედაქტორობით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ (აბულაძე 1914: 198), ხოლო იუსტ. აბულაძე კი ტაიჭის ასე განმარტავს: „სომხ Տաბիկ, თურქ. tai - თურქული ცხენი,

ბარბარული ცხენი, აფრიკის ცხენი. ფიცხი და სწრაფად მავალი ცხენი, გინა მერანი“ (აბულაძე 1926: 281).

ტაიჭი თათრულად აქვს მიჩნეული დ. ჩუბინაშვილს - „ბედაური, ცხენი“ (ჩუბინაშვილი 1984: 1213). ამ ტერმინს ვხვდებით ისეთ ლიტერატურულ ძეგლებში, როგორიცაა: ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „ვისრამიანი“, „რუსუდანიანი“, „ქილილა და დამანა“. „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ტაიჭი აქლემს აღნიშნავს - „რომელნი აღსხდეს ტაიჭთა (აქლემთა M) და ივლტოდეს „უკუეთუ ვინმე იყოს კაცი მჯდომარე ტაიჭსა“ (ძველი ქართული ენის ლექსიკონი 1973: 410).

„**ط**“ ტაიჟი - იემენური ტომის სახელია (გირგასი 1881: 491). აკად. გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ „თვით არაბების აღმნიშვნელი სახელები ქართულში, ცხადია, შემოვიდოდნენ სხვა ენათა მეშვეობით ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე არაბები უშუალო კონტაქტს დაამყარებდნენ საქართველოს მოსახლეობასთან“ (წერეთელი 1947: 35). ამ ტერმინების გვერდით, რომლებიც უცხო გზით უნდა იყვნენ ჩვენში შემოსული და რომლებიც არაბთა აღმნიშვნელი ზოგადი სახელებია, საფიქრებელია, რომ იმთავითვე ჩნდება არაბული ტომების აღმნიშვნელი სიტყვები. მათ რიცხვს ეკუთვნის შემდეგში საკმაოდ გავრცელებული ტერმინი „ტაიჭი“, რომელიც ქართულში „ცხენს“ ნიშნავს და წარმოდგება არაბული სიტყვისაგან (ط - ميمار. ეს უკანასკნელი იამანური წარმოშობის ჩრდილო არაბული ტომის სახელია. ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მეზობლები იყენებდნენ ამ არაბ ტომთაგან მათთვის ყველაზე ახლო მეზობლობაში მყოფი ხალხის სახელის, საერთოდ არაბების აღსანიშნავად. ეს სიტყვა სპარსეთიდან შუა აზიასა და ჩინეთში შევიდა, ხოლო ტაზის სახით უკვე მეათე საუკუნის სპარსულში იხმარება „არაბის, არაბიელის“, ისე, როგორც „მუსლიმის, მუსლიმანის“ აღსანიშნავად, რადგან ისლამის პირველ საუკუნეებში ეს ცნებები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა. უკვე XI საუკუნიდან შუა აზიის თურქები ხმარობენ ამ სიტყვას (ტაჭიკ) იმ ხალხის აღსანიშნავად, რომელსაც ეკუთვნოდა იმ დროს მათთვის ცნობილ მუსლიმანთა დიდი ნაწილი, ე. ი. ირანელების მიმართ. ამგვარად, „ტაჯიკური“ ენა უპირისპირდება როგორც თურქულს, ისე არაბულს. აქედანაა შემდეგ

უფრო ახალი სახელწოდება შუა აზიის ირანელი ხალხისა და მათი ენისა, ტაჯიკები, ტაჯიკური და სხვ.

მეორე მხრით, ტაის ტომის აღმნიშვნელი სიტყვა შემოდის სომხურში არაბთა აღსანიშნავად და აგრეთვე ქართულში ალბათ ჯერ არაბის აღსანიშნავად (წერეთელი 1947: 36).

საშუალო სპარსული *tačīk* „არაბი“, საშ. სპარსულში -čīk nomen ethnika-ს მაწარმოებელი სუფიქსია. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, ქართული ფორმა უფრო ძველია შედარებით საშ. სპარსულ და სომხურ ფორმებთან (ანდრონიკაშვილი 1996: 376). ამას ემატება დაკვირვებაც: სპარსული ყრუ ფშვინვიერი t გადმოცემულია ქართულში ფშვინვიერი თ-ს მეშვეობით ყველა პოზიციაში გარდა s, š, x-ს შემდგომი მდგომარეობისა, სადაც იგი აბრუპტივიზაციას განიცდის ქართულში და მკვეთრ ტ-ს იძლევა. მაგ.: სპარსული *täbäna* ღუმელი, აბანო - ქართული სათაბანო.

სხვა მოსაზრებას გამოთქვამს ქეთევან ლორთქიფანიძე სადისერტაციო ნაშრომში, „თურქულიდან ნასესხები ლექსიკა შუა საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში XI-XIII სს.“, სადაც აღნიშნული ლექსიკური ერთეული თურქულადაა მიჩნეული და ფონეტიკური სახესხვაობაც შემდეგნაირად ყალიბდება: თურქული t ყრუ, შუანისმიერი აფრიკატი/გადმოიცემა ყრუ მკვეთრი გლოტალიზებული f აფრიკატით სიტყვის ანლაუტში (*çapuk-ჭაბუკი*), სიტყვის ინლაუტში – ტაიჭი, თ. *tay-ç-i*. თურქული წინანისმიერი, ხშული ყრუ t მოსალოდნელი თ-ს ნაცვლად გადმოცემულია მისი ჰომორგანული მკვეთრი ტ-თი, თუმცა, სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ ქართულ მკვეთრ თანხმოვნებში გადადიან თურქული მჟღერ-ხშულები სიტყვის ანლაუტში და ინლაუტში. თ. t-ayçı (ლორთქიფანიძე 1994: 124)

თ. ჩხეიძე აღნიშნულ ლექსემას (თაჯური ენა - ტაჯიკი) ქართულში სპარსულიდან შემოსულ ნასესხობად მიიჩნევს, რომელიც ჯერ კიდევ ფალაურში დასტურდება. ვ. ლიფშიცის აზრით, *tājik* > *tāzīk* ასახავს პართულ-სოლდურ ფორმას. სოლდურიდან იგი შევიდა თურქულ ენებსა და სპარსულ-ტაჯიკურში. ამგვარად, საშ. სპ. *tāžīk* > *tāzī*; პართ. *tažīk* > სოლდ. *tāžik* > სპარს. *tajīk* (ჩხეიძე 1976: 149).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თაჯურ ენაში იგულისხმება არაბული ენა. სავარაუდოდ, ეს ტერმინი ქართულში საშ. სპარსულის გზითაა შემოსული ჯერ კიდევ არაბობის გამოჩენამდე საქართველოში.

მუაბა - არაბთა ენათა არს, ხოლო ქართულად საქმარქმნილი მუაბად გარდაუცვალებიათ; ხისაგან სწორი მარტინი სატარებელად შემზადებულსა ეწოდების საქუმელი, ხოლო ანაზდად ცუდად შემზადებულსა - ჩეო, ხოლო კამაროსანსა და საბურველიანსა მწრით ტვირთვით, გინა ცხენებით(ა) და აქლემებით სატვირთავსა - ჰორლი, რომელსა თურქნი თახთირევანდს უწოდენ, ხოლო მკვდრის(ა) საზიდარს(ა) - საკაცე (საბა 1991: 525).

В რედაქციაში მუაბას ნაცვლად მაჰბა სიტყვაა წარმოდგენილი, Сб რედაქციაში კი, თახტირევანდს თურქნის ნაცვლად სპარსნი უხმობენ. თან დამატებული აქვს შემდეგი მნიშვნელობებიც - „გინა დიდებულთა საჯდომელად, გინა სიწმიდისა შთასადებელად და მჯართა მიერ სატარებელთა, გინა ცხენთა და აქლემთა ზედა შემზადებულსა“.

მოაბა, საკაცე, ტახტრევანი, სატარებელი ტახტი ან კუბო, ქეჯაო - დასტურდება „შაჰ-ნამეში“ (1916: 815). იმავე მნიშვნელობებით აქვს ფიქსირებული ნ. ჩუბინაშვილსაც (1971: 287), ხოლო დ. ჩუბინაშვილი უთითებს ამ სიტყვის არაბულ წარმომავლობას (1984).

კლასიკური ხანის ძეგლებში აღნიშნულ სიტყვაში გვხვდება თ ხმოვანი უ-ს ნაცვლად. თ ხმოვანი არაბულისთვის კი უცხოა. მუაბა, სავარაუდოდ, უნდა მომდინარეობდეს არაბულ **عَبَّاد** – **عَبَّاد** (*mu'abbad* - 'abbada) ზმნის II თემის ვნებითი გვარის მიმღეობიდან, რაც გზის გაკვალვას ნიშნავს (ბარანოვი 1984: 494). ერთ-ერთი უძველესი მნიშვნელობაა „ხის სადგარი“ (ლენი 1968: 1936).

მუაბა აღორძინების ხანის ლიტერატურულ ძეგლში ფიქსირდება. მისი დამკვიდრება ქართულში XIV–XV საუკუნიდანაა სავარაუდებელი.

ნიშატი - ესე არს ბუნებითი ძალი, რომელსა არაბნი ხასიათს უწოდენ (უხმობენ D) ZABD. (განუმარტავია CbqE). დიდი რამ სასწაულივით, რომელსა არაბნი ხასიათს უწოდენ Ca (საბა 1991: 595).

მველ წერილობით ძეგლებში სულიერი მდგომარეობის, ბუნებითი ძალისა თუ თვისების გამოსახატავად ორივე ტერმინი იხმარებოდა - ნიშატიცა და ხასიათიც, ორივე არაბული ფორმაა.

ნიშატი-ხასიათი, სულიერი განწყობილება (თეიმურაზ II: 254). აკად. გ. წერეთელი მას უფრო სრულყოფილად განმარტავს: **نشاط** (nashāt) - სიცოცხლე, სიმკვირცხლე, კარგი გუნება, მხიარულება, აქტიურობა, ენერგია. შდრ.: ქართ. ნიშატი (წერეთელი 1951: 258). ჩამოთვლილ მნიშვნელობებს ემატება შვება, განცხრომა (ვისრამიანი 1962: 744). ხარაკტერი, ზნე (ჩუბინაშვილი 1984: 985), სიხარული, დიდი გახარება (ვეფხისტყაოსანი 1976: 334). ამ უკანასკნელის მნიშვნელობითაა თ. ბაგრატიონის „წიგნნი ლექსკონნშიც“. ნიშატი - ქართული ლექსი არის, ხოლო ნიშად არაბული ლექსი არის, რომელიც სრულად სხვა არის და ნიშნავს ესე მხიარულებას, შუცბას, ლხინთა, ქორწილსა და დღესასწაულობისა განცხრომათა (წიგნნი ლექსიკონნი 1979: 100).

არაბული **نشاط** (nishāt) - სიცოცხლე, სიფხიზლე კარგი სულიერი მდგომარეობა, მხიარულება (გირგასი 1881:801), ასეთი მნიშვნელობებით XIII საუკუნეშივე იხმარებოდა. გვხვდება სამედიცინო ხასიათის „წიგნი სააქიმოაში“, ამ უკანასკნელში ეს ლექსიკური ერთეული სპარსულია („წიგნი სააქიმოა“ 1936). სპარსულადაა ჩათვლილი იგი ილია აბულაძის მიერ (ვეფხისტყაოსანი 1914: 195).

სპარსულ ენაში ნიშატი **نشاط/ne(a)šāt** „მხიარულება, სიხარული, სიფხიზლე“ არაბული წარმოშობის ლექსემაა (ანვარი 1382: 2434).

აღსანიშნავია, რომ „ნიშატის“ გვერდით XII საუკუნეშივე გვხვდება ლექსიკური ერთეული „ხასიათი“. „წიგნი სააქიმოაში“ ვკითხულობთ - არაბ. **خاصية** - ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბუნებითი თვისება, ქეიფზე ყოფნა, კარგად ყოფნა (წიგნი სააქიმოა 1936: 337). იუსტინე აბულაძე მიუთითებს ამ სიტყვის ძირის მაჩვენებელსაც: ხასიათი, არაბ. ძირი ხასს - ძირითადი თვისება, ზნე, ნიშანდობლივი თვისება (ვეფხისტყაოსანი 1926: 294). ხასიათი არაბულადაა მიჩნეული კლასიკური თუ აღორძინების ხანის ყველა შესწავლილი ძეგლის ლექსიკონში. იგი მომდინარეობს **خاصية** (ḥāsiyyat) არაბული ფორმიდან - თავისებურება, ხასიათი, განსაკუთრებულობა (გირგასი 1881: 217). ამ ლექსიკურ ერთეულთან დაკავშირებით საინტერესოა მზია ანდრონიკაშვილის

მოსაზრებაც. კერძოდ, იგი ერთმანეთს უპირისპირებს **خاصية** და **حيات** ფორმებს, რომელთაგან პირველი - გრძნობა, განწყობილება, ხალისი, გუნება - **حس** მირიდან (გრძნობა, შეგრძნება) მომდინარეობს (ბარანოვი 1984: 214) და მეორე **خاصية** დამახასიათებელი ნიშანი, თვისება, თავისებურება (ბარანოვი 1984: 184). ამ ორივე ფორმამ ერთნაირი სახე მიიღო ქართულში ალბათ იმიტომაც, რომ ამას ხელს უწყობდა ერთგვარი სემანტიკური სიახლოვეც. თვისება, ზნე-გუნება, განწყობილება (ანდრონიკაშვილი 1965: 325).

არაბულის მდედრობითი სქესის ბრუნვის დაბოლოებიდან - at ქართულში რჩება მხოლოდ ფონემა a: (მაგ.: zapra, supra), ზოგჯერ ხდება at-ის შენარჩუნებაც - xasiati, adati. ამ მაგალითებიდან არ ჩანს, რომელი იყო საწყისი ფორმა არაბული მხოლობითი თუ მრავლობითი რიცხვის ფორმა (ფერიხი 1964:159).

არაბული ფარინგალური ح/ه იშვიათად იძლევა ქართულში b-ს, გრძნობები, განწყობილება, გუნება, სპარსული **خصيات** (hessiyat) = ქართული ხასიათი, გუნება, განწყობილება და სხვა. შეადარეთ გამოთქმები: „ცუდ ხასიათზე ვარ“, „ხასიათზე არ ვარ“.

სავარაუდოდ, ნიშატი და ხასიათი ორივე სპარსულიდან შემოსული არაბული ნასესხობაა ქართულში დაახლოებით XII საუკუნიდან.

**ფიქრი** - არაბთა ენაა, ქართულად საგონებელი, განზრახვა (+ და A) გულის-თქმა, (+ და B) წვლილმოგონება ჰქვიან ZAa (საბა 1991: 194).

AbB, Cab, Cq, D, E - რედაქციებშიც აღნიშნული სიტყვა არაბულადაა მიჩნეული, თან იქვე ვკითხულობთ რომ ეს სიტყვა უკმარია: „უკმრად ვიტყვით ქართველნი E“ (საბა 1991:194). ე. ი. იმ დროს, როდესაც სულხან-საბა ამ ლექსიკონს ადგენდა ანუ 1685 წლიდან **ფიქრი** „უკმარი“ სიტყვაა. სამაგიეროდ, ამ სიტყვას აქტიურად ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში“: ფიქრი (არაბ. فکر / fikr) - იგივე მნიშვნელობით (ვეფხისტყაოსანი 1926:199); სამართლის წიგნში (1800: 703) არაბული წარმომავლობა უდასტურდება ქეგლ-ში: არაბ. فیکر (გუნებაში მსჯელობა, რაიმეს წარმოდგენა 2) საგონებელი, სადარდებელი, საზრუნავი, საფიქრებელი (ქეგლი 1950–64).

იუსტ. აბულაძის სპარსული ენის სახელმძღვანელოში **فکر** არაბ. ფიქრი, ოცნება (1953: 246). დ. ჩუბინაშვილი კი ამ სიტყვას სპარსულად მიიჩნევს იმავე მნიშვნელობებით (ჩუბინაშვილი 1984: 1307). სპარსულ-სპარსულ ლექსიკონში მითითებულია **فکر** (fekr) სიტყვის არაბულობა: ფიქრი, ტვინის რესურსების მობილიზება რაღაცის მოსაპოვებლად (ანვარი 1382: 1664). არაბული წარმომავლობა უდასტურდება ამ ლექსემას თურქულ ენაშიც: fikir (-kri) – აზრი, იდეა, შეხედულება, აზროვნება, განსჯა, გონება (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977:302).

ფიქრი სიტყვას ფონეტიკისა თუ სემანტიკის თვალსაზრისით მნიშვნელობა არ უცვლია, **فکر/fikr** - ფიქრი, განზრახვა (გირგასი 1881: 626).

არაბული ლაბიო-დენტალი ყრუ **ف-**ს შესაბამისი ფონემა ქართულში არ მოგვეპოვება და იგი ძირითადად გადმოდის ქართული წყვილბაგისმიერი ხშული ფიტ. (მაგ. **طرفة**-ტურფა). იმავეს მოწმობს ჰ. ფეინრიხიც, **فکر** არაბული ფიქრი (ფეინრიხი 1964: 157).

სავარაუდოა აღნიშნული ლექსიკური ერთეულის XII საუკუნიდან დამკვიდრება ქართულში უშუალო გზით.

შათირი - არაბთა ენაა, ქართულად შიქრიკი და სხვები ჰქვიან; შიქრიკთან ნახე ZA. არაბთა ენაა, ქართულად შიქრიკი ჰქვიან; იქ ნახე B (საბა 1993: 277).

შიქრიკი – არს მცედართ წინამავალი და სადა გარდაკდეს ცხენი, შიქრიკმან იპყრას (საბა 1993: 302).

შათირი მომდინარეობს არაბული **شاطر/šāṭir** ფორმიდან, რაც არაბულში ნიშნავს მოხერხებულს, რამეში დახელოვნებულს, ეშმაკს, ჯადოქარს, ქუჩის მებრძოლს, მპარავს, ქურდს (გირგასი 1881: 408). ლენი ამ მნიშვნელობებს უმატებს შემდეგს: „სწრაფი, ვინც დროის მოკლე პერიოდში დიდ გზას გადის. ადამიანი, რომელიც სულიერ სფეროში უსწრებს ოჯახის წევრებს; დღეს ეს სიტყვა შეესაბამება მოხერხებულ, ეშმაკ, ჰკვიან ადამიანს“ (ლენი 1872: 1551). სპარსულში აღნიშნული ლექსემა შევიდა შემდეგი მნიშვნელობებით: „მალემსრბოლი, რომელიც თან ახლდა დიდებულს და უთავისუფლებდა მას გზას“, ქართულში შათირის მნიშვნელობაა ძვ. შიკრიკი (ლეკვიაშვილი 1992: 111). ჰ. ანვარის სპარსულ - სპარსული ლექსიკონის მიხედვით

شاطر/*šāter* არაბული წარმომავლობისაა და სხვა მნიშვნელობებიც უდასტურდება: მცხობელი, მეპურე, დიდებულის გამცილებელი, თანმხლები მგზავრობისას, გზის გამკვლევი, გამწმენდი (ანვარი 1382: 1379). დ. მაგაზანიკის თურქულ-რუსულ ლექსიკონში *şatir* ფორმას „მხიარულის“ მნიშვნელობაც ემატება და არაბული წარმოშობისადაა მიჩნეული (მაგაზანიკი 1945: 562).

არაბული შატრ *شاطر* შიკრიკის, მალემსრბოლის მნიშვნელობით გხვდება „შაჰ-ნამეში“, „ამირანდარეჯანიანში“, „რუსულდანიანში“, არჩილის „საქართველოს ზნეობანში“, „ქართლის ცხოვრებაში“. დ. ჩუბინაშვილიც ამ ლექსემას არაბული წარმომავლობისად მიიჩნევს (ჩუბინაშვილი 1984: 1392).

ქართული ენის გურულ დიალექტში შათირი პატარძლის მხლებელია, რომელიც თვალყურს ადევნებს მას ქმრის ოჯახში მიყვანამდის (ღლონტი 1984: 620).

ლ. ავალიანი დისერტაციაში განიხილავს ამ ლექსემას და არაბული წარმოშობის აღნიშნულ ფორმას სპარსულ სიტყვასთან *شاطر* უფრო ახლოს მდგომად მიიჩნევს, ამასთანავე მიანიშნებს სპარსულ მეშვეობაზე **ط** (t) > თ მიმართებაზე (ავალიანი 2005: 67).

სავარაუდოდ, შათირი სპარსულიდან დაახლოებით XII ს.-ში შემოსული არაბული სიტყვაა ქართულში.

**ხადუმი - არაბულია, ყვერულს ნიშნავს ZA (საბა 1993: 413).**

B და Cab რედაქციებშიც ეს ტერმინი არაბულადაა მიჩნეული. ხადუმის განმარტებას იძლევა თ. ბაგრატიონი: „ხადუმი - საჭურისს ეწოდება არაბულად. ხადიმი ლექსი ესე წარმოვებს ხიდმათიდამ, რომელიცა ნიშნავს სამსახურსა, ხიდმათი ნიშნავს სამსახურსა, ხოლო ხადიმი - მოსამსახურესა. ხადუმი - მოახლე, მოსამსახურე ქალი“ (წიგნნი ლექსიკონი 1979: 159).

ხადუმი ჩვენს მიერ მოძიებულ კლასიკური თუ აღორძინების ხანის ძველ ლიტერატურულ ძეგლებში: „ვეფხისტყაოსანი“, „შაჰ-ნამე“, „ქილილა და დამანა“, „რუსულდანიანი“, „თეიმურაზ II“, „ვახტანგ VI“, ნიკო და დავით ჩუბინაშვილებთან, გ. წერეთელთან თითქმის ერთნაირადაა განმარტებული. აღნიშნული ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობაა - მსახური, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დაზუსტებულია მსახურის სქესი - მოსამსახურე ქალი. შესაბამისად, არაბულ **خادم/ḥādim** დამატებული

აქვს მდედრობითის მაწარმოებელი ჲ სუფიქსი. არაბ. (ხადდუმათ) - მოახლე ქალი, მოსამსახურე ქალი (ვეფხისტყაოსანი 1914: 201). საუბრისას ამ სუფიქსის თ დაბოლოება აღარ ისმის და რჩება მხოლოდ ხადიმა.

არაბ. i > ქართ. უ. خادم- ხადუმი (ანდრონიკაშვილი 1965: 309). ეჭვს არ იწვევს ამ ტერმინის არაბული წარმომავლობა. خادم/ħādim მდ. خادمة/ħādimat „მსახური, მოსამსახურე, ევნუქი, მონა“ ჯერ კიდევ ყურანისა და ჰადისების ტექსტებში გვხვდება (გირგასი 1881: 207). საფიქრებელია, რომ ამ ტერმინმა ჩვენში ფართო გასაქანი არაბების ბატონობისთანავე ჰპოვა და უშუალოდ მას შემდეგ იქნა დამკვიდრებული.

**ხურმა** - (ზე) არაბთ(ა) ენაა, ქართულად დანაკის-კუდი ჰქვიან ZAB (საბა 1993: 435).

უმველეს წყაროებში ხურმის ნაცვლად გვხვდება ფინიკი - „ფანაკ (ერთგვარი ხურმა) აღიღეს რტოები ფანაკისად“ (ქართული ოთხთავის სიმფონია 1948: 596).

სიტყვა ფინიკი ს.-ს. ორბელიანთან ბერძნული წარმომავლობისაა. ხურმა - ინდისხურმა, ფინიკი - მოყვანილია „რუსუდანიანში“ (1957: 798), სამედიცინო ხასიათის წიგნებში „წიგნი სააქიმოა“: ხურმა - ირან. ماخر ხურმა- ფინიკი, იმერული ხუმლა, ხურმის ნაყოფი, Diospirus Lotus. („წიგნი სააქიმოა“ 1936: 338), „იადიგარ დაუდსა“ და „კარაბადინშიც“ ხურმა სპარსული წარმომავლობისაა - ხურმა, ماخر ფინიკი, იგივე ხურმა, Dactyli მცენარისაგან. სპარსულადაა მიჩნეული აღნიშნული ტერმინი „შაჰ-ნამეში“; ნ. და დ. ჩუბინაშვილებთან.

„დანაკისკუდი დანათსკუდი - თამარინდსა ჰქვიან, რომელ არს ინდური ტყემალი“ (სამკურნალო წიგნი 1986: 88). „თამარინდი“ თავისთავად მომდინარეობს არაბული თمر هندی/tamaru hindī „ინდური ფინიკი“ (ბარანოვი 1984: 105).

სპარსული წარმომავლობისადაა მიჩნეული იგი სპარსულ და თურქულ-რუსულ ლექსიკონებში: ماخر (xormä) 1. წაგრძელებული ფორმის ტკბილი ხილი ყვითელი ან ყავისფერი შეფერილობის, რომლის დამწიფებული ზოგიერთი სახეობა შავია. ფაქიზი კანი და მაგარი კურკა აქვს. 2. ხურმის ხე, რომელიც ძალიან მაგარია, წესისამებრ თბილ რეგიონებში ხარობს. მისი ბოჭკოვებისგან ბაწარს გრეხენ (ანვარი 1382: 917). Hurma (სპარს.) – 1. ფინიკი 2. სალაპ. ახალგაზრდა ლამაზი ადამიანი (თურქულ-რუსული

ლექსიკონი 1977: 414). მ. ანდრონიკაშვილი მას საშ. სპარ. Armav და xarma (v) ფორმას უკავშირებს (ანდრონიკაშვილი 1996: 185).

„მამათა ცხოვრებანი“, რომელიც XI საუკუნის ძეგლია და სავსე უნდა იყოს არაბული ტერმინებით, არც ფინიკი და არც ხურმა არ გვხვდება, მხოლოდ დანაკისკუდი (მამათა ცხოვრებანი 1975: 475). აღნიშნული ლექსემა არც გირგასის ლექსიკონში არ დასტურდება, რაც სავარაუდოდ, ქართულში ხურმას მოგვიანო პერიოდში სპარსულიდან შემოსვლაზე მიუთითებს.

## 2.2. თურქული ლექსიკა „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით

საქართველო ადრევე, დაახლოებით V საუკუნიდან იყო დაკავშირებული თურქული მოდგმის ტომებთან და ხალხებთან. ადრეულ საუკუნეებში ხაზართა და ქართველთა მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან“, რომ ხაზარული (ანუთურქული წარმომავლობის ერთ-ერთი ენა) იყო იმ ექვს ენათაგანი, რომელიც „იზრახებოდა ქართლსა შინა“. ოღუზური წარმოშობის თურქებთან ურთიერთობა მხოლოდ XI-XII საუკუნეებში მყარდება.

XI-XII საუკუნეებში ერთის მხრივ გრძელდება ურთიერთობა ჩრდილოეთის თურქებთან (ყივჩალებთან), ხოლო მეორეს მხრივ სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება ურთიერთობა სამხრეთის ოღუზურ თურქულ სამყაროსთან, თურქ-სელჩუკურ პოლიტიკურ წარმონაქმებთან.

XI საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო ე.წ. „დიდი თურქობის“ ხანა. ამ დროს თურქული ტომები დიდი რაოდენობით შემოვიდნენ საქართველოში და დასახლდნენ. ქართველების ურთიერთობა თურქ-სელჩუკებთან ვლინდება პოლიტიკურსა და სამხედრო სფეროებში და არა კულტურულ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სარბიელზე (გაფრინდაშვილი 1973: 92).

სიტყვა „თურქი“, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია ნაჩვენები, ადრე შემკრებლობითი ცნების გამომხატველი იყო და თავდაპირველად აღნიშნავდა ტომთა სამხედრო კავშირს. ამასთანავე „თურქი“ ყოველთვის არ მოიცავდა ერთი ეთნიკური შემადგენლობის ტომებსა და ხალხებს და გვიან იქცა ენათა გარკვეული ჯგუფის აღმნიშვნელ ტერმინად. არაბები, მაგალითად, თურქებს უწოდებდნენ სოლდიანის ჩრდილოეთით განფენილ ყველა მომთაბარულ ტომს.

გარკვეულ დრომდე არ არსებობდა თურქული მწერლობა. პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები თურქულ ენაზე შეიქმნა მხოლოდ XIV საუკუნეში. ამით აიხსნება, რომ XI-XII სს. საქართველოში კვლავინდებურად არაბული და სპარსული ლექსიკა ვრცელდებოდა და მკვიდრდებოდა, ხოლო თურქული წარმოშობის

სიტყვები უმნიშვნელო რაოდენობითაა დამოწმებული თანამედროვე ქართულ წყაროებში. ამ დროს თურქულიდან ქართულში ვრცელდება მხოლოდ ადმინისტრაციული და სამხედრო ტერმინოლოგია და არსად არ გვხვდება კულტურულ და ეკონომიურ ურთიერთობასთან დაკავშირებული სიტყვები.

სხვა მოსაზრებას გამოთქვამს ქ. ლორთქიფანიძე სადისერტაციო ნაშრომში. კერძოდ, მან განიხილა: „ამირანდარეჯანიანი”, „ვისრამიანი”, „თამარიანი”, „აბდულმესიანი”, „ვეფხისტყაოსანი”, სადაც გამოვლენილი თურქული ლექსიკური მასალის რაოდენობა გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამას სპეციალისტები აფიქსირებდნენ. ამ ნაწარმოებებში აღმოჩენილი თურქული ლექსემები საგრძნობლად ცდებიან სამხედრო–ადმინისტრაციულ ჩარჩოებს და ითავსებენ სოციალურ–სამოხელეო, საყოფაცხოვრებო, ონომასტიკურ, ქალის ტუალეთთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს სიტყვა „თურქი“ იხმარებოდა არა მარტო ეთნიკური მნიშვნელობით, არამედ მომთაბარის აღსანიშნავადაც, ხოლო „თურქეთი“ – გეოგრაფიული ცნება დასტურდება ამ საუკუნეების ღირსშესანიშნავ ნაწარმოებებში (ლორთქიფანიძე 1994: 120–121).

კავკასიასა და წინა აზიაში XI-XII საუკუნეებში „თურქსა“ და „თურქობას“ ერთნაირად ახასიათებდნენ მუსლიმებიც და ქრისტიანებიც.

კიდევ უფრო გაფართოვდა პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის ურთიერთობანი შუა და ცენტრალურ აზიასთან მონდოლთა ბატონობის პერიოდში. მონდოლთა შემოსევების და ბატონობის ერთ–ერთი შედეგთაგანი იყო თურქული ელემენტის გავრცელება ცენტრალური აზიიდან ეგვიპტემდე. ამ დროიდან წინა აზიასა და კავკასიაში დიდი რაოდენობით ვრცელდება მონდოლურ–თურქული წარმოშობის ტერმინები.

ასეთ ვითარებაში ჩვენში ვრცელდება არა მარტო სამხედრო–ადმინისტრაციული, არამედ თურქული საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ტერმინოლოგიაც. XIII საუკუნიდან მკვიდრდება ქართულ ლექსიკაში თურქული „იარაღი“ ძველქართული „ჭურჭლის“ მაგიერ. მაგრამ XIII-XIV სს. შემდეგ თურქული ტომებისა და ხალხების

საზოგადოებრივი და სამეურნეო განვითარების დონე შედარებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე XI-XII საუკუნეებში (გაბაშვილი 1973: 98).

როგორც ნ. დიმიტრიევი აღნიშნავს, თურქულ ენათა ოჯახში შედის ერთმანეთთან ახლოს მდგომი ოცდაათამდე ენა, რომელთა ლექსიკური ელემენტები სხვა ენაში შესვლისას თითქმის ერთნაირ რეფლექსებს იძლევა. ეს გარემოება ამნელებს წყარო ენის დადგენას. ამ დროს ძირითად კრიტერიუმად რჩება, პირველ რიგში, ისტორიულ-ეკონომიკური ურთიერთობა და ტერიტორიული სიახლოვე. ამ თვალსაზრისით თურქიზმები შემოსული უნდა იყოს თურქული, აზერბაიჯანული, ყარაჩაულ-ბალყარული და ყუმუხური ენებიდან. ქართულში დამკვიდრებული თურქული წარმომავლობის სიტყვათა უმრავლესობა შემოსულია ენათა თურქული ოჯახის ოღუზურ (ოსმალური, თურქული, აზერბაიჯანული) და ყივჩაღურ (ყარაჩაული, ყუმუხური) ჯგუფებში შემავალ ენათაგან (რუხაძე 1999: 18).

ქართულენოვანი წერილობითი ძეგლების მიხედვით ანატოლიურ-თურქული სიტყვები გვხვდება XII საუკუნიდან, განსაკუთრებით კი ვრცელდება XVI საუკუნიდან მოყოლებული. XV საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთმა თავის მმართველობას დაუქვემდებარა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ტრაპიზონის იმპერია, სადაც კომპაქტურ მასებად დასახლებული იყვნენ ქართველური წარმოშობის ტომები – ჭანები, ანუ ლაზები, ხოლო XVI საუკუნეში თურქეთმა დაიპყრო და გაამაჰმადიანა საქართველოს გარკვეული ნაწილები – სამცხე საათაბაგო და აჭარა. აქედან დაწყებული რამდენიმე საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა ამ ორ ხალხს შორის გარკვეული ურთიერთობა, რასაც არ შეიძლება თავისებური კვალი არ დაემჩნია მათს მეტყველებაზე. თურქული ენის, როგორც დამპყრობი ხალხის ენის გავლენა ძლიერი იყო და დღემდე დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი თურქული წარმომავლობის სიტყვები ქართულსა და მეგრულ-ჭანურში (გუდიაშვილი 1976:113–114).

აზერბაიჯანულიდან შემოსული სიტყვები უფრო გვიანდელია. ხშირია საქართველოს მთიანეთში ყარაჩაულ-ბალყარული და ყუმუხური გზით შემოსული სიტყვები, რაც საუკუნეთა განმავლობაში კავკასიის თურქულენოვანი მოსახლეობის და

ჩვენს მთიელთა მჭიდრო და ცხოველი კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგია.

სულხან-საბას ლექსიკონში თურქულისეულად მიჩნეულ ლექსემათაგან გამოირჩა არაბული წარმოშობის: **ბუხარი**, **ზაფრა**, **თამამი**, **ფალი**. აქვე ვაერთიანებთ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომელსაც ს. ს. ორბელიანი „თათართა ენად“ მოიხსენიებს: **ბედაური**, **დალალი**, ან კიდევ უჩვენებს მათ „თათრულ“ ან „თურქულ“ ეკვივალენტებს. ესენია: **თამაშა**, **მავთული**, **მეჰარი**, **რუბი**.

ლექსიკონში წყარო ენის აღმნიშვნელად ს.ს. ორბელიანს უწერია „თურქთა ენაა“, „თათართ ენაა“. საინტერესოა თუ რა ნიშნით განასხვავებს მათ ავტორი.

თუ ამოვალთ „თათარის“ საბასეული განმარტებიდან, ხელნაწერებში აღნიშნული ლექსიკური ერთეული სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი „თათარი-მოკმადიანი ZAB, მოკმადიანნი CB, განუმარტავია Caq, აგარიანი E. აღნიშნული სახელწოდების ქვეშ თურქულთან ერთად უნდა გვევარაუდნა არაბულიცა და სპარსულიც. ნამდვილად კი, „თათარი“ კრებითი სახელია მონღოლური და თურქული წარმოშობის ხალხებისა და უფრო ისტორიული, ვიდრე ეთნიკური.

ქართულ წყაროებში თათრებად იწოდებიან მონღოლები - „ენითა, მათითა უწოდიან თავთა მათ მონღოლ, ხოლო ქართველნი თათრად“ (აბულაძე 1962: 62).

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „თათარნი“/ „თათარი“ – ორგული, დაუნდობელი, რომელიც პირველად ჟამთააღმწერელს აქვს გამოყენებული XIII საუკუნეში, გვხვდება „ამირანდარეჯანიანის“ ყველა ხელნაწერში. თანამედროვე თურქულში ეთნონიმი tatar ნიშნავს თურქ ხალხს, თათარს (ლორთქიფანიძე 1994: 121).

თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქული ენის ლექსიკური ფონდის ნაწილს არაბულ-სპარსული სიტყვები წარმოადგენს, გასაგები გახდება საბას მიერ მათი თურქული წარმომავლობისად მიჩნევა. არაბული სიტყვების დიდი რაოდენობა ქართულში თურქული ენის მეშვეობითაა შემოსული. როგორც აკად. გ. წერეთელი აღნიშნავდა: „XI-XII საუკუნეებიდან მოყოლებული უკვე იხსნება გზა არაბული სიტყვების შემოსვლისათვის, მაგრამ ამ დროს არაბული სიტყვები უფრო ფართოდ

იწყებენ სხვა გზით, სპარსული და თურქული გზით ქართულში შემოსვლას” (წერეთელი 1947: 37).

არაბული სიტყვების თურქულისეულად მიჩნევის მიზეზს მათი via turcica-თი დამკვიდრებით ხსნის ნ. ჩუბინაშვილი: „დაღათუმცა იყუნენ იგინი არაბულნი, რამეთუ ჩვენ იგინი მიგვიღია თურქთაგან” (ჩუბინაშვილი 1961: 11).

ზემოთ ჩამოთვლილი ლექსიკური ერთეულებიდან გამოვლინდა არაბული წარმოშობის ლექსემები:

აშკი – ილეკროს ძაფი, რომელსა თურქნი მავთულსა უწოდენ (საბა 1991: 82).

მავთული - مفتول (maftūl) „თხელი თასმა, ძაფი; სხვილი სიმი” (ლენი 1968: 2334); „დახვეული, ხვეული, მოქსოვილი” (ჯონსონი 1852: 1223), შდრ. ქართ. მავთული. ქეგლ-ის მიხედვით, ძაფის ან თოვის მსგავსი ლითონის ნაწარმი (ქეგლ 1986: 281).

„მავთული“ ფიქსირდება „...ძირსა მავთულსა ფანჯარა შემოვავლე” (ქრონიკები II 1688: 506,30), „სახლნი თუმცადა არიან ქუთკირთა, არამედ უფროს მდაბალ, ვიდრელა მაღალნი, მომცროვსა მავთულ-წვნულთა მინითურთ ფანჯრებითა“ (მგზავრობანი: 112,10). ვ. აბულაძეს ეს ლექსემა განხილული აქვს „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქულ თარგმანებში”. აშკი – მამთულ = mäftil < არაბ. مفتول (აბულაძე 1968: 23). ლაბიო-დენტალური ყრუ სპირანტი f გადმოსულია ლაბიო-დენტალური მჟღერი სპირანტი ვ ბგერით.სალიტ. თურქ. f > აჭარ. ვ არაბული წარმოშობის სიტყვათა ინლაუტში: ქართ. ზივთი < სალიტ. თურქ. zift < არაბ. زفت = „ფისი“. სპარსული წარმოშობის სიტყვის ინლაუტში: ქართ. ჩივთი < სალიტ. თურქ. çift < სპარს. چفت = „წყვილი“. f > v ხშირია ანატოლიის დიალექტებში: havta<hafta; uvak<ufak (გურგენიძე 1973: 122).

არაბული ენაკბილისმიერი ყრუ ფ (f)-ს შესაბამისი ფონემა ქართულში არ მოგვეპოვება და იგი ძირითადად ქართული წყვილბაგისმიერი ხშული ფ თანხმოვნით გადმოდის, მაგ.: طرفـ / tıurfə, ფარეში - فـ / farrəš (ლეკიაშვილი). მავთულ ფორმაში არაბული ფ (φ) > ვ მიმართება შეიძლება გამოწვეული იყოს წინამავალი მჟღერი თანხმოვნით. შდრ: فـ (daftar) - დავთარი, ჲـ (naftı) - ნავთი. ქართულში f ყრუ ლაბიო-დენტალური მჟღერდება ლაბიო-დენტალური ვ თანხმოვნით.

**مَا وَتَعَلَّمَ فَلِي** (fatala) ზმნის I თემის ვნებითი გვარის მიმღეობაა – დახვეული, ხვეული (ალ-ვასიტი 2004:673).

არაბული წარმოშობის სიტყვადაა მიჩნეული მავთული ოსმალურსა meftûl „დახვეული“ (ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 289) და სპარსულში: maftul „1. თოვის მსგავსი ლითონის ნაწარმი, მავთული; 2. დახვეული, მოქსოვილი“ (ანვარი 1382: 2249).

თურქ. e < არაბ. a. ინლაუტში, მაგ.: თურქ. cellât < არაბ. **الجلاد**/gallâd „ჯალათი“ (გურგენიძე 1973: 105).

ლექსიკონში დამოწმებული მავთული ლექსემის სემანტიკა ახლოს დგას სპარსულსა და თურქულთან. რადგან ეს ლექსემა აღორმინების ხანის ტექსტებში ფიქსირდება და ავტორი აშვის განმარტებისთვის თურქულ ეკვივალეტს – მავთულს უთითებს, სავარაუდოა მისი თურქული გზით დამკვიდრება ქართულში XIV-XV საუკუნეებში.

**ბედაური – ქართულად ავბედი, თათრულად გვარიანი (+ბედავ Z) ZA** (საბა 1991: 100).

Bcb რედაქციაში გვარიანი დაკონკრეტებულია, „გვარიანი ცხენი“ (საბა 1991:100).

ქართულ წერილობით წყაროებში ბედაური, როგორც ჯიშიანი ცხენი, პირველად „ამირან–დარეჯანიანში“ ფიქსირდება (1967: 807). ძველი ქრესტომათიის წყაროებში სიტყვის მნიშვნელობა დაკონკრეტებულია: გამორჩეული, საუცხოო ცხენი ბედუინებისა (ძვ. ქრესტომათია 267), ხოლო „რუსუდანიანში“ უფრო ვრცელი განმარტებაა ზემოაღნიშნული სიტყვისა: „ბედაური ცხენი, ბედუინების ცხენი, არაბული ცხენი, კარგი, ჯიშიანი ცხენი, მუსლიმური ცხენი, ბედაური ქორი, კარგი, ჯიშიანი ქორი, ბედაური ძაღლი – კარგი, ჯიშიანი ძაღლი“ (რუსუდანიანი 1957: 707). „შაჰ–ნამესა“ და „დიდმოურავიანში“: ბედაუ – სპარს. ფეხმარდი, მუხლადი ცხენი (შაჰ–ნამე III: 369), ჯიშიანი, მქროლავი, მუხლადი ცხენი (დიდმ.).

აღნიშნული ლექსემა მომდინარეობს არაბული **بَدْوِي**/badw; badawī – დან, რაც ნიშნავს უდაბნოში ცხოვრებას, მომთაბარე ცხოვრების წესს – ბედუინს (ბარანოვი 1984: 61), ასეთივე განმარტებით ვხვდებით გირგასის ლექსიკონშიც (გირგასი 1881: 51). ლენი

ამ მნიშვნელობებს აქცევს ერთ ყალიბში და ბადავს უწოდებს არაბს (ლენი 1968: 171.). ბეი სიტყვაში ნისბის მაწარმოებელი ფ სუფიქსი ქართული სადაურობის მაწარმოებელი ურ სუფიქსითაა შეცვლილი. ე.ი. ბედაური არის ზედსართავი „ბედუინური“, გასუბსტანტივებული და ამჟამად „კარგი ცხენის აღმნიშვნელი“. აქა–იქ ბედაური დღესაც იხმარება მსაზღვრელად. „ბედაური ქალიაო“ რომ იტყვიან, გულისხმობენ „კარგ ქალს“ (ქალებში ისევე კარგს, როგორც კარგია ცხენთა შორის არაბული ცხენი – ბედაური) (ფოჩხუა 1974: 359).

არაბულად მიიჩნევს აღნიშნულ ტერმინს გ. წერეთელი – არაბ. ბედუინი > შდრ.: ბვ. ქართ. ბოდავი და აგრეთვე ბედაური (წერეთელი 1951: 25).

ნ. ჩუბინაშვილი ამ ლექსემას თურქულად თვლის და შემდეგნაირად განმარტავს: (ოთხფ.) ცხენი გუარიანი, ანუ ჰუნე. თ. ბედაური (ჩუბინაშვილი 1961: 150). ოსმალურ წყაროებში bedâvet (بادع) არაბული წარმოშობის სიტყვაა და მომთაბარეს აღნიშნავს (ოსმალურ–თურქული ლექსიკონი 2007: 41), ხოლო თურქულ ლექსიკონში bedevi ფორმის ზემოაღნიშნულ მნიშვნელობებს ტერმინი „დერვიში“ ემატება (თურქულ არაბული ლექსიკონი 2008: 149).

სპარსულში ىواد/badavi არაბიზმია და განმარტებულია, როგორც: 1. ველური, უკულტურო, არაცივილიზებული, 2. უდაბნოსთან დაკავშირებული (ანვარი 1382: 313). სწორედ, ამ ეპითეტებთან უნდა იყოს დაკავშირებული ბედაური, ველური ცხენი, რომელიც უდაბნოს მშვენებას და ბედუინების ძალას წარმოადგენდა. დ. ჩუბინაშვილი მას სპარსულად მიიჩნევს – გვარიანი ცხენი (ჩუბინაშვილი 1984: 102).

სავარაუდოა ბედაური ლექსემის არაბ. badw; badawī ფორმიდან მიღება.

ბუხარი – „ეს(ე) თურქთა ენით არის. ყოველსა აორთქლებას სტომაქისა ანუ ქვეყნისა ბუხარად უწოდენ, კედელთა სახლისათა დატანებულსა საცეცხლეთა ბუხარსავე უქმობენ, ქართული არ არის“ (საბა 1991: 124);

„პირღია ღუმელი აგურისა და ქვისა, სახლის კედელში შიგნიდან დატანებული“ (ქეგლ 1986: 66).

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ შეგროვებული მასალების მიხედვით, სიტყვა ბუხარი „ორთქლის, კვამლისა და

ოხშივრის მნიშვნელობით“ დასტურდება „სამკურნალო წიგნში“, „უსწორო კარაბადინსა“ (თუ კაცსა ავად ყოფისაგან უძილობა დაერთოს მისგან იქნების, რომე ტანშიგა სენი რომე შერჩომოდეს და ან ტვინშიგა ბუხარი რამე შერჩომოდეს, 190,8) და „იადიგარ დაუდში“ (რაც ავი ბუხარი კაცი ტვინსა და დაბალშიგა იყოს, ყუელა დაუგდოს და გააქარვოს, 295,27), ხოლო „შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართულ ვერსიებში სიტყვა ბუხრის განსხვავებული მნიშვნელობა გვხვდება: „ღვინის სმით გამოწვეული ტვინში ასული სტომაქის ორთქლი: ღვინითა გამძღარ იყო და ბუხრითა გატენილი ამას იზახდა“ (შაჰ-ნამე III 1974: 626). საკვლევი ლექსემის წარმომავლობა განმარტებით ლექსიკონში აღნიშნული არ არის.

ბუხარი სპარსული წარმომავლობისად მიაჩნიათ დ. ჩუბინაშვილსა (ჩუბინაშვილი 1984: 126) და მ. ანდრონიკაშვილს (ანდრონიკაშვილი 1996: 204). ჰასან ანვარი چار (ნოხარი) სიტყვას არაბულ-სპარსულ ლექსემად მიიჩნევს და მას ასე განმარტავს: ბუხარი, ღუმელი. ადგილი, სახლის კედელში დატანებული, ბინისაკენ გამავალი საკვამურით, რომელშიც შეშას წვავენ და საჭმელს ამზადებენ – კერა (ანვარი 1382: 303). **buħār** არაბულიდან მომდინარედ არის მიჩნეული თურქულ-რუსულ (1977: 132) და ოსმალურ-თურქულ (2007: 61) ლექსიკონებში, რომლებშიც არაბულის მსგავსად მხოლოდ „ორთქლის“ მნიშვნელობა დასტურდება. ნ. ჩუბინაშვილი ამ სიტყვას თურქულად მიიჩნევს და განმარტავს მას, როგორც „კედელთა შინა სახლისათა დატანებული საცეცხლური, ბუხარი“ (ჩუბინაშვილი 1973: 157).

ბუხარი მომდინარეობს بخار/baħħara ზმნის II თემიდან და მისგან بخار (buħār) - აორთქლება, ორთქლი (ლენი 1863-1893: 159). ვ. გირგასის „არაბული ქრესტომათიისა და ყურანის ლექსიკონში“ მას დამატებით „კვამლის“ მნიშვნელობა აქვს (გირგასი 1881:47). არაბულად მიიჩნევს მას ჯონსონიც. არაბ. bukhār – კვამლი, ორთქლი (ჯონსონი 1852: 217). „ორთქლის, ანაორთქლის, კვამლის“ მნიშვნელობითაა ალ-ჯავჰარისა და ლისანუ ლ–არაბის მიხედვით.

საბას მიერ „თურქთა ენად“ კვალიფიცირებული – „ყოველსა აორთქლებას სტომაქისა ანუ ქვეყნისა ბუხარად უწოდენ“ არაბული (buchār) მომდინარე სიტყვაა, ხოლო „კედელთა სახლისათა დატანებულსა საცეცხლეთა ბუხარსავე უჯმობენ,

ქართული არ არის“, არაბული ხარ (buħār) –დან მიღებული სპარსული ხარი / bohari ფორმაა.

ქართულში ამ სიტყვის სემანტიკა სპარსულთან უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს, ვიდრე შესაბამისი სიტყვის მნიშვნელობასთან არაბულსა და თურქულში, ამიტომ, სავარაუდოა მისი სპარსული გზით შემოსვლა.

დალალი – ომელ ატარებს სავაჭროთა, სხვათა ენაა, ქართულად ფერეზიკი ჰქვიან ZA. В რედაქციაში აღნიშნული სიტყვის სადაურობას აკონკრეტებს სულხან–საბა და მას „თათრულად“ თვლის (საბა 1991: 192).

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მასალების მიხედვით, დალალი დასტურდება „შაჰ–ნამეში“, „ამირან–დარეჯანიანში“, „შაჰნავაზიანში“, „XVII საუკუნეში ჩაწერილ ზღაპრებში“ და სხვა.

სპარსული წარმომავლობისად მიიჩნევენ ამ ლექსემას დ. ჩუბინაშვილი – სპარს. მეწვრილმანე (ჩუბინაშვილი 1984: 374) და ნ. ჩუბინაშვილი – ფერეზიკი, სავაჭროთ მატარებელი განსაფარდველად, სპ. დალალ (ჩუბინაშვილი 1971-1973: 191).

სპარსულში ლალ / dalal სიტყვას არაბულ ნასესხობად მიიჩნევენ მ. გაფაროვი (გაფაროვი 1974: 344) და მოინი (მოინი 1996: 1547). ოსმალურში დადასტურებული tallal სიტყვის არაბულ წარმომავლობას მიუთითებს ვ. რადლოვი (რადლოვი 1905: 1087). არაბული წარმომავლობაა მინიშნებული თურქულ–არაბულ ლექსიკონშიც (2008: 304), საანალიზო ტერმინს არაბულიდან ნასესხებად მიიჩნევს სირიულში ვ. ბროკელმანი (ბროკელმანი 1928: 154).

დალალი – ლალ (dallāl): 1. მაუწყებელი; 2. მაკლერი, შუამავალი; 3. აუქციონერი (ბარანოვი 1898: 259). არაბულში აღნიშნული სიტყვა ლა (dalla) ზმნიდან მომდინარეობს: „მიუთითა“, „მიანიშნა“, „გაუშვა სწორი მიმართულებით“, „სიტყვების საშუალებით მიუთითა გზა სასურველი საგნისაკენ“ (ლენი 1867: 900). აღნიშნული ლექსემა დასტურდება ყურნშიც ლა (dallahu) წარუძღვა მას, ასწავლა გზა. სახელი ლილ (dalīl) გზის მაჩვენებელი, კოლონის მეთაური (გირგასი 1881: 255–256).

დალალი თურქულიდან დამკვიდრებული ჩანს აჭარულსა და ჯავახურში. შდრ.: ჯავახური: დალალი – გზირი, ომელიც მოსახლეობას რაღაც ამბავს ატყობინებს: ერთი

ფაშა არის, დალალს აძახებს (მარტიროსოვი 1984: 229); აჭარული: თელლალი – 1. დალალი, მაკლერი, შუამავალი; 2. საჯარო გამოცხადება, სახელმწიფო საზოგადო საქმისათვის ხალხის მოხმობა (ნიუარაძე 1961: 249; ავალიანი 2005: 43-44).

აღნიშნულმა ლექსემამ განვითარების მრავალი საფეხური გაიარა. ერთნაირი ინტენსივობით იხმარებოდა სპარსულ თუ თურქულ ენებში, მნიშვნელობათა მოდიფიკირების ცვლას თუ გავითვალისწინებთ, იგი თურქული გზით დამკვიდრებული ჩანს ქართულში. დღევანდელ სალიტერატურო ენაში დალალი უკვე არქაიზმია.

**ზაფრა – თურქთა ენაა, ქართულად მწითური ნაღველი ჰქვიან** (საბა 1991: 277)

საანალიზო ლექსემა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არაბულადაა მიჩნეული: 1. ნაღველი, ღვიძლის ავადმყოფობა. 2. გადატ. ბოლმა, ჯავრი, ნაღველი, სიმწარე. ქართულში საკვლევი სიტყვის მნიშვნელობა უფრო განზოგადდა და განყენებული ცნების აღმნიშვნელი გახდა. ამავე მნიშვნელობით გვხვდება კლასიკური თუ აღორძინების ეპოქის ტექსტებში („ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „შაჰ-ნამე“, „უსწორო კარაბადინი“, „სამკურნალო წიგნი“). აქედან „შაჰ-ნამე“-ში მითითებულია მისი თურქული წარმომავლობა ფრაზა ზაფრა – წითური ნაღველი, ბალასტი (შაჰ-ნამე 1916: 805).

დ. ჩუბინაშვილის აზრით, **ზაფრა** ქართულში სპარსულ ნასესხობას წარმოადგენს: „ნუზლა ნაღველისა, გვიანი დანდალუკი; სენი ნაღველის ბალდამისა სიჭარბისაგან ან გულისრევა“ (ჩუბინაშვილი 1984: 514) შდრ. სპარს. صفراء (safrā') 1. სიყვითლე, 2. ყვითელი; იშვიათად, სიბრაზის ამონთხევა, სიბრაზე (რუბინჩიკი 1995: 138). თუმცა, სპარს. safrā არაბული safrā' ფორმიდანაა მიღებული (ანვარი 1382: 1478).

წინაენისმიერი ყრუ სპირანტი ს და წინაენისმიერი მჟღერი სპირანტი ზე ქართულში გადმოცემულია შესაბამისად ს და ზე თანხმოვნებით. მაგრამ ხშირია მათი მონაცვლეობა. **ს>ზ** გავრცელებულია ანატოლიურ თურქულისა და აზერბაიჯანულის დიალექტებში. გარდა ამისა, ცნობილია, რომ არაბულ-სპარსული წარმოშობის სიტყვათა „ს“ სპირანტი ქართულში თავიდურ და სხვა პოზიციაში მჟღერდება (აბულაძე 1968: 41).

XI საუკუნის „უსწორო კარაბადინში“ (7,24) ფიქსირდება „საფრა“ ლექსემა „ზაფრა არის ყვითელი ბალდამი“ (კარაბ. 41,12); „ზაფრის ფერად, ნაღვლის ფერად“ (ძვ. ქრესტ. II), სადაც არაბ. ص > ქართ. س. შეიძლება ვისაუბროთ აღნიშნული სიტყვის შემოსვლის

უშუალო გზაზე, რადგან ამ შემთხვევაში „ბიოლოგიური ტერმინი“ სრული კალკია არაბული სفرا (safra') 1. „ნაღველი“, 2. „ოქრო“ – ფორმის ( ლენი 1968: 1699; გირგასი 1881: 450). არაბ. ص > ქართ. ზ მიმართება უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება და შუალობით გზას გულისხმობს, თუმცა თვით არაბულში ს (დენტალი ემფატიკური ნაპრალოვანი ყრუ სიბილანტი) ზოგჯერ გვაძლებს დენტალ არაემფატიკურ ნაპრალოვან მუღლერ სიბილანტს z-ს. ს > z დასტურდება სპონტანურ და კომბინატორულ ცვლილებათა დონეზე. მაგ. ძველი არაბი გრამატიკოსები გამოყოფენ სd>zd პროცესს, კომბინატორულ ცვლილებას: d მიიმსგავსებს ს-ს და ცვლის მას z-ით, d-სთან უფრო ახლომდგომი თანხმოვნით (ასიმილაცია): 'aṣdaq> 'azdaq. სd>zd არის რეგრესული კონტაქტური ნაწილობრივი ასიმილაცია. ს > z შემთხვევა დასტურდება თანამედროვე დიალექტებშიც: მაგ.: ṣagħīr>zgħīr – „პატარა“ (სირია–პალესტინა); ṣuġayyar>sugħayyar> zgħayyar „პატარა“ – ეგვიპტე (ცხვედიანი 2008: 20–23).

თამამი – ჟამთაგან შემოღებულ(ი)ა და ცუდი, ქართულად კადნიერი ეწოდების: თამამი თურქთა ენითა სრულსა ჰქვიან ZA. ასეთივე განმარტებაა B რედაქციაშიც: ესე საერო სიტყვა არს, ხოლო წერილთა მიერ კადნიერად ითქმის, თამამ თურქთა ენითა სრულს ჰქვიან (საბა 1991: 298).

თამამი კლასიკური ეპოქის ტექსტებში არ დასტურდება, უფრო მოგვიანო ხანას განეკუთვნება. თუკი არაბულში تمام (tamām) მთლიანი, სრულყოფილი, სავსე (ლენი 1968: 316) მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, დროთა ვითარებაში აღნიშნულმა სიტყვამ ტრანსფორმაცია განიცადა და ქართულში საპირისპირო მნიშვნელობით გავრცელდა: თამამი (არაბ. თამამ „დასრულებული“) 1. ლალი, გამბედავი. 2. ასეთი ადამიანის შესაფერი, გაბედული, კადნიერი, მოურიდებელი. 3. კარგად განვითარებული, ტანად სრული – ცხოველი, მცენარე (ქეგლი), გამბედავი, კადნიერი (ჩუბინაშვილი 1984: 546).

აღნიშნული ლექსემა არაბულად აქვს მიჩნეული გ. წერეთელს (tamām) არაბ. سისრულე, დამთავრება, სრულყოფილი; შდრ: ქართ. თამამი (წერეთელი 1951: 34). ასეთივე მნიშვნელობით დასტურდება „წიგნი სააქიმოა“ – ში და „სამკურნალო წიგნშიც“.

თამამი (ქართ.) – ტოტი, კარგად განვითარებული და გაზრდილი, არაბ. tamām (ღლონტი 1984: 243). არაბულად აქვს მიჩნეული ოსებ ყიფშიძესა (1914) და იუსტ. აბულაძეს „სპარსული ენის სახელმძღვანელო”–ში (1959: 220).

თამამი მომდინარეობს არაბული შ/tamma გემინირებული ზმნიდან: იყო სრული, მთლიანი, დასრულებული (გირგასი 1881: 93). აკად. მ. ანდრონიკაშვილი აღნიშნულ ლექსემას სპარსული გზით შემოსულ არაბულ ერთეულად მიიჩნევს. თამამი სპარსულ ენაში, არაბულის მსგავსად, ნიშნავს მთლიანს, სრულს, ვრცელს (რუბინჩიკი 1964: 396).

ოსმალურ-თურქულ ლექსიკონში, არაბ. tamām ერთ-ერთ მნიშვნელობად „უნაკლოც“ დასტურდება (ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 513). ქართულში მან სემანტიკური ტრანსფორმაცია განიცადა. „უნაკლო“, „სრული“ ადამიანის თვისების აღმნიშვნელი ეპითეტი „გამბედავი“, „კადნიერი, მოურიდებელით შეიცვალა“. ეს გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული არაბული ლექსიკური ერთეული ქართულში შემოსულია თურქულის გზით და მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება.

თამაშობა – + თამაშა თათრულად სანახავსა ჰქვიან, ხოლო თამაშობა ქართულად მღერა-შექცევათა სახელია Z (საბა 1991: 298). ამის შემდეგ საბას მოჰყავს, თუ რამდენ სახეობად განიყოფება ქართული თამაშობა.

რაც შეეხება „თათრულ“ თამაშას – სეირი, სანახაობა, გართობის მნიშვნელობითაა კლასიკურ და აღორძინების ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებში. „ვეფხისტყაოსანი“, „შაჰ-ნამე II“ (419,2), „რუსულდანიანი“ (374,5), „თეიმურაზ I“(208,3), „ყარამანიანი“ (211,10), „არჩილიანი“ (329,1).

თამაშა მომდინარეობს არაბული მში (mašā) (იმოძრავა, წავიდა, იმოქმედა, იმუშავა) ზმნის VI თემის მასდარიდან. თმაში (tamāšā) ერთად სვლა, გაყოლა (გირგასი 1881: 758; ბარანოვი 1984: 756;). ახ. სპარსული თმაშა – „სანახაობა“, წარმოდგენა, სპექტაკლი. (ქართ. თამაშა). „ვეფხისტყაოსნის“ თამაში, თამაშობა „ვეღარ ვუჭვრეტდი ლაშქართა, მინდორს თამაშად მავალთა“ (361); „ბაღსა შიგან თამაშობად საღამოსა გავე ჟამსა“ (1125) – მნიშვნელობით უფრო ახლოსაა ამოსავალ არაბულ ფორმასთან – მოძრაობა, სიარული, მოქმედება, გასეირნება, გართობა, რაც ამტკიცებს უშუალოდ

არაბულიდან მომდინარეობას. მ. ანდრონიკაშვილი მიიჩნევს, რომ ამავე ძირიდან უნდა იყოს მიღებული ქართ. მუშა, მუშაობა, მუშაკი (ანდრონიკაშვილი 1965: 315).

სპარსულიდან მომდინარედ თვლის აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს დ. ჩუბინაშვილი: „სპარს. შექცევა თვითოგვარი: უცხო სანახავი რამ“ (ჩუბინაშვილი 1984: 546) და ი. აბულაძე: სპ. თამაშა–იგივე მნიშვნ. თეატრი, დროს გატარება, მხიარულება, შექცევა, ბურჭალი (ვეფხისტყაოსანი 1914: 191), ხოლო გ. წერეთელი მის არაბულ წარმომავლობას მიუთითებს: „تمش (tamašin) ნელა სიარული, აქეთ–იქით სიარული, სეირნობა; შდრ.: ქართ. თამაში“ (წერეთელი 1951: 242). არაბულ–სპარსული ეტიმოლოგია უდასტურდება ამ ლექსემას ვულერსის ლექსიკონშიც. *تاش tamāšā* ზმნის VI თემის მასდარის ფორმაა (ვულერსი 1866: 460).

ოსმალურ და თურქულ ლექსიკონებში temaşa არაბული წარმოშობის ლექსემაა – სანახაობა, სპექტაკლი, დადგმა (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 845).

თანხმოვანთა სრული დაცვითაა შემოსული თამაშა ფორმა ქართულში დახლოებით XII საუკუნიდან, „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული ფორმა მის უშუალო სესხებაზე მეტყველებს, ხოლო აღორძინების ხანის ტექსტებში დაფიქსირებული „სანახაობა, წარმოდგენა“ მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება და სავარაუდოდ, თურქულის მეშვეობას გულისხმობს. ქართული სადერივაციო აფიქსის (ობა) დართვით მიღებულია ახალი სიტყვა – „თამაშობა“.

**მეჰარი - მარი, თათართ ქებინი** (საბა 1991: 471).

არაბ. **ماهرا** (mahr): „მზითვი, კალიმი“ (გირგასი 1881: 772; ლენი 1863: 2740). შდრ. **ქართული მეჰარი** - იქვე სულხან-საბას განმარტებული აქვს „მარი“-ს მნიშვნელობაც. „მარი ეწოდების მოჰმადიანთა ცოლის მიზდსა, რომელსა ქებინად უწოდებენ“ (საბა 1991: 440). „მარი“ და „მეჰარიც“ ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროს შემოსული, მაგრამ თანაბრად უცხო წარმომავლობის სიტყვებია ქართულში. ეს სიტყვები არაბული **ماهرا** (mahr) სიტყვიდან მოდის და აღნიშნავს „მზითვი ან საჩუქარი, რომელსაც სასიძო უკეთებს სასძლოს დაქორწინებისას“. ამავე მნიშვნელობისაა ქებინისპარსული **کابین** (qabīn). აქედან პირველი, მარი დასტურდება კლასიკური ხანის ძეგლებში, ხოლო ქებინი აღორძინების ხანის ძეგლებში გვხვდება (აბულაძე 1962: 60).

თურქულ ენასა – mihir (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 628) და ოსმალურში – mehr ეს ლექსემები არაბიზმებია (ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 291).

**მარ** (mahr) არაბული წარმომავლობისად დასტურდება მოინის სპარსულ-სპარსულ ლექსიკონშიც: უფლება, ოქრო, ქონება, რომელსაც საქორწინო შეთანხმების დროს საქმრო უხდის საცოლეს, ან პირობას დებს, რომ გადაიხდის (მოინი 1996: 2343), არაბული წარმომავლობის ლექსემაა იგი გაფაროვის სპარსულ-რუსულ ლექსიკონშიც, სადაც აღნიშნულის დაკონკრეტებაა. ყალიმი, თანხა, რომელსაც უნიშნავს სასიძო საცოლეს ქორწილის დროს. მის ნაწილს, დაახლოებით 2/3 –ს გადაიხდის დაუყოვნებლივ, ხოლო ნაწილი გადაიხდება გაყრის დროს ან ქმრის სიკვდილის შემდეგ (გაფაროვი 1974: 840).

აღორძინებისა და კლასიკური პერიოდის ტექსტებში აღნიშნული ლექსიკური ერთეული არ გვხვდება. „ქილილა და დამანაში“ სიტყვა „მეჰარის“ ნაცვლად „მარი“ ფორმაა დამოწმებული „ორ.52: ქაბინ-ქებინი, მოჰმადიანთ ცოლის მიზდი“ (ქილილა და დამანა 1020). შდრ: სპარს. **მარ** (mähr) - ყალიმი, ფულადი თანხა, რომელსაც პატარძალს უნიშნავს საქმრო (რუბინჩიკი 1995: 583).

სავარაუდოა, **მარ** (mahr) > მარი, როგორც საკანონმდებლო ლექსიკური ერთეული, უშუალო გზით იყოს ქართულში დამკვიდრებული. მეჰარი – ლექსიკური ერთეული უფრო მოგვიანო ხანას განეკუთვნება. შესაძლოა ოსმ. mehr > ქართ. მეჰარი.

**რუბი – ქართულად – რუმბი, თათრულად – ნაოთხალი (საბა 1993:14).**

**რუბი** - ლა (rub<sup>c</sup>) 1. მეოთხედი, მეოთხედი ნაწილი (ლენი 1968: 1017). ასეთივე მნიშვნელობით დასტურდება ყურანში (გირგასი 1881: 284). ბარანოვის ლექსიკონში ემატება „კვარტალი“ (ბარანოვი 1989: 284). **რუბი**, როგორც მოცულობის საზომი, ძველთაგანვე გავრცელებული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებში: ეგვიპტეში 1 რუბ'-ი უდრიდა ¼ კადახას. დღეისათვის კი, 0516 ლიტრის ტოლია. ადრე მუსლიმურ ერაფში 1 რუბ'-ი უტოლდებოდა 4,2115 ლიტრს. **რუბ'ად** მიიჩნეოდა მოცულობის საზომი ერთეული, რომელიც ღვინისათვის შეადგენდა 8,16 ლიტრს (პინცი 1970: 58).

**რუბი**, როგორც საზომი ერთეული, დასტურდება ქართულ წერილობით ძეგლებში: „წიგნი სააქიმოვ“, „უსწორო კარაბადინი“, „იოსებ ზილიხანიანი“, „სამართლის წიგნი“, „მგზავრობანი“ და სხვ.

**რუბ** ფორმას ადასტურებს ი. აბულაძეც: „მესამედი დრაპენისა, მარჩილი“ (აბულაძე 1973: 345), რაც არაბ. **رَبْعَة** (რუბ’ა)-დან უნდა მომდინარეობდეს. მეოთხედი, ტევადობის ზომა (ბარანოვი 1989: 284.), ასეთივე მნიშვნელობითაა ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონშიც“: „რუბი—ერთი მეოთხედია, ნაოთხალი. მაგ. თუ ეტყვი, რამდენი საათიაო, გეტყვის სამის ერთი რუბიაო, ე.ი. ორიდან გადასულია ერთი ჩარექიო – 15 წამი“ (გრიშაშვილი 1997:186). თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ **რუბი** განსხვავებული მნიშვნელობით „რგვალი სასმისი, თასი“ გხვდება „ვეფხისტყაოსნის“ 26-ე გამოცემაში და იუსტ. აბულაძე მას არაბ. ჯა ფორმიდან მომდინარედ თვლის („ვეფხისტყაოსანი“ 1926: 274).

(rub') > **რუბი** დაკარგულია ბოლოკიდური ჯ('). საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ სიტყვის ახსნისას საბა მის ქართულ ვარიანტსა (რუმბი) და თათრულ (ნაოთხალი) ფორმას მიუთითებს. ქართულში მ ფონემა განვითარებული ჩანს. ქართულში **რუბ** სიტყვის დამკვიდრების ორი გზაა სავარაუდებელი: არაბული ან სპარსული. შდრ:.. სპარს. ჯა (rho') მეოთხედი, ერთი მეოთხედი (რუბინჩიკი 1995: 715) იდენტურია ფორმა და სემანტიკა.

რადგან აღნიშნული ლექსემა ძვ. ლიტერატურულ ტექსტებში გვხვდება, შეიძლება ვიფიქროთ ამ სიტყვის უშუალოდ არაბულიდან შემოსვლა X-XI საუკუნეებში.

**ფალი** – თურქთ(ა) ენაა, ქართულად მისნობა ჰეჭირ ZAB. CD, E რედაქციებში აღნიშნული ლექსემის სადაურობა არ არის მინიშნებული (საბა 1993: 182).

ფალი არ არის ნაჩვენები არც ერთი კლასიკური ეპოქის ძეგლში, მხოლოდ აღორძინების ეპოქიდან ვხვდებით, თუმცა აქაც გარკვეულ წინააღმდეგობებს ვაწყდებით.

ფალი– მისნობა, (საქართველოს ზნეობანი: 154). „თუ გზას ვჰკითხევდი კამათელს, სულ მამდის ავი ფალია“ (გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა: 1081,2).

ფალი – დაავადება. „მღიერი, ფალი და დუბელა“ ფალი შედის ერთ–ერთი გუარიშნის შემადგენლობაში (სამკურნალო წიგნი „კარაბადინი“: 837). „და შალი და ბალი და ფალი და პილპილი შავი“ ამ წინადადებაში ფალი სპარსული სიტყვაა და აღნიშნავს ხილის „გროვას“ (რუბინჩიკი 1964: 219), თუმცა სპარსულში ფალი სიტყვას სხვა

მნიშვნელობებიც უდასტურდება. „მისნობა, მარჩიელობა, მკითხაობა, წინათგრძნობა, ნიშანი“. მისგან ნაწარმოები – ფალგირი – მისანი, ქირომანტი, წინასწარმეტყველი (რუბინჩიკი 1964: 219)

ფალი – (სპარსული ფალა „ჩამოკიდებული“, კუთხ. ინგილოური) იგივეა, რაც მძევალი (ქეგლ).

სიტყვის მნიშვნელობათა მოდიფიკაცია მიუთითებს აღნიშნული ლექსემის სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გზიდან შემოსვლაზე.

საბას მიერ თურქულად მიჩნეული ფალი მომდინარეობს არაბული **فَلْ/fa'l** –დან, რაც ნიშნავს კარგი ნიშანი, წინათგრძნობა (გირგასი 2006: 599). აღნიშნული ლექსემა მისნობის მნიშვნელობით, არაბული წარმომავლობისად დასტურდება ჯონსონის (1852: 911), გაფაროვის (1974: 592) ლექსიკონებში. აქედანაა თურქული ფალჯი არაბული **فَلْ** (*fal*)–იდან ნაწარმოები – მკითხავი, მისანი, წინასწარმეტყველი. თ. *falci* < არ.სპ. **فَلْ** + თ. *Ci* = მისანი, გრძნეული, მკითხავი, წინასწარმეტყველი (კოტაშვილი 1985: 32). თურქულის გზით აჭარულ და გურულ დიალექტებში გადმოსულ სიტყვებში, ქართული ბგერითი სისტემისათვის უცხო ბაგისმიერი, ნაპრალოვანი, ყრუ *f* თანხმოვანი რიგ შემთხვევებში გვაძლევს ხშულ და ნაპრალოვან ფ, ვ ბგერებს. თურქ. *fal* < არაბ. **فَلْ** (გურგენიძე 1978: 121–122), ეს ლექსემა ოსმალურშიც იგივე მნიშვნელობითაა დადასტურებული. (ოსმალურ–თურქული ლექსიკონი 2007: 412). ფალი, მისანის მნიშვნელობით, დღესაც იხმარება როგორც თურქულში (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 288), ისე სპარსულშიც (რუბინჩიკი 1964: 219).

არაბული გლოტალური ხშვა (‘) ქართულში შემოსულ სიტყვებში ყოველთვის იკარგება და არავითარ ასახვას არ ჰპოვებს (ლეკიაშვილი 1992: 74.)

ფალი ადორძინების ეპოქაში თურქულიდან შემოსული არაბული წარმოშობის ლექსემაა, რომელიც ქართულში ნაკლებად ყოფილა გავრცელებული.

## 2.3. სპარსული ლექსიკა „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით

ირანელებსა და არაბებს შორის ურთიერთობა მომდინარეობს აქემენედების პერიოდიდან (V ასწლეული ჩვ.წ.აღ–მდე), როცა არაბეთი, როგორც სპარსეთის იმპერიის სატრაპო, მოიცავდა პალესტინას, ლიბანსა და სირიის უდაბნოს ევფრატამდე.

სასანიდების ეპოქა დასრულდა 651 წელს ირანის არაბთაგან დაპყრობით, როდესაც მოკლულ იქნა უკანასკნელი სასანიდი მმართველი იეზდიგერდ III. ამ დროიდან ირანელები მოექცნენ არაბთა უღელქვეშ, რასაც შედეგად მოჰყვა ირანელთა ისლამიზაცია. სპარსულ ენაზე არაბული ენის ღრმა გავლენა განპირობებული იყო მისი სოციალური, რელიგიური და პოლიტიკური მდგომარეობით. მუსლიმური დაპყრობების შემდეგ არაბული ენა გახდა დომინირებული კლასის ენა, რელიგიისა და სახელმწიფო მართვის ენა. ასევე, მეცნიერების, ლიტერატურისა და ყურანის სწავლების ენა. ირანელებს უნდა შეეთვისებინათ, როგორც ისლამი და არაბული ენა, ისე არაბული წერა–კითხვაც, რადგან ამას მათგან, როგორც მართლმორწმუნე მუსლიმებისგან მოითხოვდა ყურანი. სასანიდური დინასტიის, ზოროასტრული რელიგიისა და სულიერების დაცემისას, სალიტერატურო, საშუალო სპარსული ენა, შეივსო არაბული ნასესხობებით. თუ არაბული სიტყვების შეფარდება სპარსულში IV-X ასწლეულებში შეადგენდა 30%, დაახლოებით 50% –მდე გაიზარდა VI–XII საუკუნეებში. საზოგადოების პრივილეგირებულ წრეებში მშობლიური ენა ხელქვეითებთან და მსახურებთან ურთიერთობის საშუალებად გადაიქცა, ხოლო რელიგიის, მხატვრული შემოქმედებისა თუ მეცნიერებისათვის – არაბული ენა გამოიყენებოდა.

სპარსულში შესულ არაბულ ლექსიკურ ელემენტებს თან სდევდა ბევრი არაბული გრამატიკული ელემენტი, რომელმაც გავლენა იქონია სპარსულ ფონოლოგიურ სისტემაზე.

ძალიან მცირე დრო, ერთი საუკუნე სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ირანელისათვის, რომელსაც ისლამის მიღებასთან ერთად, შეთვისებული ჰქონდა არაბული ენა და წერა, რომ მას თავისი საკუთარი ენისა და ლიტერატურისათვის გამოეყენებინა არაბული ანბანი. VIII საუკუნიდან მოქმედებს არაბულ–სპარსული

ანბანი, რომლითაც დაწერილია მდიდარი ახალი სპარსული ლიტერატურა (აბულაძე 1953: 2–3).

საქართველოსა და სპარსეთს (ირანს) შორის მჭიდრო კონტაქტების გამო, მრავალი ირანული ნასესხობა დამკვიდრდა ქართულ ენაში.

მველ სპარსელებსა და ქართველ ტომებს შორის პოლიტიკური ურთიერთობა ჯერ კიდევ V საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩნდება. გარკვეული ენობრივი კონტაქტები სწორედ ამ ეპოქიდან უნდა ვივარაუდოთ. განსაკუთრებით ძველი სპარსულიდან შეთვისებული უნდა ყოფილიყო საკუთარი და გეოგრაფიული სახელები. ზოგიერთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ტერმინი, როგორც ეს აქემენიდების იმპერიასთან დამოკიდებულ მრავალი ქვეყნის ხალხის ენებში მოხდა.

სასანური ფალაურის ანუ საშუალო სპარსულის ქართულთან ურთიერთობა უფრო დასაბუთებულია ისტორიული ცნობების მიხედვით. საშუალო სპარსულიდან შეთვისებული სიტყვები და ანთროპონიმები ქართულში ძალიან ბევრია. ისინი მეტწილად უშუალოდ არიან შემოსული და მათი უდიდესი ნაწილი დადასტურებულია ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში (V,VI- XI საუკუნეები). ისინი მრავლად გვხვდებიან აგრეთვე საერო კლასიკური ლიტერატურის ძეგლებში, სადაც საშ. სპარსული სიტყვები წარმოდგენილია უფრო მოგვიანო, გვიან სასანური ხანის ფორმებით.

ახალი ანუ კლასიკური სპარსული სიტყვები ქართულში ძირითადად X-XI საუკუნიდან შემოდის, ჯერ თითო-ოროლა სიტყვის სახით, ხოლო შემდგომ XII საუკუნიდან საკმაოდ დიდი რაოდენობით. გარდა ამისა, კლასიკური ხანის ქართული მწერლობის ძეგლებში დამოწმებულია დიდძალი რაოდენობა არაბული სიტყვებისა, რომლებიც სპარსულის მეშვეობით იჭრება ქართულში, როგორც სპარსული ენის ლექსიკური შემადგენლობის ნაწილი (ანდრონიკაშვილი 1996: 244).

სულხან-საბას მიერ სპარსულად მიჩნეული ლექსიკიდან გამოვლინდა არაბული წარმოშობის ლექსემები: **ალამი, დაირა, ლაყაფი, მეჯლიში, მურასა, სუფრა**.

ლექსიკონში წყარო ენად ავტორის მიერ მითითებულია, „სპარსთა ენაა“: ვეზირი-სპარსთა ენაა, ქართულად განმზრახი და ეპრახოზი ჰქვიან (საბა 1991: 260),

„სპარსულად“: ალამი–სპარსულად დროშა (საბა 1991: 45), „ფალაურის ენით“: აჯის მშველდი, როსტომიანში მოუყვანიათ, ფალაურის ენით რქის მშვილდი (საბა 1991: 86), ან კიდევ მოტანილია ქართული სიტყვა, შესაბამისად სპარსული ვარიანტით: დაფი – სპარსნი დაირას უწოდენ (საბა 1991: 204).

ალამი– სპარსულად დროშა. ქართულად სამკრე ზორტი, გინა ნიშანი რამე შუბთა და მისთანათა Z, A, B და C რედაქციებშიც ლექსემის აღწერილობა სრულად ემთხვევა ერთმანეთს (საბა 1991: 45).

ალამი კლასიკური ეპოქის ტექსტებიდან გვხვდება: „ვეფხისტყაოსანში“: „მომცრო დროშა ან ნიშანი რამ შუბთა ზედა. ნაუსამართლევია და დროშასაც ჰქვიან გვერდზედ სამად გაჭრილსა, რომელსაც ლაშქრობაში იხმარებენ, ალამს გააკეთებენ ესრეთ“ (წაქაძე 1976: 10); დროშა, უფრო ზუსტად დროშის ასაფარებელი ნაწილი, ალამეს–ალმად აქციეს. „არღავნის ფერად ალმნეს“ მეტაფორულად სიწითლეზეა მინიშნება, რაც გმირთა განშორების გამოა ნათქვამი (ვეფხისტყაოსანი 1986: 313); „შაჰ–ნამე“-ში „ალამი ტურფად მოკაზმეს, ლალ–მარგალიტის გვარია“ (202,3); „მგზავრობანში“(106,6).

იოანე ბაგრატიონი და ნ. ჩუბინაშვილი ალ ლექსემას სპარსულად მიიჩნევენ: „სპარსულია, დროშასა ნიშნავს, ხოლო ქართულებ სამკრესა, ზორტსა და ნიშანს რასამე; და აგრეთვე ხელშუბს ნიშნავს“ (ქართული ლექსიკონი 1975: 141; ჩუბინაშვილი 1961: 134).

ام / ‘alam არაბული წარმოშობის ლექსემაა: 1. კვალი, ნიშანი, გზის მაჩვენებელი ნიშანი; 2. მთა; 4. დროშა (გირგასი 1881: 549). არაბულადვე თვლის მას დ. ჩუბინაშვილი (1984: 18), გ. წერეთელი: არაბული ام შდრ. > ქართ. ალამი (წერეთელი 1951: 156). თურქულ–რუსულ (1977: 43), ოსმალურ–თურქულ ლექსიკონებში (2007: 15) ჩამოთვლილ მინიშნებებს ემატება ალამი, როგორც საკუთარი სახელი. საინტერესოა გაფაროვის განმარტება არაბ. ალამი სიტყვასთან დაკავშირებით: „ნიშანი, დროშა, ტანსაცმელზე განმასხვავებელი ნიშანი, ძვირფასი ქსოვილის ნაჭერი, რომელსაც ძველად წარჩინებული ბეჭზე გადაკიდებული დაატარებდნენ“ (გაფაროვი 1974: 564).

ალამი არაბულიდან სპარსულში შესული ლექსემაა. მისგანაა ნაწარმოები სპარსული ალამდარი – მედროშე, დროშის, ალმის მატარებელი (‘alam + دار dār

სუფიქსი, რომელიც საქმიაობის, პროფესიის მაწარმოებელია სპარსულში). არაბული ყაინის დაკარგვა ნასესხებ სიტყვებში თავიდურ პოზიციაში შესაძლებელია.

ქართულში ალამი ლექსემის შემოსვლა სპარსულს უკავშირდება, დაახლოებით XI-XII საუკუნეებიდან.

**დაფი** – ესე არს გრკალი, ცალთა მწარეთა ეტრატი აკრავს საცემლად მროკავთათვის, რომელსაც სპარსნი დაირას უწოდენ, ხოლო დაფთაფსა ორსავე მწარეს ეტრატი აქვს, რომელსა დაულს უწოდენ ZAB. Cab რედაქცია ემთხვევა ზემოაღნიშნულს, ოღონდ დაზუსტებაა შეტანილი: გრკალი ხის მასალისგან დამზადებულია, ხოლო „დაულს“ თურქი უწოდენ (საბა 1991: 204).

ს.-ს. ორბელიანის მიერ სპარსულად მოხსენიებული დაირა არაბული წარმოშობის სიტყვაა: دائر (dā'ira) წრე, წრეხაზი, უბანი, სფერო, განყოფილება, ტანბური/მუსიკალური საკრავი (ჯონსონი 1852: 555), რომლის სემანტიკური მნიშვნელობაც ქართულში დავიწროვდა და დაკონკრეტდა: „ხის რკალზე ტყავგადაკრული საკრავი, რომელსაც ხელის ცემით ხმას გამოაღებინებენ“ (ლეკიაშვილი 1992: 93).

არაბული მინიშნება აქვს აღნიშნულ ტერმინს თურქულ –არაბულ daire (2008: 289) და ოსმალურ–თურქულ (2007: 88) ლექსიკონებშიც. სპარსული და/ایრ/dāyere არაბული dā'ira ფორმიდანაა მიღებული (ანვარი 1382: 990).

ლ. ავალიანი განიხილავს დაირა სიტყვიდან მიღებულ პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინს, მედაირე – დაირის მკვრელი, რომელიც სიტყვის სემანტიკიდან გამომდინარე სპარსულ ნასესხობად მიაჩნია (ავალიანი 2005: 99).

ქართულ წერილობით ძეგლებში დაირა იცვლება ებანით, დაფითა და დაფდათით.

**ლაყაფი** – ქართულად ცუდ–მოუბარი. სპარსულად მეორე სახელი ZAB. (უკმ.) ცუდი სიტყვა CD. (უკმ.) E. (საბა 1991: 408).

ქართულ კლასიკურ და აღორმინების ხანის ტექსტებში ლაყაფი – „სიტყვის გაჭიანურებას, გინა გაგრძელებას ვისიმე საქებრად, ხუმრობას, შექცევას, გართობას“ ნიშნავს (ვეფხისტყაოსანი 1926: 261). გვხვდება ასევე „მუდარა, ხვეწნა, ლაყბობა, ყბედობა, ლაქლაქი“–ს მნიშვნელობითაც (შაჰ–ნამე III 1974: 634). თ. ბაგრატიონი მას

შემდეგნაირად განმარტავს: „ლაყაფი – ანუ ლაყაბ. ესე იგი ხოტბას ნიშნავს არაბულათაც და სპარსულისაცა ენითა. ესე იგი შესხმას და შესამკობელთა და საქებელთა რათამე მშვენიერთა სიტყვათა შესაბამიერთა დიდებულისა ვისთვისმე გვამისა სათანადოსა უამსა მისართმელად, ხოლო ალყაბ თქმა ესე ნიშნავს ტიტულსა. ქართულსა ენასა შინა მდაბიონი ერნი ჩხუბსა და ლანძღვასა შინა ეტყვიან ერთმანეთსა – რას ლაყბობსო, ეს ქართულს ენაში ლანძღვათ არის მიღებული და რუსთაველი რომ იტყვის, ზემორე, როგორათაც რომ განვმარტეთ, ისე არის“ (წიგნი ლექსიკონი 1979).

„პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,

ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვიღაყფეთანი“ (ვეფხისტყაოსანი: 1667)

მზ. ანდრონიკაშვილს ამ სიტყვის ამოსავლად არაბული (لَب) la'b მსდ. (لَب) la'b „თავისშექცევა, ხუმრობა, გართობა, თამაში“ მიაჩნია (ანდრონიკაშვილი 1965: 317), რაც ეწინააღმდეგება იუსტ. აბულაძის შეხედულებას ლაყაბ სიტყვისთვის (لَقْب) lakab ძირის მიჩნევაში: „გრძელი, გაჭიანურებული წერილი, აქ გრძლად წარმოთქმული სიტყვა ვისიმე საქებრად, ან საგმობად“ (შაჰ–ნამე 1916: 811). საბას მიერ სპარსულად მოყვანილი ლაყაფი – „მეორე სახელი“, არაბული (لَقْب/القَاب) lakab/alkāb –იდან მომდინარე სიტყვაა, რაც „ზედმეტსახელს, წოდებას, ტიტულს“ ნიშნავს (ჯონსონი 1852: 1067).

აკად. მ. ანდრონიკაშვილი ვარაუდობს, რომ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებულ ლაყაბ/ლაყაფ სიტყვას არაფერი აქვს საერთო laqab ფორმასთან. შესაძლოა, ქართულ ლაყაფში საქმე გვაქვს ორი არაბული სიტყვის კონტამინაციასთან, რომელთაც ერთნაირი ექვივალენტები მოგვცეს (ანდრონიკაშვილი 1965: 317).

ახ. სპარსულში **لَقْب** – سا და **لَعْب** – س მნიშვნელობები საერთო აქვთ (მიღერი 439). თურქულ–არაბულ (2008: 755) და ოსმალურ–თურქულ (2007: 262) ლექსიკონებში მხოლოდ **ლაკაბ** ფორმაა ფიქსირებული „მეტსახელის, წოდების“ მნიშვნელობით. ამ უკანასკნელს ნიშნავს ფერეიდნულ მეტყველებაში **ლაყამი** ლექსემაც, რომელიც არაბული ლაკაბის ექვივალენტია (დლონტი 1984). ქეგლ–ში ლაყაფი სპარსული ლაყაბ–იდან მომდინარე სიტყვაა „გრძელი წერილის, გრძელი სიტყვის მნიშვნელობით. იქვე მითითებულია მისი ძველი ვარიანტებიც: უსაქმური ლაპარაკი, ყბედობა, ჭორი“ (ქეგლ–ი). ქალაქურ მეტყველებაში ყველა ზემოთჩამოთვლილ მნიშვნელობას ემატება: „ცუდად

მოუბარი, „უსირცხვილო კილოიანი“ (გრიშაშვილი 1997: 139). სწორედ, ასეთივე მნიშვნელობებითაა სულხან-საბას ლექსიკონშიც.

„ლაყაფ“-ის (لَعْبَة) პარალელურად „ლაყაბ“-ის არსებობა, ალბათ, მიუთითებს ხალხურის პარალელურად ამ სიტყვის ლიტერატურული გზით შემოსვლაზე და მისი შემომტანიც ცდილა სრულად დაეცვა არაბული ბგერის ფონეტიკური თავისებურება (ლეკიაშვილი 1992: 57).

ლაყაფი არაბული / لَعْبَة / la'iba ზმნიდან მიღებული ფორმაა, ხოლო სპარსულად მიჩნეული „მეორე სახელი“ არაბული لَقْب /laqab ლექსემაა. აქ უბრალოდ თანხმოვანთა სუბსტიტუციასთან გვაქვს საქმე. ამ ლექსემის ქართულში შემოსვლა XI-XII საუკუნეებს უკავშირდება.

მეჯლიში – სპარსთა (სხვათაა B) ენაა, ქართულად ნადიმი ჰქვიან ZAaB. ასევეა Ab, C რედაქციებში, ხოლო D რედაქციაში–ნადიმი კლიტორი ფორმით გვხვდება (საბა 1991: 471).

ქართული მეჯლიში მომდინარეობს არაბული جلس (galasa) ზმნიდან مجلس (mağlis) – ადგილი (სადაც სხედან), სხდომის დარბაზი, შეკრება (ლენი 1968: 444); საზოგადოება, საბჭო, მმართველობა, პალატა, სასამართლო (ბარანოვი 1984: 135).

მეჯლისი/მეჯლიში ლექსემა კლასიკური ეპოქის ტექსტებში მხოლოდ ერთი მნიშვნელობითაა – ნადიმი („ამირანდარეჯანიანი“ 1967: 719,1). წვეულება „არღარა მივიდა...მეჯლიშად“ (ქართლის ცხოვრება 55,8), აღორძინების ეპოქის ტექსტში მისი მნიშვნელობის არეალი ფართოვდება: „ნადიმი, ლხინი, კრება, წვეულება, სასხდომო დარბაზი, ყრილობა“ (ზილიხანიანი, ყარამანიანი, შვიდთა მამათა, რუსუდანიანი). „ერთსა დღესა მეჯლისი ქნა, მოისურნა მერმე შინა“ (შაჰ–ნამე 1916: 57,1).

თავდაპირველი მნიშვნელობა ამ ლექსემის, რომელიც ჯერ კიდევ ყურანში გვხვდება, სხდომის დარბაზი, შეკრება (გირგასი 1881: 127). ნადიმი, წვეულება კი შეთვისებული ენის (ამ შემთხვევაში სპარსულის) დანამატი და ინტერპრეტაციაა.

აღნიშნული ლექსემის არაბულ წარმომავლობაში ყველა ლექსიკოგრაფი ერთხმად თანხმდება: დ. ჩუბინაშვილი (1984: 716), იუსტ. აბულაძე (1953: 253), ნ. ჩუბინაშვილი

(1961: 279), გ. წერეთელი (1957: 41), ჯონსონი (1852), ოსმალურ–თურქული ლექსიკონი (2007: 287), ჰასან ანვარი (1382: 2093).

არაბულიდან ნასესხებ სიტყვებში **م / m** გადმოსულია მ–ს საშუალებით. არაბული პალატალური **ج/ج** ქართულში გადმოდის ენანუნისმიერი **ჯ–ს** საშუალებით, ხოლო არაბულ **س/s** ქართულში შეესაბამება **ს,ზ,შ.** გვხვდება ასევე სიტყვები პარალელური ფორმებით, სადაც ერთმანეთს ენაცვლება **შ/ს, ზ/ს. س / s** ქართულ სიტყვებში გადმოდის როგორც ენანუნისმიერი **შ** (მოსალოდნელი ჰომორგანული ს–ს ნაცვლად), როცა იმავე სიტყვაში გვაქვს ასევე ენანუნისმიერი **ჯ**, მაგ.: მეჯლიში/მეჯლისი (*mağlis / مجلس*) (ლეკიაშვილი 1992: 62).

ავტორი თითქოს გაორებულია აღნიშნული ლექსემის წარმომავლობის დადგენისას. „სხვათა ენად“ ან „სპარსულად“ მიაჩნია იგი. D რედაქციაში ნადიმს დამატებულია კლიტორი სიტყვა (მასპინძლობა თუ წვეულობა; საბა 1991: 377).

დაკვირვება აჩვენებს, რომ საბას მიერ სპარსულად მიჩნეული მეჯლიში ფორმა არაბული *mağlis / مجلس* –იდან მომდინარეობს, ხოლო ავტორის მიერ განსამარტი სიტყვის მნიშვნელობა „ნადიმი“ არაბულია. მისი ამოსავალია **نَادِي** (*nadīma*) ზმნის III თემის ფორმა **نَادِي** (*nādīma*)– პურობის გამართვა, ერთად სმა (ბარანოვი 1984: 792). **نَادِي/nadīm** „ქეიფის მონაწილე, თანამეინახე“ ფიქსირდება ყურანში (გირგასი 1881: 790). საბას ლექსიკონში ნადიმი ფორმას წარმომავლობა არ უწერია, ე.ო. ავტორი ამ სიტყვას ქართულ წარმოშობისად მიიჩნევს. თუკი კლასიკური ხანის ტექსტებში მეჯლისი ფორმა ნაკლებად გვხვდებოდა, პირიქით, ნადიმი თითქმის ყველა ლიტერატურულ ძეგლში დასტურდება რამდენიმე მნიშვნელობით: 1. არაბ.–სპარს. ქეიფი, შეკრებილობა, მეჯლისი, წვეულება (ვეფხისტყაოსანი 1914: 194; ამირანდარეჯანიანი 1967: 828; შაჰ–ნამე 1916: 819; რუსულდანიანი 1957: 756); 2. ამხანაგი, თანამოსაქმე, თანამეინახე (გირგასი 1881: 789; ვისრამიანი 1962: 744; ქილილა და დამანა 1975: 1024), ასევე ლექსიკონებშიც; 3. წვეულობა, ტაბლა (ჩუბინაშვილი 1984: 944; ჩუბინაშვილი 1961: 340; გ. წერეთელი 1951: 255). თ ბაგრატიონი: „ნადიმი–ტაბლა მეფეთა. ნადიმ არაბული ლექსი არის–მეფეთა თანამეინახეთა ეწოდების ანუ სტუმართ ჩინებული წვეულება: „დავიდეთ ნადიმი, დავიდეთ სტოლი, ანუ ხონჩა, ანუ სუფრა სამეჯლიშო“ (ჩიგნნი ლექსიკონი 1979),

ოსმალურ-თურქული ლექსიკონი (2007: 404), ქეგლ-ში საერთოდ არაა ამ სიტყვის უცხოურ (არაბულ) წარმომავლობაზე საუბარი. ამ არსებულ შეცდომაზე მიუთითა ჰანს ფენრიხმა (ფენრიხი 1964: 163).

სემანტიკური მნიშვნელობა უცვლია „ნადიმი“ არსებით სახელს ქალაქურ მეტყველებაში. იგი ატრიბუტული მსაზღვრელის როლში გვევლინება: „ნადიმი–დინჯი, ნელი. ამბობენ: რა ნადიმათ დადიხარო, ვითომ დინჯათო. გაღვივებულ პატარა და კოხტა ცეცხლსაც უწოდებენ. მიყვარს ნადიმად მუშაობა. ე.ი. ნელ–ნელა, ნება–ნება“ (გრიშაშვილი 1997: 163). სპარსულში *نادِم* ახლობელი, მეგობარი, თანამოსაუბრე. 2. დაახლოებული, შავის მრჩეველი, ფავორიტი მნიშვნელობითა (რუბინჩიკი 1996: 633).

ამრიგად, მეჯლიში და ნადიმი ორთავე არაბული წარმოშობის ლექსემაა, ქართულში სპარსული გზით შემოსული XI საუკუნიდან.

მურასა – სპარსთა ენაა, ქართულად მოოჭვილი ჰქვიან ZA. ქართული არ არის, ქართულად მოოჭვილი ჰქვიან CD (საბა 1991: 527).

ქართულ წერილობით ძეგლებში მურასა დასტურდება კლასიკური თუ აღორძინების ხანის ტექსტებში: „ამირანდარეჯანიანი“ (410), „შაპ–ნამე, მეფეთა ვერსიები“ (166,3), „ქილილა და დამანა“ (228,4), „შაპნავაზიანი“ (209), „საქართველოს ზნეობანი“ (151), „ვახტანგ VI, ლექსები და პოემები“ (193), „რუსუდანიანი“, რომლის ლექსიკონშიც დაკონკრეტებულია ყველა ის ნივთი თუ საგანი, რაც შეიძლება მოოჭვილი, ძვირფასი თვლებით შემკული იყოს: მურასა გალავანი, მურასა ზანზალაკი, მურასა იარაღი, მურასა კარი, მურასა ტახტი... (რუსუდანიანი 1957: 753). თეიმურაზ პირველისა (1933: 306) და თეიმურაზ მეორის (1939: 253) „თხზულებათა სრულ კრებულში“ მნიშვნელობები გაფართოებულია: ხალასი, წმინდა, გამართული, სწორი, მოკაზმული, სათუთი, ნაზი, მოოჭვილი. სწორედ, ეს ბოლო მონაცემები დაედო საფუძვლად ქალაქურ მეტყველებაში მურასა სიტყვის განმარტებას: „კოხტა, კეწკეწა, ნორჩი, ნუგბარი. ძვირფასი თვლებით მოოჭვილი, დამშვენებული, ყარყარა, სათუთი, ნატიფი. ელისაბედ მურასა, ყელი გიგავს სურასა“ (გრიშაშვილი 1997: 160).

მურასა მომდინარეობს არაბული *مرصع / murasṭa'* ფორმიდან, რაც ნიშნავს მოოჭვილი, მოვარაყებული, ინკუსტირებული (გირგასი 1881: 303). თანამედროვე

სასაუბრო ენაში მისი მნიშვნელობა დავიწროვდა და მხოლოდ მედალიონს აღნიშნავს (ბარანოვი 1984: 300).

არაბული წარმოშობისაა იგი დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში (ჩუბინაშვილი 1984: 907). *morassa'* არაბული წარმოშობისადაა მიჩნეული სპარსულში: „მოოჭვილი, ძვირფასი ქვებით მორთული, მოვარაყებული“ (ანვარი 1382: 2150). აღნიშნული ლექსემა ვერ მოვიძიეთ თურქულ და ოსმალურ ლექსიკონებში.

არაბული **ص/ش** და ქართული **ს** თავთავიანთ სისტემებში ფონოლოგიურად ღირებული რაიმე ნიშნით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან და თუ წარმოთქვამთ ფარინგალიზაციით ან ველარიზაციით, ამით მისი ფონემურობა არ შეიცვლება. არაბული **ص /ش > ქართ. ს** (ლევიაშვილი 1992: 66).

ამრიგად, სულხან–საბას მიერ სპარსულად მიჩნეული მურასა ფორმა არაბულია. გარკვეული სემანტიკური ტრანსფორმაცია განიცადა სიტყვამ კლასიკურიდან აღორძინების ეპოქამდე, თუმცა ძველი მნიშვნელობაც არ დაუკარგავს (მოოჭვილი). ქართულში შემოსვლა სპარსულს უკავშირდება, დაახლოებით XII საუკუნიდან.

**სუფრა** – სპარსთა ენაა, ქართულად ტაბლა ჰქვიან ZA. სპარსთა ენითა არს, ქართულად დასტახანი ჰქვიან B. ტაბლა CD. ესე სუფრაც ითქმის ქართულად, არამედ სხვა ენად ჰგავს და ქართულთა ენა ტაბლასა უწოდს E (საბა 1993: 118).

D რედაქციის თანახმად, საბას იგი „სხვათა ენად“ მიაჩნია და ამ სიტყვის გასწვრივ, სუფრის თურქული შესატყვისი აქვს მიწერილი. მაგრამ თურქული შესატყვისის ცოდნა საბასთვის არ არის საკმარისი სიტყვის სადაურობის გასარკვევად. მომდევნო რედაქციების შედგენისას მას უკვე დაბეჯითებით სცოდნია სიტყვის წარმომავლობა, რომ სუფრა სპარსთა ენაა, მხოლოდ მისი ახსნისას გაურკვევლობაში მოდის. ასახსნელი სიტყვა ხან ტაბლაა, ხანაც დასტახანი. თუმცა, ამგვარი ეჭვებისათვის საბას ნამდვილად გააჩნდა საფუძველი, ვინაიდან არც ერთი ზემოთ მოტანილი სიტყვა ქართული არ არის (მეტრეველი 1956: 19).

ტაბლა დამოწმებულია უძველეს ქართულ ტექსტებში (მამათა ცხოვრებანი 1975: 47,40; ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი 1946: 138). ივ. ჯავახიშვილი აღნიშნულ ნაწარმოებში ტაბლა ლექსემას შემდეგნაირად განმარტავს: „*tabula*, ქართულში

ბერძნულიდან – პურის ჭამა. ათონის ქართველთა მონასტრის სატრაპეზოში, ხალხის სიმრავლის გამო, პურის ჭამა ორ წყებად ყოფილა: კელარნი სამხრად ყოვლადვე სატრაპეზოს მივიდიან: ერთი პირველსა და მეორე მეორესა ტაბლასა“, ოთხთავის უძველეს რედაქციებში (იმნაიშვილი 1986: 22,21), ხანმეტ ტექსტებში (1984: 238), „სუფრა, მაგიდა პურის საჭმელად“ ფიქსირდება ქართული ენის ხევსურულ და მოხევურ დიალექტებში (ღლონტი 1984: 505). სუფრა და დასტახანი კი კლასიკურსა და აღორძინების ხანაში შემოსული და გავრცელებული სიტყვებია.

„შაჰ–ნამეს“ ლექსიკონში სუფრა არაბულ–თურქულ ლექსემადაა მიჩნეული „საიჯრო სტოლი, სტოლის საფარის“ მნიშვნელობით (შაჰ–ნამე 1916: 831), ხოლო „რუსუდანიანში“ მისგან ნაწარმოები პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინი სუფრა–ჯი გვხვდება (103,16) „მოხელე მეფის სასახლეში, სუფრის ზედამხედველი, საჭმლის გამრიგებელ–მიმრთმეველი“ (რუსუდანიანი 1957: 770). სპარსულ ლექსემად თვლიან აღნიშნულს დ. ჩუბინაშვილი: სპარს. ტაბლაზე გასაშლელი ტილო ანუ სამოსელი (ჩუბინაშვილი 1984: 1202), ჰასან ანვარი (1382: 1306) და მოინი (1996: 1889) „ქეგლ“–ის მიხედვით, სუფრა არაბული სიტყვაა. ის მაგიდაზე გადასაფარებელი ქსოვილია. 2. იგივეა, რაც ტაბლა, 3. პურის საჭმელად მომზადებული მაგიდა, პურობა, ნადიმი, ქეიფი, სმა–ჭამა.

სუფრა მომდინარეობს არაბული سفر (safara) – „გაემგზავრა, გზად წავიდა“ ზმნიდან (ლენი 1968: 1371). მისგანვეა ნაწარმოები سفرة (sufrat), რაც გირგასის განმარტებით სამგავრო პროვიზიას ნიშნავს. ეს არის ტყავის ტომარა პროვიზიისთვის, სამგზავრო სუფრა, სინი საჭმლითურთ (გირგასი 1881: 364), ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება იგი ჯონსონის ლექსიკონშიც (ჯონსონი 1852: 703). ასევე არაბულადაა მიჩნეული აღნიშნული ლექსემა თურქულ–არაბულ (2008: 990), ოსმალურ–თურქულ (2007: 481) და გაფაროვის სპარსულ–რუსულ ლექსიკონებშიც (1974: 465). ალ. ღლონტი გურულ, რაჭულ, ჯავახურ დიალექტურ მასალაზე დაყრდნობით, გვაძლევს აღნიშნული ტერმინის აღწერილობას: „გრძელი, ვიწრო და დაბალი ხის მაგიდა (ზოგჯერ მრგვალი), ოთხფერი ფიცარი: ოთხფერი სუფრა, ოთხკუთხი მრგვალი, დაბალი მაგიდა“ და მიუთითებს ამ ლექსემის არაბულ წარმომავლობას (ღლონტი 1984: 502).

თანხმოვანთა სრული დაცვითაა ეს ფორმა ქართულში შემოსული (ფენრიხი 1964: 157), ხოლო მდედრობითის მაწარმოებელი „ათ“ სუფიქსის „თ“ ელემენტი უმეტესწილად ნასესხობებში იკარგება ტრჭა /turfat (ლეკიაშვილი 1992: 76). შემოსვლის გზად თურქული სახელდება, რადგან იგი ძირითადად აღორძინების ხანის ტექსტებში დასტურდება, „რუსუდანიანში“ მოყვანილი სუფრაჯი, სადაც ჯი - ჟი - ჟiyy ნასესხები სუფიქსია თურქული სუფიქსებისა ცi, ci, ცu, ცü ყრუ თანხმოვნების შემდეგ და როგორც წესი, უერთდება ისეთ სიტყვებს, რომლებითაც აღინიშნება საქმიანობის საგანი, ან ობიექტი, იარაღი, საქმიანობის მიზანი ან სახელწოდება ისე, რომ წარმოქმნიან არსებითებს მოსაქმის, მოხელისა და ა.შ. მნიშვნელობებით (ვონონოვი 1959: 102), სულხან-საბაც ლექსიკონზე დართულ „უცხო შესატყვისობანში“ თურქულს უთითებს.

სუფრა ლექსემა XVI საუკუნეში ჩანს დამკვიდრებული ქართულში, რომელიც მალევე შეისისხლხორცა შემთვისებელმა ენამ.

## 2.4. „სხვათა ენაა“ „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით

სულხან–საბა უცხო წყაროებსა და „სხვათა ენას“ სხვადასხვა მიზნით მიმართავს:

- უცხო წყაროების საშუალებით ის განმარტებებს უმებნის ქართულ „ძნელ სიტყვებს“.
- „სხვათა ენის“ საშუალებით საბა ეტიმოლოგიურ ძიებებს აწარმოებს.
- უცხო ლექსიკური მასალის გამოყოფით იგი ქართული ენის სიწმინდის დაცვას ცდილობს.

„სხვათა ენაა“-დ მიჩნეული ლექსიკური ერთეულებიდან ამობებნილ იქნა არაბული წარმოშობის სიტყვები:

ამაყი— ქართული არ არის, ყიფი ჰევიან ZA, ბრიყვი BCb (საბა 1991: 49).

იოანე ბაგრატიონის განმარტებით, ამაყი „სხუათა ენაა, ქართული ყიფი, ესე ამპარტავანსა და ლალს შუა არს: „ამაყი კაცია“, მოთავილე ანუ მოუთვნელსაცა ნიშნავს, ეგრეთვე ითქმის მონადირე ფრინველზე: „ამაყი ქორია“ და სხუანი“ (ქუთათელაძე 1975:159). „გულ—მაღალი; გულ—მწყრალი, კადნიერი, აჰმაყ—არაბული ლექსი არს (წიგნი ლექსიკონი 1979). ქართულ წერილობით ძეგლებში ამაყი ლექსემა „თავ—მომწონე, ყიფი, უკადრი“—ს მნიშვნელობებით პირველად „ვეფხისტყაოსანში“ ფიქსირდება („ვეფხისტყაოსანი 498,2). ასეთივე მნიშვნელობითაა „შაჰ—ნამეში“ (1833,3); „ქილილა და დამანაში“ (1034); ვახტანგ VI (ლექსები და პოემები: 176).

ამაყი სიტყვის ამოსავალია არაბული ა/اھماق /'ahmaq – „ბრიყვი, ბოროტი, სულელი“. ჰамაყა ზმნიდან (ლენი 1868: 645). ასეთივე მნიშვნელობებითაა შესული ეს სიტყვა სპარსულ – 'ahmaq (ანვარი 1382: 98) და თურქულ – ahmak (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 34) ენებში, რომლებშიც ის არაბიზებულ ფორმადაა მიჩნეული. სპარსულმა 'ahmaq მოგვცა არაბული ამაყი ფორმა. არაბული კი იკარგება სიტყვის შიგნით: ჟ/zohl=ქართ. ზუალი (ანდრონიკაშვილი 1965: 301; სახოკია 1970: 173); არაბ. ق/q სპარსულში სემიტურ (არაბულ) ნასესხობებში ყ—გადმოდის, რადგან სპარსული ق/q უცულარი თანხმოვანია (წერეთელი 1992: 99). ს. ჯიქიას აზრით, თურქულ ველარულ ყრუ ხშულ ბგერას შეესატყვისება ნასესხობებში ქართული „ქ“ და „კ“. ქართულის

აჭარულ და გურულ დიალექტებში, თურქულის გზით შემოსულ სიტყვებში, ფით აღნიშნული კ თანხმოვანი გვაძლევს: კ. ყ. ბ. ღ თანხმოვნებს (გურგენიძე 1973: 134). თურქული ahmak-აქმაკ/ქ > ახმახი.

არაბული ამაყი ლექსემა მნიშვნელობებით ზუსტად შეესაბამება საბას მიერ განმარტებულ სიტყვას. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მან სემანტიკური ტრანსფორმაცია განიცადა. ის „თავმომწონე, ბრიქ, თავისთავში დარწმუნებულს ნიშნავს“. შემოსვლის გზა სპარსულია დაახლოებით XII საუკუნიდან.

აქიმი - სხვათა ენაა, ქართულად მკურნალი ჰქვიან Z. არაბულია (+ბრძენი, გინა მილოსოფი, მაგრამ აწ თათარნი პატივისათვის თაბიბს უძახიან, თაბიბი, რომელ არს, Aa) ქართულად მკურნალი ჰქვიან AB. აქიმი არაბთ(ა) ენაა, ქართულად მკურნალი ეწოდების C (საბა 1991: 74).

როგორც რედაქციებიდან ირკვევა, სულხან-საბა ორჭოფობს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. არაბული, თათრული. თუმცა, საბოლოოდ წარმომავლობა მაინც გადაუჭრელი დარჩა მკვლევარს.

ქართული აქიმი მომდინარეობს არაბული ჰکیم/حکیم (hakīm/hukamā') ფორმიდან - „მცოდნე, ბრძენი“. „ალ-ჰაქიმი“ ყურანში ღვთის ეპითეტია (გირგასი 1881: 179). თვით სიტყვა ჰکیم /hakīm/ -ის ამოსავალს არაბულში წარმოადგენს ჰک/hkm ძირი, რაც არაბულად ნიშნავს - „იყო ბრძენი“. თუმცა სალიტერატურო არაბულში ამ ლექსემის ერთ-ერთი მნიშვნელობა მკურნალიცაა (ბარანოვი 1984: 188).

ქართულ წერილობით ძეგლებში აქიმი სიტყვა პირველად XI საუკუნის „უსწორო კარაბადინში“ (49,31) გვხვდება. ლ. კოტეტიშვილი, რომელიც აღნიშნული ძეგლის ტექსტის დამმუშავებელი და ლექსიკონის შემდგენელია, მიუთითებს, რომ ეს ლექსემა არაბ.-სპარს. ჰექიმ ან ჰაქიმიდან მომდინარეა: „ბრძენი, მეცნიერი, ფილოსოფოსის მნიშვნელობით, ხოლო ქართულში კი, მკურნალი ექიმი“ (უსწორო კარაბადინი 1940: 477).

აღნიშნული ლექსემა ფიქსირდება „ვეფხისტყაოსანში“, „ვისრამიანში“, „შაჰ-ნამეში“, „ამირანდარეჯანიანში“, „იადიგარ-დაუდში: ...აქიმთა და მეცნიერთა კაცთა ასრეცა

უთქუამს: გაზაფხულის პირზედა, მთვარიანს ღამესა, გველი ვეღარას დაინახავსო... (172,17). დაახლოებით XV საუკუნიდან გვხვდება ექიმი ფორმა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ამ ლექსემის სპარსული გზით დამკვიდრება ქართულში (ანდრონიკაშვილი 1996: 205; ავალიანი 2005: 58). ნ. ოდილავაძე თურქულ გავლენაზე მიუთითებდა (ოდილავაძე 2002: 145). ოსმალურ და თურქულ ლექსიკონებში hakim ფორმა დასტურდება - ბრმენი, ფილოსოფი, tabip-ის მნიშვნელობით (ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 157; თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 376). იქვე ვკითხულობთ hekim-ადამიანი, რომელიც ავადმყოფს დიაგნოზს უსვამს და მას სხვადასხვა წამლებითა და საშუალებებით მკურნალობს (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 376). საბას მიერ თათრულად მოხსენიებული თაბიბი, არაბულიდან მომდინარე სიტყვაა. طبیب/tabib ექიმი, მედიკი, მკურნალი (ბარანოვი 1984: 466).

აქიმი/ექიმი ფორმებში არაბული ფარინგალური ḥ/h დაკარგულია სიტყვის თავში. არაბული გრძელი ი (i) სიტყვის შიგნით და ბოლოს გვაძლევს ქართულ ი-ს (ანდრონიკაშვილი 1965: 307).

გასაზიარებელია მ. ანდრონიკაშვილის მოსაზრება ამ ლექსემის სპარსულის გზით დამკვიდრების შესახებ ქართულში. ამ ვარაუდს ამყარებს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო მასალებიც, რომლის მიხედვითაც აქიმი XI საუკუნიდან დასტურდება. აქიმი ლექსემის ფონეტიკური თუ კომპოზიტური ტრანსფორმაციაა: ექიმი, აქიმბაში/ექიმბაში, ჯარა ექიმი.

ბარათი - სხვათა ენაა, მცირე ნაწერსა ჰქვიან, ქართულად ავთრათი ეწოდების (ეწოდება Ab) ZA. BCb, BCab რედაქციებში აღნიშნულ ლექსემას უკმ. ნიშანი უზის, Cq რედაქციაში ათრათი ფორმა დასტურდება, ხოლო DE-ში კი იგი საერთოდ განუმარტავია (საბა 1991: 94).

ბარათი ტერმინის გამოყენება ჩვენში აღორმინების ქართულ წერილობით ძეგლებიდან იწყება. ვახტანგ VI შრომებში ფიქსირდება „ბარათის შეყრა“, „ერთნაირი ბარათი“ (104) (ვახტანგ VI 1955: 23); იოანე ბაგრატიონის „სჯულდება“-სა: „ტექსტის მიხედვით ხელწერილი“ (43,22) და ლექსიკონგრაფიულ ნაშრომებში გხვდება: Барат -

ბარათი (არაბ.تَعْرِثُ. barath): 1) ყოველგვარი წერილობითი საბუთი; 2) შეღავათის სიგელი, რომელსაც სულტანი აძლევდა პატრიარქებს და ეპისკოპოსებს თავისუფალი ღმრთის მსახურებისათვის ანუ 3) პატენტი მის მიერვე მიცემული დიპლომატიური კორპუსისათვის (რუსულ-ქართული ლექსიკონი; იუსტ. აბულაძე 1927: 138). ბარათი - არაბ. بَرَات (barāt) სისხლი, ქაღარდი (ყიფშიძის 1914).

ქართული ბარათი მომდინარეობს არაბული بَرَاءَة / barā'at „უარყო, თავი დაიზღვია“ არსებითი სახელის اءَات / barā'āt მრავლობითი რიცხვის ფორმიდან, რაც თანამედროვე სალიტერატურო არაბულში ნებართვას, ლიცენზიასა და პატენტს ნიშნავს (ლენი 1968: 179). აღნიშნული ლექსემა ყურანისა და ჰადისების ლექსიკონში ფიქსირდება, რომელიც სემანტიკურად სხვაგვარ ხასიათს ამჟღავნებს: სიგელი, რომელიც იძლევა შეღავათს, რომელიც რაღაცისგან ათავისუფლებს (გირგასი 1881: 63). ჯონსონის ლექსიკონში برات (barāt) არაბული ფორმაა წარმოდგენილი - წერილი, ეპისტოლე, სამეფო დიპლომის მნიშვნელობით (ჯონსონი 1881: 223). ოსმალურსა (2007: 48) და თურქულში (1977: 109) berât ფორმა არაბულ ნასესხობად ითვლება ფირმანის, სულთნის სიგელის, შეწყალების სიგელი, მტკიცებულების მნიშვნელობით. თანამედროვე სპარსულში კი იგი ფულად გადარიცხვასთან, ვექსილთან, ხარჯთან იგივდება (რუბინჩიკი 1964: 193). ჰასან ანვარიც, ცნობილი ირანელი ლექსიკოგრაფი, برات (barāt) ლექსემას არაბული بَرَاءَة (barā'at)-იდან მიღებულ ფორმად მიიჩნევს.

საქმე გვაქვს სემანტიკურ ტრანსფორმაციასთან, რომელიც ჩვენთან შემოსვლისას გაიარა აღნიშნულმა ლექსემამ. ბარათი (სიგელი) > ბარათი (ქაღარდი). თანხმოვანთა სრული დაცვითაა ბარათი ფორმა ქართულში დადასტურებული. შემოსვლის გზად თურქული ივარაუდება. ქართულში ხშირია არაბული მრავლობითი „ათ“ სუფიქსიანი სახელები: სურათი (surat); შარიათი (šariyat); ადათი (adat); ხასიათი (xasiyat) (ფენრიხი 1964: 159).

სულხან-საბას მიერ ბარათი სიტყვის ქართული შესატყვისი „ავთრათი“, ცე რედაქციაში დამოწმებული „ათრათი“ მომდინარეობს ბერძნული ეტრატიდან, რომელიც ქართულ წერილობით ძეგლებში უკვე IX-XI საუკუნეებიდან ჩანს: „საწერად

გამოყენებული ტყავი“ (ქურციკიძე 1959: 100); ცხვრის ან ხბოს ტყავი, რომელსაც იყენებდნენ საწერად (ამირანდარეჯანიანი 1967 : 817).

ამრიგად, ბარათი ფორმა თურქულის გზით XVII საუკუნიდან ქართულში დამკვიდრებული ლექსემაა.

**დარაჯა** - ესე დარაჯა სხვათა ენა არს, რომელი სამკურნალოთა წიგნთა შინა აღუწერიათ საზომის ზომისათვის წამალთასა: ორითა დარაჯითა გრილი, ანუ სამითა დარაჯითა მჭურვალე. ამას ქართულად ხარისხი ჰქვიან ZA. В რედაქციაში „სხვათა ენა“ „თურქთა ენით“ კონკრეტდება (საბა 1991: 198).

ქართულ წერილობით ძეგლებში „დარაჯა“ ლექსემა პირველად XI საუკუნის ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ გვხვდება: „დარაჯა- შემადგენელი ნაწილი „ყურმნის 4 დარაჯა არის: 1. ქერქი, 2. ხორცი, 3. კურკა, 4. წვენი (უსწორო კარაბადინი 1940: 485). ე.ი. დარაჯა აქ საფეხურს, ხარისხს, შემადგენლობას ნიშნავს. ასეთივე მნიშვნელობებით დასტურდება იგი „ვეფხისტყაოსანშიც“ (1926: 253), თუმცა ამათ გვერდით გუშაგი ფორმაც გვხვდება. „შაჰ-ნამე“-ს ლექსიკონშიც მხოლოდ გზის მცველი, გუშაგის მნიშვნელობითაა (შაჰ-ნამე 1916: 51).

დარაჯა მომდინარეობს არაბული درجات / درجات (darağat/darağāt) არსებითი სახელიდან, რაც ნიშნავს: საფეხური, რანგი, წოდება, კვალიფიკაცია, გრადუსი, კლასი, ნიშანი (ბარანვი 1984: 250), აღნიშნული ლექსემა ჯერ კიდევ ყურანში ფიქსირდება (გირგასი 1881: 256), არაბულიდანაა იგი გავრცელებული ოსმალურში (ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 92), თურქულსა (თურქულ-რუსული ლექსიკონი, 1977: 221) და სპარსულში (რუბინჩიკი 1964: 617). არაბული წარმოშობის ლექსიკური ერთეულია იგი ჯონსონის (1852: 562), ალ ვასიტისა (2004: 308) და იბნ-მანზურის ლისანუ-ლ ‘არაბის მიხედვით.

درجات / درجات (darağat/darağāt) ტერმინი უშუალოდ არაბულიდან შემოსული ლექსემაა ქართულში დაახლოებით XI საუკუნიდან.

ვაზნა - თოფის წამლის ჭურჭელი. სხვათა ენაა, ქართულად მუხტი ჰქვიან Z. D რედაქციაში - თოფის წამლის ჩასაყრელი (საბა 1991: 252).

ყველაზე ახლო ფორმა, რაც შეიძლება ვაზნა სიტყვის ამოსავალად ვიგულისხმოთ არაბული وزن/وزن (wazn/awzān) ფორმაა, რაც ნიშნავს 1. წონას, მნიშვნელობას 2. გრამ. ფორმა, პარადიგმა, შტამპი (ბარანოვი 1984: 886; ჯონსონი 1852: 1364). ყურანისა და ჰადისების ლექსიკონში მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა ასაწონი გირაა (გირგასი 1881: 883). არაბული ნასესხობაა იგი სპარსულში vazn.e - წონა, მეტრი, საზომი, გირა, ბირთვი (ანვარი 1382: 2540). არაბიზმია ასევე თურქულში vezne, რომლის მნიშვნელობებიც 1. სალარო; 2. სასწორი, თოფის წამლის ჭურჭელი, ჩასაყრელი (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 899) უტოლდება საბას მიერ განმარტებულს.

ეს სიტყვა არ დასტურდება ქართული კლასიკური და აღორძინების ხანის ლიტერატურულ ძეგლებში. საინტერესოა D რედაქციაში განმარტება - „თოფის წამლის ჩასაყრელი“. შესაძლოა, ვაზნის მეშვეობით ირწყვებოდა ან იწონებოდა დენთი, თოფის წამალი, რომელიც შემდგომ იყრებოდა თოფში. სემანტიკური ტრანსფორმაციისას ქართულში, ვაზნა ასაწონი ერთეული, იქცა უკვე ჭურჭლად, რაშიც იყრებოდა დენთი.

არაბ. وزن/wazn > თურქ. vezne სემანტიკური მნიშვნელობების თანხვედრის გამო, ქართულში ვაზნა სავარაუდოდ, თურქული ნასესხობაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქ. სალიტ. e, თურქ. დიალ. e > აჭ. დიალექტ. „ა“. ნ. გურგენიძე ვარაუდობს, რომ სალიტერატურო თურქულის e ხმოვნის ქართულში „ა“-დ გადასვლა ქართულისავე ნიადაგზე მოხდა: უქუმათი < τ. hückümet < არაბ. حکومت (გურგენიძე 1973: 107).

ვარაყი- სხვათა ენაა, ქართულად ქანდა ჰქვიან ZAB (საბა 1991: 254).

ქეგლ-ის მიხედვით ვარაყი არაბული قرق/waraq სიტყვიდან „ფურცელი“ მიღებული ფორმაა, რაც ნიშნავს: ლითონის (ოქროს, ვერცხლის) თხელი ფენა ნივთებზე გადაკრული შესამკობად. ოქროსფერი, საღებავით შესრულებული შემკულობა (წიგნის ყდისა, წარწერისა და მისთ.). აღნიშნული ლექსემა ქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება „შაჰ-ნამეში“ (1974: 629); „რუსუდანიანში“ (1957: 730); თეიმურაზ II -ის თხზულებებში. არაბული წარმოშობის სიტყვაა იგი დ. ჩუბინაშვილის (1984: 502), იუსტინე აბულაძის (1953: 260), ნ. ჩუბინაშვილის (1961: 214), გ. წერეთლის (1957: 282), იოსებ გრიშაშვილის „გენაცვალე ვარაყიან სახეში! (ქალაქური თქმა) ე.ი. სახე, რომელსაც ნათელი ადგია“ (1997: 93) ლექსიკონებში.

თავდაპირველი მნიშვნელობა ورق/waraqa ზმნის, როგორც ყურანშია დადასტურებული, ფოთლებით დაფარვას ნიშნავს. თვითონ waraq ფოთოლს (გირგასი 1881: 880). არაბულიდანაა ეს სიტყვა შესული სპარსულში, სადაც მისი მნიშვნელობა გაფართოვდა: ქაღალდი; ფურცელი; ლითონის ნაჭერი; ბლანკი; დოკუმენტი; მნიშვნელობებს ემატება, ჩვენთვის საინტერესო – ფენა . ورقه varaye (varaye) ფენიანს, რამდენიმე ფენისგან შემდგარს ნიშნავს (რუბინჩიკი 1984: 699). ქართლურ დიალექტში დამოწმებულია გამოთქმა „ვარაყანი გადასდის – ყვითელი ფერი აქვს“ (ღლონტი 1984: 224). ეს გერის გაჩენისა და დამკვიდრების მიზეზად სპარსულ ენაში არაბული ენის გავლენა უნდა მივიჩნიოთ. არაბული ვ > სპარსულ ყ. kand > qand (გიუნაშვილი 1960: 76).

ამრიგად, ვარაყი სიტყვა არაბული waraq - იდან სპარსულის გზით შემოსული ლექსემაა ქართულში დაახლოებით XV-XVI საუკუნეებიდან.

ზავთი - სხვათა ენაა, ქართულად ბაქი ჰქვიან ZA. (უკმ.) ბაქი ქართული არ არის B. ადრაგაზად Cb (საბა 1991: 274).

ზავთი მომდინარეობს არაბული სიტყვიდან, რაც თანამედროვე არაბულში ხმას, ბგერას, ყვირილს ნიშნავს (ბარანოვი 1984: 449). ასეთივე მნიშვნელობებით, დამატებით - ძლიერი ხმა, დიდი, გამაყრუებელი ხმაური, ბაქი - „სიტყვით შეაშინოს“, წყრომა, რისხვა, აღშფოთება დასტურდება ქეგლში. აღორძინების ხანისა და შემდგომი პერიოდის ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში აღნიშნულ მნიშვნელობებს ემატება - რიხი, მუქარა, ტრაბახი. ზავთიანობა-ძალიანობა (შაჰ-ნამე III: 630; ვახტანგ VI: 131; რუსულიანი 1957: 731; არჩილი 1976: 147; თეიმურაზ II: 245). ლექსიკოლოგიურ ნაშრომებში ძირითადად საუბარია აღნიშნული ლექსემის არაბულ წარმომავლობაზე (ჩუბინაშვილი 1984: 511; ანვარი 1382: 1386; ჯონსონი 1852: 795; ალ-ვასიტი 2004: 558, ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 463). საინტერესო ფორმაა იოსებ ყიფშიძის „მეგრულ-რუსულ ლექსიკონში“: ზანთი = ზავთი, იგივე მნიშვნელობებით. თან მითითებულია აღნიშნული ლექსემის არაბული წარმომავლობა სიტყვიდან (ყიფშიძე). არაბ-თურქ. *zapt-* რიხი, ძალა ფორმაა მესხურ-ფშავურ დიალექტში: „ისეთი ზავთით შემოვიდა, ყველანი ფეხზე დააყენა“. ზავთიანი-რიხიანი, ნ.

ზაფთი მრისხანე, შემაძწუნებელი, შემაშინებელი სანახავი რამ. „ჰაი, ბიჭებო, თოფს სხვა ზავთი აქვს“ (ღლონტი 1984: 227).

ყურადღებას იწვევს კლასიკური ხანის ტექსტებში, კერძოდ „ვეფხისტყაოსანში“ დამოწმებული ზათქი ფორმა: დიდი ხმაური, ზრიალი, ზახილი (ვეფხისტყაოსანი 1926: 257), რომელიც უტოლდება ქართული ზავთის მნიშვნელობას. صوت (shawt) > ქართ. zawt=zatk. თუმცა, მზ. ანდრონიკაშვილი ზათქი ფორმას სპარსული zadah, საშ. სპარსული zatak ზმნიდან zatan „ცემა, კვრა, ხმაური“ მომდინარედ მიიჩნევს. Zatak > ზატაკი > ზათქი > ზათქი (ანდრონიკაშვილი 1996: 96).

არაბული ص/ § -ს სანაცვლოდ ქართულ სიტყვებში ზ-ს გაჩენას აშკარად სპონტანური ხასიათი აქვს, ხოლო რამდენადაც თანამედროვე ქართულში ბილაბიალური ნაპრალოვანი ფონემა არ არსებობს, არაბული w/w არაბული წარმოშობის ქართულ სიტყვებში გადადის, როგორც კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი მუღერი „ვ“ (ლეკიაშვილი 1992: 66-75).

მნელი საფიქრებელია აღნიშნული ლექსემის სპარსული გზით შემოსვლა. თანამედროვე სპარსულში ამ სიტყვას იშვიათად ხმარობენ ყვირილის, ხმაურის მნიშვნელობით (რუბინჩიკი 1964: 141). ყურანის ტექსტში დადასტურებულ صوت (shawt): ხმა, ძახილი, მელოდია, სიმღერა (გირგასი 1881: 460) ფორმას ქართულში სემანტიკური ტრანსფორმაცია განუცდია. კერძოდ, გაძლიერებითი მნიშვნელობა შეუძლია. რაც შეეხება ზათქი ფორმას, ის, ალბათ, ზეპირი გზით შემოსული ლექსემაა ჩვენში. ზავთი უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება თურქულის გზით.

თავაზა - სხვათა ენაა, ქართულად ბოდიში ჰქვიან ZAB (საბა 1991: 295).

თავაზა არაბული وضع ზმნის VI თემის تواضع (tawāḍḥā'a) ფორმაა: იყო მორცხვი, მორჩილი; დაეთანხმა (ჯონსონი 1852: 390; ბარანოვი 1984: 895).

ქართულ წერილობით ძეგლებში პირველად „შაჰ-ნამეს“ III ნაწილში გვხვდება „პატივისცემას, კრძალვას, მორიდების მნიშვნელობით: უთავაზა-მიართვა“ (631). „პატივისცემა, კრძალვა“ (ქალაქური ლექსიკონი 1997: 104).

ქეგლი-ს მიხედვით თავაზა მომდინარეობს „არაბ. თავაზუ‘ - ყურადღება, სტუმართმოყვარეობა, ზრდილობა, პატივისცემა, მორიდება (ქეგლ-ი). თავაზუ‘ ფორმაში

იგულისხმება არაბ. تواضع/tawāfi‘-თავაზიანობა, მორჩილება, მორიდება (გირგასი 1881: 894). ასეთივე მნიშვნელობები უდასტურდება სპარსულ ენაშიც تواضع/tavāzo‘ (ანვარი 1382: 677).

თავაზა تواضع (tawāfa‘a) ლექსემაში ინტერვოკალურ პოზიციაში არაბული *w/w*-ს კბილბაგისმიერ ვ-დ გადმოსვლა ეჭვს არ უნდა იწვევდეს : سواد /سے و دا (ლეკიაშვილი 1992: 75). არაბულ-ქართული *ض - ظ* მიმართება კი მირითადად გულისხმობს მისი შემცველი არაბული სიტყვის სპარსული გზით შემოსვლას: ظا ر ا ل ل ا (ر ض ر /darar), ხაზირი (ح ا د ي ر /hādir) (ლეკიაშვილი 1992: 67).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში „თავაზიანი“ დადებითი შეფასების გამომხატველი ეპითეტია, რომელიც აქტიურად გამოიყენება. სავარაუდოდ, ამ ლექსემის შემოსვლის გზა სპარსულია დაახლოებით XV საუკუნიდან.

**თაღლითი - سبوا تا ენაა، ქართულად მორთული ჰქვიან ZA (საბა 1991: 302).**

მორთული - მოკაზმული; მორთულად ითქმის რაიც(ი) მსგავსი რისამე შემზადო (საბა 1991: 503).

თითქმის ყველა ქართველი ლექსიკოგრაფი განიხილავს თაღლითი ლექსემას. „მორთული გარედამ და შიგნიდამ რიოში. Поддельный, фальшивый“ (ჩუბინაშვილი 1961); „არაბ. ظهير. ريمش, يالدي, خيروالى, قرآن“ (ჩუბინაშვილი 1984: 554); „ჩვეულება არის, ქართველთა ერი მათ თაღლითად უწოდებს, რომელნიც რიოშნი ხალხნი არიან, ანუ რიოში ვინმე კაცი თვითოეულთაგანი“ (წიგნი ლექსიკონი 1979); „მატყუარა, ყალბი. ამბობენ: ეს მარგალიტი თაღლითიაო, ვითომ რიოში მარგალიტიაო. მატყუარა კაცზედაც ამბობენ: ჰა, უფრთხილდი, თაღლითობს მგონიო. 2. მატყუარა, ყალბი, ცრუ; თაღლითი-რიოში მარგალიტი“ (ქალაქური ლექსიკონი 1997: 109). „არაბ. تاღلیل (عہشیاد مکملہ) 1. მატყუარა, ცბიერი, თვალთმაქცი, არაგულწრფელი, ყალთაბანდი. 2. არანამდვილი, ყალბი მარგალიტი (ბრილიანტი და მისთ.)“ (ქეგლ-ი). „თაღლითი- ბусы.“ (სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა).

თაღლითი არაბული წარმოშობის სიტყვაა. მომდინარე طُلّ/gallaṭa ზმნის II თემის მასდარის تغليط/tagħlīt ფორმიდან - შეცდომაში შეიყვანა, იყო შეცდომის მიზეზი, შეცდომად მიიჩნია (ბარანოვი 1984: 568). ეს ზმნა ჯერ კიდევ ყურანში გვხვდება (გირგასი 1881: 595).

არაბულიდან ისესხა იგი სპარსულმა - تغليط (tagħlīt) მწიგნ. 1. შეცდომაში შეყვანა, 2. შეცდომაში დადანაშაულება (რუბინჩიკი 1964: 383); სხვის მაგივრად საქმის გაკეთება (ანვარი 1382: 642) და თურქულმა - taklit (di) a. 1, მიმსგავსება, იმიტაცია, ფალსიფიცირება (რუსულ-თურქული ლექსიკონი 1977: 822). თურქულში სესხება უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება, რადგან ეს ლექსემა არ დასტურდება ოსმალურ ლექსიკონში. აյ საქმე გვაქვს თანხმოვანთა რედუქციასთან k/č სიტყვის ინლაუტში.

საფიქრებელია თაღლითი ფორმის სპარსული გზით ქართულში დამკვიდრება დაახლოებით XVI საუკუნიდან. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ეს ლექსემა არ დასტურდებადება. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მასდარიანი ფორმით მიიღო იგი სპარსულმა და თურქულმაც. თუმცა ქართულში შემოსვლისას მან სემანტიკური ცვლილება განიცადა: ქართულში შემოსული ეს მნიშვნელობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამოსავალი არაბულ საწყისში აღნიშნული კაუზატური მოქმედების ობიექტად ან სუბიექტად – თუ მას ქართულში მიმღეობით გამოვხატავთ, შესაბამისად გვექნება ვნებითი და მოქმედებითი გვარის მიმღეობები. თაღლითი ქართულში ნიშნავს „მატყუარას, ცბიერს, თვალთმაქცს. ის, ვინც შეცდომაში შეიყვანს ან გახდა ამის მიზეზი“ (ლეკიაშვილი 1992: 89). სპარსულ გზაზე უფრო ადვილია საუბარი, რადგან თანხმოვანთა სრული დაცვითაა ეს სიტყვა დამკვიდრებული. تغليط (tagħlīt) ფორმაში ბოლოკიდური ტ > თ. იმ ქართულ სიტყვებში, რომლებიც მომდინარეობენ არაბული 牠/t/ შემცველი სიტყვებიდან, მის სანაცვლოდ შეიძლება ორივე თანხმოვანს შევხვდეთ. ამ დროს ის გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომ ქართული ტ უპირისპირდება თ-ს, როგორც მკვეთრი (ყელხშული) ფშვინვიერს და ამდენად 牠/t/-ს სანაცვლოდ, რომელიც ფარინგსის დაძაბვით იწარმოება, უფრო მოსალოდნელი ქართული ტ იქნება. 牠/t/ მიმართება უფრო ძველია და თან ამ დროს უშუალო სესხებაზე ადვილია საუბარი. მაგ.: 牠/baħt/ბატი; 牠/galat/ღალატი. ხოლო ტ > თ შესაბამისობა მოგვიანო ხანას განეკუთვნება: ရ/taħbasħir/თაბაშირი; تغليط/ tagħlīt/ თაღლითი. ამ შემთხვევაში სესხება რომელიმე სხვა ენიდან (სპარსულიდან) იგულისხმება (ლეკიაშვილი 1992: 65).

მავი- სხვათა ენაა, ქართულად ლურჯი Z (საბა 1991: 428).

მავი მომდინარეობს არაბული *ماء/mā'*(წყალი) > *ماوى/māwīyy/* 1. წყლიანი 2. ცისფერი, ლაჟვარდოვანი (ბარანოვი 1984: 774-775). ეს ლექსემა დასტურდება ყურანში (გირგასი 1881: 782). არაბული ეტიმოლოგია აქვს მინიშნებული სპარსულ (ანვარი 1382: 2046) და თურქულ (თურქულ-რუსული 1977: 608) ლექსიკონებში. სპარსულ ენაში იგი იშვიათად იხმარება (რუბინჩიკი 1964: 446). უკმ. ნიშანი უზის საბასეულ ვ რედაქციაშიც (საბა 1991: 428).

ქართულ წერილობით ძეგლებში მავი ლექსემა მხოლოდ ლექსიკოგრაფიულ შრომებში გვხვდება. „მხიარული ფერი, ლურჯი, ანუ მომწვანო. მავე, გოლინი“ (ჩუბინაშვილი 1961: 265); „მავი-(ოსმ.) მხიარული, ლურჯი ფერი-გოლინი“ (ჩუბინაშვილი 1984). აქვე აღვნიშნავთ, რომ ოსმალურ-თურქულ ლექსიკონში მავი ფორმა არ ფიქსირდება, თუმცა დღევანდელ სალიტერატურო თურქულ ენაში mavi აქტიურად იხმარება - ცისფერის, ლურჯის მნიშვნელობით (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 608).

არავითარი ფონეტიკური ცვლილება ამ სახელს ქართულში შემოსვლისას არ განუცდია. რამდენადაც თანამედროვე ქართულში ბილაბიალური ნაპრალოვანი ფონემა არ არსებოს, არაბული *w* არაბული წარმოშობის ქართულ სიტყვებში გადმოდის, როგორც კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი მუდერი ვ ყველგან (ლეკიაშვილი 1992: 75).

მავი ლექსემის ქართულში დამკვიდრების გზად თურქული შეიძლება მივიჩნიოთ დაახლოებით XVI საუკუნიდან.

**მანშური – სხვათა ენაა, სიგლასათვის დაურქმევიათ ცუდად ZA (საბა 1991: 436).**

სხვა რედაქციებში განსამარტი სიტყვა უფრო სრულყოფილადაა ახსნილი: „სხვათა ენაა, სიგელი ჰქვიან ქართულად. წიგნი დასამტკიცებელი. მანშურისას მეცილებიან და ვიეთნიმე იტყვიან სპარსთა ენისა არსო. ესევითარნი ყოველსა ენათა შინა იქმნებიან ანუ მეზობლობისა მიერ, ანუ შემოღებისა მიერ, რამეთუ სპარსულად ეწოდების მადარ დედასა, ხოლო ფრანგულად მათერ, გინა ორნივე ერთ; ლათინთა ენითა სუდარი – მკვდრისა სახვეველსა, ეგრეთვე ქართულად; ანუ ქარტა, ანუ სანდალი ლათინთა და ქართულთა საზიარო არს. ეგრეთვე ყოველთა ენათა შინა მრავალი მოვალს.

არამედ მანშური არა თუ საღ<sup>1</sup> თოთა წერილთა შინა ძეს, არამედ გარეშეთა Cb“ (საბა 1991: 436).

მანშური სიტყვის ამოსავალია არაბ. شش/*našara* ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმა/منشور/*manšūr* 1. აღმოჩენილი, გამოქვეყნებული, გავრცელებული; 2. გახერხილი; 3. დადგენილება, ცირკულარი, მანიფესტი, პროკლამაცია, ფურცელი. 4. მათ. პრიზმა (ბარანოვი 1984:802).

ლექსიკონებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ ძველ არაბულ წერილობით წყაროებში, მათ შორის ყურანსა და ჰადისებში გვხვდება منشور/*manšūr* „გახსნილის, გავრცელებულის, გარკვეულის“ მნიშვნელობით (გირგასი 1881: 807; გ. წერეთელი 1951: 258). „დადგენილება, ცირკულარი, მანიფესტი, პროკლამაცია, ფურცელი“ უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჯონსონისა და ლენის ლექსიკონებში მითითებული ლექსემა, არის – „სამეფო სიგელი, რომელიც არაა დაბეჭდილი, არ უზის ბეჭდის ნიშანი, (შეესაბამება ფირმანს)“ (ჯონსონი 1852: 1260; ლენი 1886: 2795). ასეთივე მნიშვნელობებით, არაბიზმადაა მიჩნეული სპარსულ ენაში (მოინი 1996: ; ანვარი 1382: 2306).

ქართულ წერილობით წყაროებში „მანშური“ ლექსემა დასტურდება „ვისრამიანში“ (182,9): „ბრძანება, სიგელი მეფისა მაღალ თანამდებობაზე დასანიშნავად“ („ვისრამიანი“ 1962: 741), „შაჰ–ნამეში“ (1189,1) მანშური/მანაშური ფორმაა მითითებული. „შაჰ–ნამეს“ მკვლევარი, იუსტ. აბულაძე აღნიშნულ ლექსემას სპარსულ ფორმად მიიჩნევს „სიგელი, მოწმობა, დიპლომი, სიმტკიცის საბუთი, ფირმანი, ბრძანება“ მნიშვნელობით (შაჰ–ნამე 1916: 813).

მანშური ლექსემა არაბულიდან სპარსულში შესული სიტყვაა, რომელსაც მსესხებელ ენაში ფონეტიკური მოდიფიკაცია არ განუცდია. როგორც „გამოქვეყნებული, გავრცელებული, მნიშვნელოვანი საკითხი“ სპარსულში იცვლება შემდეგი მნიშვნელობებით: „ფირმანი, სამეფო სიგელი, პრივილეგია“ (რუბინჩიკი 1964: 566). სწორედ, ამ მნიშვნელობით დამკვიდრდა ეს ლექსემა ქართულში.

სავარაუდოდ, „მანშური“ სპარსულიდან დამკვიდრებული ლექსემაა ქართულში დაახლოებით XII საუკუნიდან.

მასხარა-სხვათა ენაა, ქართულად (+სიღოდა და Ab) ხუმარი ჰქვიან. თათართა ენაა, ქართულად გამღივარი ეწოდების ZAB (საბა 1991: 446).

მასხარა مسخرة (mashara) გამცინებელი, ვინმეს გამამხიარულებელი არაბული ლექსემაა سخر (sahira) ზმნის მასდარის ფორმას წარმოადგენს), რომელიც ჯერ კიდევ ყურანში გვხვდება (გირგასი 1881: 764). ასეთივე მნიშვნელობებით არაბული ეტიმოლოგია უდასტურდება ოსმალურ-თურქულ (ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 280); თურქულ-რუსულ (1977: 606) და სპარსულ-რუსულ (გაფაროვი 1974: 778) ლექსიკონებში.

ქართულ წერილობით ძეგლებში მასხარა სიტყვა პირველად „ვისრამიანში“ დასტურდება. ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში განმარტებულია, როგორც „შემაქცევარი, ხუმარა ან ლაზლანდარა“ (ჩუბინაშვილი 1961: 270). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მასხარა რამდენიმე ვარიანტითაა განხილული: „1. ოხუნჯი, ხუმარა; 2. ლაზლანდარა, სასაცილო, უმსგავსი, უხამსი; 3. კომიკური პერსონაჟი ძველებურ წარმოდგენაში, ცირკში-კლოუნი; 4. მეფის კარზე ან დიდებულის სასახლეში მსახური, რომელიც პატრონსა და სტუმრებს ართობდა ენაწყლიანი ოხუნჯობით-ხუმარა“. იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“: „მასხარა- ძირია ყველა ენებზე ცნობილ სიტყვის მასკარადისა. „ტაკ“ სომხურად „ქვეშ“ ნიშნავს და მასხარა ხომ მასხარაა, ე. ი ჯამბაზი რომ ბაწარზე თამაშობს, იმის ქვეშ მომასხრეს მის თანაშემწეს უწოდებენ ტაკიმასხარას. ან ჯამბაზის შემდეგ რომ გამოვა ცირკში სხვა ოხუნჯი, იმის ტაკიმასხარას უწოდებენ, ვითომ შენ იმ ჯამბაზის ქვეშ სდგეხარო, იმისავით ბაწარზე არა ხელოვნებო“ (ქალაქური ლექსიკონი 1997: 148).

ZAB რედაქციაში ახსნილი „ქართულად გამღივარი“ შეიძლება ავტორის ან გადამწერის შეცდომად მივიჩნიოთ. გამღივარის ნაცვლად უფრო მისაღები იქნებოდა გამღიმარი ფორმა, რადგან შეზარხოშებული, ღვინის სმით გაბრუებული ადამიანისთვის უფრო ადვილია გამოხატოს თავისი ემოცია, თამამად იმღეროს, იცეკვოს და ამ ქცევით გააცინოს და ღიმილი მოჰყვაროს გარშემომყოფთ.

არაბული წარმოშობის მასხარა ფორმის ქართულში დამკვიდრება დაახლოებით XIII საუკუნეს უკავშირდება და შუალობით გზაში სპარსული იგულისხმება. აღნიშნულ ლექსემას არანაირი ფონეტიკური თუ სემანტიკური ტრანსფორმაცია არ განუცდია.

**მაფრაშა-სხვათა ენაა, ქართულად გვალაგი ჰქვიან ZA (საბა 1991: 447).**

გვალაგი/ გუალაგი-ტომარა, „შთადვეს გუამი წმიდისა აბოსი გვალაგსა მას აღსაკიდებელსა სამოსლით მისით“ (საბა 1991: 172).

ქართული მაფრაშას ამოსავალია არაბული **مفرش/mifraš** (ფრშ/faraša) ზმნიდან) გადასაფარებელი, სუფრა (ბარანოვი 1984: 590). არაბული ეტიმოლოგია უდასტურდება აღნიშნულ ლექსემას სპარსულში. **مفرش/mafraš** ხალიჩის, ორხოვის საკიდარი (საპალნე) ქვეშაგებისათვის, გადასაფარებელი, (ზეპ.) ჩემოდანი (რუბინჩიკი 1964: 541).

არაბული ფორმაა იგი დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში: არაბ. გვალაგი, გულაგი, ნატის ტომარა, ჩემოდანი (ჩუბინაშვილი 1984: 679). პირველად ეს ლექსემა „შაჰ-ნამეში“ ფიქსირდება. „მაფრაშა-არაბ. **مفرش**-მაჭრუშ-ხალიჩა, გინა ჯეჯიმი, რომელშიაც აწყობენ ქვეშაგებელსა და ტანისამოსს მგზავრობის დროს“ (შაჰ-ნამე 1916: 813). საანალიზო სიტყვა მოძიებულ იქნა ქიზიყურ დიალექტშიც: „მაფრაშულად აკიდება - საპალნე შედგება ორი ცალისაგან: ერთი საკიდრის ერთ მხარესაა, მეორე - მეორე მხარეზე. აკიდებამდე თითოეულ ცალს მოორწვრილ თოვში შეკრავენ ისე, რომ ორ ადგილას ჰქონდეს გადავლებული თოკი. აკიდებისას ჯერ ერთ ცალს მიადებენ ზურგზე გვერდიდან (ხელით უჭირავს დამხმარე კაცს), თოკის წვერები ზურგზე გადაევლება და მეორე მხარეს გადაეშვება ორ წვერად, დაახლოებით ერთ ფართო მტკაველზე დაშორებით ერთიმეორიდან, მერმე მოიტანენ მეორე ცალსა და მიაკიდებენ საკიდრის ზურგს მეორე გვერდიდან, ისე, რომ თოკი ქვეშ მოჰყვეს; მერმე ამ თოკის წვერებს ამოატარებენ ცალზე და ჩააბამენ მეორე ცალის გამონაყლუფში, ასე აკიდება კოხტაც არის და მკვიდრიც, ოღონდ, თუ საკიდარი შეფართხალდა, მოეხდება“; „მაფრაშული ჭრელი-მორიელის ფეხებივით ირგვლივ გაშლილი ჭრელი, ასეთი სახეები გამოჰყავთ მაფრაშებსა და ფარდაგებზე“ (მენთეშაშვილი 1943: 107).

სავარაუდოდ, ქართულში მაფრაშა დამკვიდრდა სპარსულიდან დაახლოებით XIV-XV საუკუნეებში. ქართულ წერილობით ძეგლებში მოპოვებული ამ ლექსემის

მასალა არაბულიდან სპარსულში მიღებული ფონეტიკური თუ სემანტიკური ტრანსფორმაციის შედეგია. არაბ. مفرش /mifraš > სპარს. مفرش /mafraš > ქართ. მაფრაშა „ფარდაგისმაგვარი ქსოვილისაგან შეკერილი განიერი ოთხკუთხა ტომარა; პირი ხურჯინივით მოსაფხური აქვს; ხმარობენ ბარგის გადატანისას ლოგინისა და ტანისამოსის ჩასალაგებლად“ (ქეგლ-ი V: 92). უნდა აღინიშნოს, რომ მაფრაშას თურქული ვარიანტია *mefruş* - ავეჯით გაწყობილი, მოწყობილი, მორთული; *mefruşat-* ავეჯი, მორთულობა, მოწყობილობა (მაგაზანივი 1945: 101). ეს ფორმაც, რა თქმა უნდა, არაბული *mafrūşātun* (მრ.)-დან: „ავეჯი, მოწყობილობა, მორთულობა“ (ბარანოვი 1984: 589) მიღებული ლექსემაა.

**მაშრაპა - (მაშრაფა B) სხვათა ენაა, სარწყული(ა), სტამნი(ა) ZAB. პირ-ფართო სარწყული CD (საბა 1991: 449).**

ქართულ სალიტერატურო ენაში ამ ლექსემის 3 ვარიანტი გვხვდება: მაშრაპა (შაჰ-ნამე I: 813)/მაშრაფა (რუსულანიანი 1957: 742)/ მაშრაბა (შაჰ-ნამე III: 635). მაშრაბი ფორმას არაბ. წარმომავლობისად განიხილავს გ. წერეთელი: 1. სმა; 2. სასმელი შდრ.:ქართ. მაშრაბი; 3. წყლის დასალევი ადგილი (წერეთელი 1951: 108). მაშრაპა ფორმას იუსტ. აბულაძე განიხილავს, როგორც „ვულგ. არაბ. شرب/მაშრაბაჲ (თასი, სასმისი, ვაზა, ჭურჭელი, ფიალა)-დან მიღებულ ფორმას (შაჰ-ნამე I: 813). სარწყული, სტამნი მნიშვნელობები ემატება უკვე ნასესხებ ფორმებს. სპარსული شرب (mäshrabä)- ფიალა, თასი, კოკა (წყლის სასმელად), დოქი (გამოიყენება აბანოში) (რუბინჩივი 1964: 515). თურქული *maşrapa*-არაბ. ფიალა (მაგაზანივი 1945: 397). *meşrep*-არაბ. მაშრაფა (მეტალის ტოლჩა) (ჩლაიძე 2001: 946). ოსმალურში დადასტურებული *meşreb* არაბული شرب/maşrab-დან მიღებული ფორმაა: 1. წყლის დასალევი ადგილი; 2. გემო, სიამოვნება, გართობა, გადახრა, ორიენტაცია (ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 305). ამ უკანასკნელში დადასტურებული ფორმები ძირითადად ემთხვევა კლასიკური არაბულის ფორმებს: *maşrab/maşarib*-1. ადგილი, სადაც სვამენ; 2. მიდრეკილება, მისწრაფება, ხასიათი, გემოვნება; 3. მიმართულება, გეზი, ორიენტაცია; პოლიტიკური შეფერილობა (ბარანოვი 1984: 398).

მაშრაფას არაბული წარმოშობაა მითითებული დ. ჩუბინაშვილისა -„დოსტაქანი, ბიკალ, კრუკა“ (ჩუბინაშვილი 1984: 682) და ნ. ჩუბინაშვილის -„ბროლის ფართო სტამნი“ (ჩუბინაშვილი 1961: 271) ლექსიკონებში. მაშრაფა ფორმით განიხილება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც: საყვავილე ვაზა (V:105), რაც ახალ სემანტიკურ დატვირთვას გულისხმობს.

საკვლევი ლექსემა დასტურდება დიალექტებშიც. კერძოდ, თუშურ დიალექტში: ვაშრაპაყი/მაშრაპაყი-წყლის სასმელი ჭურჭელი; ვაშრაპა-თუნგი (ღლონტი 1984: 224); მესხურ, იმერულ და აჭარულ დიალექტებში: მაშრაფა-წყლის სასმელი ჭურჭელი სპილენძისა (მესხ. 652)/მეშრეფი (აჭარ. იმერ) (გაჩეჩილაძე 1976: 91; გურგენიძე 1973: 22);

იქ, სადაც არაბულ სიტყვაში არის ბილაბიალური მჟღერი ხშული ც/ხ ქართულში შემოსულ სიტყვებში მას შეესაბამება ბილაბიალური მჟღერი ხშული ბ, ბილაბიალური მკვეთრი პ, ბილაბიალური ყრუ ფშვინვიერი ფ, ბილაბიალური ნაზალი მ. ასევე გვხვდება პარალელური ფორმები, სადაც მონაცვლეობენ ბ/ფ (მაშრაბა/მაშრაფა) (ლეკიაშვილი 1992: 56). არაბული მდედრობითის -at ნიშნიანი სიტყვები ქართულში ხშირად შემოსულია ამ სუფიქსის t ელემენტის გარეშე: ტურფა/ طرفه/turfat (ლეკიაშვილი 1992: 76).

სულხან-საბასთან ფიქსირებული მაშრაპა/მაშრაფა ფორმის ქართულში დამკვიდრების გზა სავარაუდოდ თურქულია, ფონეტიკური თუ სემანტიკური ტრანსფორმაციის მიხედვით. შემოსვლის თარიღი კი დაახლოებით XV-XVI საუკუნე.

**მაჯუნი - სხვათა ენაა, ქართულად დუბეიდი ჰქვიან ZA (საბა 1991:453).**

ქართული მაჯუნის ამოსავალია არაბ. حجنا / 'aġana ზმნის მიმღეობის ფორმა نجون / معاجين 1. მალამო, საცხი; 2. სამკურნალო ნაერთი, ნარკოტიკის შემცველი სამკურნალო ბალახების ნარევი, მაგ.: ჰაშიში (ბარანოვი 1984: 500).

ქართულ წერილობითი ძეგლებიდან მაჯუნი ლექსემა ძირითადად სამკურნალო ტიპის წიგნებში, კარაბადინებში ფიქსირდება. მაგ.: XI საუკუნის ქანანელის „უსწორო კარაბადინში“: არაბ. ماجون. წამლის შედგენილობა, შენაერთობა, შეზავებულობა, კონფორტატივი (უსწორო კარაბადინი 1940: 501). XIII საუკუნის „წიგნი სააქიმოა“: არაბ. معجون წამლის შეზავებულობა, შემადგენლობა (წიგნი სააქიმოა 1936: 316); XVI საუკუნის

„იადიგარ-დაუდში“ მაჯუნი – წამლის შეზავებულობა, კონფორტატივის მნიშვნელობით (იადიგარ-დაუდი 1938: 713). საკვლევი ლექსემა ფიქსირდება „ქილილა და დამანაში“: ერთგვარი ნაყენი, ღონის მომცემი და აღმგზნებელი (827,23), „რუსუდანიანში“ ჩამოთვლილ მნიშვნელობებს ემატება ტკბილეული (რუსუდანიანი 1957: 1457). დუბეიდი, მურაბასავით გაკეთებული ღონის მომცემი წამალია დ. ჩუბინაშვილისა (1984: 687) და ი. გრიშაშვილის ლექსიკონშიც (ქალაქური ლექსიკონი 1997: 151).

არაბული წარმოშობისაა აღნიშნული ლექსემა სპარსულ და თურქულ ლექსიკონებში. სპარსულში ძირითადად აქცენტი კეთდება ძალ-ღონისა და აღზნების მომცემ სამკურნალო ნაერთზე, ელექსირზე (რუბინჩიკი 1964: 530), ხოლო თურქული macun – საცხი, ყველა სახის კანფეტი (არომატული ნივთიერებებით ან წამლით), ჰაშიში (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 592). აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ლექსემა ოსმალურ წყაროებშიც დასტურდება (ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 270) და არაბული ნასესხობა უდასტურდება. აჭარულ დიალექტში მაჯუნი თაფლიანი ან შაქრიანი ბრინჯია (ღლონტი 1984: 354).

უშუალო გზაზე მეტყველებს მაჯუნი ლექსემის ქართულში დამკვიდრება. ფარინგალური მუღერი ნაპრალოვანი გ-ს ეკვივალენტი ქართულში არ არსებობს და არაბულიდან შემოსულ სიტყვებში უმეტეს შემთხვევაში ის იკარგება: *معدن/mādan/მადანი* (ლეკიაშვილი 1992: 74).

სავარაუდოდ, ამ სამედიცინო ტერმინის დამკვიდრება ქართულში დაახლოებით X-XI საუკუნეებიდან უნდა მომხდარიყო.

**მეედანი- მეიდანი, სხვათა ენაა, ქართულად მერე და მინდორი და ფორე ჰეჭიან ZA (საბა 1991: 459).**

ქართული მეიდანის ამოსავალია არაბული *میدان / maydānun-* მრ. / *mayādīnu-* მოედანი, არენა (ბარანოვი 1984: 775). აღნიშნული ლექსემა ჯერ კიდევ ყურანში ფიქსირდება (გირგასი 2006: 782). არაბულ ეტიმოლოგიას მიუნიშნებს ჯონსონი ამ სიტყვას *maidān* ან *mīdan* ტრანსკრიფციით: ღია მინდორი შენობების გარეშე; ვრცელი სათამაშო ადგილი (ჯონსონი 1852: 1284). ლენის მიხედვით ეს არის „იპოდრომი“, „შეჯიბრების ადგილი“ და ამოსავლად ან ძ / *māda* – „მიზნისკენ მოძრაობა“ ზმნას, ან ძى

/ madan – „մօթանո, թղզարո“ / فعلان / *fa'lān* յալութեած նախարմոյք գոռմագ մութեցվս. յս արու ադցուլո, սաւտաց ցեղեցի մործան տապաւու մօթնու մուսալիցագ անց մշչութեցի ացուլո (լենո 1968 VII: 274). ցանեցազեցուլ մուսաթրյեաս ցամությամս ծաժեանու: մութանո - յս արու գորտու ադցուլո սործուլուսատպու ցանկութենուլո; ցեղեցա տամաժութեցի սործուլուս. մասդանո սպարսուլո իշարմոշունուսա դա մշչությա մ/մī ճասալու դա ճա/dān ելուսահպո, սագանո. յ. օ. մութանո ադցուլու, սաճաց սամեն լունու դա մշմաց յմթագեցի մութանու սործուլուս դա չիրութուսատպու (ծաժեանու 1995: 148). րոցորց եալութա տապորուլունու ադցուլո, սասեւրո, ասետո մնութելունուտա ցացեցուլո յս սութպա մուլո յարտուլ թղաքրյեցի ց ՝ըրտու զացո մպացս մուսակլացո, մուլո սաթոցագոյեա մշուրունա մութանու” (լլոնց 1948: 163).

յարտուլո լոյքսուկոցրացունու մութեցուտ մութանո արածուլո իշարմոշունու լոյքսուրո յրտեցուլու. թեցուտ ჩամութելուլ մնութելունուց յմաւեա մշմաց: ասպարյո, սարծուլո, ծրծուլուս զելո (իշանաթպու 1984: 698; իշանաթպու 1961: 275; սպարսուլո յնու սաելմացանու 1953: 257; իշրյեւրու 1951: 250; իշօննո լոյքսուկոննո 1979).

սիրուր թեմու ჩամութելուլո մնութելունուց ճաստուրուց յարտուլ իշրյեւրունու մեցուլու: „մութանո ան մաւթանո - արած. میدان - ասպարյո, զելո, ծրծուլուս զելո, օձուրումո (Շաէ-նամյ I, 1916: 816; րուսութանու 1957: 743). աղնութնուլ նախարմութեցի ճաճաստուրութուլո մնութելունուց մշուրունա զուգուրուտ ամ լոյքսունու սպարսուլուդան սեսեցա. میدان (մայդան) -1. մոնժորո, գորտունո; 2. արյա, սայմունունու զելո, մոնժորո; 3. թեք. ծրծուլուս զելո (իշանի 1964: 588). տուրյուլո meydan սեմանտիկուրագ մեցավեցաս ամյջազնունու արածուլ սահպուստան (րուսուլ-տուրյուլո լոյքսուկոն 1977: 800). աղնութնուլո լոյքսունա ռումալյուր տեյքստեցի ճաստուրուց աղնութնուլու լոյքսուկոն 2007: 308).

րամացանադաց „յարտուլս ար այքս գուգունցուսագմու մուգրյունուց արածուլո ay, ya գուգունցունու յարտուլունու յարտուլ յագուրագ ցամունունու րոցորոց „a“. „y“ օկարյեա (مختیط / *mahayt*) մախատո. „ay“ գուգունցունու թոցան ցամունունու „o“-ս ցորմուտ (كيل / *kaylat* / յուլա), թոցան կո ցամալյուս „e“ կոմպլյուս. „y“ ցամունցունունու րոցորոց „o“ գու ցամալյուս „a“ (خیر / *hayr* /

ხეირი; میدان / maydān / მეიდანი). მის პარალელურ ფორმაში - „მოედანი“, „y“-მ გარდა იმისა, რომ დაავიწროვა წინამავალი „a“, ამავე დროს თვითონ ნაწილობრივ დაკარგა სივიწროვე y > e (ლეკიაშვილი 1992: 76).

აკად. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, აღნიშნული არაბული ლექსემის სპარსულიდან ქართულში ნასესხობაზე მიუთითებს ისიც, რომ არაბული ay > სპარსული ey > მოგვიანებით ქართული ოე (ანდრონიკაშვილი 1965: 310). სავარაუდოდ, ეს ლექსემა ქართულში აღორძინების ხანაში შევიდა და დამკვიდრდა.

„ლექსიკონი ქართულში“ დადასტურებული მეიდანი/მეედანი ფორმაში ასახულია არაბ. დაღმავალი დიფთოგის კონტრაცია საკუთრივ სასაუბრო არაბულში: ay > ey > სპარს. Meydān > ქართ. მეიდანი.

**მერამლე- სხვათა ენაა, ქართლად მემარგე ჰქვია(ნ) ZA. რამლი სხვათა ენაა B (საბა 1991: 465).** მემარგე - გინა მე რგება მიყავ (საბა 1991: 462).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით მერამლე არის: ბედის მკითხავი, მისანი, მემარგე. მერამლე-ს ამოსავალია რამლი სიტყვა, რომელიც ქეგლ-ის მიხედვით, არაბული წარმოშობის ლექსემაა: ძვ. სამისნო წიგნი; 2. სამკითხაო ქვიშა. ასეთივე ფორმებით დასტურდება ქართულ წერილობით ძეგლებსა თუ ლექსიკონებში. განსხვავებული განმარტებას ვხვდებით ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“: რამლი კამათლებია ერთგვარი, რომლითაც კაცის ეტლს მკითხაობენ (ქალაქური ლექსიკონი 1997: 183).

არაბ. رمل /raml-/rimāl ქვიშა (გირგასი 2006: 325). არაბული ეტიმოლოგია უდასტურდება ჯონსონის „სპარსულ-არაბულ-ინგლისურ“ ლექსიკონში (1952: 632), ჰასან ანვარის (1382: 1148); თურქულ-რუსულ (1977: 734) და ოსმალურ-თურქულ (2007: 447) ლექსიკონებში. განსხვავებული მნიშვნელობით განმარტავს მოინი ამ ლექსემას: رمل ქვა, სილა ან ისეთი მოქმედება, რომლითაც მომავალს წინასწარმეტყველებენ. გადმოცემის თანახმად, ეს დანიელ წინასწარმეტყველის მეცნიერებაა, რომელიც მას გაბრიელმა შეასწავლა, როდესაც ქვიშაზე რამდენიმე წერტილი აჩვენა (მოინი 1996: 1675).

ქართული მე-რამლ-ე არაბ. رمل-داნ ნაწარმოები მოსაქმის, პროფესიის აღმნიშვნელი ლექსემაა. ქართულში ამ ლექსემას არავითარი ფონეტიკური

სახეცვლილება არ განუცდია. კომისიის მასალებზე დაყრდნობით, გასაზიარებელია ლ. ავალიანის დასკვნა აღნიშნული ლექსემის სპარსული გზით ნასესხობის შესახებ და შემოსვლის დროდ XV-XVI საუკუნეების მიიჩნევა.

ნაზირი - სხვათა (თათართა B) ენაა, ქართულად სალაროს ნაზირს აბრამადი და ქარხ(ა)ნის ნაზირს ეზოს-მოძღვარი ჰქვიან ZAB (საბა 1991: 560).

ქეგლ-ის მიხედვით ნაზირი არაბული ლექსემაა. ნაზირ „მმართველი, გამგე, მინისტრი“. ძვ. 1. სამეფო კარის ერთ-ერთი დიდი მოხელე აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში, მინისტრი; 2. ზედამხედველი, ეკონომი.

ქართულ წერილობით ძეგლებში ნაზირი ლექსემა აღორძინების ხანის ძეგლებში ფიქსირდება - „მმართველი, გამგე, ვეზირი“-ს მნიშვნელობით (შაჰ-ნამე III: 636). სამეურნეო ფუნქციების მქონე მოხელე, პირველი ნაზირი (სჯულდება 1957: 91). ქართულში ფართოდ იყო გავრცელებული სინონიმური მნიშვნელობით ნაზირ-ვეზირნი: „შეჰერარა ნაზირ-ვეზირები, თავისი ხალხი მთლად და მაიყვანა ქალი“ (კოტაშვილი 1985: 74).

ნაზირი არაბული წარმოშობის ლექსემაა نظر /naðara „1. შეხედა, უყურა, დააკვირდა; 2. გადახედა; 3. მიხედა, იზრუნა; 4. განსაჯა“ ზმნის მიმღეობის ფორმიდან ناظر /nāðir- მაცქერალი; თვალყურის მადევნებელი; მმართველი, გამგე, მინისტრი > შდრ.: ქართ. ნაზირი (წერეთელი 1951: 260). ასეთივე მნიშვნელობით დასტურდება ყურანის ლექსიკონშიც (გირგასი 1881: 809). არაბული ეტიმოლოგია უდასტურდება ამ ლექსემას სპარსულ (ناظر/nāzer) და თურქულ (nazır) ენებში იგივე მნიშვნელობებით (ანვარი 1382: 2387; თურქულ-არაბული ლექსიკონი 2008: 835; ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 412).

თანხმოვანთა სრული დაცვითაა ქართულში ეს ლექსემა შემოსული. არაბული ظ /d̪/ ქართულში შემოსულია, როგორც ზ. მაგ.: ზარიფი /ظریف/darīf/ (ლეკიაშვილი 1992: 68). არაბული გრძელი მა- > ქართულ ა-ს: حرام/harrām/არამი (ანდრონიკაშვილი 1965: 306).

მნელია საუბარი აღნიშნული ლექსემის ქართულში შემოსვლის გზაზე. ქართულ წერილობით ძეგლებში იგი აღორძინების ეპოქიდან ფიქსირდება.

ნალი - სხვათა ენაა, ქართულად საჭედარი და ლუმბა ჰქვიან ZAB (საბა 1991: 573).

ნალი მომდინარეობს არაბული *نعل*/na'ala ზმნიდან (ცხენს დააჭედა ნალი) - 1. ჩააცვა ფეხსაცმელი, სანდალი; 2. დააჭედა, ქუსლი დაკრა; 3. სანდალი ატარა. აქედან *نعل*/na'l- ლანჩი (ფეხსაჩმლის ძირი), ლუმბა, ნალი (ჯონსონი 1852: 1322).

არაბული წარმოშობის ლექსემაა იგი დავით და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონებშიც - ლუმბა, საჭედარის მნიშვნელობით (ჩუბინაშვილი დ. 1984: 952; ჩუბინაშვილი ნ. 1961: 313), ხოლო გ. წერეთელი არაბ. *نعل*/na'l-ს ადარებს ქართულ ნალს (წერეთელი 1951: 261). ნალი ფორმიდანაა მიღებული სპარსული ნალბანდი/نعلبند - სახედრების, ცხენების და სხვათა ნალის (ლუმბის) მჭედავ-დამკვრელი. ნალებით მჭედავი (ქალაქური ლექსიკონი 1997: 165). na'l -ნალი და band - შეკვრა (ბართაია 2011: 67). „მგელმა თქვა: - მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო?“ (სიბრძნე-სიცრუისა 1957: 43). ქართულ დიალექტებსა თუ წერილობით ძეგლებზე დაკვირვებით, ლ. ავალიანი მიუთითებს „ნალბანდი“ ლექსემის სპარსულის გზით სესხებაზე (ავალიანი 2005: 91).

ქართულ წერილობით ძეგლებში „ნალი“ ნაკლებად დასტურდება. ჩახრუხაძის „ქება მეფისა თამარისი“-ს მიხედვით ნალი - „ლერწმის კალამია“ (1957: 258), რაც განსხვავდება საბასეული განმარტებისგან. ეს უკანასკნელი სპარსული *لبل*/nal ფორმაა, რომელიც იშვიათად იხმარება. ეს არის შაქრის ლერწამი; ლერწამი, რომელსაც საწერად იყენებენ; კალამი; ლერწმის შუაგული (რუბინჩიკი 1964: 617).

ნალი, ლუმბისა და ფაფუჭის მნიშვნელობით იხსენიება ოსმალურ ტექსტებში (2007: 408), არაბული ეტიმოლოგია უდასტურდება თურქულშიც (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 670).

სავარაუდოდ, როგორც ყოფითი ლექსიკის ამსახველი ლექსემა, ნალი უშუალოდ არაბულიდან დამკვიდრდა ქართულში ზეპირი გზით.

**ნობათი- საყვირ-დაფი (+გინა სხვის ენით რიგი Ab) ZA (საბა 1991: 596).**

ნობათის მნიშვნელობა ძველ წერილობით ძეგლებში სხვადასხვანაირად აიხსნება:

1. როგორც საომარი მუსიკა: „სამხედრო მუსიკა,-საომარი მუზიკა. დაფი და ნაღარა, ბრძოლის ხმის მისაცემი საკრავი“ (შაჰ-ნამე 1916: 821); ომის თქარათქური, ხმაურობა, ზათქი, სამხედრო მუსიკა (ზილიხ.) აღნიშნულ ძეგლებში ეს ტერმინი არაბული

წარმოშობისადაა მიჩნეული მკვლევარების მიერ. ნობა (ნობი) ტერმინი უშუალოდ მუსიკალური ინსტრუმენტია: „საყვირ-დაფდაფნი“ (ქილილა და დამანა 1975: 1025; რუსუდანიანი 1957: 758; ჩუბინაშვილი 1984: 986; ჩუბინაშვილი 1961: 320), „სამხედრო საყვირი“ (ვეფხისტყაოსანი 1926: 272); საგანგაშო საკრავი (ქეგლ). 2. ჯერი, რიგი, დარაჯობა, ყარაული (ვეფხისტყაოსანი 1914: 195; შაჰ-ნამე III: 639; ძვ. ქრესტომათია IIტ; ყარამანიანი; კოტაშვილი 1985: 120; ჩვ. საუნჯე IIტ.), ამ უკანასკნელში ნობათი არის მორიგი სალაშქრო ბანაკი, ნობათ-კარავსა პირი გურგანისაკენ აქნევინა“. ნობათი-კარავი რთული სიტყვა დასტურდება „ვისრამიანშიც“- „სამეფო კარავი. თავისთავად ნობათი არაბულ-სპარსული წარმომავლობის სიტყვაა თუ. მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა დიდი კარავი (ბორჰანი)“ („ვისრამიანი“ 1962: 744). „იადიგარ-დაუდი“-ს მიხედვით ნობათი არის ცხელების დრო, წესი. იგი მომდინარეობს არაბ. თუ რიგი, დანიშნული დრო (იადიგარ-დაუდი 1938: 717). თ. ბაგრატიონი გვაძლევს აღნიშნული ლექსემის აღწერილობას: „ნობათი-რიგის რგება. რიგის რგება ეს არის ერთს საქმესა რაშიმე კაცი რომ იყოს განწესებული და თავის დანიშნულს დროს ანუ ყარაულობდეს, ან მუშაობდეს და საქმეს რასმე აკეთებდეს იმდენს დროსა და ჟამს, რაც დანიშნული დრო აქვს, როდესაც რიგი მიხვდება, საქმის აღსრულებისა ნობათი იმ დანიშნულ დროსა ნიშნავს. ყარაულობის რიგი, მაღალის ფასით სახმილავი არის ქართულად. ნობათი სპარსული ლექსი არის, მორიგეა, მორიგე ქართული არის“ (წიგნი ლექსიკონი 1979). 3. „მოზავებული ძღვენი“- (ჩუბინაშვილი 1961: 320). ქეგლ-ის მიხედვით არაბ. ნავბათ „რიგი, ჯერი“ ერთ-ერთი ძვ. მნიშვნელობაა - ძღვენი, საჩუქარი, მოსაკითხი.

არაბული - نوب/نوبة - nawbat/nuwab – 1. შემთხვევა, ამბავი; 2. რიგი, ჯერი, რიგ-რიგობით რისამე გაკეთება; 3. ჯგუფი (ხალხისა), რომელიც რიგ-რიგობით ასრულებს დავალებას, მცველი რაზმი, გარნიზონი (წერთელი 1951: 268). მხოლოდ „შემთხვევა, ამბავი, რიგი“ მნიშვნელობითაა ყურანისა და ჰადისემის ლექსიკონში (გირგასი 1881: 830). „მუსიკალური ნომერი, საყვირზე დაკვრა, საყვირის ხმა, ბარაბნების ხმა“ უფრო მოგვიანო პერიოდის დამატებაა (ჯონსონი 1852: 1338; ლენი 1968, VIII: 2862; ბარანოვი 1984: 837).

სპარსულ და თურქულ ენებში აღნიშნული ლექსემის მნიშვნელობებია: სპარსული ხიტ - 1. რიგი, ჯერი, პერიოდი, ცვლა. 2. ზეპ. ბარაბნების ხმა, რომელიც მოდიოდა შაჰის სამეფო კარიდან განსაზღვრულ დროებში (რუბინჩიკი 1961: 669). სპარსულში ეს ლექსემა არაბულ ნასესხობადაა ჩათვლილი (გაფაროვი 1974: 875; ანვარი 1382: 2392). თურქული nöbet - არაბული ეტიმოლოგია უდასტურდება 1. ჯერი, რიგი, 2. დარაჯი, გუშაგი, 3. შემთხვევა (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 681). აქედანაა ნაწარმოები პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინი nöbetçi / ნობეთჩი - მორიგე, გუშაგი, დარაჯის მნიშვნელობით, რომელიც ფიქსირდება აჭარულსა და იმერხეულში და მიუთითებს თურქულ შუამავლობას (ავალიანი 2005: 76). სალიტერატურო თურქულში დასტურდება ასევე nevbet ფორმა – რიგი. აჭარულ დიალექტში ბაგისმიერი „v“ თანხმოვნის გავლენით „e“ ხმოვანი გაბაგისმიერდა და გადავიდა „o“ ხმოვანში, შემდეგ კი „v“ თანხმოვნი ამოვარდა და მივიღეთ „ნობეთი“ (გურგენიძე 1973: 161)

შესაძლოა ეს ლექსემა სხვადასხვა დროსა და გზით იყოს დამკვიდრებული ქართულში. არაბული ას კომპლექსი > სპარსული იმ დიფთონგს ქართულში, რაც გვაძლევს იმის საშუალებას ვიფიქროთ, რომ საბას მიერ „სხვის ენით“ მიჩნეული ნობათი უშუალოდ არაბულიდან მომდინარეობს ქართულში. ნობათი – „საყვირ–დაფი; რიგი, ჯერი“ სპარსული გზით ჩანს ნასესხები, ხოლო „დარაჯი, გუშაგი“ უფრო თურქულის შუამავლობით (დას. საქართველოს დიალექტებში არსებობის გამო). „ჯერი, რიგი“ მნიშვნელობითაა ქიზიყურ და თუშურ დიალექტებში: „დიდ ოჯახებში რძლებსა აქვთ ნობათი შემოღებული: ერთ დღეს ან ერთ კვირას ერთი დიასახლისობს, მეორე დღეს ან კვირას – მეორე და ა. შ.“; რაჭულ დიალექტში ნობეთობა – მწყემსების მორიგეობაა (ღლონტი 1984: 423).

**სახასო – სხვათა ენაა, ქართულად ბლისტი ჰქვიან ZAa (საბა 1993: 74).**

ბლისტი- საკუთარი აგარაკი, სათავისთაო აგარაკი (საბა 1991: 106).

ქეგლ-ის მიხედვით ხასი არაბული (ხასსა) სიტყვაა და მისი მნიშვნელობებია: 1. ძვ. მეფესთან დაახლოებული პირი; 2. ნამდვილი, წმინდა, ხალასი; 3. დახვეწილი აბრეშუმი; 4. გაბედული, მოურიდებელი; 5. ხასად. ზმნს. გაბედულად, მოურიდებლად.

ქართველი ლექსიკოგრაფები ერთხმად აღიარებენ აღნიშნული ლექსემის არაბულ წარმომავლობას. „ეს ლექსი არაბული არის. ესე ნიშნავს რჩეულთა, გინა გამორჩეულთა, რომელნიცა სამეფოთა პალატთა შინა გამორჩეულ არიან და თანამდებობათა შინა არიან განწესებული; ხასი და დარბაისელნი, გინა დარბაზის ერნი, ესე იგი ჩინებულნი და დიდებულნი მეფისა კარისანი. ხასი არაბულად კადნიერს ეწოდება და რჩეულსა. ხასი შეჩვეული, ლალი, ცნობილი, კადნიერი, თავისუფალი და კარგათ მიჩნეული“ (წიგნი ლექსიკონი 1979); **خاصٌ/ხას**-განსაკუთრებული, სპეციალური, კერძო, პირადი, საკუთარი, განსაკუთრებით ხალიფასი, მეფისა, აქედან მეფური, სამეფო (წერეთელი 1951: 63); ჩუბინაშვილი 1984: 1725). ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით ხასი ტერმინი დასტურდება კლასიკური თუ აღორმინების ეპოქის ტექსტებში: „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „შაჰ-ნამე“, „ქილილა და დამანა“; „ვახტანგ VI, ლექსები და პოემები“; „შაჰნავაზიანი“. „სახასო— სათავისო, უსაშუალოდ შესახვედრი მეფისა ანუ მებატონისა, ვითარ ზვარი, ხოდაბუნი, გინა კაცნი მსახურნი და სხვა (ჩუბინაშვილი 1961: 359). სახას—ო: ძირია ხას; სა—ო პროდუქტიული, წარმოსაქმნელი აფიქსი (ფეიქრიშვილი 2010: 10). „ვისრამიანში“— „მისაღები, მოსაწონი, შესაფერი“—ს მნიშვნელობით იხმარება ხასი ფორმასთან ერთად „საკამსო“ (38,13).

ქართული ხასი მართლაც არაბული იყო სიტყვიდან მომდინარე ლექსემაა. არაბულში მისი მნიშვნელობებია: 1. სპეციალური, განსაკუთრებული; 2. კერძო, საკუთარი; 3. რაღაცასთან დაკავშირებული (ბარანოვი 1984: 222). აღნიშნული ლექსემა ყურანსა და ჰადისებში დასტურდება. **خاصٌ** > خاصّة < خاصّة დიდებული, ცნობილი, სამეფო კართან დაახლოებული (გირგასი 1881: 217). ეს სიტყვა არაბული წარმომავლობისადაა მიჩნეული ჯონსონისა (1852: 503) და ვულერსის (1866: 639) მიერ. არაბული წარმომავლობა უდასტურდება სპარსულ (ანვარი 1382: 889) და თურქულ (1977: 388) ლექსიკონებშიც. ამ უკანასკნელში has ფორმაა, რადგან ისტორიული ძვ. თურქული ჯ/x სპირანტი თანამედროვე სალიტერატურო თურქულში არ გვაქვს. იგი დასუსტების შედეგად ყველგან h თანხმოვანში გადავიდა და დაიკარგა: არაბული წარმოშობის სიტყვათა ანლაუტში თ. ლიტ. has (**حاصٌ**)= „განსაკუთრებული“, „სპეციალური“ (გურგენიძე 1973: 126).

ხასი იმდენად მოურგია ქართველ ერს სალაპარაკო ენაში, რომ მისგან, ნასესხები სიტყვიდან, საკუთარი კონფიქსით ახალი სიტყვა აწარმოა – სახასო. ეს არაბული წარმოშობის ლექსიკური ერთეული სპარსულის გზით დამკვიდრებულია, დაახლოებით XII საუკუნიდან.

**სევდა, სავდა – (სევდა CaqD)** სხვათა ენაა, ქართულად შავი ნავღელი ჰქვიან ZAB (საბა 1993: 81).

ქეგლ–ის მიხედვით „სავდა“ არაბული წარმოშობის ლექსემაა და „დარდს, ნაღველს, კაეშანს, ვარამს“ ნიშნავს.

არაბული *ساداء/sawdā'* (მდედრობითი სქესი სიტყვისა *اسودا/aswad*) „შავს“ ნიშნავს. როგორც სპეციალური სამედიცინო ტერმინი იგი „შავს“ (ნაღველს), „მელანქოლიას“ აღნიშნავს და წარმოადგენს ბერძნული სიტყვის პირდაპირ თარგმანს. ბერძნული მεლაგ– ჯილია, როგორც ცნობილია წარმოდგება სიტყვებისაგან ტალის ნათ. ბრუნვის სიტყვისაგან მელაც–შავი და ლილი. ასეთი ტერმინით აღინიშნება ფსიქიური დაავადების ერთ–ერთი ფორმა, რომელსაც ახასიათებს ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი, მოწყენილი, მწუხარე განწყობილება. ძველი ბერძნული მედიცინის მიხედვით, მელანქოლიის გამომწვევად ივარაუდებოდა შავი ნაღველით მოწამვლა. აქედან წარმოდგება მისი ბერძნული სახელწოდებაც. ამ ბერძნული სიტყვის თარგმანია *atrabilis* (ater – „შავი“, bili – „ნაღველი“; არაბ. ქართულში „შავი ნაღველი“, რომელსაც საბა ხმარობს). თუმცა „სევდა“ – ს გვერდით ბერძნული „მელანქოლია“ იხმარებოდა (წერეთელი 1951: 9).

ქართულ წერილობით ძეგლებში „სევდა, სავდა“ ფორმა XI საუკუნის „უსწორო კარაბადინში“ (3,29; 4,32) ფიქსირდება: „სპარს. სავდა, შავი ნავღელი, მალიხოლია, ანუ მელანქოლია. ძვ. მედიცინის მოძღვრებით, ერთი იმ ოთხ სითხეთაგანი, რომლებიც შედიან ადამიანის სხეულის შემადგენლობაში. ასეთებია: 1. შავი ნავღელი, ანუ სევდა; 2. ყვითელი ნავღელი, ანუ ზაფრა; 3. სისხლი და 4. ნახველი“ (1940: 511). უნდა აღინიშნოს რომ „წიგნი სააქიმოა“ – სა (1936: 324) და „იადიგარ დაუდი“ (1938: 721) – ზე დართული ლექსიკონების მიხედვით, აღნიშნული ლექსემა სპარსული წარმომავლობისადაა მიჩნეული. სპარსული წარმომავლობა უფიქსირდება „ვეფხისტყაოსნისა“ (1926: 278) და „ვისრამიანის“ (1962: 747) ლექსიკონებშიც.

أَرْأَدْعُلُو سُوْدَاء /sawdā, ῥօցօրԾ նալվելո, մելանքօլոյա, ցանցդեծուս ցրուա չեր կուգեզ պշրանժո ցոյշօրդեծ (ցորցասո 2006: 392). Ես Ծյըրմինո „մազո“ – գաճ մոմգոնարցոծս. արածուլո Իարմոմազլոնծ պատմություն աղնոմնուլ լոյշեմաս չշոնսոնուս լոյշեսոկոնժու դա պաշա Պեմոտիմամութվուլու մնոմնելոնծու յմաթեծ – „ծորութո սություն“ (շոնսոնո 1852: 722). Ելումոլոցուրագ արածուլո սություն „սեզդա“ սալութերաթյուրո տուրյուլ դա ուսմալուր Իյարոյեթո. ցանխազեծ ամ որո յըոյիս մեցլու օսաա, րոմ գլուխանդել տուրյուլու սևդա – յս արու 1. „սուպարյուլո, ցանցդա“; 2. ցագալուախու սուրցուլո (տուրյուլ–րուսյուլո լոյշեսոկոնո 1977: 766), եռլո ուսմալուրու մազո և „մելանքօլոյա“ (ուսմալուր–տուրյուլո լոյշեսոկոնո 2007: 473). Տպարսուլու աղնոմնուլո արածուլո سُوْدَاء /sawdā/ ցորմա Տպարսուլ ցրամաթուրո պալոծս մոյրցո դա սեմանքուրագաց մուսո մնոմնելոնծ ցագարտուզու ءُوْدَاء /sawdā/ > սُوْدَاء /souda-1. մելանքօլոյա, նալվելո; 2. ցագութունեթա; 3. մազո նալվելո (րոմելու մազելո մեգուրուսեծու րիմենու, ոիշեզս մելանքօլոյաս); 4. մլուցու սուրցուլո, ցրմոնծ; 5. սուպարյուլո, սասուպարյուլո կաշմուրո; 6. Պեկ. Տոմազ (րուծոնիկո 1964: 66). Օրանցու լոյշեսոկոցրագեծու աղնոմնուլ լոյշեմաս արածուլո Իարմոմազլոնծուսաց մուհինեզեն (անցարո 1382: 1342; մունո).

Պեմոտյմուլուգաճ ցամոմգոնարյ մեյօլոյեծ զուզարացուոտ, րոմ ءُوْدَاء /sawdā/ արածուլո Իարմոմազլոնծուս լոյշեմաա, րոմելու օսեսեա Տպարսուլմա դա ոյշեգաճ տուրյուլմա, եռլո յարտուլու, րոցօրԾ սամեգուցոնո Ծյըրմինո, ուժուալու դամկութուգու դաախլոյեծու Տ-XI Տալունեյեծուգաճ.

Պատարո – Տեզատա յնաա, յարտուլագ Տրություլո Ֆյուան ZAa (Տաձա 1993: 262).

Տրություլո–շոնրու մազուրուլո (Տաձա 1993: 112).

Աղնոմնուլո Ծյըրմինո յարտուլ Իյերուլոնծու մեցլոյեթո ցոյշօրդեծ րոցօրԾ կլասուր, ասեզ աղորմոնյեծուս յըոյիս մեցլոյեթո. „ազուրու տորմեթս պատարս ցենսա դա չշորսա“ (ամորանդարյշանունո 1967: 837). „շոնր–յէլոյմո, սապալնե ակուրություն Ֆորությունա Իյոյիա, չշուրու“ (րուստ.); „պատար–յրտ Իյոյիամո մոմացալ ցեռուրուտա չափու, յարապանո“ (եռլուր). Ամ մնոմնելոնծուս ցուրդուտ պատարս կուգեզ յրտու ցանմարյեծ ուժոյշօրդեծ: „արաճ. տուրյ. Քթար/պատար–յէլոյմուտա ան չշոնրտա յարապանո. Եալթյուր յնամո – մութու Եալթյուր, ան յրտու Իյոյիա կուրու“ (մակ–նամյ 1916: 839). յեցլ–ուս մոխեգուտ, աղնոմնուլո լոյշեմա

არაბულ–თურქული წარმომავლობისაა შემდეგი მნიშვნელობებით: (არაბ–თურქ. კათარ „მწკრივი ცხოველთა“) 1. ჯორთ შვიდეული, ქარავანი. „იმ ქვეყანას კარგად გავა, ყათარს მარილი აპიდე (შაჰ–ნამე); 2. კუთხ. (ქართლ.) იგივეა, რაც ეტი; 3. კუთხ. (ქვ. იმერ). კვალი. „ბიძიას მთელი ყათარი ჰქონდა ბაღში“ (ქეგლ).

ყათარის ამოსავალია არაბ. قطر/qatara ზმნა, რომლის ერთ–ერთი მნიშვნელობაცაა „ერთ ხაზად შეერთება, ვაგონების მიერთება“ და აქედან ნაწარმოები: قطر/qitār 1. აქლემთა ჯოგი, ქარავანი; 2. მატარებელი; 3. საომ. მწკრივი, კოლონა (ბარანოვი 1984:646). არაბული ნასესხობაა ეს ლექსემა სპარსულში: قطر/qatār 1. მატარებელი; 2. მწკრივი, კოლონა, ჯაჭვი, ქარავანი (რუბინჩიკი 1964: 270; ანვარი 1382: 1719) და თურქულ: katar–ქარავანი, ჯოგის კოლონა 2. მატარებელი, ეშელონი, შემადგენლობა (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 521) ენებში. როგორც არაბული წარმომავლობის ლექსემა დასტურდება ასევე ოსმალურ წყაროებშიც: katâr – მწკრივი, რიგი, ჯაჭვი (ოსმალურ–თურქული ლექსიკონი 2007: 245). თუმცა, ამ უკანასკნელში არსადაა საუბარი აქლემთა და ჯორთა ქარავანზე. ჯორი თურქულად არის katır (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 521). ყათირი ფორმა დასტურდება „ჯორის“ მნიშვნელობით ზემო აჭარულ დიალექტშიც: აჭ. ყათირ–ი, თ.ლიტ. katir (قطر)= „ჯორი“, „ვირისა და ცხენისგან დაბადებული უნაყოფო ცხოველი“. ნ. გურგენიძე შერბაკის კვლევაზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ მოცემული სიტყვა შესაძლებელია წარმოშობილი იყოს „kat“ – „აღრევა“ ძირიდან. ქართული ენის აჭარულ და გურულ დიალექტებში დადასტურებულ თურქიზმებსა და თურქული გზით შემოსულ არაბულ–სპარსული სიტყვების ანლაუტში ჭ/q–ს ძირითადად ენაცვლება „ყ“ თანხმოვანი. მესხურ–ჯავახური „ყათირი“; ლაზური „კატირი“ (გურგენიძე 1973: 72). თურქულ ფორმას ადასტურებს საბა მის ლექსიკონზე დართულ „უცხო შესატყვისობანში (იტალიურ–თურქულ–სომხური)“ (საბა 1993: 576).

შესაძლებელია ყათარი ლექსემის სპარსული გზით სესხება დაახლოებით XII საუკუნიდან, ხოლო დასავლეთ საქართველოს დიალექტებში დადასტურებული ფორმები ყათირი – „ჯორი“ (ზემო აჭარა), ყათარი – „კვალი“ (ქვემო იმერული) თურქული katır და ოსმალური katâr ფორმებიდან მომდინარეობს.

ყალბი– (უჯმ.) სხვათა ენაა, ქართულად რიოში ჰქვიან ZAB.

რიოში–შერყვნილი, არაწმინდა გინა ყალბი (საბა 1993: 11).

ქეგლ–ის მიხედვით, ყალბი (არაბ. კალბ) ეს არის „არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს მიმსგავსებული; 2. გადატ. არაგულწრფელი, მოსაჩვენებელი, ცრუ, ტყუილი“. ქართულ წერილობით ძეგლებში იგი თითქმის არ ფიქსირდება. საინტერესოა 1914 წლის ი. აბულაძის რედაქტორობით გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში აღნიშნული ჩვენთვის საინტერესო ლექსემა, სადაც მინიშნებულია მისი არაბული წარმომავლობა იგივე მნიშვნელობებით (ვეფხისტყაოსნი 1914: 200). დავით და ნიკო ჩუბინაშვილებთან „ყალბი“ ლექსემა არაბ. წარმოშობის ზედსართავი სახელია რიოში, გაყალბებული, გაკეთებული (ჩუბინაშვილი 1984: 1372).

თვით არაბულში „ყალბი“ قلب/qalaba ზმნიდან (გადაატრიალა, შეცვალა, ამოატრიალა, გადააქცია) მიღებული قلب/qalb სიტყვაა (ჯონსონი 1852: 975), რომელიც ასეთივე მნიშვნელობებით ჯერ კიდევ ყურანისა და ჰადისების ტექსტებში დასტურდება (გირგასი 2006: 677). დღევანდელ ქართულში მისი მნიშვნელობა ვნებითი გვარის მიმღეობას მიესადაგება (ლეკიაშვილი 1992: 89). დღევანდელ ქართულში არსებული ფორმა კი უდაოდ სპარსული გზით სესხებას ეკუთვნის, რადგან არაბული قلب/qalb > სპარსულ قلب/yalb 1. შეცვლა, შეტრუნება; 2. გრამ. სიტყვათა გადაადგილება, ინვერსია, მეტათეზისი, ბგერათა შეცვლა; 3. გაყალბებული, გაკეთებული, მოტყუებული (რუბინჩიკი 1964: 272). სპარსულში ნასესხობის ფონეტიკური თუ სემანტიკური სახესხვაობა ნათლად შეიმჩნევა. ჯ. გიუნაშვლის აზრით, სპარსული ჯ/ق არის ხშული უვულარი ყრუ თანხმოვანი, აკუსტიკურად ახლო მდგომი ქართულ „ყ“–სთან (გიუნაშვილი 1960: 75) კალბი > ყალბი.

თურქულში ყალბი ლექსემის ტრანსკრიპციაა: „kalp: გაყალბებული, გაკეთებული, მაცდუნებელი გარეგნობის ქონა“ (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 503), თუმცა სალიტერატურო თურქულის p თანხმოვნის გამჟღერებას ადგილი აქვს ნასესხებ სიტყვათა აუსლაუტშიც. სალიტერატურო თურქულის სიტყვათა აუსლაუტში p თანხმოვანი მეორეულ მოვლენას წარმოადგენს და ხმოვნიანი აფიქსის დართვისას აღიდგენს პირველად ფორმას, შდრ.: kap>kabi; dolap>dolabi (გურგენიძე 1973: 118).

„ყალბი“ ლექსემა, როგორც ზედსართავი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში იშვიათად დასტურდება. მისი სპარსულიდან ქართულში შეთვისება დაახლოებით კლასიკურ პერიოდს ეკუთვნის და ზეპირი გზაა სავარაუდო. შესაძლოა, აღნიშნულმა ლექსემამ გასაქანი ვერ ჰქოვა, რადგან აღორმინების ეპოქაში, „ქილილა და დამანაში“ ყალბის მნიშვნელობით გამოყენებულია „რიოში“ ფორმა (343,15), ასევე ამავე მნიშვნელობითაა „თაღლითი“ ფორმაც.

**შარიტი – სხვათა ენაა, ქართულად გრეხილი ჰქვიან ZAB; საკოჭავი თოკი CD (საბა 1993: 280).**

შარიტი საბას განმარტებით „საბელის“ ერთ–ერთი ფორმათაგანია: „ავრიტი“ – საბელი ხის ხლართაგან შეგრეხილი ZA; თელათა, ლაფანთა და მისთანათა ხეთა ქერქთაგან შეგრეხილი საბელი C (საბა 1993: 20).

შარიტი მომდინარეობს არაბული ტრიტ/sharīṭ ფორმიდან: „თოკი, თასმა“ (ბარანოვი 1984: 400). ჯონსონისა და ლენის ლექსიკონებში ამ ლექსემას არაბული ეტიმოლოგია უდასტურდება და მნიშვნელობათა არეალი უფრო ფართოა: 1. თოკი, რომელიც პალმის ხის ქერქისგან არის გაკეთებული, დაგრეხილი; 2. ჭურჭელი, რაშიც ინახება ქალის პარფიუმერია; 3. კომოდი (ჯონსონი 1852: 749; ლენი 1968: 258).

არ ფიქსირდება აღნიშნული ლექსემა სპარსულ ენაში. თურქულში şerit – თასმა, თოკი (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 80). შარიტი ლექსემა არ გვხვდება ქართულ წერილობით ძეგლებში. მოხევურ დიალექტში „გამონასკვა“ მნიშვნელობითაა შარტვა ფორმა (ღლონტი 1984: 623). უფრო სავარაუდოა ამ სიტყვის ზეპირი გზით დაკვიდრება ქართულში. თანხმოვანთა სრული დაცვითაა იგი გადმოცემული. არაბული → ქართულ ტ. ეს მიმართება ადრეულ საუკუნეებს განკუთვნება და უშუალო გზაზე მეტყველებს (ლეკიაშვილი 1992: 65). შარიტის ნაცვლად „ბაწარი, საგდებელი, თოკი“ – ს მნიშვნელობით იხმარებოდა „საბელი“ („ვეფხისტყაოსანი“ 1926: 275; „შაჰ–ნამე“ 1916: 825), რომელიც სულხან–საბას განმარტებით, რამდენიმე ფორმისა და დანიშნულებისთვისაა განკუთვნილი (საბა 1993: 19).

**შაღავათი – სხვათა ენაა, უკმარი და ცუდი ZAaB (საბა 1993: 281).**

ქეგლის მიხედვით, შეღავათი არის: „არაბ. სახავათ „ხელგაშლილობა, დიდსულოვნება“. ვალდებულების შემცირება, შემსუბუქება, გაიოლება, დაზოგვა, შვება“. ასეთივე მნიშვნელობებითაა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც, თან ავტორი ამ სიტყვის სპარსულ წარმომავლობას უთითებს (ჩუბინაშვილი 1984: 1395). ქეგლში დადასტურებული სახავათ ფორმა, არაბული წარმოშობის ლექსემა: სხავة/sahāwat سخی/sahī ზმნიდან – გულუხვობა, დიდსულოვნება (ჯონსონი 1852: 688). ასეთივე მნიშვნელობები უდასტურდება სპარსულ ენაშიც (რუბინჩიკი 1964: 23). თუმცა, საბას მიერ განმარტებული სიტყვის სემანტიკას თუ გადავხედავთ, აქ სრულ შეუსაბამობასთან გვაქვს ადგილი. ავტორის მიერ განმარტებული „უკმარი და ცუდი“ ანტონიმია ქეგლში დადასტურებული „გულუხვობა, დიდსულოვნება“ ფორმის და არანაირ კავშირშია მასთან.

ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს მეორე არაბული წარმოშობის სიტყვასთან სხავე/sahāfat – სიბრიყვე, უგონობა, უვარგისობა (ბარანოვი 1984: 351). ძველ ქართულში, საბას მიერ განმარტებული „უკმარი“ სწორედ „უვარგისი“ და „გამოუსადეგარია“ (ბალავარიანი 1957: 205).

ქართულ წერილობით ძეგლებში არც შაღავათი და არც შეღავათი ლექსემა არ ფიქსირდება. სერიოზული ფონეტიკური ტრანსფორმაცია განუცდია ამ სიტყვას ქართულში შემოსვლამდე. შესაძლოა აქ უშუალო, ზეპირ გზაზეც ვისაუბროთ.

სუფა/sahāfat > შაღავათი. არაბულ ს/ს-ს ქართულში შეესაბამება ს, ზ, შ. მაგ.: ჯაშუში – /għasħuš; არაბული ҳ/ჰ ფონეტიკურ მსგავსებას ამჟღავნებს ქართულ ველარულ ხ-სთან, მაგრამ გვაქვს რამდენიმე სიტყვა, სადაც ის გადმოსულია ღ-ს საშუალებით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასეთ შემთხვევებში ҳ/ჰ ყოველთვის მეზობლობს გრძელ ხმოვანთან: თარიღი (খর্ত/tařīħ). მართალია, არაბული ენაკბილისმიერი ყრუ ფ/ფ –ს შესაბამისი ფონემა ქართულში არ მოგვეპოვება და იგი ძირითადად გადმოდის ქართული წყვილბაგისმიერი ხშულით-ფ. მაგრამ, გვაქვს სიტყვები ნავთი (نفت/naft); დავთარი (دفتر/daftar), სადაც f > ვ მიმართებაა.

სავარაუდოა, რომ „შაღავათი“ უშუალოდ არაბულიდან ნასესხები ლექსემაა ქართულში ზეპირი გზით გავრცელებული.

## 2.5. ქართულად მიჩნეული არაბული ლექსიკა „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მრავლადაა ისეთი არაბული წარმოშობის ლექსიკა, რომელსაც წარმომავლობაზე მინიშნება არ ახლავს. ავტორი ქართულად მიიჩნევს არაბული წარმომავლობის იმ სიტყვებს, რომელნიც დიდი ხნიდან გავრცელებულა ქართულ ლიტერატურულსა და სამეტყველო ენაში და ამდენად შესულან ქართული ენის ლექსიკის ძირითად ფონდში. ესენია:

ავზი – ავაზანი ZABC; ავაზანი – (2 მეფ. 2,13) წყლის სადგური ZA; წყლის (წყალთ) საგუბარი BCb; გობი პირუტყვის საჭმელი Ca (საბა 1991: 40).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ავზი არაბული (ჰავზ) წარმოშობის ლექსემაა: „1. სპეც. სითხის საცავი დიდი დახურული ჭურჭელი ლითონისა—იგივეა, რაც ბაკი; 2. ძვ. იგივეა, რაც აუზი“ (ქეგლ—ი:152). ქართული წერილობითი ძეგლებიდან ის აღორმინების ხანის ტექსტებში ფიქსირდება: „ხევი, ბასეინი, რუ, აბანოს აუზი, ტანის დასაბანი როფი“—ს მნიშვნელობით (შაჰ-ნამე 1916: 794); „რუსუდანიანი“ (177,14); „თეიმურაზ II“ (1939: 235). ქართველი ლექსიკოგრაფი დ. ჩუბინაშვილი მიანიშნებს ავზი – ავაზანა ლექსემის არაბულ წარმომავლობას (ჩუბინაშვილი 1984: 55). თ. ბაგრატიონს ეს ლექსემა სპარსული წარმოშობისად მიაჩნია: „აუზი—ჰოუზ სპარსული არის, ქართულად აუზს საბანელი ეწოდება და ტბაჲ, რომელიცა წელითა მიერ კაცთასა ქმნილ არიან საბანელად გვამისა ანუ სახმარად წყლისა“.

ავზი მომდინარეობს „არაბული / حاض / hāḍa ზმნიდან. حوض/hawḍ - რეზერვუარი, წყლის ბაკი. მრ. რც./حیاض/hiyāḍ და /اھواض/aḥwāḍ - წყლის დიდი რეზერვუარი, ფანტანის ბასეინი, ცისტერნა“ (ჯონსონი 1852: 498). ეს ზმნა და სახელი ჯერ კიდევ ყურანში დასტურდება (hāḍa l- ma' - حاض الماء/ მოაგროვა; حاض/hawḍ – ბასეინი, წყლის საცავი) (გირგასი 2006: 203). არაბული წარმომავლობა უდასტურდება ამ ლექსემას სპარსულ ho(w)z (ანვარი: 881) და თურქულ havza (თურქულ რუსული ლექსიკონი 1977: 394) ენებში.

არაბული ფარინგალური ح/ه ქართულში გადმოდის, როგორც 0, ველარული ხ, ლარინგალური ჰ (ლეკიაშვილი 1992: 73). აკუსტიკურად არაბულ ض/ف-სთან ყველაზე

ახლოს დგანან ქართული და ზ. არაბული ც/ქ > ქართ. ზ მიმართება ძირითადად გულისხმობს მისი შემცველი არაბული სიტყვის სპარსული გზით შემოსვლას (ლეკიაშვილი 1992: 67). ამრიგად, არაბ. *ḥawd* > სპარს. *ho(w)z* > ავზი.

აკად. მ. ანდრონიკაშვილი ქართ. ავაზანი და სომხ. *Avazan* ფორმებისთვის ამოსავლად გულისხმობს არა სასანურ-ახალ სპარსულ *abzān*/ابزان, არამედ ჩრდილო-ირანული დიალექტური წრიდან (ან სოღდურ-პართულიდან ან სკვითურ-ალანურიდან) *vaz* ფუძეს „დინება“ (შდრ. ძვ. ინდ. *vah-*, ავ. *vaz-*, რუს. *воз*, გერმ. *wagen* და სხვა). შდრ. ძვ. ინდ. *váhati* „დის“, ავ. *vazaiδyāti* „დის“. ოს. *a-vazyn* „დაგუბება“, სოღდ. *āwāz* *āp* „გუბის წყალი“, სოღდ. *āwāz* (”*w'zh*), *āwazī* (”*wzyy*) „ტბა, გუბე“. საშ. ირ. *ā-vāzān* < ძვ. ირ. *ā - vāz-* *āna* „საგუბარი, სადინარი, წყალსაცავი“ (ანდრონიკაშვილი 1966: 218).

სავარაუდოა ავაზანი მომდინარეობდეს არაბული چართულში მრავლობითი რიცხვის ფორმიდან *احواض*/*ahwād*, რომელიც ქართულში ნარიანი ფორმით დამკვიდრდა: აჰვაზ>ავაზ+ნ+ი=ავაზანი. ნასესხებ ენაში დაიმატა მნიშვნელობა – „გობი პირუტყვის საჭმელი“ > შდრ.: მესხურ, იმერხეულ და აჭარულ დიალექტებში: „დიდი გეჯა, ხის მოგრძო ვარცლი პირუტყვისათვის წყლის სასმელად“ (ღლონტი 1984: 24).

ავზი چართულში /ავაზანი ლექსემა ქართულში დამკვიდრებული ჩანს სპარსულის გზით დაახლოებით XV-XVI საუკუნიდან.

### აკიდო – ხილ(ნ)ი ერთად შებმულ(ნ)ი ZABC.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „აკიდო (აკიდოსი) 1. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა (შდრ. კრჩხა, ჩხა); 2. სიმინდის წყვილი ტარო, ფუჩეჩით გადაბმული; 3. ხილის ასხმულა, ჯაგანი (1986: 22). დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში აკიდო ლექსემის ორი ვარიანტია მოცემული: 1. ზოგადად ხილს მიუთითებს: ჯაგანი, ხილი ერთად შებმული წნელითა, თითოს აკიდოს ჩხირზედ დაჰკიდებენ. 2. აკიდო – შავი ყურძენი (ჩუბინაშვილი 1984: 17). ქართული ენის დიალექტებიდან გხვდება ქართლურ „აკიდო ისეთი ტოტია, რომელსაც ორი მტევანი აბია“ და ლეჩხუმურ დიალექტებში „ჯანაგა“ (ღლონტი 1984: 27).

არაბულში და/‘aqada ზმნიდანაა მასდარი ‘aqdun „შეკრა; გასკვნა, კვანძი გაუკეთა“; ‘aqīdatun „1. კვანძი, კავშირი; 2. რწმენა, სარწმუნოება“; ‘uqdatun „კვანძი, კავშირი, მცენარეებით სავსე ადგილი“ (წერეთელი 1951: )

პროფ. გ. ჩიქოვანი აკიდო ლექსემისთვის ამოსავლად გულისხმობს არაბ. تعتقد/tā'anqada „ეკიდა მტევნებად“ ოთხთანხმოვნიანი ზმნიდან ნაწარმოებ სიტყვას عنقد/‘unqūd „მტევანი“ (ჩიქოვანი 2002: 204).

არაბული წარმომავლობა უდასტურდება ‘unqūd ლექსემას ლენის (1968: 2107) ჯონსონისა (1852: 880) და ალ-ვასიტის (2004: 614) ლექსიკონებში. სპარსული ფორმაა ‘onqud „ყურძნის მტევანი“, რომელიც არაბული ნასესხობაა (ანვარი 1382: 1571).

რადგან აკიდო ლექსემა კლასიკური და აღორძინების ხანის ტექსტებში არ დასტურდება, სავარაუდოა ამ ლექსემის ზეპირი გზით დამკვიდრება ქართულში.

ალყა – აბრეშუმის ძალი ZCq, აბრეშუმის ძალი, გინა გარ–მოვლებული ABCab (საბა 1991: 48).

ეს ლექსემა კლასიკური და აღორძინების ხანის ტექსტებში ფიქსირდება: „არაბ, ჰალკ. წრე, სალტე, ირგვლივ შემორტყმა“ („ვეფხისტყაოსანი“ 1914: 185); „წრე რგოლი“ („ვისრამიანი“ 1962: 732); „დახედეთ, ესეთი ალყა შეეკრათ, რომ თვალი ვერსით მისწვდებოდა, ნადირთა სიმრავლე ხომ არ დაითვლებოდა“ („რუსუდანიანი“ 221,25). იოანე ბაგრატიონის განმარტებით, „ალყა ეწოდება აბრეშუმისგან ქმნილსა ძალსა, ესე იგი საკრავზედ ასაბმელსა დასაკრავად, ნაცვლად სიმისა, რომელნიმე უწოდებენ ჩონგურზედ და მისთანაზედ შებმულს იონლრებს, აბრეშუმისგან ქმნილსა, რომელსა თათარნი ფარდებს ეძახიან (ქუთათელაძე 1975: 155).

ალყა მომდინარეობს არაბული ჰلق/halaqa ზმნის მასდარის ფორმიდან ჰلقة/halaqat - წრე, რგოლი, ჯაჭვი (ჯონსონი 1852: 490). აღნიშნული ლექსემა ყურანშიც დასტურდება (გირგასი 2006: 19). ქართველი ლექსიკოლოგები მიუთითებენ ამ სიტყვის არაბულ წარმოშობაზე. გ. წერეთელი მას ადარებს ქართ. ალყა; ჯაჭვის პერანგს (გ. წერეთელი 1951: 56).

გ. ანდრონიკაშვილის აზრით, ალყა სიტყვის აღნიშნული მნიშვნელობა განვითარებულია არა ალყის – „რგოლი, ჯაჭვის“ ცნებიდან, არამედ ამოსავლად

გულისხმობს მეორე არაბულ სიტყვას – علق/allaqā - დაკიდება, დაბმა, მიბმა, დაკავშირება. علاقة/alāqat – „საბელი, თოკი“. მკვლევარი ფიქრობს, რომ ქართულში ეს სიტყვა ალბათ სპარსული გზით მოდის. ალყა-წრე და ალყა-სიმი წარმოადგენენ ე.წ. ჰეტეროგენულ ომონიმებს, ე. ი. მომდინარეობენ სხვადასხვა არაბული სიტყვებიდან, რომლებიც ქართულში დაემთხვა ერთმანეთს სიტყვის თავში չ-სა და ჩ-ს დაკარგვის გამო (ანდრონიკაშვილი 1965: 311).

სავარაუდოა ალყა სიტყვის წარმომავლობა არაბული ჰაلاق/halaqa ზმნის მასდარის ფორმიდან ჰაلاقة/halaqat - წრე, რგოლი, ჯაჭვი (ლენი 1868: 630). მ. ანდრონიკაშვილის მიერ საბელი, თოკად აღიარებული არაბული ჰالاقة /alāqat არის აბსტრაქტული სახელი, რომლის მნიშვნელობებიცაა: ურთიერთობა, კავშირი, შეჩვევა, სასიყვარულო ურთიერთობა (ბარანვი 1984: 533), ხოლო ჰالاقة /ilāqat-საბელი, თოკი (ბარანვი 1984: 533). არაბული 'ilāqat ქართულში მოგვცემდა ილაყა ფორმას (თუკი შემოსვლის გზად სპარსულს მივიჩნევდით. არაბ. ڙ > სპარს. ڧ), რაც ნამდვილად ვერ იქნებოდა ალყა ფორმა.

საბას მიერ განმარტებული „აბრეშუმის ძალი, გინა გარ-მოვლებული“ ნამდვილად გულისხმობს წრე, რგოლს, რკალს. შდრ.: ძალი-წელის ალყა (საბა 1993: 350). „ალყა-რგოლი: ერთგულების ალყა ყურში უნდა გამეყარაო. ერთგულების რგოლის (ალყის) ყურში გაყრა ნიშნავს ვინმესადმი თავდადებას, მორჩილად ყოფნას, მონად გახდომას და სხვ.“ (შაჰ-ნამე III: 622). ასეთივე მნიშვნელობები უდასტურდება სპარსულ (ანვარი 1382: 873) და თურქულ (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 380) ენებშიც, სადაც ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად არაბული წარმომავლობისაა. არაბული წარმოშობისად მიიჩნევს მას ზენკერიც (ზენკერი 1866: 394).

რადგან ეს ლექსემა XII საუკუნიდან ფიქსირდება წერილობით ძეგლებში, ამასთანავე არაბული ფარინგალური چ/ჩ ქართულში ძირითადად იკარგება სიტყვის თავში: حملة/hamala > ამალა; حاجب/hāğib > უჯიბი; არაბ. ڙ > სპარს. ڧ; არაბული მდედრობითის მაწარმოებელი at სუფიქსიდან t ნასესხობებში ძირითადად იკარგება, მაშინ ჰალკა > ალყა, სპარსულიდან სესხება უფროა სავარაუდო.

ალვა – გარეშეთა წერილთა შინა სუნნელად აღუწერიათ, საკმეველად. და სომხურად ალოს ეწოდების, და სპარსულად შაქრით შემზადებულსა საჭმელსა, რომელსა ქართულად პუნგია ეწოდების Z (საბა 1991: 46).

Cab რედაქციაში ქართული პუნგიას მომზადების წესი უფრო ვრცლადაა განმარტებული: „...სპარსთა მიერ ალვა შაქრითა და თაფლითა მრავალ რიგთა რასმე შემზადებენ საჭმელებთა ტკბილთა მას უწოდენ“.

ალვას ამოსავალია არაბული ლ/ḥalā ზმნა – „იყო ტკბილი, გახდა სასიამოვნო, დაშაქრული“ და მისგან ნაწარმოები ჰლო/ḥalwa–„ტკბილი საჭმელი“; ჰლავ/ḥalāwat-ტკბილეული (გირგასი 2006: 192; ლენი 1868: 633). ჯონსონის „არაბულ-სპარსულ-ინგლისურ“ ლექსიკონში, არაბული ჰალვას ერთ-ერთი მნიშვნელობაა: მომცრო ზომის ხე, ეკლიანი ხე (ჯონსონი 1852: 489). შდრ.: > ალოე. ამ უკანასკნელის სპარსული ფორმაა ალვა/ḥalwa-ალოე (ზენკერი 1866: 92). სპარსულში დადასტურებული ჰლوا/ḥalwā არაბიზმადაა მიჩნეული მოინის (მოინი 1996: 1370), ანვარის (ანვარი 1382: 874) ლექსიკონებში. თურქული helva არაბული წარმოშობის ლექსემა (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 400), რომელიც ოსმალურ წყაროებშიც დასტურდება იგივე მნიშვნელობით (ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 173).

ლ. ავალიანი სადისერტაციო ნაშრომში მიუთითებს მე-ალვ-ე პროფესიის აღმნიშვნელ ლექსემას – „ალვის მკეთებელი ან გამსყიდველი“ და სამართლიანად მიანიშნებს ფუძე სიტყვის არაბულობას (ავალიანი 2005: 94).

ქართულ წერილობით ძეგლებში, ალვა ლექსემა „ვეფხისტყაოსანში“ ფიქსირდება და მას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ალვა-ალვის ხე, საკმევლის ხე (19,1); ალვა-როგორც ზმნა, „ალის კიდება, ნთება, გზნება, ცეცხლის დება“ („ვეფხისტყაოსანი“ 1926: 241); „ალვის ხე“ (ამირანდარუჯანიანი: 334,9); „საკმეველი, სურნელოვანი ნივთიერება“ (ვისრამიანი: 40,11); „ალვის ხე, სამოთხის ხე“ (შაჰ-ნამე I: 182,4). „ქილილა და დამანას მიხედვით“ ალვა-ჰალვაა, ტკბილეული (ქილილა და დამანა:1008), თუმცა ჯერ კიდევ XI საუკუნის ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ ფიქსირდება „ალვა“ სიტყვა „ჰალვა“-ს მნიშვნელობით, ასევე „ალვა შაქრისა“ – „შაქრის ჰალვა ანუ შაქრით შემზადებული ტკბილეული, ანუ ტკბილი სანუკვარი“ (უსწორო კარაბადინი 1940:473).

ამ სიტყვის განმარტებისას ავტორი საკმაოდ შეუსაბამობაში მოდის. ერთ-ერთ შეუსაბამობად ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ პუნგიას განმარტებისას იგი წერს: „ტკბილნი ნამზადები, რომელსა თურქნი (ჰ)ალვას უწოდენ“ (საბა 1991: 631). ეს სიტყვა ხან სპარსული, ხანაც თურქული წარმოშობისაა. არაბული ჰ ნასესხობებში ძირითადად იკარგება, თუმცა გვაქვს ჰერ პარალელური ფორმები: ჰაშიში/ხაშიში (ლეკიაშვილი 1992: 73).

სავარაუდოდ, აღნიშნული ლექსემა ტკბილეულის მნიშვნელობით, ჯერ კიდევ არაბობის პერიოდში გაჩნდებოდა ქართულში.

**ამირა – (+ამირან–დარეჯ. Z) უფროსი AZBC** (საბა 1991: 51).

„ამირანდარეჯანიანის“ მიხედვით, **ამირა** – „ქვეყნის ან მხარის განმგებელი“ (365,7). „ვეფხისტყაოსანში“ ამ სიტყვის კომპოზიტური ფორმებია: „ამილახორი – სპარ. ამირახორ–მეჯინიბეთ–უხუცესი, ობერშტალმეისტერი (23,2); ამირბარი–სპარს. არაბ. ამირბარ–მხედართ მთავარი, დიდი სარდალი; ამირ–სპასალარი (263,2); ამირ–სპასალარი –(ამირ–სიფოჰსალარ) – სარდალი; ჯართ წინამდღოლი (9,1) („ვეფხისტყაოსანი“ 1914: 186).

ამირას ამოსავალია არაბული *امير/ amīr* – მბრძანებელი, მმართველი, განმგებელი, მთავარი, მარზაპანი, ემირი (წერეთელი 1951: 17). შდრ.: ამირასი – (არაბ. ამირ) – ისტ. მბრძანებელი, უფროსი ემირი. არაბთ ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში არაბობის დროს – ხალიფას ნაცვალი (ქეგლი: 311).

ამილახორი და ამირ–სპასალარი არაბულ–სპარსულ ლექსიკურ ერთეულებს წარმოადგენს. ამირბარი – არაბ. ამირ–ალ–ბაჰრ „ზღვის ამირა. ისტ. საზღვაო ფლოტის უფროსი – ადმირალი“ (ქეგლი: 311). ს. ცაიშვილი ამ სიტყვის განმარტებისას ეყრდნობა ნ. მარის მოსაზრებას. სპარსული *Amir-bar-i* ამირბარი, ნიშნავს სასახლის ემირს, ობერ–ჰოფმაისტერს, სახლთუხუცესს. შდრ.: „თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირ–სპასალარობა“. ტარიელის მამას და შემდეგ ტარიელს მეფემ ჩააბარა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება. ე.ი. ინდოეთის სინამდვილეში. პოემის მიხედვით, ამირბარობა ითავსებდა ორ სახელოს, ორ თანამდებობას („ვეფხისტყაოსანი“ 1986: 314). ნ. მარი ამ სიტყვის განმარტებისას *ა/ barr* ფორმას გულისხმობდა: „მიწა, ხმელეთი, კონტინენტი“, რომელიც არაბიზმია სპარსულში (ანვარი 1382: 315). როგორც სამოხელეო

ტერმინი – ამირბარი – ხმელეთის ემირი, უფროსი იგი არ დასტურდება, როგორც მხატვრულ, ასევე ლექსიკოგრაფიულ შრომებში. „ვეფხისტყაოსანში“ იგი ალბათ ავტორის მხატვრული ოსტატობის შედეგი, ან მკვლევარების მიერ არასწორად ამოკითხული ფორმაა. ამირბარი არაბული კომპოზიტია: امير+البحر /amīru-l bahr– ამირბარი–ადმირალი (ბარანოვი 1984: 44). ე.ი. პოემის მიხედვით, ტარიელი იყო, როგორც ადმირალი, ასევე მთავარსარდალიც. სპარსული ენის ლექსიკონის მიხედვით საბა ამ სიტყვის განმარტებისას ორჭოფობს სიტყვის მართლწერისას ამირბარი თუ ამილბარი? არაბული რ ქართულში შემოსულ სიტყვებში გვაძლევს ქართულ რ–ს, თუ არ ჩავთვლით დისიმილაციის ცალკეულ შემთხვევებს: „ხანჯალი/ხანჯარი“ (ლეკიაშვილი 1992: 68). „ამირ–ლ–ბაჰრ“ ამ შემთხვევაში რ და ლ სონორებს წარმოადგენენ და რ–ს დაკარგვა უფრო მოსალოდნელია. თუმცა რა თქმა უნდა, სწორი ფორმაა – ამირბარი.

თანხმოვანთა სრული დაცვითაა ამირა, სამოხელეო წოდება, ქართულში უშუალო გზით დამკვიდრებული VIII საუკუნიდან. „წარმოავლინა მაჰდი ამირა მუშმან ბრძანებითა ღმრთისათა სტეფანოზ“ (ჰაბო 66,33). ამირბარი უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება.

**ამბარი– სუნ(ნ)ელია, ზღვისაგან გამოიღებენ, რომელ(ნ)იმე ფუტკართ(ა) ფიტს(ა) იტყვიან, სხვანი თევზთა შავასა, სხვანი სხვასა ZAB (საბა 1991: 49).**

ლექსიკოგრაფიულ შრომებში ანბარი განმარტებულია, როგორც არაბული წარმოშობის სიტყვა. „არაბ. ამბარ–სურნელოვანი ნივთიერება (შდრ. მუშკ– ამბარი)///მყრალი რამ, ცუდსუნიანი რამ“ (ქეგლ–ი: 299); „ambar–ცვილისებრი ნივთიერება, რომელსაც ვეშაპი გამოყოფს; იყენებენ პარფიუმერიაში“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი 1989: 34); „საკმეველია კეთილსუნოვანი. ლექსი ესე წარმოებს არაბულის ლექსისგან ემბრა, რომელიცა არს არსება სუნოვანი, ადვილად მწველი ანუ აღსაგზნებელი, მსუბუქი, პოხიერი, ფერად ყომრალი, შინაგიან კერძოდ ჭრელი, თეთრად მოელვარე კნინების წინწკლწბითა“ (იოანე ბაგრატიონი 1986: 24); „ოთ აფაბ. თმის, ჰამბარი, სუნნელი, ამოღებული ინდოეთის ზღვს კიდეთა ზედა“ (ჩუბინაშვილი 1971: 31); „არაბ. ამბრი– ბალახეული“ (ჩუბინაშვილი 1984: 24); „სურნელოვანი ნივთიერება, რომელიც მიიღება

კაშალოტთა გვარის ცხოველთაგან. ხმარობდნენ ნერვების დასამშვიდებლად. ეხლა საპირფარეშო მასალაა. მეტად ძვირფასია. 1 კილო-7 ათასი მარკა. საუკეთესო ჯიშის ამბრი არის ყვითელი ანუ ქარვის ფერი“ (იუსტ. აბულაძე რუსულ-ქართული ლექსიკონი 1927: 68). თუმცა, ლ. კოტეტიშვილს عنبر ძირის ამოსავლად ბერძნული ამბარი ჰგონია (წიგნი სააქიმოვ 1936: 300).

ქართული ამბარი მომდინარეობს არაბული عنبر/‘ambar – „ძვირფასი პარფიუმერია, სურნელი. მასზე ამბობენ ზღვის ცხოველების ექსკრემენტებიაო ზღვის ფსკერზე. ცვილისებრი მასაა, რომელიც დროთა განმავლობაში წყალში იხსნება და ტალღების საშუალებით გამოირიყება ნაპირზე“ (ჯონსონი 1852: 878). ლენი ერთ-ერთ მნიშვნელობად ზღვის ბოსტნეულს, სუნელს ასახელებს, რომლების ტალღების საშუალებით ნაპირზე გამოირიყება (ლენი 1968: 453). მის ყვითელ ფერსა და ვეშაპის ექსკრემენტზე ვიგებთ „ლისანუ ლ–არაბისა“ (671) და „ალ–ვასიტის“ (2004: 660) ლექსიკონებიდან.

ქართული წერილობითი ძეგლებიდან ამბარი ლექსემა პირველად „ქართლის ცხოვრებაში“ (172,9) ფიქსირდება –საჭმელი, სულნელია ერთგვარი: წარმოიღეს ხარვი... მუშკი ლიტრა ათასი, ამბარი – ეგზომვე“ (აბულაძე 1973:5). არაბული չ/ ქართულ ნასესხობებში ძირითადად იკარგება: عرق/araq=არაყი. არაბ. ‘anbar/عنبر > ქართ. ამბარი, სადაც ხდება ნაწილობრივი ასიმილაცია მომდევნო ბილაბიალურ თანხმოვანთან (ლეკიაშვილი 1992: 68). შესაძლოა სიტყვის შემოსვლის გზა უშუალო იყოს.

არიფანა – მოყვასთაგან საჭმელთ შე(მო)კრება ZABC; არიფი – საყვარელი, ფავრიტი Cb (საბა 1991: 65)

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, არიფი არაბული წარმომობის ლექსემაა ‘არიფ – „რწმუნებული“. 1. ძვ. ამხანაგი, ტოლი, თანამონაწილე, თანამოზიარე 2. თანამეინახე (სუფრაზე) (ქეგლი 566). როგორც არაბული წარმომავლობის ლექსემა განხილულია იგი კლასიკური თუ აღორძინების ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებზე დართულ ლექსიკონებში: „ჰარიფ“ დაახლოებული პირი, ტოლი, სუფრის მოზიარე (ვეფხისტყაოსანი 1926: 242); „მეგობარი, მონაწილე, დაახლოებული პირი“ (შაჰ-ნამე 1916: 793); „ტოლი, მეგობარი, ამხანაგი“ (რუსულდანიანი

1957: 704); („ქილილა და დამანა“ 1975: 1009); („ვისრამიანი“ 1962: 732). („თეიმურაზ I“ 1933: 288). თ. ბაგრატიონის განმარტებით, „არიფი ეს არის ერთი მეორის აზრზედ მდგომი. არიფი – ესე იგი ნერიფ, არაბული სიტყვა არის, ნიშნავს მეგობრობაში, გინა ჭკვაში თანასწორებას და თანახმაობასა ნიშნავს, გინა ურთიერთისს სიყვარულშია თანასწორებასა“ (წიგნი ლექსიკონი 1979). „ქალაქური ლექსიკონის მიხედვით“, „არიფი – 1. მეგობარი, ტოლი, მოზიარე, თანამზრახველი, 2. მიამიტი, ხამი, ადვილად მოსატყუებელი, მიმნდობი. არაბულად ჰარიფი ხელოსანს ნიშნავს. 2. ინდოეთში მამაკაცის სახელია“ (გრიშაშვილი 1997: 30).

არიფი მომდინარეობს არაბული სიტყვიდან *حريف/harif* კაცი მეგობარი, მეტოქე, კომპანიონი (ჯონსონი 1852: 471;). არაბულ წარმომავლობას ადასტურებს ზენკერი: *herifâne* - მეგობარი (1866: 406) და ვულერსი (1855: 617). არ განუცდია ფონეტიკური თუ სემანტიკური ტრანსფორმაცია აღნიშნულ ლექსემას თურქულ ენაში: *harif*-კოლეგა, მეგობარი, თანამოზიარე (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 387); საქმე სხვაგვარადაა სპარსულში, სადაც ზემოთჩამოთვლილ მნიშვნელობებს ემატება საბას მიერ განმარტებული: „საყვარელი“ და იშვ. „სუფრის მოზიარე“ (რუბინჩიკი 1964: 500). სწორედ ამ მნიშვნელობით განმარტავს აღნიშნულ ლექსემას დ. ჩუბინაშვილი „ყრმათა საერთო პურობა“ და მიუთითებს სპარსულ წარმოშობას (ჩუბინაშვილი 1984: 45).

თანამედროვე ქართულში არიფი ფორმა სემანტიკურად შეცვლილია. კერძოდ, იგი უსუსურს, გამოუცდელს ნიშნავს. „რა არიფი ხარ!“, რა გამოუცდელი, არაფრის მცოდნე. ეს მოდიფიკაცია გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის. ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს არა *حريف/harif* სიტყვასთან, არამედ მეორე არაბულ ლექსემასთან /*arif*/ რომლის პირველადი მნიშვნელობაცაა: „მასწავლებლის დამხმარე; მოსწავლე“. მეორადი მნიშვნელობა – „უფროსი, რწმუნებული, ზედამხედველი“ (ლენი 1868: 2016). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოტანილი განმარტებანი ორი არაბული სიტყვის კონტამინაციას წარმოადგენს. 1. ‘არიფ – عريف /*arif* – „რწმუნებული“. 2. *حريف/harif* – ჰარიფი-ტოლი, ამხანაგი, თანამონაწილე. ორივე შემთხვევაში არაბული თავკიდური ჯ და ჯ ნასესხობებში იკარგება.

საბას მიერ განმარტებული „არიფი“ სპარსული გზით შემოსული არაბული ლექსემაა ქართულში დაახლოებით XII საუკუნიდან.

ასაბადი – სასაგნო ZABC (საბა 1991: 68). სასაგნო – „სასაგნო ასაბადი, ესე არს მშვილდოსანნი, სადა ნიშანსა დასდებენ ისრისა სასროლელად, წელის წაყრის სიმარჯვისათვის“ (საბა 1993: 53).

აღნიშნული ლექსემა განხილული აქვს მ. ანდრონიკაშვილს სტატიაში „არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში“ (1965: 311). ამოსავლად ამ სიტყვისათვის მიაჩნია არაბული არაბული არაბული ზმნიდან ნაწარმოები სიტყვა / حساب / ḥisabat „ქვა, კენჭი“. ე. ი. სასროლი. حساب/ḥisaba- „ისროლა, გადააგდო“, ხოლო ასაბადი სასროლი > სამიზნო, სანიშნო.

ეს სიტყვა გვხვდება „ვისრამიანში“ თავისი სინონიმური პარალელებით: „სანიშნო“ და „სასაგნო“, რომელიც უეჭველს ხდის მის მნიშვნელობას: „მითცა აწ სანიშნო გაგიკდია ვითა სასაგნო ასაბადი, და მუნამდის ესროდი, რომელ სიბრალული და ნანვა შენვე შეგექმნას და ეგრე სთქუა“... („ვისრამიანი“ 216).

არაბული ح/ḥ დაიკარგა სიტყვის თავში, ხოლო 〈 > დ. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, შესაძლოა ქართული „ბად“ ძირიდან იყოს ნაწარმოები სიტყვები: საბადი, საბადო და სხვა (ანდრონიკაშვილი 1965: 311–312).

**ასაბია – მტერზედ მიმყოლი, შემწე Z (საბა 1991: 68).**

„ჩემი საქმე შენთუის მიცნობებია, შენად ომად გამომართულვარ, საგუშაგოსა ზედა ყოველგან გუშაგნი დააყენენ, ყოველი ადგილი გაიმაგრე, ლაშქარნი შეიყარენ, ასაბიანი მოიკიდენ და ვითარცა გწადია ეგრე დაემზადე“ (ვისრამიანი 117,4).

აკად. მ. ანდრონიკაშვილი ამ ლექსემის ამოსავლად ორ არაბულ სიტყვას მიიჩნევს: احساب/حسيب - ḥasib/ahsāb „კეთილშობილი, დიდგვაროვანი“; მეორე صاحب/ṣāhib „თანამგზავრი, ამხანაგი, მეგობარი, კომპანიონი“. ქართულ ასაბიაში წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით اصحاب/afshāb „თანამოღვაწენი, თანაშემწენი, მომხრენი“. მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ სიტყვაში მოხდა კონტამინაცია ამ ორი არაბული სიტყვის, რასაც მოწმობს ქართული სიტყვის მნიშვნელობაც: „ამალა რჩეულთაგან“ (ანდრონიკაშვილი 1965: 312).

ام لექსემის ამოსავლად სხვა არაბული სიტყვა შეიძლება იყოს: - عصائب/عصابة - 'išābatun/'aşa'ibu – „1. შესახვევი, ბინტი; 2. წრე, ბანდა; 3. პარტიზანული დაჯგუფება“ (ლენი 1868: 2060).

აღნიშნული ლექსემა ჯერ კიდევ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება „მეშველი, დამხმარე, შემწე“ „უკუეთუ ვინმე იპოვის ასაბიად და ერთი-მეორისა მეშველი“ (ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი: 68,19). ასეთივე მნიშვნელობებითაა: „ამირანდარეჯანიანში“; „შაჰ-ნამეში“; „ქილილა და დამანასა“ და „ვახტანგ VI ლექსემის კრებულში“.

არაბულ წარმომავლობას უთითებს დ. ჩუბინაშვილი ზემოხსენებულ ლექსემას „ყურცემული, მოყვასი. მტერზედ სამტროდ და მოყვარესთან სამოყვროდ, თანა მოსაგრე, თან მოლაშქრე, თანაზიარი, თან მონაწილე“ (ჩუბინაშვილი 1984: 48).

არაბული ეტიმოლოგია უდასტურდება სპარსულ (რუბინჩიკი 1964: 182) და თურქულ (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 67) ენებშიც. თუმცა აქ „მტერზედ მიმყოლსა“ და „მაშველზე“ საუბარი არ არის.

ასაბია მომდინარეობს არაბული /عصابة/ 'išābatun მრავლობითი რიცხვის ფორმიდან ასაბია /عصائب/ 'aşa'ibu. „პარტიზანული დაგჯუფება, წრე ბანდა“ მართლაც რომ „შემწე“ და „დამხმარე“ ძალაა ომიანობისა და ბრძოლის დროს. საფუძვლიანია ამ ლექსემის მრავლობითის ფორმით გავრცელება, რადგან საქმე გვაქვს „ამალასთან“. არაბული 'aşa'ibu > aşabu > ასაბი(ა) (მოერგო ქართულ ყალიბს. რადგან აღნიშნული ლექსემა „მტერზედ მიმყოლი, შემწე“-ს მნიშვნელობით სპარსულ და თურქულ ენებში არ დასტურდება და ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ფიქსირდება, სავარაუდოა მისი უშუალო გზით დამკვიდრება დაახლოებით X-XI საუკუნეებში.

ბაბლანი – (ფრინველია მოწყენილი, წყლის უსმელი, რომელსა თურქი ბუთიმარს უხმობენ ZA (საბა 1991: 88). ასეთივე მნიშვნელობითაა მოყვანილი B და D რედაქციებშიც.

კლასიკური და აღორძინების პერიოდის არც ერთ ლიტერატურულ ძეგლში ეს სიტყვა არ არის მოხსენიებული, მხოლოდ „ქილილა და დამანაში“ ვხვდებით პირველად: ბაბლანი–(ორ.504: ბუთიმარ–ყანჩა; ბუთიმარი) „დიყაბი“ (ქილილა და დამანა 1975: 1010)

და აქედან მოყოლებული ნ. და დ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებში: ბაბლანი – (თათრ.) მფრნ. პოყა (დ. ჩუბინაშვილი 1984: 89). თავის მხრივ ბუთიმარი (بوتيمار) სპარსული წარმოშობის სიტყვაა (ოსმალურ–თურქული ლექსიკონი 2007: 62).

ლენი ამ სიტყვას არაბული წარმოშობისად მიიჩნევს და ასეთ განმარტებასაც გვაძლევს: ببغاء (babgā') თანამედროვე სასაუბრო არაბულში (babgān) თუთიყუში. კარგად ცნობილი ჩიტი. უფრო მწვანე ჩიტი, რომელსაც სპარსულად طوطي (tūtī) ჰქვიან, ლამაზი ფერებითა და ფორმით, ძირითადად მწვანე, მაგრამ ალაგ–ალაგ წითელი, ყვითელი და თეთრი ბუმბულით. აქვს ფართო, სქელი ნისკარტი და ენა. ის ისმენს ადამიანის საუბარს და იმეორებს მას, თუმცა მნიშვნელობა არც ესმის (ლენი 1968 ტ.1). ამავე მნიშვნელობით არაბული წარმომავლობისადაა მიჩნეული ჯონსონისა (ჯონსონი 1852:212) და ზენკერის (ზენკერი 1866:195) ლექსიკონებში.

არაბულიდან მომდინარედაა თურქულ: Papağan – თუთიყუში (თურქულ–არაბული ლექსიკონი 2008: 890) და ოსმალურ–თურქულ ლექსიკონშიც: bebga (ببغاء)-papağan (2007: 41)

ადი–შირის აზრით, ბაბლანი არის არაბიზირებული სპარსული სიტყვა, საიდანაც იგი გავრცელდა დანარჩენ სამყაროში (ადი–შირი 1980: 16). სპარსულმა ბ–მ მოგვცა არაბული ბ, ხოლო ბერძნულ, ლათინურ (psittacus), იტალიურ (pappagallo), გერმანულ (fapagei), სომხურ, ფრანგულ (perroquet), რუსულ (პოყა) ენებში კი ბ–მ განიცადა ტრანსფორმაცია და მოგვცა > ფ და პ. ببغاء გაარაბიზებული ფორმაა (საყოველთაოდ ცნობილი ჩიტი) ალ–თუნჯის ლექსიკონშიც (1988:36)

ბაბლანი მომდინარეობს არაბული ببغاء ან ببغاء – თუთიყუში (ბარანოვი 1984: 55). არაბული წარმომავლობა უდასტურდება ვულერსის (1866: 188), ანვარის (2004: 297) და ალ–ვასიტის (2004) ლექსიკონებში. აღნიშნული სიტყვა თავდაპირველი მნიშვნელობაა თუთიყუშისა, რომელიც ისესხეს სპარსულმა და თურქულმა ენებმა. სპარსულში მისი გავრცელება ვერ მოხერხდა, რადგან კლასიკური პერიოდის ეპოქის ლიტერატურას თუ გადავხედავთ ირანელებს მოეპოვებათ ერთი საკმაოდ საინტერესო ეპოსი „თუთი–ნამე”, რაც გულისხმობს წიგნს თუთიყუშის შესახებ. ე. ი. უნდა ვივარაუდოთ, რომ დღევანდელ სალიტერატურო ენაში გავრცელებული თუთიყუში

სწორედ XI-XII საუკუნეებიდან მომდინარე სპარსული სიტყვაა. არაბულმა /babḡā' სპარსულში მოგვცა ببغان/babḡān. სწორედ ასეთი ფორმით მიიღო იგი თურქულმა, საიდანაც შემოვიდა ქართულ ენაში.

**ბადრი— გავსილი მთვარე ZAB; სავსე მთვარე Ca (საბა 1991: 90).**

საბას მიერ განმარტებული „ბადრი“ ზუსტად ემთხვევა არაბული ردر/badr მნიშვნელობას „სავსე მთვარე; გადატ. მზეთუნახავი“ (ბარანოვი 1984: 59). შდრ.: „მთვარე (გავსილი); ბადრობს—გავსილ მთვარეს ემსგავსება“ (შაჰნავაზიანი 1932: 204). ქართულში ეს სიტყვა ატრიბუტის ფუნქციით იხმარება და ხშირად ადამიანის სახესთან დაკავშირებით.

არაბული წარმომავლობა უდასტურდება აღნიშნულ ლექსემას სპარსულ ენაში, სადაც ის „იშვიათად“ გვხვდება. სპარს. ردر (bādr) – სავსე მთვარე (რუბინჩიკი 1964: 188; ჰ. ანვარი 1382: 309). თურქულ ენაში ეს ტერმინი საერთოდ არ ფიქსირდება.

თანხმოვანთა სრული დაცვითაა „ბადრი“ ლექსემა ქართულში დამკვიდრებული. რადგან ძველ და კლასიკური პერიოდის ქართულ წერილობით ძეგლებში იგი ნაკლებად დასტურდება, სავარაუდოა მისი, როგორც ასტროლოგიური ტერმინის, ზეპირი გზით გავრცელება. ხოლო მოგვიანებით მოხდა მისი წერილობითაც გაფორმება.

**ბავასირი – ბუასილი ZCq; სოკოს სენი Cab; კაცსა რომ სოკო შჭირდეს D (საბა 1991: 90).**

აღნიშნული ლექსემის ამოსავალია არაბული بواسير/باسور - bāsūr/bavāsīr „ჰემოროი, წყლული, წამონაზარდი“ (ბარანოვი 1984: 70).

ძველ ქართულ წყაროებში „ბავასირი“ სიტყვის რამდენიმე ვარიანტია გავრცელებული: „ბევასირი“ (წიგნი სააქიმოვ 30,37); „ბავასილი“ („იადიგარ დაუდი“ 1938: 695); „ბავასირი“ (საბა 1991: 90), თუმცა „ლექსიკონი ქართულში“ ამ ლექსემის თანამედროვე სალიტერატურო ფორმაცაა მოცემული; „ბუასილი–ქართული არ არის, სოკოს სენს ჰეკვიან“ (საბა 1991: 118). შდრ.: ბუასილი – (არაბ. ბავასირ) ავადმყოფობა, სოკო (ქეგლი).

საბას ლექსიკონში დამოწმებული ბავასირი არაბული bāsūr მრავლობითის ფორმაა /bavāsīr/. ქართულში შემოსვლისას (დაახლოებით XIII ს. სალიტერატურო

გზა) მას არანაირი ფონეტიკური თუ სემანტიკური ცვლილება არ განუცდია. უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება *bavāsīr>buasil* ტრანსფორმაცია.

სპარსულ ენაში ეს სიტყვა ძირითადად მრავლობითის ფორმით გხვდება იმავე მნიშვნელობით (რუბინჩიკი 1964: 225).

ქართული ენის ინგილოურ და რაჭულ დიალექტებში ბუასილი „ბაბასილი“ ფორმითაა. რაჭულში ის „ქათმის დავადებაა ერთგვარი“ (ღლონტი 1984: 53).

როგორც სამედიცინო ტერმინი, სავარაუდოდ ბავასირი უშუალოდ არაბულიდან შეითვისა ქართულმა.

### ბასრი – ფოლადი რკინა ZA (საბა 1991: 97).

ქეგლ–ის მიხედვით, „ბასრი–(ბასრისა) არაბ. ბასრი. არაბეთის ქალაქ ბასრის ფოლადი. 1. მეტად მჭრელი, მახვილი; 2. მკვეთრი, ძლიერი; 3. ძვ. მაღალი ღირსების ფოლადი“ (ქეგლ: 987).

„ბასრა არაბეთის ძველი ქალაქი, რომელიც განთქმული იყო საუკეთესო ხარისხის რკინითა და ფოლადით. ბასრის რკინა, ბასრული რკინა, ფოლადი. მაღალი ღირსების მეტად მჭრელი რკინა, ფოლადი“ (რუსუდანიანი 1957: 707). „კმალნი ბასრისა მკვეთელნი“ („ამირანდარეჯანიანი“ 475,8).

ბასრა–ს ამოსავალია არაბული بصرا/basara (გაჭრა) ზმნა (ჯონსონი 1852: 241). ის ასევე წარმოადგენს გეოგრაფიულ ტერმინს. არაბ. بصري/basrīyy – ბასრული (ბარანვი 1984: 74).

არაბ. بصر/başar ერთ–ერთი პირველი მნიშვნელობაა „მხედველობა, მზერა, თვალი“ (ჯონსონი 1852: 241). შდრ.: ბასრი თვალი/ბასრი მხედველობა. ამ შემთხვევაში, სინონიმურ მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე. თუმცა, სემანტიკურად მან სხვა დატვირთვა მიიღო: ფოლადისებრი, მჭრელი, მახვილი თვალი/მზერა.

1. „მახვილი, გამჭოლი“; 2. „ბრძენი; მცოდნე; „ღმერთის ეპითეტი“ – ასეთი მინიშნებები დასტურდება სპარსულ ენაში არაბული ეტიმოლოგით (ანვარი 1382: 353).

ქართულში შემოსვლისას აღნიშნულ ლექსემას არანაირი ფონეტიკური ტრანსფორმაცია არ განუცდია. ბასრა ტერმინის გავრცელება ქართულში უშუალო გზით

მოხდებოდა. „მაგარის“ მნიშვნელობით დასტურდება ხევსურულ დიალექტში: „თუ მახკვედ, ღმერთმა გაცხონას, გულადად ბასრო ქვისაო!“ (ღლონტი 1984: 61).

**ეჯიბი** – მეფის მაგიერ მოლაპარაკე ZAB; წინამდეგი მეფეთა CD; ჭელჯოხიანთ უფროსი E (საბა 1991: 251).

ქეგლ–ის მიხედვით, ეჯიბი – (არაბ. „ჰაჯიბ“ „მეფის მეკარე, კარისკაცი) 1. ისტ. ერთ–ერთი დიდი მოხელეთაგანი, ქართველი მეფის სასახლეში, მეკარე, მეფისადმი მთხოვნელთა სურვილის მომხსენებელი“.

ეჯიბი, როგორც სამოხელეო ტერმინი, ქართულ წერილობით ძეგლებში კლასიკური ეპოქის ტექსტებიდან ჩანს: „არაბ. ჰაჯიბ, მირი ჰჯბ–მეფის მხლებელი, პირის ფარეში, მეკარე; კარის კაცი“ („ვეფხისტყაოსანი“ 1914: 190); „მეკარე, „ცერემონმაისტერი“ (ამირანდარეჯანიანი 1967: 817); „მეფის მაგიერ მოლაპარაკე“, „მეფისადმი მთხოვნელთა სურვილის მომხსენებელი; კარისკაცი“ (შაჰ–ნამე III 1974: 629). საინტერესოდ განმარტავს იზოლდა წაქაძე ეჯიბი ლექსემას: „ეჯიბი, ხელჯოხიანი, მეფის წინაშე მდგომი. ეჯიბი ქართველს ბატონს ჰყოლია ჭელჯოხიანსავით, თავსა განუყრელად სდგომია და მას ეტყოდნენ: ეჯიბო, მეფეს რაც სიტყვა ჰქონდეს ეს მოახსენეო; რაც მეფისაგან ნათქვამია ერთადმი, იგივე გამოუცხადებს ერთა დიდის წმითა, რათა ყოველმან შეყრილობამ გაიგონოს; დღესაც ქორწილობაში იციან“ („ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ლექსიკონები 1976: 31).

ქართული ეჯიბი მომდინარეობს არაბული حاجب/hāğib ფორმიდან „მომსახურე, კამერგერი, შვეიცარი“ (ჯონსონი 1852: 459). არაბული ح/ḥ სიტყვის თავში ნასესხობებში ძირითადად იკარგება. პალატალური چ/շ–ს მეზობლად ხდებოდა a–ს დავიწროება: mağlis > მეჯლისი (ლეკიაშვილი 1992: 77). შესაბამისად, არაბული hāğib > āğib > ეჯიბი.

არაბული ნასესხობა უდასტურდება ამ ლექსემას სპარსულ (hājeb; ანვარი 1382: 833) და თურქულ (hacip; თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 373) ლექსიკონებში.

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში მონაცვლეობს ეჯიბი (ფშაური) „თავი მაყარი; მისი მოვალეობა ის არის, რომ მაყრებსაც და საერთო ქორწილსაც ყურადღება მიაქციოს“; ეჯიფი (თუშური) „მეფის მთავარი მაყარი ქორწილში, ზის მუდამ მეფესთან და ხელმძღვანელობს ვაჟის მაყრებს“ და ეჯიფე (მოხევური) „ხელისმომკიდე“ ფორმები

(ღლონტი 1984: 223), რომელშიც სემანტიკური დატვირთვა და ფონეტიკური ბ/ფ ბგერათმონაცვლეობა ადგილობრივ ნიადაგზე მოხდებოდა.

როგორც სამოხელეო ტერმინი, ეჯიბი ლექსემა უშუალო გზას მიეწერება ადრეული საუკუნეებიდან.

**ვაქილი –** თანამოსარჩლე, ვაქირი, მიზდური მოსარჩლე, რომელ არს სვინოლროსი ZAa; თანამოსარჩლე სამსჯავროსა შინა ფასითა B (საბა 1991: 257).

ვაქილი ლექსემა მომდინარეობს არაბული ქართული *ქართული* ფორმიდან: „რწმუნებული, ნდობით აღჭურვილი, 2. აგენტი, დამხმარე, მოადგილე, 3. დამცველი“ (ბარანოვი 1984: 909). მოგვიანებით მან შეიძინა გარკვეული მნიშვნელობები: „დეპუტატი, ლეიტენანტი, კომისარი, ადმინისტრატორი“ (ჯონსონი 1852: 1375), რაც ალბათ სპარსულ ენაში სესხების საფუძველზე მოხდა (ანვარი 1382: 2572). თურქულ ენაში ორიგინალი ენის სემანტიკა სრულადაა დაცული. ხდება ნაწილობრივი ფონეტიკური ტრანსფორმაცია: არაბ. *wakīl*>თურქ. *vekil* (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 897).

ქართულ წერილობით ძეგლებში, როგორც სამოხელეო ტერმინი, ვაქილი ფორმა ძველ ლიტერატურულ ძეგლებში დასტურდება. ჯერ კიდევ საბას ლექსიკონის E ხელნაწერში მიუთითებია ამონარიდი ამ ძეგლიდან, 14 იოსიპოს: „მოქმარეს გვანდა. „მოსე მყავს ვაქილი“ „უვაქილებდეს“; „მექმენ მე ვაქილ“ (საბა 1991: 157). ბუნებრივია, ქართველებს ბერძნული „სვინოლროსი“ უფრო იოლად წარმოსათქმელ ვაქილად შეუცლიათ.

შესაბამისად, ვაქილი, როგორც სამოხელეო ტერმინი, თანხმოვანთა სრული დაცვითაა უშუალო გზით დამკვიდრებული ქართულში. ლექსიკონიდან ჩანს, რომ აღნიშნულ ლექსემას სახე არ უცვლია XVII-XVIII საუკუნეების ჩათვლით. ვაქილი > ვექილი გარდაქმნა მოგვიანებით ფიქსირდება, მას დ. ჩუბინაშვილი მიუთითებს (ჩუბინაშვილი 1984: 506). თანამედროვე ქართულში ვაქილი/ვექილის მნიშვნელობა დავიწროვდა: „იგივეა, რაც ადვოკატი“ (ქეგლ).

**ზაჰმი – ზიემი ZAaCb; ზეიმი AbB** (საბა 1991: 277).

ლექსიკონში აღნიშნული ლექსემის სინონიმური ფორმები უხვადაა: „ზიემი – გამჩვენება და მზადება დიდი“; „ზეიმი – დიდი დღესასწაულობა. „დარეჯან.“: „არა გინდა ეზომი ზეიმი, ჩვენ სამნი წავალთ“ (საბა 1991: 279).

ასეთივე მნიშვნელობებითაა კლასიკური თუ აღორძინების ეპოქის ტექსტებშიც: „დიდი ყოფა, გამოჩვენება“ („ვეფხისტყაოსანი“ 1926: 257); „გამოჩვენება და მზადება დიდი“ (ქილილა და დამანა: 1016).

ზაჰმი მომდინარეა არაბული ჯჰ/zahm ფორმიდან, რაც „თავყრილობას, ჭყლეტას, მასას“ ნიშნავს. ერთ–ერთი მნიშვნელობითაა მექა (მომლოცველთა უზღვავი რაოდენობა) (ჯონსონი 1852: 650; ლენი 1968: 387).

ქართველი მკვლევრები ილია და იუსტინე აბულაძეები მიუთითებენ „ზაჰმი“ ლექსემის სპარსულ წარმომავლობაზე. არაბული ნასესხობაა აღნიშნული ლექსემა სპარსულ (zehām – ანვარი 1382: 1192) და თურქულ (zahmet - თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 941) ენებში.

არაბ. zaḥm > ზაჰმ > ზამ > ზემ > ზეიმ. ფონეტიკური ტრანსფორმაცია აღნიშნული არაბული სიტყვის სხვადასხვა ენიდან და სხვადასხვა დროზე მიუთითებს. ზაჰმი უშუალო გზით XII საუკუნიდან, ხოლო ზიემი/ზეიმი უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება, სავარაუდოდ სპარსულის გზით.

#### ზარადი – ზუჩის ჯაჭვი ZABCD (საბა 1991: 276).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „ზარადი – (არაბ. ზარანდ „ჯაჭვი“). 1. ძვ. ზუჩის ჯაჭვი (საბა). მუზარადის გარშემო შემოვლებული ლითონის ბადე პირისახისა და ყელ–კისრის დასაცავად//იგივეა, რაც მუზარადი“.

„ზარადი“ ფორმა „ვეფხისტყაოსანში“(1226,4). ფიქსირდება. თუმცა, იქვეა მისი სინონიმური მნიშვნელობა – ჩაბალახიც (521,1). „ამირანდარეჯანიანში“ რკინის საომარი თავსაბურავის მნიშვნელობითაა ნახმარი „ჩაბალახი“ (58,7) და „ჩაჩი ზარქაში“ (268,3); „ვისრამიანში“ მუზარადს უპირისპირდება – ჩაჩი, ქუდის მნიშვნელობით: „ჯაჭური კაბისა ნაცულად ტანსა გამძიმობს და მუზარადი–ჩაჩისა ნაცულად...“(180); „შაპ–ნამე“–ს I ნაწილში მხოლოდ ჩაბალახი ფორმა გხვდება (1532,2), ხოლო „შაპ–ნამე“–ს III ნაწილსა (141,3) და „რუსუდანიანში“ (323,24) ზუჩი ფორმა დასტურდება.

საბას განმარტებით, ყველა ზემოთჩამოთვლილი: ზარადი/მუზარადი; ჩაჩი/ჩაჩქანი; ჩაბალახი ზუჩის სახეობაა, რომელიც ხუთგვარი სახეობის არსებობს (საბა 1991: 289).

იუსტ. აბულაძე ზარად > მუზარად ფორმას საშუალო სპარსულიდან შემოსულად მიიჩნევს, სადაც თითქოსდა საშუალო სპარსულის კონსტრუქციაც კი შენახულია. მსაზღვრელი „მუ“ – კი – „თმა“, რომელიც წინ უძღვის საზღვრულს, გენეტივის მიმართებაში მასთან („შაჰ–ნამე“ II: 600). ამ აზრს ეყრდნობა იღ. აბულაძე („ვეფხისტყაოსანი“ 1914: 190) და დ. ჩუბინაშვილიც (ჩუბინაშვილი 1984: 513).

აკად. მ. ანდრონიკაშვილი არ ეთანხმება იუსტ. აბულაძის მოსაზრებას. მკვლევარი ფიქრობს, რომ მუზარადი უცნობი სიტყვაა საშ. სპარსულისათვის, იქ არის zrēh ფორმა. არამეული ნასესხები ფალაურიდან არის zrād, რომელიც ახლოა არაბულ zarad–თან. მუზარადის თავკიდური მუ–არაბულიდან მოდის. ეს არის პრეფიქსი, რომელიც მრავალთანხმოვნიანი ძირებიდან აწარმოებს ჭურჭლის, იარაღისა და ადგილის სახელებს (ანდრონიკაშვილი 1965: 320).

განსამარტი ზარადი არაბული არაბული არაბული – zarrād/zurūd „რკინის რგოლებიდან შექმნილი ჯავშანი, დამცავი“ ლექსემაა (ჯონსონი 1852: 652). აღნიშნული სიტყვის არაბული წარმომავლობა დადასტურებულია ასევე „ლისანუ ლ–‘არაბი“–სა და „ალ–ვასიტი“–ს (2004: 391) ლექსიკონებში.

სპარსული და თურქული არ იცნობს ზარად/მუზარად ფორმებს. მისი შემოსვლა უშუალო გზას მიეწერება ქართულში. გასათვალისწინებელია მ. ანდრონიკაშვილის აზრი ამ ლექსემის არაბულად მიჩნევაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ზარადი/მუზარადი ფორმა თანხმოვანთა სრული დაცვითაა ქართულში გადმოსული. აქ, საუბარია სემანტიკურ ცვლილებაზე, ქართულში მისი მნიშვნელობა დავიწროებულია: „თავზე დასარქმელი რკინის საჭურველი ომის დროს“ („ვეფხისტყაოსანი“ 1926: 257). მომდევნო საუკუნეებში იცვლება სინონიმებით – ჩაჩი/ჩაჩქანი/ჩაბალახი.

კაბალა – კართა გააბარებენ სასარგებლოდ იფქლთა მოსაცემელად პირობითა რითმე სხვადასხვითა ZAB. CD რედაქციის მიხედვით, კარნი გაბარებულნი უკვდავად საეგებლისა მომცემელი, წლითი–წლად დაუკლებ(ელ)ად (საბა 1991: 344).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „კაბალა – არაბ. კაბალა „ვალდებულება“; 1. ისტ. ძველ რუსეთში (მე-14, მე-17 სს.) ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოვალე სესხის მიმცემის ყმა ხდებოდა, თუ ვალს ვადაზე არ გადაიხდიდა; 2. მონობის მსგავსი, მეტის მეტად მძიმე დამოკიდებულება ვინმეზე“.

დ. ჩუბინაშვილიც ამ ლექსემის არაბულ წარმომავლობას უთითებს საბას მინიშნებაზე დაყრდნობით (ჩუბინაშვილი 1984:586).

კაბალა მომდინარეობს არაბული ქაბალა /qabala ზმნის მასდარის ფორმიდან قبالة/qabālat „ვინმეზე ვალდებულების, პასუხისმგებლობის დაკისრება (ლენი 1968: 947); კონტრაქტი, მოლაპარაკება“ (ბარანოვი 1984: 620). ალ-ვასიტის ლექსიკონის მიხედვით, კაბალა ეს არის აქტი, დოკუმენტი რომელიც ავალდებულებს ადამიანს შეასრულოს სამუშაო ან იყოს დავალდებული ვინმეზე (ალ-ვასიტი 2004: 742). აღნიშნული ლექსემა ასეთივე ფორმით დასტურდება გირგასის „ყურანისა და ჰადისების ლექსიკონში“ (გირგასი 1881: 644).

არაბული წარმოშობისადაა მიჩნეული აღნიშნული ლექსემა სპარსულ (ანვარი 1382: 1697) და თურქულ ენაში: „kabale – (ზეპ.) ყადის მიერ გაცემული დოკუმენტი; 2. საბითუმო ვაჭრობის სახეობა; 3. გადასახადი, რომელსაც ებრაელები უხდიდნენ თავის სათვისტომოს“ (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 490).

არაბული قبالة/qabālat > ქართ. კაბალა. არაბული არაბული ქაბალა აღნიშნული ტერმინი დღესაც აქტიურია „საქონლის გაბარება გამოსაკვებად“ (ღლონტი 1984: 265).

კაბალა, როგორც სამართლებრივი ტერმინი უშუალოდ არაბულიდან ზეპირი გზით გავრცელებული ფორმაა ქართულში ადრეული საუკუნეებიდან.

კამათელი – ნარდზე(დ) საგორ(ვ)ებელი ZABCb (საბა 1991: 349).

ქართულ წერილობით ძეგლებში კამათელი გვხვდება კლასიკური ხანის ტექსტებში: „ადრე გამიტყდა სოფელი მართ ვითა კაბათენია“ („ვეფხისტყაოსანი“ 1610,2); „და შენ ბრუნავ, ვითა ნარდთა მღერის ჟამსა კაბათენი“ („ვისრამიანი“ 80,15).

აკად. მ. ანდრონიკაშვილი ამ სიტყვის ამოსავლად მიუთითებს არაბულ بک/ka'b „ძვალი, ქვა, სათამაშო ძვალი“ ორობითის ფორმას كعبتین/ka'batayni – ორი სათამაშო ქვა,

კამათლები. ასეთი ფორმითაა შესული სპარსულშიც – *ka'bateyn* „კამათლები“ (სათამაშო) ქვა ნარდის თამაში (ანდრონიკაშვილი 1965: 315).

აღნიშნულ სიტყვას არაბული წარმომავლობა უდასტურდება ჯონსონის (1852: 1013); გირგასის (1881: 707); ალ-ვასიტის (2004: 790); ჰ. ანვარის (1382: 1815) ლექსიკონებში. ოსმალურ და თურქულ ენაში იგი არ ფიქსირდება.

არაბულში بع/ka'b –ის ერთ–ერთი მნიშვნელობაა კუბი. შდრ.: (კაბ > კუბ). ნარდის სათამაშო კამათლებიც კუბის ფორმისაა. „ნარდის ფიცარზედ საგორებელი, ოთხკუთხედ საგორებელი ძუალი სათუალავისა“ (ჩუბინაშვილი 1961: 242).

არაბ. *ka'batayni* > სპარს. *ka'bateyn* > ქართ. კამათელი. ქართულ ნასესხობებში არაბული ქ/k > კ მიმართება შედარებით იშვიათია, რაც უმეტესწილად ფონეტიკური გარემოცვითაა განპირობებული: *mušk* > მუშკი (ლეკიაშვილი 1992: 69). არაბული პ/n > ქართულ ლ-ს, რომელიც გამოწვეულია სონორთათვის დამახასიათებელი ურთიერთჩანაცვლებითა და გარემოცვით. შდრ.: *tağnīs* > თეჯლისი/თეჯნისი (ლეკიაშვილი 1992: 68). ფონეტიკური ტრანსფორმაციის მიხედვით, კაბათენი სპარსულ ფორმასთან უფრო ახლოა სპარს. *ka'bateyn* > ქართ. კაბათეინი > კამათენი > კამათელი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღორძინების და შემდეგდროინდელ ლიტერატურულ ძეგლებში ეს სიტყვა თითქმის არც გხვდება. რუბინჩიკის მიხედვით, სპარსულში ეს ნასესხობა, „სათამაშო ქვის“ მნიშვნელობით, ზეპირ გავრცელებას მიეწერება (რუბინჩიკი 1964: 333). შესაბამისად, რთული ტრანსფორმაცია გაიარა ლექსემამ ქართულში საბოლოო ფორმირებამდე.

კატაბანი – (+ ვეფხისტყაოსანი Z) მატყუარი თუ სატყუარი ZA (საბა 1991: 356).

ამ ლექსემის ირგვლივ სულხან–საბას „დიდი ცილობა“ მოუწყვია, თუმცა ზუსტ პასუხამდე ვერ მისულა. ე რედაქციაში ვკითხულობთ: „კატაბანზე დიდი ცილება იყო და წიგნში გარჩევით ვერსად ვნახე. მრავალი წიგნია, რომელთა არს სახელი მასმოდეს. მთიულთ მოურავმან მოგვითხრა, მთის კაცნი ტყუილს უწოდენ. ამას „ვეფხის–ტყაოსანიც“ მიჰევა: „ჩემნი მჭვრეტელნი კვირობდენ, მართალ არს არ კატაბანი“. მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“ სწერის, კეისარმან ბაგრატ მეფეს კატაბანი გამოატანაო. ეგება მატყუარი გამოატანაო, დასაჯერებლად არ დამიწერია, თქვენც იძიეთ“.

ილ. აბულაძის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული კატაბა „ტყუილი, სიცრუვე“ არაბული კადაბა – დან მომდინარეა („ვეფხისტყაოსანი“ 1914: 192). ამ აზრს იზიარებს იუსტინე აბულაძეც და დამატებით აღნიშნავს, რომ „კატაბანი“ მრავლობითი რიცხვია ლექსისთვის. კატაბანი = სიცრუვენი („ვეფხისტყაოსანი“ 1926: 260).

ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ დადასტურებული კატაბანი სხვა მნიშვნელობისაა: „მცირეწლოვანი ბაგრატი, კონსტანტინეპოლში სამი წლის მძევლობის შემდეგ, ბასილი კეისარმა საქართველოში გამოგზავნა და „რა უამს მოიწია მამულსა და სამეფოსა თუისსა, მოყვა თანა კატაბანი აღმოსავლეთისა ვიდრე საზღურამდე მამულისა მისისა, და ვითარ შეიქცა გარე, მოეწია სწრაფით მანდატური და მოართო კატაბანსა წიგნი კონსტანტი მეფისა...“ კონტექსტიდან იკვეთება, რომ „კატაბანი“ სამოხელეო ტერმინი უნდა იყოს. ჰ. აჭარიანის სომხურ განმარტებით ლექსიკონში „კატაპან“ ბერძნულიდან მომდინარე სიტყვადაა მიჩნეული. ბიზანტიური ხანის ბერძნულში ჯათეპანი ნიშნავს „ქალაქის თავს, ქალაქის მეთაურს“ (მეტრეველი 1956: 22).

ამ სიტყვას შეეხო ნიკო მარიც, რომელიც პარალელს ავლებს ქართულ კატაბანსა და სომხურ katapan-ს შორის. ამოსავალ სიტყვად მიაჩნია სპარსული kadbān „სახლის, სოფლის მცველი, მამასახლისი“. იგი თვლის, რომ სომხური ფორმა უფრო ძველია, ვიდრე ბერძნული. ქართული კატაბანისა და სომხური katapan-ის იდენტიფიკაცია გამორიცხული არ არის, რადგან სომხური p-ს შეცვლა ქართულ ბ-დ სხვა სიტყვებშიც ფიქსირდება (მარი 1904).

ი. გიპერტი „ვეფხისტყაოსნის“ კატაბანის საფუძვლად სომხურ kadaban ფორმას გულისხმობს. მკვლევარი ფიქრობს, რომ იგი სპარსული katak-იდან მიღებული სომხური კომპოზიტია katakaban (ban-მაწარმოებელი არ არის სპარსული), რომელიც ნიშნავს „კომედიას“. ამ სიტყვამ მიიღო „თამაში, წარმოდგენა, ხუმრობა“ მნიშვნელობა, ე. ი. მოტყუება პოზიტიური გაგებით (გიპერტი 1993: 109).

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული კატაბანი არაბ. **کذاب**/kadāb „ცრუ, მატყუარა“ ფორმიდან მომდინარე ორობითი რიცხვის ფორმაა: **کذابان**/kazzābāni – „ორი მატყუარა“. იგი, როგორს ტერმინი, ითქმოდა ორ ცრუ

წინასწარმეტყველზე: musailimat al hanafiy -სა და aswad al 'ansiy, ომელნიც გამოჩნდნენ მუჰამედის შემდეგ არაბეთის ნახევარკუნძულზე (ჯონსონი 1852: 1001). პაკ /kadāb სიტყვა ჯერ კიდევ ყურანშია ფიქსირებული „ცრუ, მატყუარა“ მნიშვნელობით (გირგასი 1981: 691); სპარსულ ენაში პაკ/kazzāb – „მალიან მატყუარა“-ს ნიშნავს და არაბული წარმომავლობა უდასტურდება (მოინი 1996: 2926).

აკად. მ. ანდრონიკაშვილი არაბული წარმოშობის ამ ლექსემას სპარსული გზით ქართულში დამკვიდრებულად მიიჩნევს. მისი აზრით, ერთადერთი შემთხვევა გვხვდება სიტყვაში კატაბა, არაბ. პაკ/kadāb „ცრუ, მატყუარა“, სადაც არაბ. პ/ქ > ქართ. ტ;

არაბ. პაკ/kadāb „ცრუ, მატყუარა“, აბ. სპარს. პაკ/ käzab „ცრუ, მატყუარა“ = ქართ. კატაბა (ანდრონიკაშვილი 1965: 303) არაბ. ქ /k > ქართ. კ. განხილულია სიტყვაში „კამათელი“.

„ლექსიკონი ქართულის“ წყაროებში ორი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვაა დამოწმებული: არაბული კაზაბა – „ტყუილი“ და ბერძნული კატეპანო – „ქალაქის თავი“. კატაბას მრავლობით ფორმაში გამოყენებამ ეს ორი სიტყვა დაამსგავსა ერთმანეთს. „ვეფხისტყაოსანში“ - „კატაბანი“ არაბული ფორმაა დამკვიდრებული.

სავარაუდოა ამ ლექსემის უშუალო გზით სესხებაც ზეპირი გზით. არაბ. ინტერდენტალი მჟღერი პ/ქ ქართულში შემოსულია დენტალი ზ-სა და დენტალი დ-ს საშუალებით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში იგი გვაძლევს ძ-ს და ტ-ს: /stād „ოსტატი“ (ლეკიაშვილი 1992:63–64). აღსანიშნავია არაბ. ინტერდენტალი მჟღერი პ/ქ –ს მჟღერი პ/ქ-ში გადასვლა არაბულ დიალექტებში: ქ>d შემთხვევა დაფიქსირებულია ჰიჯაზში, მაგ.: 'ad-dikr>'ad-dikr „გახსენება, მოგონება“. იბნ მანზური მიაწერს ქ>d ტოტალობას რაბიას ჯვეფის დიალექტებს. ინტერდენტალი ქ გადადის ხშულ დენტალ d-ში ადენის თანამედროვე არაბულ დიალექტში, მაგ. სირია–ლიბანის, ეგვიპტის, სუდანის და ა. შ. დიალექტებში (ცხვედიანი 2006: 45). დ>ტ მიმართება უკვე ქართულის ნიადაგზე შეიძლება აიხსნას. დ>ტ გურულ/იმერულ/ლეჩუმურ დიალექტებში: კლდე>კლტე; დაკუტდება>დაკუტტება; ავადმყოფი>ავანტყოფი; შეხვდა > შეხტა (ჯორბენაძე 1998: 349).

სავარაუდოდ, კატაბანი ნარიანი მრავლობითის ფორმითაა გავრცელებული ქართულში ზეპირი გზით, დაახლოებით XI-XII საუკუნეებში.

კეფა – (კეფა, კემხა D) კემხა, თავის უკანა კერძი (კერძო C) ZABC (საბა 1991: 368).

ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ტერმინი კეფა სამკურნალო ტიპის წიგნებში ფიქსირდება: „არაბ. قفاء – ყიფა–კეფაა, აქ ქალას ნიშნავს“ („წიგნი საქიმოა“ 1936: 314); „არაბ. قفاء – იგივე მნიშვნელობით“ („იადიგარ დაუდი“ 1938: 709).

კეფა قفاء/qifā/qifa'a ძირიდან მომდინარე სიტყვაა, რაც „თავის უკანა ნაწილს, კეფა“ – ს ნიშნავს (ბარანოვი 1984: 622).

არაბული ნასესხობაა ეს ლექსემა სპარსულ ენაში (ანვარი 1382: 1723). ამ სიტყვის არაბულ წარმომავლობას მიუთითებს ჯონსონი (1852: 951) და ალ–ვასიტი (2004: 752).

არაბ. قفاء/qifā' > ქართ. კეფა. შენარჩუნებულია զ/კ მიმართება (არაბული მეშვეობა). ხოლო არაბ. წინა რიგის პალატალი i კარგავს სივიწროვეს და გვაძლევს e ხმოვანს. შესაძლოა, ეს მოვლენა ქართულის ნიადაგზეც აიხსნას. ქართული ენის დიალექტებში ხდება ხმოვანთა სპონტანური ცვლილებები. იმერულ და აჭარულ დიალექტებში დაჩნდება ხმოვნის გაფართოვების პროცესი, რაც შედარებით იშვიათი მოვლენაა: ი>ე, კაცსავით > იმერული, რაჭული: კაცსავეთ (ჯორბენაძე 1998: 273).

როგორც ანატომიური ტერმინი, დადასტურებული სამედიცინო ხასიათის კარაბადინებში, ქართულში დამკვიდრებულია სალიტერატურო გზით. კერძოდ, XIII საუკუნიდან.

ლამაზი – ესეცა ესრეთ განიყოფებიან, რამეთუ: კეკლუცი არს სახე უკლებელად გაწყობილი; კეკელა – სილამაზისა და მოკდომის მცდელი; მწყაზარი – სიკეთეზედ მეტი; შვენიერი – ყოვლის კეთილით შეფერებული; სანდომი – კეკლუცი იყოს თუ დუხჭირი, მაშინც კაცს სანახავად იამოს; სახნიერი – რომელსა ყოველი სახე გაწყობილი ჰქონდეს და საქმითაც კეთილმოქმედი იყოს; ჰაეროვანი – რომელი ხატკეთილობით მოკდომილი იყოს ZA (საბა 1991: 404).

ლამაზი ქართულ წერილობით ძეგლებში ფიქსირდება „ვეფხისტყაოსანში“: „მეფე ქვე ჯდა შეკაზმული, შვენებითა მსგავსი მზისა. გაუხარნეს მისვლა ჩემი, ტურფისა და ლამაზისა“ (474,4); „ვისრამიანში“ – „ლამაზობა“ ფორმით: „თუ შენ ჩემი დედა ხარ და მე

შენი ასული, და შენ უხუცესი ხარ და მე უმრწმესი, მე ლამაზობასა და უსირცხუილობასა ნუ მასწავლი, მით რომელ დედათა უწრფელობა მოაყივნებს“ (81,10); „შაჰ–ნამეში“ (628,2). იუსტ. აბულაძე მიუთითებს ამ ლექსემის არაბულ წარმომავლობას: „არაბ. لاز ლამმაზ – მაყივნებელი, მაცდუნებელი, მლიზღობი, ბოროტი მოენე. აქედგან: ქართულში: თვალთმაქცი, მხიბლავი გარეგნობით, ჯადოსნური ადამიანი: სიტურფით თვალთმაქცი (ქალი, გინა კაცი)“ (შაჰ–ნამე 1916: 811); „რუსუდანიანში“: ლამაზად, მოხდენილად (რუსუდანიანი 1957: 739).

ლამაზი მომდინარეობს არაბ. لاز/lammāz „დაცინვა; ნაკლის გამონახვა; გაკილვა, ყბადაღება“ (ლენი 1968: 2673). მისი ერთ–ერთი უძველესი მნიშვნელობაა: „მოაჯადოვა“ (გირგასი 1881: 742). ასეთივე მნიშვნელობებით, არაბული წარმომავლობა უდასტურდება ჯონსონისა (1852: 1069) და ალ–ვასიტის (2004: 868) ლექსიკონებში. არაბიზმადაა მიჩნეული სპარსულში „გამკილავი, ბოროტი მოენე“ მნიშვნელობებით (მოინი 1996: 3623). თურქულ ენაში ლამაზი ლექსემა საერთოდ არ ფიქსირდება.

აკად. მ. ანდრონიკაშვილი თვლის, რომ „ვისრამიანში“ დაცულია ამ სიტყვის პირვანდელი, არაბულთან ახლო მდგომი შინაარსი „თვალთმაქცობა, მაცდურობა, მხიბლაობა“, საიდანაც ადვილად განვითარდებოდა ქართულ ნიადაგზე მნიშვნელობა ლამაზისა ვეფხისტყაოსნისეული და თანამედროვე გაგებით. „მაცდური, მხიბლავი, მომაჯადოებელი“ > „კეკლუცი, ლამაზი“ (ანდრონიკაშვილი 1965: 316).

ფონეტიკური თვალსაზრისით, აღნიშნულ ლექსემას ფორმა არ უცვლია, ხოლო სემანტიკურად გარკვეულ ცვლილებასთან გვაქვს საქმე. ამ ლექსემის საბასეული დაყოფა ცალკეულ მნიშვნელობებად უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება. ძველ ლიტერატურულ ძეგლებზე დაკვირვებით, ლამაზი ლექსემა XII საუკუნიდან დადასტურებული ლექსიკური ერთეულია ქართულში.

**მუტრიბი – (+როსტომ. Z ) ქალი მეჩანგე ZAB (საბა 1991: 529).**

ქართულ წერილობით ძეგლებში „მუტრიბი“ ლექსემა დაახლოებით X–XI საუკუნიდან ფიქსირდება: „უსწორო კარაბადინი“ (20,20); „ვეფხისტყაოსანი“ (312,2); „ვისრამიანი“ (35,26); „წიგნი სააქიმოვ“ (278,11); „შაჰ–ნამე“ (233,2); „რუსუდანიანი“ (49,8). ამ ძეგლებიდან გამომდინარე, საკვლევი ლექსემის მნიშვნელობაა: „მემუსიკე.

მომღერალი, ჩანგის დამკვრელი და მომღერალი; საზოგადოდ, კარგი მომღენი“ („ვეფხისტყაოსანი“ 1926: 268).

ამოსავალი მუტრიბისთვის არის არაბ. طرب/tariba „გამოცოცხლდა, აღიგზნო, იყო შეძრული (რაღაცით), აღფრთოვანებაში მოვიდა, ხალისობდა“. مطرب/mutrib 1. მხიარული, აღფრთოვანებული; 2. მომღერალი, მუსიკოსი (ბარანოვი 1984: 470). აღნიშნული ლექსემა არაბიზმადაა მიჩნეული გირგასის (1881: 482), ჯონსონის (1852: 1202), ალ-ვასიტის (2004: 553), მოინის (1996: 4198), ოსმალურ–თურქულ (2007: 342), ლექსიკონებში. სალიტერატურო თურქულ ენაში აღნიშნული ტერმინი არ ფიქსირდება.

არაბ. طرب/mutrib > ქართ. მუტრიბი. როგორც ტერმინი, არაბულიდან გავრცელდა იგი მთელ სამყაროში (შდრ.: ფრანგ. ტრუბადური). მათ შორის ქართულშიც უშუალოდ, რადგან თანხმოვანთა სრული დაცვითაა იგი ჩვენში დამკვიდრებული. სპარსული motreb > ქართ. მოტრები „ქალი მეჩანგე ან მაცეკვარი, მომღერალი ქალი“ მოგვიანო პერიოდის გამიჯვნაა, რადგან ამ ლექსემის თავდაპირველი მნიშვნელობა არ გულისხმობს სქესთა განსხვავებას (ჯონსონი 1852: 1202).

**მუხთალი – დაუნდობელი, მოღალატე ZAB (საბა 1991: 532)**.

ქართულ წერილობით ძეგლებიდან მუხთალი ლექსემა კლასიკური ეპოქის ტექსტებში ფიქსირდება: „ვეფხისტყაოსანი“: „ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქმნელია“ (434,2); „ამირანდარეჯანიანი“ (249,2); „შაჰ–ნამე“ (2826,4); „რუსუდანიანი“ (279,20); „თეიმურაზ II“ (თხზულებათა სრული კრებული 1939:253); „ვახტანგ VI“ (77,79). აღნიშნული ლექსემის მნიშვნელობაა ქართულში: „მოღალატე, გამწირავი, ვერაგი, მატყუარა“ („ვეფხისტყაოსანი“ 1926: 269).

მუხთალის ამოსავალია حول/ḥawila ზმნის احتال/iḥtāl VIII თემის მიმღეობის ფორმა/محتاب/muḥtāl „ცბიერი, ეშმაკი, მზაკვარი“ (წერეთელი 1951: 59). არაბული წარმოშობის ეს ლექსემა დასტურდება ჯონსონის (1852: 1140); გირგასის (1881: 204); ალ-ვასიტის (2004 218); ანვარის (1382: 2101); მოინის (1996: 3894); ოსმალურ–თურქულ (2007: 328) ლექსიკონებში.

არაბ. ح/ḥ > სპარს. ح/h > თურქ. h,. არაბული ფარინგალური ḥ ქართულში გადმოდის, როგორც 0, ველარული b, ლარინგალური ȝ. ქართულ სიტყვებში ამ

თანხმოვანთა მონაცელებას სპონტანური ხასიათი აქვს და უხვადაა პარალელური ფორმებიც ჰ/0, ჰ/b. ჩ/ > b მიმართებას ადგილი აქვს გრძელი ხმოვნების მეზობლობაში: rāḥ > ῥახი (ლეკიაშვილი 1992: 73).

ვ. ლეკიაშვილი მიიჩნევს, რომ „მუხთალი სიტყვა გამონაკლისს წარმოადგენს, იმ თვალსაზრისით, რომ მიუხედავად t/t-ს მეზობლად ასპირატი ḥ/ḥ-ს არსებობისა, იგი ქართულში შემოვიდა, როგორც თ და არა როგორც მისი მკვეთრი წყვილეული ტ. იმავე „მუხთალში“ შენარჩუნებულია აქცესიური კომპლექსი ხთ და არ მოხდა ფშვინვიერი თ-ს მოსალოდნელი გამკვეთრება, მაგრამ მთელ რიგ არაბული წარმოშობის ქართულ სიტყვებში (იხტილათი, მუშტარი) ამგვარი აქცესიური კომპლექსის მეორე ელემენტი ქართულში ყრუ მკვეთრი ბგერითაა წარმოდგენილი“ (ლეკიაშვილი 1992: 58).

სემანტიკური თვალსაზრისით, სპარსული محتال/muhtāl უფრო ახლოა ქართულთან: „დაუნდობელი, მოღალატე, ვერაგი“ (რუბინჩიკი 1964: 473). იუსტ. აბულაძე ამ ლექსემას არაბ.-სპ. კვალიფიკაციას აძლევს და ახასიათებს „პირუმტკიცო, ფიცის გამტეხელის“ სინონიმებით (შაჰ-ნამე 1916: 818).

საყურადღებოა თურქული მეშვეობაც, muhtal დღევანდელ თურქულ ენაში არაბიზმია და „მატყუარას“ აღნიშნავს. ოსმალურში დასტურდება محتال/مختار პარალელური ფორმები სხვადასხვა მნიშვნელობებით, თუმცა ორივე არტიკულაციურად გვაძლევს muhtal ფორმას, რადგან ისტორიული ḥ/x სპირანტი თანამედროვე სალიტერატურო თურქულში არ გვაქვს. იგი დასუსტების შედეგად ყველგან h თანხმოვანში გადავიდა, ან დაიკარგა (გურგენიძე 1973: 126).

სიტყვის სემანტიკიდან გამომდინარე, მცირე ცვლილებით, რაც საბას განმარტებულს შეესაბამება, სავარაუდოა მუხთალი ლექსემის სპარსული გზით მოხვედრა ქართულში დაახლოებით XII საუკუნიდან.

**მუჯამარი – (მუჯამბარი CE) საცეცხლური ZAB (საბა 1991: 532).**

საცეცხლური – ესე არს სამღდელო ცეცხლის ჭურჭელი საკმეველთა დასაკმეველი, გინა მუჯამარი, გინა მანკანი (საბა 1993: 67).

ქართველი ლექსიკოგრაფების მიერ „მუჯამარი“ ლექსემა განმარტებულია, როგორც: „საცეცხლური ხელმწიფეთ წინაშე დასადგმელი დარბაზისა შინა ხმარებული,

დასაკმევად სუნნელთა“ (ჩუბინაშვილი 1961: 303). „სურნელოვანი ნივთიერებების დასაკმევი მოწყობილობა. ჭურჭელი, რომელშიაც იწვის და რომლითაც აკმევენ სურნელოვან ნივთიერებებს“ („რუსუდანიანი“ 1957: 754); „საკმევლის ასაბურებელი“ („ვეფხისტყაოსანი“ 1926: 269). ისინი მიუთითებენ „მუჯამარი“ ლექსემის არაბულ წარმომავლობას.

ქართული მუჯამარი მომდინარეობს არაბ. **جُمْر**/gammara ზმნის II თემის ვნებითი მიმღეობის ფორმიდან – **مُجْمَر**/muğammar „გაღვივებულ ნახშირზე შემწვარი“. ამავე ძირიდან - **مجمر**/majmr /mağāmir „საკმეველი; ჭურჭელი რაშიც ინახება საკმეველი“ (ჯონსონი 1852:1125); „მოსაწევი; მოსაწევი არომატები“ (გირგასი 1881: 137); **جمر** - გაღვივებული ნახშირი (ბარანოვი 1984: 137).

არაბიზმია ეს ლექსემა ამავე მნიშვნელობებით სპარსულ *mejmar* (მოინი 1996: 3882) და თურქულ *mecmer* (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 627) ენებში.

თანხმოვანთა სრული დაცვითაა მუჯამარი ლექსემა ქართულში დამკვიდრებული, რომელიც დაახლოებით XII საუკუნიდან ფიქსირდება ქართულ წერილობით ძეგლებში. „დღე და ღამე მუჯამრითა ეკმეოდის ალვა თლილი“ („ვეფხისტყაოსანი“ 335). სავარაუდოა, ამ ლექსემის უშუალო გზით სესხება.

**საბრი – (ბალ.) ქართული არ არი(ს), აზუა(ს) ჰეჭია(ნ) ZA (საბა 1993: 21).**

საბრი ლექსემა ძირითადად სამკურნალო ტიპის ძეგლებში ფიქსირდება. მისი მნიშვნელობაა: „ალოეს მწარე წვენი, რომელიც იხმარება წამლად“ (უსწორო კარაბადინი 1940: 508); „წიგნი სააქიმოა“ (1936: 323); „იადიგარ–დაუდი“ (1938: 719); „სამკურნალო წიგნი –კარაბადინი“ (ზაზა ფანასკერტელ–ციციშვილი 1988: 833).

საბრის ამოსავალია არაბ. **صبر**/şabr „ალოე“ (ჯონსონი 1852: 779); „ალოეს მწარე წვენი“ (გირგასი 1881: 437); „მწარე წამალი“ (ალ–ჯავჰარი); (ალ–ვასიტი 2004: 506). არაბიზმია იგი სპარსულ ენაშიც (ანვარი 1382: 1463). ოსმალურში *sabâr* არაბული ფორმა ფიქსირდება: „ალოეს წვენი, კაქტუსი“ (ოსმალურ–თურქული ლექსიკონი 2007: 455).

საბრი ლექსემის არაბულ წარმომავლობას მიუთითებენ დავით (1984: 1056) და ნიკო (1961: 340) ჩუბინაშვილები. „ერთგვარი წამალი, გამხმარი ნაღველა“ მნიშვნელობით არის ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონშიც“ (1997: 187).

საბრი, მცენარის სახელწოდება, XI საუკუნიდან დაფიქსირებული არაბული ლექსემაა ქართულში, სავარაუდოა წერილობითი გზა.

სადაფი – მარგალიტის კეცტყავი ZAB; (მძრომ.) ოსტერა CD; ოსტრია E (საბა 1993: 25).

„ოსტრიავე, ესეგვარნი სადაფთა მსგავსი ცხოელ ნერგად აღუწერიათ, ამისთვის რამეთუ კლდეთა ანუ მიწათა შეწებულ არიან და არა ვლელან ვითარცა ნერგნი, ხოლო მგრძნობელობითი ძალი აქვსთ; უკეთუ მაიძულებელი რამე მიიახლოს, შეიკრებენ, და უკეთუ მარტოებენ, ქსნილ არიან“ (საბა 1991: 608).

ქეგლ–ის განმარტებით, არაბ. სადაფ „მარგალიტის ნიჟარა. ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიდა ფენა; წარმოადგენს სხვადასხვაგვარად მოელვარე ნივთიერებებს, რომლებსაც იყენებენ წვრილმანი ნივთიერებისა და სამკაულების გასაკეთებლად“.

ქართული წერილობითი ძეგლებიდან სადაფი ლექსემა კლასიკური ძეგლებში ფიქსირდება: „ვეფხისტყაოსანი“ (1283,2); „ვისრამიანი“ (60,30); „ამირანდარეჯანიანი“ (494,5); „წიგნი სააქომოვ“ (323); „შაჰ–ნამე I“ (1474,3).

ამ სიტყვის ამოსავალია არაბ. صدف/şadaf „ნიჟარა, მარგალიტი“ (ჯონსონი 1852: 782). არაბული წარმოშობის ეს ლექსემა განხილულია ალ–ვასიტისა (2004: 540) და ალ–ჯავჰარის ლექსიკონებში. ამ ლექსემის სპარსული ვარიანტია sadef – ნიჟარა (ლოკოკინას); სადაფი; მოლუსკი (რუბინჩიკი 1964: 135), თურქული – sadefe – ნიჟარა; ანატ. ყურის ნიჟარა (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 742); ოსმალური sedef – მარგალიტის ჩასადები (ოსმალურ–თურქული ლექსიკონი 2007: 457). შდრ.: „მარგალიტის ბუდე, ანუ ზღვისა იგი გრგვალი ნაჭუჭიერი ცხოველი, რომლისგანცა მოიპოების კვერცხი მისი მარგარიტი“ (წიგნნი ლექსიკონნი 1979). ყველა ზემოთჩამოთვლილ ენათა ლექსიკონებში სადაფი სიტყვის წარმომავლობად არაბულია მითითებული.

ფონეტიკური თვალსაზრისით, სრული დამთხვევაა არაბულ, სპარსულ და ქართულ ვარიანტს შორის. იგი დამკვიდრებულია XII საუკუნიდან უშუალო გზით, რადგან ამაზე უფრო ადრე, სადაფის ნაცვლად „ზამბაკი/ზაბაკი/ზამბიკი“ ფორმები ფიქსირდება: „შეზარნ ზღვა სოფლისა, რამეთუ მას შინა იშვების ზამბაკი, რომელმან

ზეგარდამო ელვის მიერ მის მუცლად იღოს და შვეს მრავალ–სასყიდლისა იგი მარგალიტი ქვები (ყოვლადწმინდა შობის საკითხავში)“ (საბა 1991: 275).

ფარეში – შინა მოსამსახურე ZABC (საბა 1993: 183).

ქართულ წერილობით ძეგლებიდან ფარეში ლექსემა აღორძინების ხანის ტექსტებში ფიქსირდება: „შაჰ–ნამე I“ (1645,2); „შაჰ–ნამე III“ (318,13); „რუსუდანიანი“ (210,33).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ფარეში არაბული სიტყვაა, არაბ. ფარრაშ „მსახური. 1. ისტ. თავადაზნაურთა შინამოსამსახურე, ხელზე მოსამსახურე. 2. რთული ფუძის II შემადგენელი ნაწილი. პირის ფარეში, ცეცხლფარეში“.

არაბ. شَفْرُّ/farrāš „მეფეთა ან დიდგვაროვანთა შინამოსამსახურე, კამერდინერი“ (ჯონსონი 1852: 918); „ის, ვინც ასწორებს, შლის საწოლს“ (ლენი 1968 VI: 2371); „1. მოსამსახურე; მომსახურე; დამლაგებელი 2. მცველი, დარაჯი“ (ბარანოვი 1984: 589). არაბულ წარმომავლობას მიუნიშნებს ასევე იუსტ. აბულაძე. شَفْرَا/paraşa „გაფინა, დააფინა, დააგო“ მნიშვნელობებით ფიქსირდება ყურანსა (გირგასი 1881: 647) და ძველ არაბულ ისტორიულ ტექსტებში (წერეთელი 1951: 182).

დ. ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში ფარეში სიტყვისთვის ორ ვარიანტს გვთავაზობს: „ფარეში – არაბ. رَقِينٌ ქაنْشِيْقِيْ، مَارْبُعَتَهْ، مَارْوَانَتَهْ وَ مَوْسَىْ“ და ფარეში – სპარს. شِين–მოსამსახურე (ჩუბინაშვილი 1984: 1296). სპარსულად მიიჩნევს მას. ი. გრიშაშვილიც (ქალაქური ლექსიკონი 1997: 214). სპარსულ ენაში شَفْرَا/ֆერраშ პირველადი მნიშვნელობებია: 1. გაგზავნილი, კურიერი, დაგზავნილი; 2. ზეპ. მოსამსახურე, ხელზე მოსამსახურე, კამერდინერი; 3. ისტ. ფარეში დიდგვაროვანის პირადი მცველი; 4. იმამის სამარხის მცველი; 5. (ზეპ. მეტყ.) ქუჩის მხვეტავი (რუბინჩიკი 1964: 227). farrāš სპარსულ ენაში არაბიზმია „მოსამსახურე, ხალიჩების გამშლელი, მხვეტავი“ (მოინი 1996: 2502). თანამედროვე სალიტერატურო თურქულში faraş არაბულ ნასესხობას წარმოადგენს „აქანდაზის“ მნიშვნელობით (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 289). ოსმალურში მისი მნიშვნელობებია: „განფენა, დაფენა; 2. ხალიჩა, ნოხის მსგავსი დასაფენი; 3. ნიადაგი“ (ოსმალურ–თურქული ლექსიკონი 2007: 130).

ლექსიკონებსა თუ ძველ ლიტერატურულ ძეგლებზე დაკვირვებით, ქართულში აღნიშნული სიტყვის ფონეტიკაცა და სემანტიკაც არაბულ ვარიანტს ემთხვევა, რაც უშუალო გზაზე მიანიშნებს.

**ფითილა – ბამბის წნული თოფისათვის ZA (საბა 1993:191).**

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ფითილა – არაბ. ფათილა, ბამბის წნული თოფისათვის (საბა), ბამბის პატრუქი. შდრ.: არაბ. *فَتِيل* „ფითილი; ასანთები მავთული; ტამპონი“ (ლენი 1868: 2334).

ფილთა ფორმით ფიქსირდება „იადიგარ–დაუდში“ (259,33): „დაგრეხილი მატყლი ან ბამბა ჭრილობაში ჩასადებათ, ან ცხვირში ან ყურში ჩასადებათ. ირან. ფილთა–პატრუქი“ (იადიგარ–დაუდი 1938: 725). დ. ჩუბინაშვილთან: „ფილთა არაბ. პატრუქი სანთალთა, ბაზმაკთა, წყლულთა შინა შთასადები პატრუქი მალამოთურთ, ფითილი“ (ჩუბინაშვილი 1984: 1305). დიალექტებში მონაცვლეობს ფილთა/ფთილა/ფილითა ფორმები: ფილთა „სატამპონედ დაგრეხილი და გასანთლული ძაფი. იარაში დებენ, რომ იარამ პირი არ დაიკრას“ (ქიზიყური); „საფანტიანი თოფი“ (გურული, იმერული, ლეჩხუმური). ფთილა – „ბამბა დასართავად გამზადებული; საჩეჩლის პირი მატყლი; ბამბის დახვევა თითისტარზე იმის გამოსაცნობად, თუ რომელი ხატია გამწყრალი“ (ქიზიყური, ლეჩხუმური). ფილითა „ფრინველზე სანადირო თოფი, საფანტიანი“ (გურული); რაჭული ფითილა „ცაცხვის თხელი ფირფიტა“ (ღლონტი 1984: 542–543) საკმაო სხვაობას ამჟღავნებს ს.–ს. ორბელიანის მიერ განმარტებულ სიტყვასთან.

სპარსული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ფითილა არაბიზმია *فتیل* „დახვეული ძაფი“, ხოლო ფთილა *فتیله*/*ftīlah* არამეულ *ptīlah* ფორმიდანაა მიღებული (მოინი 1996: 2488).

სალიტერატურო თურქულ ენაში *fitil* არაბული წარმოშობის ლექსემაა, რომლის მნიშვნელობებიც „თასმა, ლენტი“ ზუსტად შეესაბამება ჩვენ მიერ განსამარტ სიტყვას (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 305).

ფონეტიკურად არავითარი ცვლილება არ განუცდია ამ სახელს. მნიშვნელობებიც სამივე ენებში ერთმანეთს შეესაბამება. სავარაუდოა ამ ლექსემის თურქული გზით დამკვიდრება ქართულში აღორძინების ეპოქიდან.

**ღაბაბი – ყელის ჩამონაშვები ZAB (საბა 1993: 245).**

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ღაბაბი არაბული წარმოშობის ლექსემაა (არაბ. ღაბლაბ) „ყელის ჩამონაშვები (საბა), ნიკაპქვეშ ჩამონაზარდი“.

ამოსავალი ქართული ღაბაბისთვის არის არაბ. غبب/gabab/ غبب/gabgab „ყელის ჩამონაშვები (საქონლის); ყელის ქვეშ ჩამონაშვები (მამლის)“ (ლენი 1868: 2222). სპარსულ ენაში ფიქსირდება მხოლოდ „ღაბლაბი“. غبب/gabgab „ორმაგი ნიკაპი; ყელის ჩამონაშვები (საქონლის); საყურე, ყელის ქვეშ ჩამონაშვები (ინდაურის)“. აღნიშნული ლექსემა არაბული წარმოშობისადაა მიჩნეული სპარსულში (ანვარი 1382: 1593; მოინი 1996: 2388).

იგი ფიქსირდება „შაჰ–ნამე I“ (648,1) ღაბლაბი ფორმით. იუსტ. აბულაძე მის არაბულ წარმომავლობას მიუთითებს غبب ღაბლაბ – ორკეცი ნიკაპი, ნიკაპქვეშ ხორც–სავსე ალაგი, ჩიყვი (შაჰ–ნამე I 1916: 837).

იმერულ დიალექტში „ღაბაბის“ მნიშვნელობითაა „ყაპო“ (ღლონტი 1984: 602).

არაბ. غبب/gabab > სპარსული غبب/gabgab (რედუქტლიცირებული ძირი) > ქართ. ღაბაბი. სემანტიკური მნიშვნელობით ქართული ფორმა უახლოვდება სპარსულს, რაც გვაფიქრებინებს სპარსულ მეშვეობას, დაახლოებით XIV საუკუნიდან.

**ღადარი – კაცი დაუნდობელი ZA (საბა 1993: 245).**

ღადარი არაბული در/gadara ზმნის „ვერაგულად მოექცა, უმუხთლა, უღალატა“ (ლენი 1868: 2232) მასდარის ფორმაა: در/gaddār „ვერაგი, მუხთალი“ (წერეთელი 1951:171). ასეთივე მნიშვნელობებითაა ყურანში (გირგასი 1881: 581). არაბიზმადაა მიჩნეული თურქულ „დაუნდობელი, მხეცი, მძვინვარე, სასტიკი, ტირანი; (ზეპ. მეტყ.) (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 310) და სპარსულ ენაშიც „ვერაგი, მუხთალი, დაუნდობელი“ (მოინი 1996: 2390).

ქართული წერილობითი ძეგლებიდან ფიქსირდება „ვეფხისტყაოსნში“ (695,2): „დაუნდობელის, მოღალატეს, მუხთალის, მატყუარას“ მნიშვნელობებით. არაბ. در/gaddār > სპარს. qaddār. არაბული გემინირებული თანხმოვანი, ქართულში გადმოდის ერთი თანხმოვნით. ქართული „ღადარის“ სემანტიკა სპარსულს უახლოვდება

„დაუნდობელი“, რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ლექსემა სპარსული გზით დამკვიდრდა ქართულში.

### ღაზლა – მატყლის მკედი ძაფი სხვილი ZABCD (საბა 1993: 245).

ღაზლა სიტყვის ამოსავალია არაბ. لِجَلْ/gazala ზმნა „ძაფი დაართო“ (ლენი 1968: 2256). აქედან გაzal – რთვა, ქსოვა (გირგასი 1881: 587). შდრ.: „არაბ. ღაზლ: ნართი. 1. მატყლის მსხვილი ძაფი. 2. თხის ბალნის მსხვილი ნართი, თოვად დაგრეხილი. 3. კუთხ. (გურ.) ოთხკუთხი შალის შარფი“ (ქეგლი).

ქართულ წერილობით ძეგლებში ღაზლა ლექსემა არ ფიქსირდება. გურულ დიალექტში მონაცვლეობს ღაზლა/ყაზლა ფორმები – „მატყლის დართული ძაფი“ (ღლონტი 1984: 582).

სრული დამთხვევაა ფონეტიკური თვალსაზრისით არაბ. لِجَلْ/gazl და ქართულ ღაზლა ლექსემას შორის. სემანტიკურად კი სახეცვლილია: არაბ. გაzal (რთვა, ქსოვა, ნართი) > ქართ. ღაზლა (მატყლის მკედი ძაფი სხვილი). აქ სპარსული მეშვეობაა სავარაუდებელი, რადგან ამ უკანასკნელში არაბული ღაზლი ლი/yazl ქსოვილი, ძაფი, ნართი, ხაზი მნიშვნელობითაა (მოინი 1996: 2412), რაც საბას განმარტებულს უახლოვდება. თურქულ ენაში აღნიშნული ფორმა არ ფიქსირდება ამ მნიშვნელობით.

სავარაუდოა აღნიშნული ლექსემის ზეპირი გზით გავრცელება ქართულში სპარსულის გზით.

### ღალა – ყანის ბეგარა ZA. პურის ბეგარა B (საბა 1993: 246).

Cab რედაქციაში საბა უფრო აზუსტებს აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობას: „ღალა არს რა აგარაკისა უფალი სხვისა ნამუშაკევსა ზედა თვისსა განწესებულსა სარგოსა აღიღებდეს“ (საბა 1993: 246).

ღალა სიტყვის ამოსავალია არაბ. لِجَلْ/gallat 1. პროდუქცია; 2. აღება, შემოსავალი; 3. მკა, მოსავალი; 4. მარცვლეული, თავთავი. პროდუქცია, რომელიც მიიღება მარცვლეულისგან, ხილისა და რძისაგან (ლენი 1868: 2278). გ. წერეთლის ლექსიკონში ემატება მნიშვნელობები: შემოსავალი, რომელსაც იძლევა მიწა, მიწის ნაკვეთი და სხვა. (=მოსავალი, რენტა) (წერეთელი 1951: 174). შდრ.: „არაბ. ღალლათ, 1. ისტ. ყანის ბეგარა

(საბა), გადასახადი მიწის სარგებლობისთვის; 2. გამოსავალი, ბარაქა; 3. ნაწველი. წველის ბარაქიანობა და ცხიმიანობა“ (ქეგლი—ი).

სპარსულში გხვდება მრავლობითის ფორმით „غلات/qallāt (არაბული گل—დან) თავთავის, მარცვლოვანი კულტურა; პურის თავთავი“ მნიშვნელობით (ანვარი 1382: 1604).

არაბული წარმომავლობის ლექსემად მიიჩნევა იგი თურქულ: galle-თავთავი, მოსავალი (პურის), შემოსავალი (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977:311) და ოსმალურ ენაში (2007:138).

ხევსურულ, მთიულურ და მოხევურ დიალექტებში ღალა „რძის სიმსუქნე, ნაღებია, რომლიდანაც კარაქი მზადდება“ (ლლონტი 1984: 582). რძისგან მიღებული პროდუქტი არაბული گل/gallat –ის ერთ-ერთი ძველი მნიშვნელობათაგანია (ლენი 1968, VI: 2278).

ქართულ წერილობით ძეგლებში ღალა ფორმა X-XI საუკუნის ძეგლში „მამათა ცხოვრებანი“ ფიქსირდება: „უნდა მას დატევებად მრავალთა ღალათად“ (167,11). ქართულში დამკვიდრების თარიღად ადრეული საუკუნეები უნდა მივიჩნიოთ, რადგან არაბების დაპყრობის შემდეგ, ქართველ გლეხობას დაეკისრა გადასახადი, ღალა, რაც სწორედ, საკვები პროდუქტის, მიწის ნაკვეთიდან მიღებულის გადახდას გულისხმობდა.

### ღალატი – მუხთლად მოკლვა ZAB (საბა 1993: 246).

არაბული ჰე/gypt „შეცდომა, შეცოდვა, არასწორობა, მცდარობა, დაბნეულობა“ (ლენი 1868: 2282). შდრ.: „არაბ. ღალატ „შეცდომა, დანაშაული“. 1. გამცემლობა, ვერაგობა, ორგულობა“ (ქეგლი—ი). ქართულში ამ მირისგან ნაწარმოებ სიტყვათაგან ფართოდაა გავრცელებული სახელი „მოღალატე“.

ქართულ წერილობით ძეგლებში ღალატი ლექსემა ფიქსირდება „ვეფხისტყაოსანში“ (735,2), „შაჰ–ნამე I“–ში (2244,1). აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ არც ერთ ტექსტში არაა საბასული განმარტებით „მუხთლად მოკლვა“. „ღალატი, გაცემა, დანაშაული“ მნიშვნელობები უფიქსირდება ამ ლექსემას სპარსულ ენაში (რუბინხივი 1964: 210). არაბიზმია თურქულ (galat) (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 311) და ოსმალურ (2007: 138) ენაშიც „შეცდომა, დანაშაულის“ მნიშვნელობით.

სიტყვის სემანტიკა, კერძოდ, „მუხთლად მოკლვა“ ქართულში შეძენილი მნიშვნელობაა. სავარაუდოდ, ეს ლექსემა უშუალო გზით ჩანს დამკვიდრებული ქართულში.

**ღარიბი – გარეშე წერილში სწერია, უცხოს(ა) ჰქვიან ZA (საბა 1993: 247).**

ღარიბი ლექსემის ამოსავალია არაბ. *غريب/garīb* „1. უცხო, უცხოელი, გარეშე, უცნობი; 2. უცნაური, არაჩვეულებრივი, გასაოცარი“ (ლენი 1868: 2243). ასეთივე მნიშვნელობებითაა ყურანსა (გირგასი 1881: 585) და ძველ ისტორიულ ტექსტებში (წერეთელი 1951: 172).

ღარიბი ლექსემა XII საუკუნიდან ფიქსირდება ქართულ წერილობით ძეგლებში: „ვეფხისტყაოსანი“ (128,2); „ამირანდარეჯანიანი“ (117,8); „ვისრამიანი“ (126,15); „რუსუდანიანი“ (22,4). დაახლოებით XIV საუკუნიდან მონაცელებს ღარიბი/ყარიბი ფორმები (შაჰ-ნამე III: 434,2). შდრ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სადაც აღნიშნული ლექსემის ორივე ფორმაა განხილული: „ღარიბი – არაბ. ღარიბ. 1. მცირე ქონების პატრონი, ხელმოკლე, უქონელი. ყარიბი – არაბ. ღარიბ „უცხო“. 1. ძვ. უცხოობაში მყოფი, გადახვეწილი, უთვისტომო; 2. გადატ. უპატრონო, საცოდავი, საწყალი, ღარიბი (ქეგლ–ი). ერთმანეთისგან განასხვავებს ამ ორ ლექსემას თ. ბაგრატიონიც: „ღარიბი – მწირი, გინა უცხო თავის ქვეყნიდამ უცხოებაში წარსული და უცხოს ქვეყანასა და თემს მისრული. ღარიბი არაბული ლექსია. არაბულად ყარიბი უცხოს ნიშნავს, ჩვენებურად ყარიბი უქონელსა და გლახავსა ეწოდება. ღარიბი ქართული საკუთარია. ღარიბი – უცხო ქვეყნელი ვინმე. ღარიბი საიშვიათო რაომე ასე რომელ, მრავალი არ იშოებოდეს მისი მსგავსი“ („წიგნი ლექსიკონი“ 1979).

„უცხო, უცხოელი, უთვისთომო, მოხეტიალე, იშვითი, უცხოობაში მყოფი“ მნიშვნელობითაა სპარსული *بَرِي/qarib* (ანვარი 1382: 1599).

„საწყალი, საცოდავი, ღარიბი, უქონელი“ მნიშვნელობები მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება და იგი ოსმალური ენის გავლენას უნდა მივაწეროთ. ოსმ. *garīb* (ოსმალურ–თურქული ლექსიკონი 2007: 139; თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 314).

საბას მიერ განმარტებული ღარიბი (გარეშე წერილში სწერია, უცხოს(ა) ჰქვიან), სწორედ, არაბული *غريب/garīb* – დან მომდინარე, უშუალოდ არაბულიდან

დამკვიდრებული ლექსემაა ქართულში, სადაც სრულ ფონეტიკურ თუ სემანტიკურ დამთხვევასთანა ადგილი.

ღაფალი – არს ღაფლობა კაცი დიდად გაკრძალული, ანუ თვით მოსცდეს, ანუ სხვამან მოაცდუნოს და განუკრძალველად იპოოს ZA (საბა 1993: 247).

თ. ბაგრატიონის მიხედვით: „ღაფალი – სიღაფლე – მოღაფლება – ღაფლობა, ესე არს რომელ კაცი ფრიად განკრძალული, ანუ თვით თვისით მოსცდეს, ანუ სხვამან მოაცთუნოს და განუკრძალველად იპოვოს. ღაფალი არაბული ლექსი არის, ნიშნავს დავიწყებასა და ესე ვითარსა შეცდომასაც რომ კაცი რასაც განიზრახვიდეს, ის საქმე ისე არ წარემართოს და შეცთეს. ღაფალი ნიშნავს მაცთურებასა, სიცრუეთა და ლიქვნით მოტყუებას (წიგნნი ლექსიკონი 1979).

ღაფალი მომდინარეობს არაბ. ﻗَفَ /qafal „უყურადღებო, დაუდევარი, უდარდელი“ (ბარანოვი 1984: 567). ასეთივე მნიშვნელობებით დასტურდება ყურანსა (1881: 593) და ძველ ისტორიულ წყაროებში (წერეთელი 1951: 174).

არაბული წარმოშობის ლექსემად განიხილავს აღნიშნულ სიტყვას დ. ჩუბინაშვილი: „ღაფალი – უთაური კაცი, გარეწარი, წარმდები“ (ჩუბინაშვილი 1984: 1357). არაბიზმად მიიჩნევენ მას ილ. აბულაძე არაბ. ღაფილ ფორმიდან „გულაცრუებული, უგულო, უხალისო, ზარმაცი, უქმი, მოუხეშავი, უვიცი“ („ვეფხისტყაოსანი“ 1914: 200); იუსტ. აბულაძე არაბ. ﻗَافِل/qāfil ფორმიდან „ზარმაცი, უქმი, უზრუნველი, უკმარ–დებული“ (შაჰ–ნამე I 1916: 838). ალ. გვახრიასა და მ. თოდუას მიერ ღაფალი ლექსემა განმარტებულია, როგორც „უვიცი, უგრძნობელი, დაუდევარი, უყურადღებო. „მე ღაფლად ვიყავ“ – უზრუნველად, დაუდევრად, გაუფრთხილებლად ვიყავი. აქედან მოღაფლება – უყურადღებობა, დაუდევრობა; მოღაფლებული – გრძნობადაკარგული, უზრუნველი. შდრ. „ვეფხისტყაოსანი“: „თურე ბედი მოაღაფლებს კაცსა ეგზომ არ–ღაფალსა“ (ვისრამიანი 1962: 751). ჩამოთვლილი მნიშვნელობები სემანტიკურად სპარსულ გავლენას უნდა მივაწეროთ. შდრ.: სპარს. ﻗَفِل/qofl „უდარდელი, უზრუნველი“. არაბიზმადაა მიჩნეული იგი სპარსულში (ანვარი 1382: 1033; მოინი 1996: 2421).

საინტერესოა ქართულში არაბულში გვე/გაფალი სიტყვის შემოსვლა ქართულში. არაბულში აღნიშნავს მოქმედებას, ხოლო მის ამოსავალ ზმნას ქართულში აქვს შემდეგი მნიშვნელობები – „იყო უყურადღებო, უდარდელი“. ქართულში ეს სიტყვა შემოვიდა ატრიბუტის ან მიმღეობის მნიშვნელობით და თავისებურად აისახა ამ ზმნის გარდამავლობა – ქართულ ენაში მას აქვს ორი მნიშვნელობა – „მოცდუნებული“ (საბა) და „უხალისო“ – პირველ შემთხვევაში თუ გაიაზრება ზმნის ობიექტად, მეორეში – სუბიექტად.

ღაფალი ლექსემა არაბული ქართული გვე/გაფალი–იდან მომდინარე, სპარსული ენის გავლენით მოხვედრილი ლექსემაა ქართულში, დაახლოებით XII საუკუნიდან მწიგნობრული გზით.

ყავა – მარცვალია იამანეთისა სახვრეტელად ZA (საბა 1993: 261).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ყავა არაბული წარმოშობის ლექსემაა: კაჰვა – 1. ტროპიკულ ქვეყნებში გავრცელებული ხე. მოჰყავთ მარცვლებისათვის. სამშობლო აღმოსავლეთ აფრიკა და არაბეთია (ქეგლ–ი).

ყავა მომდინარეობს არაბ. ۃقه/qahwat „ყავის მარცვლები, ყავა, ღვინო“ (ბარანოვი 1984: 663). ყურანში იგი არის სასმელი, რომელიც აქრობს ჭამის სურვილს; ღვინო, ყავა (გირგასი 1881: 683). მოიხსენება ძველ არაბულ წყაროებში „ღვინო; შემდეგ ყავა“ (წერეთელი 1951:204). თავდაპირველი მნიშვნელობა ამ სიტყვის არის „ღვინო, სუფთა რძე“ და შემდეგ, „ყავა (ყავის მარცვლებიდან მოდუდებული სასმელი); მშვენიერი და ნოყიერი“ (ჯონსონი 1852: 985). თითქმის ყველა არაბი ლექსიკოგრაფი განიხილავს ამ ლექსემას და აღნიშნავს მის არაბულ წარმომავლობას (ალ–ვასიტი 2004: 764; ალ–ჯავჰარი: 437; ლისანუ ლ–‘არაბი).

არაბიზმია ეს ლექსემა სპარსულ (ۃقه/qahve. ანვარი:1740), ოსმალურ (2007:239) და თურქულ (kahve. თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977:497) ენაში მხოლოდ „ყავა“ მნიშვნელობით.

ლ. ავალიანი განიხილავს პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინს „ყავაჩი“: „ყავის მწდე, ყავის დამსხმელი“ და მას თურქულიდან ნასესხობად მიიჩნევს (ავალიანი 2005:79). მ. ანდრონიკაშვილი არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული სიტყვა შესაძლებელია თურქულის

გარდა შესულიყო ჭანურში ქართულის, მეგრულის, სპარსულის ან სომხურის მეშვეობითაც (ანდრონიკაშვილი 1996: 225).

ძველ ქართულ სალიტერატურო ძეგლებში „ყავა“ არ დასტურდება. ყავაჩი ლექსემა პირველად „ქართული სამართლის ძეგლებში“ (ტ. III) ფიქსირდება.

არაბ. **قهوة/qahwat** > სპარს. **قهوة/qahve** > თურქ. **kahve**. გასაზიარებელია ლ. ავალიანის მოსაზრება ამ ლექსემის თურქულიდან სესხების შესახებ. ანატოლიის დიალექტებში (არზრუმი, ყარსი, თერექმე) დადასტურებულია თავკიდური *k/ق* –ის ქართული „ყ“ თანხმოვნით გადმოცემა (გურგენიძე 1973: 138).

**ყუმაში – (ყუმაში, კუმაში CD) კუმაში, ლარი ZA (საბა 1993: 273).**

Е რედაქციაში საბა აკონკრეტებს სიტყვის მნიშვნელობას: „უჯმ. ფარჩა, ესე არა არს ქართული, არამედ ვიეთთა უმეცრად უთქვამსთ ნაქსოვისა და ლარისათვის“ (საბა 1993: 273).

არაბ. **قماش/qumāš** – 1. მატერია, ქსოვილი; 2. ტილო (მხატვრის); 3. სახლის ნივთები, რისი მოგროვებაც შეიძლება (ლენი 1868: 2563).

ძველ არაბულ წყაროებში „კუმაშის“ პირველადი მნიშვნელობაა: „სახლის ნივთები, რომლებიც აღარაა საჭირო (ტანსაცმელი, ჭურჭელი, ნოხები); ქსოვილი“ (გირგასი 1881: 680). მხოლოდ „სახლის ნივთები“ მნიშვნელობითაა აღ–ჯავარის ლექსიკონში (აღ–ჯავარი:427).

ქართულ წერილობით ძეგლებში ყუმაში ლექსემა ფიქსირდება „ქსოვილი, ლარი“ – ს მნიშვნელობით „შაჰ–ნამე III“ – ში (671,3). შდრ.: სპარსული **قماش/qomāš** „ფარჩა, ქსოვილი; სახეობა“ (ანვარი 1382: 1730; მოინი 1996: 2725). გ. წერეთელი **قماش/qumāš** სიტყვის განმარტებისას ვარაუდს გამოთქვამს ამ სიტყვის თურქული წარმომავლობის შესახებ. შდრ.: *kumas* ქსოვილი, მატერია (თურქულ–რუსული ლექსიკონი 1977: 572), ასეთივე ფორმითაა ოსმალურშიც *kumas* (ოსმალურ–თურქული ლექსიკონი 2007: 256).

ყუმაში ფორმით (არაბული წარმოშობით) ფიქსირდება დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში „ლარი, ბამბის ნაქსოვის“ მნიშვნელობით (ჩუბინაშვილი 1984: 1387). ი. გრიშაშვილი ამ ლექსემას ტოპონიმურ მნიშვნელობას ანიჭებს. „ყუმაში/კუმაში –

დაღესტნის სოფელი, სადაც იქსოვება მატერია მუქი წითელი ფერის“ (ქალაქური ლექსიკონი 1997: 244).

საბას ლექსიკონში დამოწმებული ყუმაში არაბული აშ/qumāš–იდან მიღებული ლექსემაა, სპარსული გზით შემოსული ქართულში, დაახლოებით XIV-XV საუკუნეებიდან.

**შაკიკი – რიგით თავის ტკივილი დროსა და დროზედ ZA** (საბა 1993: 278).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, შაკიკი (არაბ. شاكي) თავის ერთი მხრის დროგამოშვებით ტკივილი, გამოწვეული თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მომლით (ქეგლ–ი).

ამოსავალი ამ სიტყვისათვის არის არაბ. წარმოშობის **شقيقة/šaqīqat** „ძლიერი თავის ტკივილი, შაკიკი“ (ბარანოვი 1984: 411). ამ სიტყვის მნიშვნელობებია აგრეთვე – „და; ნაპრალი, გახლეჩილი ნაწილი; ტკივილი, რომელიც მოიცავს თავისა და სახის ერთ ნაწილს“ (ჯონსონი 1852: 757). ასეთივე მნიშვნელობებითაა არაბ ლექსიკოლოგებთან (ალ–ვასიტი 2004: 489; ალ–ჯავჰარი: 728).

არაბული წარმომავლობა უდასტურდება საკვლევ ლექსემას სპარსულ (**šaqiqe**; ანვარი 1382: 1413; მოინი 1996: 2055) ენაში. აღსანიშნავია, რომ შაკიკი თანამედროვე სპარსულში იშვიათად იხმარება (რუბინჩიკი 1964: 105).

ქართულ წერილობით ძეგლებში შაკიკი ლექსემა XI საუკუნის ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ (92,14) ფიქსირდება. არ არის გამორიცხული ამ სიტყვის, როგორც სამედიცინო ტერმინის, უშუალოდ არაბულიდან სესხება. არაბ. q > ქართ. კ. არაბ. **شقيقة/šaqīqat** > ქართ. შაკიკი (შაყიყის გვერდით).

შაკიკი ლექსემა არაბული წარმოშობის ლექსემაა ქართულში დამკვიდრებული დაახლოებით X-XI საუკუნეებიდან.

**შუღლი – სიტყვით ბრძოლა ZABCD** (საბა 1993: 310).

არაბულ ენაში **غسل/šagħala** ზმნა ნიშნავს: „დაიკავა, დაიმორჩილა, მისცა საქმე, შეშფოთებული იყო, მოწყვიტა, ხელი შეუშალა, წინ აღუდგა“ (ბარანოვი 1984: 408). მისგანაა ნაწარმოები **شنغل/šuġġi** „საქმე, სამუშაო, გაკვეთილი“ (ჯონსონი 1852: 754). ასეთივე მნიშვნელობებით ფიქსირდება „ყურანში“ (გირგასი 1881: 418).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, შუღლი ლექსემა არაბული წარმოშობის სიტყვაა („საქმე, ზრუნვა“) 1. ქიშპობა, მტრობა; 2. ოგივეა, რაც ომი. ქართულ წერილობით ძეგლებში პირველად „ამირანდარეჯანიანში“ (43,6) ფიქსირდება „ჩხუბი, ომი“ მნიშვნელობით. ასეთივე ფორმითაა „რუსუდანიანსა“ (508,35) და „შაჰ–ნამე I“ (2850,3) ნაწილში. იუსტინე აბულაძე ამ სიტყვის სემანტიკურ ტრანსფორმაციას შემდეგნაირად ხსნის: „შუღლი – არაბ. سغل ბეჯითობა, შრომა, გონების მუშაობა, მეცადინეობა. აქედან მისწრაფება; ჯიბრი, კინკლაობა, შეტაკება, შეჯახება, ცილობა, ჩხუბი“ („შაჰ–ნამე I“ 1916: 841). სპარსულ ენაში 1. საქმე, სამუშაო, პროფესია; 2. თანამდებობა, ადგილი, ვალდებულება. ხოლო *اشغل* „ოკუპაცია, დაკავება, დაჭერა, აღება“ (რუბინჩიკი 1964: 104). აღმოსავლელი და ევროპელი ლექსიკოლოგები ჯერდებიან ამ ლექსემის არაბულ წარმომავლობაზე (მოინი 1996: 2050; ალ–ვასიტი 2004: 516; ჯონსონი 1852: 754; წერეთელი 1951: 110).

საინტერესოა არაბ. سغل სემანტიკური ცვლილება ქართულში. შესაძლებელია, ორმხრივად იქნეს გაგებული საბას მიერ განმარტებული შუღლი – სიტყვით ბრძოლა: 1. ეს შეიძლება იყოს კამათი, ცილობა; 2. ან კიდევ, ეს შეიძლება იყოს სიტყვით დაღლა ანუ, ბევრი ლაპარაკი, მეცადინეობა.

ოსმალურ ენაში *şugl* არაბული *سغل* –იდან მომდინარე ლექსემაა: 1. სამუშაო, საქმე, მოღვაწეობა, მეცადინეობა; 2. ბრძოლა, დავა, ომი (ოსმალურ–თურქული ლექსიკონი 2007: 497). თანამედროვე თურქულ ენაში *şugl* ფორმა არ დასტურდება.

شغل/*şugl* სიტყვის ფონეტიკურ მდგომარეობას თუ გადავხედავთ, არანაირ ძირეულ ცვლილებას აქ ადგილი არ აქვს. მხოლოდ სემანტიკურადაა სახეცვლილი, რაც, ლექსიკონებზე დაკვირვების შედეგად სპარსული და ოსმალური პერიოდის გავლენას უნდა მივაწეროთ. არაბ. *شغل*/*şugl* > სპარს. *شغل*/*şoyl* > ოსმ. *şugl* > ქართ. შუღლი.

რადგან ქართულ წერილობით ძეგლებში აღნიშნული ლექსემა XII საუკუნის ძეგლში დასტურდება, ამასთანავე, სიტყვის სემანტიკა სპარსულს უახლოვდება ვივარაუდოთ შუღლი ლექსემის ამ ენიდან სესხება.

ხარაზანი – ლოდნი, წარიგებით ჩასხმულნი გრძლად საზღვართაებრ ZA (საბა 1993: 417).

CD რედაქციაში ლოდნი ქვა ფორმითაა შეცვლილი (საბა 1993: 417). ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ხარაზანი ლექსემა არ ფიქსირდება. საბას განმარტებული ფორმითაა ნიკო ჩუბინაშვილის „ქართულ–რუსულ ლექსიკონში“, ხოლო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ხარაზანი სპარს. „ხარა“–დან მომდინარე სიტყვაა, რომელიც „გრანიტს“ ნიშნავს.

ქართული ხარაზანი არაბული ჯრ/ქარაზ „კრებ. კაკილა, კრიალოსნის მარცვლები, სამკაულის ქვები“ (ბარანოვი 1984: 216) მომდინარე ლექსემაა, რომელიც „ყურანში“ დასტურდება (გირგასი 1881: 217). არაბი ლექსიკოლოგები ჯრ/ქარაზ ლექსემას არაბული წარმოშობისად მიიჩნევენ. ალ–ჯავჰარის, ალ–ვასიტისა და იბნ მანზურის მიხედვით, ეს არის ძაფზე ერთმანეთზე აცმული მარცვლები ან ქვები სამშვენისი (ალ–ვასიტი 2004: 226); ჯონსონის მიხედვით, ჯრ/ქარაზ „პატარა მარგალიტები, მინის მარცვლები, ან მსგავსი რამ (უმეტესად ჩამოკიდებული ყელზე, ავი თვალის დასაცავად)“, ხოლო გვირგვინზე, რომელიც იმატებს მეფობის წლებთან ერთად“. ჯონსონი ამ ლექსემის არაბულ წარმომავლობას მიანიშნებს. იქვე ვაწყდებით სპარსული ფორმის გვირგვინზე, რომელიც იმატებს მეფობის წლებთან ერთად“. ჯონსონი ამ ლექსემის მნიშვნელობებით (მოინი 1996:1410). თურქულსა და ოსმალურში იგი არ დაიძებნა.

აღნიშნული სიტყვის სემანტიკას თუ გადავხედავთ, მას სპარსულსა და ქართულში იგივე მნიშვნელობები უფიქსირდებათ, თუმცა ქართულის ფორმა არაბულისკენ უფრო იხრება. სიტყვის ფონეტიკური აღწერილობა აბსოლუტურად შეესაბამება არაბულს. არაბული ჯრ/ქარაზ > არაბ. მრავლ. ჯრ/ქარაზატ > ქართ. ხარაზანი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულში ნარიან მრავლობითთან გვაქვს საქმე. ხარაზანი ქარაზატ–ის ზუსტი თარგმანია. შესაბამისად, ხარაზანი = ლოდნი (ნარიანი მრავლობითის ფორმით გავრცელდა ენაში).

მნელია საუბარი შემოსვლის გზაზე. რადგან ფონეტიკური თუ სემანტიკური თანხვედრაა ამ ლექსემაში, ივარაუდება უშუალო, ზეპირი გზა.

საბას მიერ ქართულად მიჩნეული პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინი ხარაზი – წუღა-მაშიის მკერავი (საბა 1993:417) არაბული ჯَرْجَار /ḥarrāz „პიროვნება, ვინც ბურღავს, ხვრეტს რაიმეს“, მიღებული ლექსემაა, რომელიც ლ. ავალიანის დაკვირვებით, ქართულში სპარსულის გზით ჩანს დამკვიდრებული (ავალიანი 2005: 55).

### ხიბლი – საგრძნებო კრული ZA (საბა 1993:422).

ქართულ წერილობით ძეგლებიდან ხიბლი ლექსემა აღორმინების ეპოქის ტექსტებში ფიქსირდება. „შაჰ–ნამე I“ (204,2); „შაჰ–ნამე III“ (495,35); „რუსუდანიანი“ (186,16). სხვადასხვა ფორმით გხვდება იგი სამივე ნაწარმოებში: ხიბლი; ჭიბალი; ხიბალი. იუსტ. აბულაძე ხიბლი ლექსემის ამოსავლად გულისხმობს არაბ. خبل ხაბალა–დასახიჩრება, დამახინჯება, დაღუპვა, ეშმაკობა, მავნეობა (შაჰ–ნამე I: 845). ხიბალ ფორმასთან ეტიმოლოგიური მინიშნება არაა. იგი ნიშნავს: „ჯადო, ეშმაკობა, გრძნება, გრძნებით შეკვრა“. დ. კობიძე მიუთითებს „ხიფელი, ხიფევლი“ ფორმების არსებობას „ჭიბალი“ ლექსემის გვერდით – „გრძნება, ჯადო, ხიბლვა“ მნიშვნელობით (შაჰ–ნამე III: 649). თეიმურაზ ბაგრატიონი „ხიბალი“ ლექსემას განიხილავს – „საწამლავი“. „მოხიბლა – მოწამლა, მოაჯადოვა“ (წიგნი ლექსიკონი 1979). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ხიბალი/ხიბლი სპარსული „ხაბალ“ –დან მომდინარე ლექსემაა: 1. ჯადო, გრძნობა „შენ ის არას მოგცემსო და არამც ხიბალიც რომ გიყოსო“ (რუსუდ.). გადატ. მომხიბვლელობა, მიმზიდველობა: „(ქალი) გრძნობდა, რომ უწინდელი ხიბლი ზოლივით ეფანტებოდა“ (მ. ჯავახ.); 2. ეშმაკი და კუდიანი კაცი (დიალ.).

არაბულ ენაში ქبل /habala ზმნა: „შებოჭა, ნერვულ აშლილობამდე მიიყვანა; გაუძნელდა (მოძრაობა); გადაიყვანა ჭკუიდან, თავის კონტროლი დაკარგა“ (ლენი 1968 ტ. 2: 699) შდრ.: „საგრძნებო კრული“, რასაც ადამიანი ჭკუიდან გადაჰყავს და კონტროლს აკარგვინებს. ეს ლექსემა „ყურანშიც“ ფიქსირდება ასეთივე მნიშვნელობებით (გირგასი 1881: 212). არაბული წარმომავლობა უდასტურდება ჯონსონის (1852: 509); ალ–ვასიტის (2004: 217); ალ–ჯავჰარის (329); მოინის (1996: 1398) ლექსიკონებში.

თურქულ და ოსმალურ ლექსიკონებში აღნიშნული ლექსემა არ დაიძებნა.

სპარსულ ენაში / خبل / xab(a)l არაბული წარმოშობის ლექსემაა „გაგიჟება, ჭკუიდან გადაყვანა, გაუაზრებელი ქმედებების ჩადენა“ მნიშვნელობებით (ანვარი 1382: 903)

ქიზიყურ დიალექტში ხიბალი/ხიბლვა ლექსემის მნიშვნელობაა „საწამლავი. ავადმყოფობისაგან (უმთავრესად ციებ–ცხელებისაგან) „მოწამლული“ ადამიანი. ფშაურ დიალექტში კი ხიბალი „ეშმავი და კუდიანია“. აჭარული ხიბალი „მჭლე (საქონელი), გამხდარი (ადამიანია)“ (ღლონტი 1984: 752).

სავარაუდოა, არაბული ქبل/خبل > ქართ. ხიბლი ლექსემის სემანტიკური ტრანსფორმაცია ქართულის ნიადაგზე მომხდარიყო.

**ხილიფა – შვილდის ჩასადებელი (შთასადებელი B) ZABCD (საბა 1993: 423).**

ქართული ხილიფა-ს ამოსავალია არაბ. گلاف/galafa ზმნა „ჩადო, ჩააგო“ და მისგან ნაწარმოები: گلاف/gilāf „კონვერტი; გარსი, ყდა, ჩასადები, ბუდე“ (ბარანოვი 1984: 568). გირგასის (1881: 596); ჯონსონის (1852: 901); ალ-ვასიტისა (2004: 209) და ალ-ჯავჰარის ლექსიკონებში (288) მითითებულია ამ ლექსემის არაბული წარმომავლობა და ერთ-ერთ უპირველეს მნიშვნელობად „ხმლის ჩასადები, ქარქაში“ უდასტურდება.

არაბიზმია აღნიშნული ლექსემა گلاف/gilāf „რაღაცის ჩასადები, წიგნის, ხმლის ან მისთანანი“ სპარსულ ენაშიც (მოინი 1996: 2422).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ხილიფა (ყალაფ) ფორმიდან მომდინარეა „შვილდის ჩასადები ბუდე“ და ემთხვევა დ. ჩუბინაშვილის განმარტებას. ძველი წერილობითი ძეგლებიდან ფიქსირდება „შაჰ-ნამე III“ (343,26) ნაწილში, საბასეული განმარტებით (შაჰ-ნამე III: 649).

არაბ. گلاف/gilāf > სპარს. گلاف/galāf > ქართ. ხილიფა. არაბული ველარული მჟღერი ნაპრალოვანი չ/ჟ ქართულში თითქმის ყოველთვის გადმოდის ღ-დ. შდრ.: არაბ. გذار/gaddār > ქართ. ღადარი (ლეკიაშვილი 1992: 70) თუმცა, ქართულის ნიადაგზე არაბ. ღ > ქართ. ხ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში რეგრესული ან პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე ხდება (ჯორბენამე 1998: 359). თავის მხრივ, არაბული მჟღერი չ/ჟ და ყრუ չ/ჸ ორივე ერთნაირი აწეულობის ველარებია (ლეკიაშვილი 1977: 41). არაბ. a > ქართ. o: მიჯნური/magħnūn > მიჯნური (ავალიანი 2005: 17).

სავარაუდოა ხილიფა ლექსიკური ერთეულის უშუალო გზით დამკვიდრება ქართულში.

## 2.6. არაბიზებული ლექსიკი „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით

არაბიზებულ ლექსიკასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობააა სამეცნიერო წრეებში. ერთი შეხედვით სიტყვები, რომლებიც მორგებულია არაბულ ყალიბს, თითქოს არანაირ ეჭვს არ იწვევს მათი წარმომავლობა, მათზე დაკვირვების, მსჯელობისა და განხილვის შედეგად იკვეთება ასეთ ლექსემათა არაარაბული წარმოშობა. ეს ის ლექსიკაა, რომელიც სესხების პროცესში მოერგო არაბულ ფორმასა და ყალიბს, იქცა ამ ენის ორგანულ ნაწილად და ასეთივე ფორმით გაასესხა კიდევ (მსესხებელ ენაშიც კი). ასეთი ლექსემები ჯერ კიდევ ძველი არაბი ფილოლოგების კვლევის საგანად იქცა და არაერთი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი შეიქმნა.

შუა საუკუნეების არაბულ მდიდარ ლექსიკოგრაფიულ კორპუსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „არაბიზებულ“, ე. ი. ნასესხებ სიტყვებს. ცნობილი ლექსიკოგრაფი ალ-ჯავჰარი ნასესხებ ლექსიკას ორ ჯგუფად ჰყოფს: „არაბიზებულ“ და „უცხოურ“ სიტყვებად. ტერმინით *المرّب* (al-mu'arrab) „არაბიზებული“ აღინიშნებოდა არაბულ მოდელებთან ასიმილირებული ლექსიკა, ხოლო ტერმინით *الدخيل* (ad-dahīl) „უცხო, შემოსული“ ნასესხები სიტყვები, რომლებიც არ დაემორჩილნენ მორფოლოგიური ასიმილაციის პროცესს და შეინარჩუნეს თავისი პირველადი ფორმა.

სიტყვის ფორმალური ასიმილაციის მთავარი და ძირითადი მოთხოვნა იყო: 1. შეთვისებულ სიტყვებში ბგერითი შემადგენლობის დაუშლელობა, ანუ, სხვა ენობრივი სიტყვის გადმოცემა არაბული ენის ბგერების საშუალებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფონემატური სუბსტიტუცია, და 2. სიტყვაწარმოების ანალოგიის წესთან შესაბამისობა, ანუ, უცხო სიტყვის არაბული მოდელების ქვეშ მოქცევა.

ფონემატური ასიმილაციის პარალელურად მიდიოდა მორფოლოგიური ასიმილაციის პროცესი, უცხოენოვანი სიტყვის დაახლოება არაბულ სტრუქტურასთან, რაც განპირობებული იყო ბგერის მიმატებითა და ჩავარდნით ან ხმოვნის სხვა ხმოვნით შეცვლითა და გადაადგილებით.

არაბულში ნასესხობების (كلمات أجمية) kalimāt 'a'ğamiyya) დიდი რაოდენობა ირანულია. პოლიტიკური ურთიერთობა ირანელებსა და არაბებს შორის მომდინარეობს

აქემენიდების პერიოდიდან, როცა არაბეთი ფორმირდებოდა, როგორც სპარსეთის იმპერიის სატრაპო და მოიცავდა პალესტინას, ლიბანსა და სირიის უდაბნოს ევფრატამდე. ამ პერიოდში ძველი ირანული წარმოშობის სიტყვები არაბულში შეიძლება არამეულის – აქემენიდების კანცელარიის ენის, *lingua franca*-ს მეშვეობით შედიოდა.

არაბულში ბევრი სიტყვა საშუალო და ახალი სპარსულიდან უშუალო და შუალობითი გზით შევიდა ისლამის ისტორიის პირველი ოთხი ასწლეულის განმავლობაში. უშუალო გზად „საშუალო სპარსული, ფალაური,“ იგულისხმება, რომელიც სასანიდური პერიოდის ოფიციალურ ენად მიიჩნეოდა. არაპირდაპირი გზით შემოსვლა არამეული და სირიული ენების გზით ხდებოდა.

არანაკლები როლი ითამაშა არაბული ლექსივის გამდიდრებაში არამეულმა ენამ. განსაკუთრებით ბევრი ნასესხობაა შესული სირიული ენის მეშვეობით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია როგორც ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელ, ასევე სამიწათმოქმედო და სახელოსნო სახელებთან. არამეული წარმოშობისაა აგრეთვე ქრისტიანული ტერმინოლოგია.

ბერძნული ენიდან ნასესხობები (ბიზანტიის ეპოქის/ al – ligah ar-rūmiyyah) ძირითადად მწიგნობრული ხასიათისაა. ბევრი სამეცნიერო ტერმინი მოხვდა არაბულ სალიტერატურო ენაში ინტენსიური მთარგმნელობითი შემოქმედების პროცესში, ძირითადად არამეულის გზით, რომლიდანაც ითარგმნებოდა ბერძნული თხზულებები.

არაბულში ასევე აღინიშნება ნასესხობები ეთიოპურიდან, ძველებრაულიდან, რაც ზოგიერთ რელიგიურ რეალიას ასახავს.

თუმცა, შეთვისებულ უცხოენოვან სიტყვებში მაინც იყო შერჩენილი ნიშან–თვისებები, რომელიც მიუთითებდა მათ უცხო წარმომავლობაზე. კერძოდ, ესაა სიტყვის არასრული მორფოლოგიური შეთვისება, როცა მორფოლოგიური ტიპი არ შეესაბამება არსებულ არაბულ მოდელებს; ან კიდევ მოხვდა სიტყვის არასრული ფონეტიკური ათვისება (ბელკინი 1975: 98).

აბანოზი – სხვათა ენაა, ქართულად ეკალმუხა ჰქვიან ZA, ნიგვზის ხის გული C (საბა 1991: 37).

აბანოზი ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლებიდან პირველად „შაჰ–ნამეში“ გვხვდება: „ეკალ–მუხასა გავს ქვეყანა და აბანოზსა ფერითა“ (I: 1225,1). აღნიშნული წყაროს ლექსიკონში იუსტინე აბულაძის მიერ აბანოზი განმარტებულია: არაბ. *ابنوس*, სპარს. *زبئر*, ბერძნ. ἐβενοῖς – მაგარი ჯიშის შავი ხე; როგორც ეკალმუხა (შაჰ–ნამე 1916: 791). „ყარამანიანში“ აბანოზის, როგორც შავმერქნიანი, ძვირფასი ხის გავრცელების არეალი ტროპიკული ქვეყნებია. საკმაოდ ამომწურავ მასალას იძლევა აღნიშნული ლექსემაზე დავით ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „აბანოსი - არს სახელი ასურული, რომელი ჰანიშნავს ქართულად ეკალმუხასა და ესე არს ხეთა შორის ურჩეულესი და ძვირფასი ხეი, რომელიცა აღმოცენდების ინდოეთს შინა, და კერძოსაცა ეთიოპიისასა, და აქუს ნერგოვნება მცსგავსი უნაბის ხისა. აწ უკუც ორნი ვიდრემდე არიან სახენი ამისნი. ერთი იგი არს თეთრშერეული მეწამული, გინა შავშერეული ყუითელი და მეორე სრულიად შავი, რომელიცა უმჯობეს არს პირველისა მის და ფრიად მძიმე. და შთაგდებასა წყალთა შინა მსწრაფლ შთაიწევის ძირამდე. და ესე არს ტვინი ხისა, შემოსილი გარეთგან ყვითელფერობანთა ქერქითა და გამოჰსჩნდების ბზის ხისაებრ“ (ლექსიკონი ქართულსიტყუაობისა 1967: 171). იოანე ბაგრატიონი მუხის გუარის ჯიშის ხეს „სპარსულ ლექსად“ თვლის, რომელიც სიძველით შავდება. არის მაგარი და მძიმე. აკეთებენ მისგან ხელსაჭერსა ჯოხსა და აგრეთვე ჩიბუხსა და ყუთებსაც (ქართული ლექსიკონი 1975: 106). „ქალაქურ ლექსიკონში“ აბანოზი მაგარი, შავი ხეა, რომელსაც ავეჯის დასამზადებლად იყენებენ, „აბანოზის კამოდს“ კაკლის კამოდს უწოდებენ (ქალაქური ლექსიკონი 1997: 13).

სიტყვის წარმომავლობად ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში ძირითადად სპარსულია მინიშნებული (ჩუბინაშვილი 1984: 2), თურქულ–არაბული ლექსიკონი (2008: 1), ჯონსონი (1852: 14). ოსმალურ–თურქულ ლექსიკონში კი მას არაბული წარმომავლობა უდასტურდება (ოსმალურ–თურქული ლექსიკონი 2007: 3). აბანის (ābanīs) ფორმითაა თანამედროვე სალიტერატურო სპარსულში ეს ლექსემა, თუმცა ეტიმოლოგიურად ბერძნული ნასესხობა უდასტურდება (ანვარი 1382: 14). არაბულში (ābanīs) უცხო ენიდან (ბერძნულიდან) შეთვისებული ლექსიკური ერთეულია, (الدخل), რომელიც მსესხებელმა ენამ მოგვიანებით შეითვისა (ალ–ვასიტი 2004: 33). თურქულ ენაში,

ქართულის მსგავსად აბანოზი (abanoz) ფორმა დასტურდება, იგივე მნიშვნელობებით (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 2). შესაძლოა, აღნიშნული ლექსემა არაბულიდან გავრცელდა სპარსულსა და თურქულში. არაბულიდან ნასესხობაზე მიუთითებს სიტყვის ფონეტიკური აღწერილობაც: *ābanūs*/abanoz. არაბულ ას/ს –ს ქართულში შეესაბამება ს, ზ, შ. ალ–თუნჯი, ცნობილი არაბი ლექსიკოგრაფი, მას სპარსულ, ოღონდ გაარაბიზებულ ფორმად მიიჩნევს (ალ–თუნჯი 1988: 19).

სავარაუდოა, აბანოზი ბერძნული არაბიზებული ლექსემის სპარსულიდან მომდინარეობა ადრეული საუკუნეებიდან.

#### ალმასი– თვალია პატიოსანი, ადამატინე Z (საბა 1991: 47).

ქართულ წერილობით ძეგლებში ალმასი ლექსემა პირველად „ვეფხისტყაოსანში“ ფიქსირდება: „მისსა ვით გასძლებს გაყრასა გული ალმასი წთობილი“ (327,4); იგი ასევე დასტურდება: „მე ამა ჭირთაგან, თუ ალმასიცა ვარ, ვით დავრჩები?“ „ვისრამიანი“ (134,3); „შაპ–ნამე“ (465,2); „რუსულდანიანი“ (27,20); „ვახტანგ VI“ (18,67,2); „იადიგარ–დაუდი“ (1938: 692).

იოანე ბაგრატიონის „ქართულ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ადამატი, ადამატინე – ლათინური. ნიშნავს ალმასსა. ესე ქუა არს ძვირფასი, თეთრი ფერითა; ელვარე და სუბუქი და სხუათა ქვებთა შორის პირველისა ხარისხისა მექონი. ლექსი ესე ადამანტ ჰსწერია წერილთა შინა, ხოლო არაბულისა ენით ეწოდების ალმასი და ფრანციცნი უწოდებენ ბრილიანტსა“ (ქუთათელაძე 1975: 118). თუ იოანე ბაგრატიონი ამ ძვირფასი ქვის ვიზუალურ სილამაზე მიუთითებს, ნიკო ჩუბინაშვილი ალმასი ლექსემას აღწერს, როგორც ხელოსნებისათვის გამოსაყენებელ ნივთს: „ალმასი– არაბული ელმას. ალმასნი განიყოფებიან: ბრილიანტებად, რომელთაც ზემოთი და ქვეშეთი პირი გათლილ არს კუთხეებად–როზეტებად, რომელთაც ზემოთი პირი გათლილ არს კუთხეებად და ქვეშეთი ბრტყელ ტაბლეტებად// ალმასის ნატეხი ტერზედ წამოცმული ჭიქების საჭრელი“ (ჩუბინაშვილი 1971: 30). „ვეფხისტყაოსანში“ მას ერთგან მაგარი ქვაც ეწოდება. „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“. ძველთაგანვე ალმასს, მაგარ ქვას, ტყვიით ტეხდნენ და ამუშავებდნენ (ცაიშვილი 1986: 314).

ქართველი ლექსიკოლოგები: დ. ჩუბინაშვილი (1984: 20) და ი. აბულაძე (1914: 185); ალმასი ლექსემას სპარსული წარმოშობისად მიიჩნევენ. თუმცა, იგი ზოგჯერ მოხსენიებულია, როგორც არაბ.-ირანული ლექსიკური ერთეული (კოტეტიშვილი 1938: 692; აბულაძე 1926: 241; ანდრონიკაშვილი 1965:60). მ. ანდრონიკაშვილის აზრით, „საშ. სპარსული *almast*, სომხ. *almast*, მოდის ბერძნულიდან – მკვრივი მეტალი ან შენადნობი ფოლადი“ (ანდრონიკაშვილი 1965: 60). ბერძნული წარმომავლობა უფიქსირდება ჰ. ანვარის ლექსიკონშიც (ანვარი 1382: 196).

ალმასის შესატყვისია არაბულში *سما/mās* - ალმასი (ბარანოვი 1984: 739); ეტიმოლოგიურად არაბული ფორმაა იგი თურქულ-არაბულ (2008: 387); ოსმალურ-თურქულ (2007: 109); არაბულ-თურქულ-სპარსულ (ზენკერი 1866: 111) ლექსიკონებში. არაბული *a* > თურქული *e=elmas*. ჯონსონი ამ ლექსემას არაბულ-სპარსულ ფორმად მიიჩნევს (ჯონსონი 1852: 150).

აღნიშნული ლექსემის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა მკვლევართა შორის. შეიძლება ითქვას, რომ იგი არაბულიდან შესული არაბიზებული ბერძნული ფორმაა სპარსულ და თურქულ ენებში. როგორც იუველირთა „სამუშაო იარაღის“ აღმნიშვნელი ტერმინის ქართულში დამკვიდრება, სავარაუდოდ, უშუალოდ არაბულს უკავშირდება.

**არაონი – ესე არს მცირე საწინდარი, რომელსა თურქი ბეს უწოდენ ZAB (საბა 1991: 60).**

ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ფიქსირდება „**არავონი**“ ლექსემა – გირაო, წინდის მნიშვნელობით: „წარვიდა...რავთა იყიდოს ბავავ და პოვა რამეთუ სხუათა ესწრა და მიეცა არავონი“ (მ. ცხ. 262)(ი. აბულაძე 1973). მ. თოდუას მიერ თარგმნილ კრებულში: „სპარსული პოეზიის შედევრები“, რომელშიც შესულია სპარსელი კლასიკოსების: რუდაქის, ნიზამის, ჰაფეზის, თანამედროვე პოეზიისა და ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშები აღნიშნული ლექსემა „**ბეს**“ მნიშვნელობითაა განმარტებული (თოდუა 2010: 245). კლასიკური თუ აღორძინების ხანის ტექსტებში ეს სიტყვა, თითქმის არ ფიქსირდება.

არაონი ლექსემა მომდინარეობს */عربان/arbana* ზმნიდან: გირაოდ მისცა, წინასწარ მისცა. აქედან ნაწარმოები: */عربون/urbūn* ან *'arabūn* ფორმა; „ავანსი, ბე, გირაოს“

մնո՞ւնելոծիտ (Ծարանով 1984:507). Արածոլու իշարմոմավլոծիսագ դասტյուրդեօն օգու տպական-արածուլ լոյքսուոննի „ծյա“ մնո՞ւնելոծիտ (տպական-արածուլ լոյքսուոն 2008:73), օսմալուր-տպական (2007:20) դա ասեցու չոնսոնուս Տէարսուլ-արածուլ- օնցլուսուր լոյքսուոննի (չոնսոն 1852: 846). Արածու լոյքսուոնցրագութեօն: Ծածիննի դա ալ- տպական ամ Տուրքաս Տէարսուլուսան մոմդոնարյ արածութեծուլ ფորմագ մուինեզեն. Նյու - ֆուլո, Ռոմելսաց Ինճարին օխուան, Արբոն (arabūn) դա Արմոն (aramūn)-ուս արածութեծուլո ֆորմա, Րաց Նոմնացս ազանս (ալ- տպական 1988:119; Ծածիննի: 219). Լոյնո յտանեմեծա արածու լոյքսուոնցրագութեօնս աթրս ամ լոյքսեմուս արածութեծուլ ֆորմաստան դակավմուրեգութեօն, տպա մուկացս Սեցա մզվլուրտա մոսաթրեցրեօն: Արբոն (arabūn) լոյքսեմուս ամոսավլուա / اربة / 'urbat „նասկու“ ան عرب/araba Կմնուս մոմցունցրեօն ֆորմա – عربون/arabūn, Սագաց ծոլուզուգութեօն Ն/Ն Տարբութեօն, ան Կուգու մորյուլուա (լոյն 1968 թ. 5: 1994).

عربون / 'urbūn, 'arabūn նասեսեռեամուս արածուլո յու-ս Տանացվլուա ո/յ մոնացվլութեօնս Տավսեցութեօն ծունցեցրուա, Րամցենագաց արածուլո ֆորմա, „յու“ արածուլ Տուրքաց մուսամուրեցրեօն Ռարմուրենութեօն օյուս Մեդարեցութեօն նակլութ անցուլու, ո-ստան մուախլուցուլո ալուգոնութեօն – ո-թմա (عزمى), ոյմո (حکم) (լոյնուամուլո 1992: 78).

Ալնոմնուլո լոյքսեմա արածութեծուլո Տէարսուլո իշարմութեօնուս Տուրքա, Ռոմելու ագրելու Տապական-եցունութեօն Ռոգորու Տապականմուրեցրելու Ցերմոնու յուժուալո ցիտ մոեցու յարտպական լոյքսուլութեօն, Տպա տպական ծյա-մ օսյ Բանացվլա, Ռոմ յս Տուրքա նակլութագ յուցուլա ցարբութելութեօն.

#### ԱՀՈ- Ե. ԱՀՈՍ ԹՅՈՒՆՈՒ, ԱՀՈՍ ՑԱԽՑՈՒ.

ԱՀՈՍ ԹՅՈՒՆՈՒ – (ZAbBCab) Ռուստոմուննի մուսպանուատ, Ֆալայրուս յնութ Ռյուս Թյունու Զ. Արածուլս Թյունու օթյուն Բ. Արածուլս օթյուն Կաբ.

ԱՀՈՍ ՑԱԽՑՈՒ – օսրյու Ֆալայրուս յնութ Անլուս մզալուս Ցախցու Զ. օգուզու մնո՞ւնելոծիտա Ա, Բ Ռեդայցույց Եռլու Կաբ Ռեդայցուամու ԱՀՈՍ մնո՞ւնելոծիտա դակոնցըթեծուլուա – Անլուս մզալուս Ցյունան Տէարսուլագ (Տան 1991: 86).

ԱՀՈ մոմդոնարյուն Արածուլո յայ/âč – օդան, Րաց Տէուլուս մզալուս Նոմնացս (չոնսոն 1881: 830; լոյն 1968: 2187), Արածուլո իշարմութեօն դաստյուրդեօն ասեցու, օսմալուր-արածուլ 'âč (2007: 3) դա Տէարսուլ յէտիմուլոցույր լոյքսուոննեցրեօն „1. մացարու

ქსოვილი, 2. ზოგიერთი ძუძუმწოვარის, მაგ: სპილოს, მარტორქას თავდაცვითი ორგანო; სპილოს ძვალი, 3. ხე, ჭადრის სახეობიდან “ (მოინი 1996) .

აჯი, როგორც ტერმინი არ გვხვდება კლასიკური ხანის ტექსტებში. იგი აღორძინების პერიოდიდან ჩნდება ქართულ წერილობით ძეგლებში. „აჯის ტახტი (489,38) – სპილოს ძვლის ტახტი. აჯის მშვილდი (300,30) – სპილოს ეშვის მშვილდი“ (რუსუდანიანი 1957: 706). მეგრულში აჯი გვაძლევს ანჯი ფორმას: სპილოს ძვალი, ცირა, ანჯი, მიგაბარი (ყიფშიძე 1914).

სიტყვის განმარტებებისას ავტორი თითქოს წინააღმდეგობაში მოდის. აჯის მშვილდის მინიშნებასთან B და Cab რედაქციებში აღნიშნული ლექსემა არაბულთან იგივდება, ხოლო აჯის ტახტან Cb რედაქციაში სპარსულთან. რადგან საბა ლექსიკის წყაროდ „როსტომიანს“ ასახელებს, ბუნებრივია ეჭვს არ უნდა იწვევდეს მისი კავშირი ამ უკანასკნელთან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ C რედაქციის ნუსხაში, რომელიც შედარებით მოკლეა, სიტყვათა განმარტების დროს ავტორი მსჯელობს, წყაროდან ამოკითხულსა და გაგონილს აპირისპირებს, უზიარებს მკითხველს (ქუთათელაძე 1957: 56), ხოლო B რედაქცია C-საგან განსხვავდება არა მარტო სიტყვიერი მარაგის ზრდით, არამედ იმითაც, რომ C-ში განუმარტავად დატოვებული სიტყვების დიდი უმეტესობა აქ (B-ში) ახსნილია. წყაროები გაცილებით მეტ სიტყვებთანაა მიწერილი, თანაც მათი მითითება უფრო ზუსტია, ვიდრე C-ში (ქუთათელაძე 1957: 76).

მიუხედავად ლექსიკოგრაფთა აჯი ლექსემის არაბულ წარმოშობისად მიჩნევისა, გასათვალისწინებელია ს.-ს. ორბელიანის სწორი მინიშნება ამ სიტყვის ფალაური ენიდან მომდინარეობის შესახებ. როგორც არაბიზებული ფორმა სავარაუდოა ამ ლექსემის ქართულში სპარსულის გზით დამკვიდრება დაახლოებით XV საუკუნიდან.

**ბადრაგა – ჭაბუკი მოგზაურთა წინამავალი, რათა მეკობრეთაგან უვნებლად გაატაროს (საბა 1991: 90).**

ბადრაგა დასტურდება კლასიკურ ტექსტებში: „ვეფხისტყაოსანი“, „ამირან–დარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „რუსუდანიანი“, მატარებელნი მოგზაურთანი უვნებლად მეკობრეთაგან (ჩუბინაშვილი 1971: 147), „წავე მისად საძებნელად, ბადრაგი მყვა სწავლად გზისად“ (შვიდთა მამათა 443,4. )

თ. ბაგრატიონი „წიგნი ლექსიკონში“ ბადრაგს შემდეგნაირად განმარტავს: ქართულად ისახელდების მცველი, მამაცი, ძლიერი და მწერ ჭაბუკი წინამდლოლი მათი, ვისაცა აქვს საჭიროება საშიშარისა გზისა. ხოლო ბადირყა არაბულის ენით წინა-მდლოლელს ნიშნავს (ბაგრატიონი 1979: 26). დ. ჩუბინაშვილი აღნიშნულ ლექსემას თათრულად მიიჩნევს, მატარებელი მოგზაურთა უვნებლად მეცობართა, ბელადი (ჩუბინაშვილი 1984: 91). საკმაოდ ვრცელი განმარტებაა ამ ტერმინის „ვეფხისტყაოსნის“ სარგის ცაიშვილისეულ გამოცემაში: „გზაზედ მშვიდობით გამტარებელი. ვაჭართ წინამდლოლი, რომელიც მგზავრობაში საშიშარს ადგილებში მათს სისხლს იკისრებს, რომ მშვიდობით გაატაროს ქარავნითურთ“ (ვეფხისტყაოსნი 1976: 14). „შაჰნავაზიანში“ მის შემოკლებულ ბადრა ვარიანტს ვხვდებით: ბადრა – ბადრაგი, ბადრაგა, გზის მაჩვენებელი (შაჰნავაზიანი 1932: 204).

ბადრაკა – მცველი ან ჯგუფი, რომელიც წინ მიუძღვის ქარავანს. ზმნა بذرق და მისგან ნაწარმოები – المبذوق – დარაჯი, მცველი. ეს არის არაბიზებული ფორმა ა რაიმე + راه გზა, რაც ნიშნავს ცუდი, ხიფათიანი გზა (ალ-თუნჯი 1988: 36). ჯავალიკიც ამ ლექსემას სპარსული წარმომავლობის გაარაბიზებულ ფორმად თვლის (ჯავალიკი 1995: 67).

ბადრაგი, როგორც ტერმინი არ გვხვდება ყურანისა და ჰადისების ლექსიკონში. ნაჩვენებია მხოლოდ ზმნა بدور/بدر (badarahu/ budūr) – „ის ჩქარობდა გადაესწრო მისთვის, ცდილობდა პირველს მიეღწია რაიმესთვის“ (გირგასი 1881: 49) > შდრ.: არაბ. بذرق, بذر, რომელიც აღებულია სპ. بدره –დან და ნიშნავს - ხიფათიანი გზა (ადი–შირი 1980: 17).

აკად. მზია ანდრონიკაშვილი ამ ლექსემას ახალი სპარსულიდან შემოსულ ირანული წარმომავლობის ლექსიკურ ერთეულად მიიჩნევს. ახ. სპარს. Badragah – „გაცილება, გაყოლა, ესკორტი, თანხლება, კონვოი“ (ანდრონიკაშვილი 1996: 65).

საინტერესოა q > გ მიმართების საკითხი: როგორც წესი, არაბული ც (q) ქართულში გადმოიცემა კ, ყ, და ხ თანხმოვნებით. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია ერთადერთი სიტყვა „იაგუნდი“ (< yaqūt), სადაც, ჰ. ფენრიხის აზრით, არაბული ც (q) გადმოცემულია ქართული გ-თი (ფეინრიხი 1964: 158).

ლ. ავალიანი იზიარებს მ. ანდრონიკაშვილის პოზიციას. ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში ფ (q) > გ გარდაქმნის შემთხვევები ნაკლებად დასტურდება, შესაბამისად ძნელია მისი არაბულიდან მომდინარეობაზე საუბარი. გამორიცხული არაა ამ ლექსემის თურქულიდან სესხება. შდრ.: თურქული بدرفة – გამცილებელი, თანამგზავრი, სულიერი მოძღვარი; ოსმალური مَدْرَاق (ავალიანი 2005: 87).

ძველი სპარსულიდან არაბულში შესული ლექსემა დროთა განმავლობაში სპარსულმა უკან დაიბრუნა ცრც (ბადრაყ) ფორმით და სპარსულიდან მოხვდა ქართულში. (საშ. სპარს. ხშული მუღერი დენტალი d > არაბ. ნაპრალოვანი მუღერი ინტერდენტალი ქ და უკუპროცესი არაბ. ქ > საშ. სპარს. ქ, რაც დასტურდება არაბულ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში დამოწმებული ფორმებით, მაგ.: არაბ. خوْد (خُود/ah) < სპარს. خود (خُوند) - საბრძოლო ქუდი, მუზარადი (ადი-შირი 1980: 57); ან კიდევ, არაბ. أَسْتَاد (أَسْتَاد) < სპარს. أَسْتَاد / أوستاد (ustād) - მასწავლებელი, უფროსი, ოსტატი (ადი-შირ 1980: 10).

### ბალღამი-სხვათა ენაა, ფელღამი ჰქვიან ZAa (საბა 1991: 93)

ნემეოსის განმარტებით, ცხოველის ორგანიზმში ოთხი ძირითადი ბალღამია: სისხლი, წათხი, მწითული ნავღელი და შავი ნავღელი, აღმუნკვნელობითი ბალღამი, სათესლე.

ქართულ წერილობით ძეგლებში ბალღამი სიტყვა XI საუკუნიდან გვხვდება სამედიცინო ხასიათის „უსწორო კარაბადინში“: „და თუ ძალი ჰქონდეს ასეთი გასახსნელი წამალი მიეცი, რომე გაიღოს ბალღამია“ (1940: 3,29). თუმცა აღსანიშნავია, რომ ბალღამი და ფალღამი ორივე ერთნაირ გამოიყენებოდა: რაჟამ გამოიღოს მისმან უფალმან ფალღამი, შექნას მუსუენებით ტან შიგან და გუნებაზედან (სამკურნალო წიგნი 276,11). „იადიგარ დაუდში“ მინიშნებულია ბალღამი სიტყვის ბერძნულ-არაბული წარმოშობა: წვენი-humores, სხეულის ერთ-ერთი წვენთაგანი (იადიგარ-დაუდი 1938: 695).

არაბული بَلْغَم /balgam ბერძნული ფლეგმა/plegma-დან მომდინარე სიტყვაა, რომელიც მნიშვნელობით შესაბამება ბერძნულ humours-ს. ბერძნული f > არაბულ b. სწორედ ფლეგმა შევიდა სირიულში, რომლისგან მიღებული ბალღამი ვარიანტი ემთხვევა აბსოლუტურად ქართულს. სხვა სემიტური ვარიანტები განსხვავებულ ფორმებს იძლევა.

მაგ. იუდაისტური არამეული - 'abzārā < ფალაური ifzār -დან. ეს ფორმა დასტურდება თალმუდში. არაბული ასევე უჩვენებს abzār-ფორმას, რომელიც სავარაუდოდ არამეული 'abzārā-ს ეკვივალენტია. არსებობს სემანტიკური სხვაობა ბალღამსა და აბზარს შორის. პირველი აღნიშნავს ტემპერამენტს, ფლეგმას; ხოლო მეორე სანელებელს და შეესაბამება თანამედროვე სპარსულ ifzār-ს.

მოინი აღნიშნულ ლექსემას არაბულად მიიჩნევს შემდეგი განმარტებით: თეთრი, რბილი და მეტწილად ცხიმის მსგავსი გამონაყოფი, რომელიც ავადმყოფობის დროს გამოიყოფა და გარეთ გამოდის. ადამიანის ოთხი სისველეთაგან ერთ-ერთი (მოინი 1963:569). არაბული ეტიმოლოგია უდასტურდება იგივე მნიშვნელობებით თურქულსა და ოსმალურშიც (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 93; ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 36). ბალღამი სიტყვა არ ფიქსირდება ყურანში.

თანხმოვანთა სრული დაცვითაა არაბული ბალღამი ქართულში დამკვიდრებული: არაბული ველარული მჟღერი ნაპრალოვანი ჭ ქართულში თითქმის ყოველთვის გადმოდის ღ-დ. არაბული ქ > ქართულ ლ-ს. საფიქრებელია აღნიშნული ლექსიკური ერთეულის უშუალოდ არაბული გზით დამკვიდრება ქართულში X-XI საუკუნეებიდან, რასაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებიც მოწმობს. აღნიშნული ლექსემის სინონიმს თხრამლი წარმოადგენს „შუშანიკის წამებაში“: „თხრამლი აღმოსდიოდა ადგილდ ადგილდ“ (46,25).

**ბურჯი** - სხვათა ენაა, ჟამთვანი მოსული. ვარსკვლავთა ზოდიათა უწოდენ და კედლისასა გოდლედი ჰებიან Z. ბურჯი არა არს ქართული, არამედ საქმარ არს რომელსამე სიტყვათა შინა უწოდენ ათორმეტთა მზისათა და კვალად დატანებულთა ზღუდეთა ციხეთასა სიზრქედ სიმაგრისათვის მგრგვლად შედგმულსა საყრდენით Cab (საბა 1991: 122).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ბურჯი მხოლოდ ზოდიაქოს ნიშნის მატარებელია: „ტყუბისა ბურჯი ოტერიდისა სახლი არის“ (ძველი ქართული ენის ლექსიკონი 1973: 38); „მელიამ წამედყვანა სასიძო სახში, შეღვანა წისქვილში, დატია, თვითონ წევდა ბორჯის ასაღებად, თუ როდის მოაწყონ ქორწილი“ (კოტაშვილი 1985: 103). ხოლო კლასიკური თუ აღორმინების ხანის ტექსტებიდან, დაახლოებით XII

საუკუნიდან ბურჯის მნიშვნელობა მხოლოდ სვეტი, ბოძი, ციხე, კოშკი, მინარა, ბასტიონი შემოიფარგლება: „შესტყორცა ერთსა ციხისა ბურჯსა საგდებელი და გარდააცვა“ („ამირანდარეჯანიანი“ 1961: 808; „ვეფხისტყაოსანი“ 1914: 188; „შაჰ-ნამე“ 1916: 798; რუსულანიანი 1957: 708; „სჯულდება“: 73).

ქართული ბურჯის ამოსავალია არაბული ჯ/burგ, რომელიც ბერძნული Πυ'ργος -ის არაბიზებული ფორმაა, თუმცა მ. ნედოსპასოვა იზიარებს ფოლერსისა და ნოლდეკეს მოსაზრებას აღნიშნული ლექსემის ლათინური burgus-იდან წარმოშობის შესახებ. თვით არაბულში სესხების ფაქტი უნდა მომხდარიყო ძალიან ადრინდელ პერიოდში, რადგანაც იგი დამოწმებულია უკვე საბეურ წარწერებში (ნედოსპასოვა 1978: 11). ბერძნულიდან წარმომავალი, ზოდიაქოს ნიშნის მნიშვნელობით ადასტურებს გირგასი აღნიშნულ ლექსემას ყურანში (გირგასი 1881: 63).

ადვილი შესაძლებელია ბურჯი სიტყვის უშუალოდ არაბულიდან სესხება. ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით დასტურდება ძველ ქართულში. შემდგომი ლექსიკური დამატებანი უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება და სპარსული გზა იგულისხმება, რადგან XII საუკუნე სპარსული სიტყვების შემოდინებისთვის საკმაოდ ხელსაყრელი პერიოდია.

დაფი – ესე არს გრკალი, ცალთა მწარეთა ეტრატი აკრავს საცემლად მროკავთათვის, რომელსაც სპარსნი დაირას უწოდენ, ხოლო დაფთაფსა ორსავე მწარეს ეტრატი აქვს, რომელსა დაულს უწოდენ ZAB. Cab რედაქცია ემთხვევა ზემოაღნიშნულს, ოღონდ დაზუსტებაა შეტანილი: გრკალი ხის მასალისგან დამზადებულია, ხოლო „დაულს“ თურქი უწოდენ (საბა 1991: 204).

დაფი, როგორც მუსიკალური ინსტრუმენტი გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ (148,4), დოლი, დაირა : „იგი პირმზე არ მოსცდების სიარულსა სასწრაფოსა, მიჰვდეს მყოფნი მას წინაშე სიხარულსა სადაფოსა“; სადაფო: „სიხარული სადაფო“ – სიხარული, რომელსაც დაფის დაკვრა შეეფერება (ვეფხისტყაოსანი 1986: 324), „შაჰ-ნამეში“ – სპ. დაფ, დაირა, პაწია ბარაბანი (279,3), „მამათა სწავლანში“ – „რაჟამს დაფსა დასციან, მუნ თქუესვე მწედარნი შეკრბიან“ (74,2). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიტყვის პარალელურად კლასიკურ ტექსტებში სინონიმური სიტყვები ჩნდება: ებანი, დაბდაბი.

აღორძინების ხანის ნაწარმოებებში დაფი ლექსემა თითქმის აღარ გამოიყენება. იგი შეცვლილია „ებანით“ (ქილილა და დამანა 1975: 1015), ან „გურაგითა“ და „დაბდაბით“ (რუსუდანიანი 1957: 717).

სპეცილურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა დაფი ტერმინის წარმოშობის შესახებ. ზოგი მას სპარსულ ლექსემად მიიჩნევს (კობიძე 1916: 801; აბულაძე 1914: 189; ჩუბინაშვილი 1984: 430), ზოგიც არაბულად: (იუსტ. აბულაძე 1926: 300; ქეგლ-ი; თურქულ-არაბული ლექსიკონი 2008: 289; ანვარი 1382: 1038; ვულერსი 1855: 906). დაფ (daff) – ცალმხრივი დასარტყამი, ანუ მხოლოდ ერთი მხრიდან ტყავგადაკრული. A cymbal tambour de basque (ჯონსონი 1852: 774).

დაფ - دف (daff/dufūf) არამეული dup, შუმერული dub-ის გაარაბიზებული ფორმაა. ეს არის ტყავგადაკრული წრე, რომელზედაც თითებით უკრავენ (მოინი 1996: 1540), ადი-შირიც ფრენკელზე დაყრდნობით იზიარებს ამ მოსაზრებას (ადი-შირი 1980: 65). აქედანვე წარმომდგარი დაბდაბიც: „დაფი, მონადირეთაცა აქვსთ ესე, რომლითაცა ნიშანს მისცემენ ერთმანეთსა ნადირობასა შინა. ქართულად დაფსა ეწოდება, ხოლო ნიშანს არაბულად დღესასწაულებათა ჭმათა და ღაღადებათა. ცხენთა ზედა დაკრულნი ლიტავრი, ჯიმჯიმს რომ ეძახიან. გრგვალია, დიდრონები, რვალისაგან ქმნილი. ერთს-ერთის თითებით გაუყრიან და მეორეს-მეორეს ჭელითა და სცემენ ერთმანეთსა და ისე უკრენ“ (წიგნი ლექსიკონი 1979). არაბ. d ბგერის შემცველ არაბულ სიტყვათა ძირითადი მასა ქართულში შემოვიდა ـ > დ მიმართების დაცვით – სადაფი (صف), დავთარი (دقتر) (ლეკიაშვილი 1992: 62). დაფიდანაა ნაწარმოები დაფდაფი და დაბდაბი (ავალიანი 2005: 102).

დაფი უშუალოდ არაბულიდან შემოსული არაბიზებული სიტყვაა.

ვეზირი – სპარსთა ენაა, ქართულად განმზრახი და ეპრახოზი ჰქვიან ZA. (უკმ.) განმზრახი, ვეზირი თათართ ენაა. ეპრახოზი ჰქვიან B. (უკმ.) განმზრახი Cb. (უკმ.) CaqE . განუმარტავია D (საბა 1991: 260).

„ვეზირი/ვაზირი – ვაზირობა“ ტერმინი მინისტრის, მრჩეველის მოურავის, ხელმწიფის თანამზრახველის, მინისტრის, კარისკაცის მნიშვნელობით დასტურდება კლასიკური თუ აღორძინების ხანის ტექსტებში: „ვეფხისტყაოსანი“–„მეფემან ნახა

ვაზირი დაღრეჯით, დაყმუნვებული“ (653,1), „ამირანდარეჯანიანი“ (19,1), „ვისრამიანი“ (145,28), „შაჰ-ნამე“- „ვაზირნი ფიცხლავ ზე ადგნეს და ასე მოაჭიენეს“ (III, 548, 37); „რუსუდანიანი“ (444,12), „ჩვენ ... ვაზირმან ... დავახატვინეთ სამჯრი...“ (ქრონ. II, 1686). არაბულ ფორმადაა მიჩნეული იგი ი. აბულაძის (ვეფხისტყაოსანი 1914: 190), იუსტ. აბულაძის (ვეფხისტყაოსანი 1953: 260), დ. კობიძის (შაჰ-ნამე 1916: 803), დ. ჩუბინაშვილის (1984: 501), ჯონსონის (1852: 1364) მიერ. საშ. სპარსულიდან არაბიზებულ ფორმად თვლის მას ჰასან ანვარი (1382: 2560). იმავე აზრს იზიარებს მზ. ანდრონიკაშვილი ნაშრომში „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“. ზემოხსენებული ლექსიკური ერთეული ახალ სპარსულში შემოსულია არაბულიდან. თვით არაბულში კი საშ. სპარსულიდანაა შეთვისებული. შდრ. არაბ. *vazīrun/vazārat* – ვაზირი, მინისტრი (ანდრონიკაშვილი 1996: 93). იგი ეყრდნობა ნიბერგის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც არაბ. *vazīr* წარმოადგენს საშ. სპარსული *vičir*-ის გადმოცემას, რაც „სამართლიან გადაწყვეტილებას“ ნიშნავს. შდრ. სომხ. *včir*, ავ. *vičira* – „ის, ვინც წყვეტს, გადამწყვეტი, აღმასრულებელი“. მოგვიანო ფორმაა *gučir*, სომხ. *gčir*. შდრ. ქართ. გზირი (ანდრონიკაშვილი 1996: 93).

კბილბაგისმიერი მუღერი სპირანტი v (ვ) ქართულში გადმოიცემა მუღერი კბილბაგისმიერი სპირანტითვე „ვ“. მაგ: თავკიდურ პოზიციაში, სპ. *vazīr* - ქართ. ვაზირი, ხოლო ვა > ვე – დ გარდაქმნა უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება და სპარსულის გავლენას ასახავს.

В რედაქციაში ვაზირი ლექსემა თათრულადაა მიჩნეული. ამ უკანასკნელში, აღმოსავლური ფორმა იგულისხმება, დაკონვრეტებისგან ავტორი თავს იკავებს. რაც შეეხება თურქულ სალექსიკონო ფონდს, აღნიშნული ერთეული არ დასტურდება. ვაზირის, აღმოსავლეთის ქვეყნებში სამეფო კარის დიდი მოხელის მნიშვნელობით გამოიყენება არაბული სიტყვა „ნაზირი“ (თურქულ-არაბული ლექსიკონი 2008: 835), (ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 412). სამეურნეო ფუნქციების მქონე მოხელე, პირველი ნაზირი (სჯულდება 1957: 91). ქართულში ფართოდ იყო გავრცელებული სინონიმური მნიშვნელობით ნაზირ-ვეზირნი: „შეჰერა ნაზირ-ვეზირები, თავისი ხალხი მთლად და მაიყვანა ქალი“ (კოტაშვილი 1985: 74). ვ. ბერიძეს „სიტყვის კონა

იმერულ და რაჭულ თქმათა“ ლექსიკონში წარმოდგენილი აქვს საინტერესო საბავშვო თამაში სახელწოდებით „ვეზირობია“ (არაბ. ژیز ვაზირი, მინისტრი) და იქვე ახსნილია ამ თამაშის წესები (ბერიძე 1912).

ამრიგად, ვაზირი გაარაბიზებული სპარსული სიტყვაა ქართულში შემოსული სპარსულის გზით, დაახლოებით XI საუკუნიდან.

**ზანდუკი** - სხვათა ენაა, რომელსა აწ უწოდენ; ქართულად კიდობანი ჰქვიან ZA. (უკმ.) კიდობანს უწოდენ გლეხნი B (საბა 1991: 276).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული ლექსემის წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მ. ნედოსპასოვა, ე. ლენის ლექსიკონში დადასტურებული ზანდუკი ფორმის ოთხი ვარიანტის: სندوق/sundūq; زندوق/zundūq; صندوق/şundūq; صندوق /şandūq არსებობის გამო აზრს გამოთქვამს ამ ლექსემის ნასესხობის შესახებ. იგი იზიარებს ფოლერსის აზრს, რომ ეს ტერმინი მის აღსანიშნავ ნივთთან ერთად მოდის ინდოეთიდან, საიდანაც არაბებს შემოჰქონდათ ძვირფასი ხისგან დამზადებული ავეჯი. შემდგომ გავრცელდა ეს სიტყვა საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში (ნედოსპასოვა 1978: 47). ბერძნული წარმოშობისად მიიჩნევენ მას ალ-ქირმილი (1938: 93) და მ. ფასმერი (1987: 803). მათი აზრით იგი უკავშირდება ბერძნულ (συνδόκειον/ συνδόχειον)-ს, თუმცა ბერძნულში ის ნაკლებ გამოიყენება (ავალიანი 2005: 103).

სპარსულ გაარაბიზებულ ფორმად თვლის მას ადი-შირი, იგი ფიქრობს, რომ ამ ლექსემის ფესვები რუსულიდან მომდინარეობს (1980: 108). ყუთი, კიდობანი, ზარდახშა მნიშვნელობებს ჯონსონის ლექსიკონში ემატება: სამარხი, საფლავი, კუბო. ლექსიკონგრაფი აღნიშნულ ლექსემას სპარსულ-არაბულ ფორმად şundūq/ şandūq მიიჩნევს (1852: 794). უნდა აღინიშნოს, რომ ყურანისა და ჰადისების ლექსიკონში şundūq სიტყვა მხოლოდ ზარდახშას მნიშვნელობითაა (გირგასი 1881: 458). არაბული წარმოშობისაა აღნიშნული ლექსემა ალ-ვასიტის (2004: 556); ი. ვულერსის (1864: 518); მ. მოინის (1996: 2166); ოსმალურ-თურქულ (2007: 462) ლექსიკონებში.

რაც შეეხება ქართველ ლექსიკოგრაფებს, დ. ჩუბინაშვილი ზანდუკს სპარსულ ლექსემად მიიჩნევს (ჩუბინაშვილი 1984: 512). ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ზანდუკი ფორმის მნიშვნელობის სამი ვარიანტია ფიქსირებული: 1.

ზანდუკი-ყუთი: „მომართულ ზანდუკი იგი თუალებისათ, და მოიღეს. მაშინ განაღო ზანდუკი იგი და დაიწყო ამოღებად ქვებსა მას და მარგალიტებსა“; 2. ზანდუკი-საძიებელი, ცხრილი წიგნისა: „ზანდუკი საწელიწდომ, გამოკრებული სახარებისათ, საძიებელი“; ზანდუკი-ხორცის ფერი „წითელი“. რომელ ზანდუკითა გამონიშნული (წითლითა გამონიშნული) მოგასწავოს (აბულაძე 1973: 162). „სარჩევი კრებათ თავთა“-მნიშვნელობითაა „წიგნი სააქიმოვ“-ში (1936: 309). თ. ბაგრატიონი მას ერთი სიტყვით განმარტავს - რეისტრი (წიგნი ლექსიკონი 1979 ).

ქართულ წერილობით ძეგლებში ზანდუკი სიტყვა „შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიების “ I ნაწილში გვხვდება. აღნიშნული წიგნის ლექსიკონში იუსტ. აბულაძე ამ ლექსემის არაბულ-სპარსულ წარმომავლობას მიუთითებს და სკივრის მნიშვნელობის გვერდით უთითებს აგრეთვე: კუბო მიცვალებულთათვის, საკაცე, ლარის წასაღები, კიდობანი (1916: 804). უფრო მოგვიანო პერიოდის ძეგლებში ზანდუკი სიტყვის ბოლო, მეორე მნიშვნელობები აღარ დასტურდება (რუსულდანიანი 1957: 731). ქეგლ-ში ზანდუკი არაბ. სანდუკ-იდან მიღებული ფორმაა კიდობანის მნიშვნელობით: „ხის სახურავიანი ყუთი, გარედან, ჩვეულებრივ, თუნუქით შემოჭედილი, ხმარობენ საოჯახო ნივთების შესანახავად (სინონიმი სკივრი). 2. ძვ. სარჩევი (წიგნისა „ყარამანიანის“ ზანდუკი)“. ლ. ავალიანი ზანდული/ზანდუყი ვარიანტებს აჭარულში, თურქული sandık ფორმიდან მომდინარედ მიიჩნევს. კერძოდ: თურქული მაგარი 1 ქართულში, როგორც წესი, გვაძლევს უ-ს. მაგ. სარული-sarık (ავალიანი 2005: 104).

ზანდუკი ფორმა არაბიზებული (sandūq) ბერძნული წარმომობის ლექსიკური ერთეულია, რომელიც ქართულში ადრეულ ძეგლებში დასტურდება (ძველი ქართული ენის ლექსიკონი 1973: 162). სავარაუდოდ, მისი შემოსვლის გზა უშუალო და ზეპირია, ხოლო XV საუკუნიდან უკვე წერილობითი ფორმით, თარგმანებიდან, ხვდება სპარსულის გზით იგი ქართულში.

ზეთი – (+1 ეზრა 6,9 ZA) მარცვალთ ცხიმი ZAB; ხილთა და მარცვალთ ცხიმი Cb (საბა 1991: 279).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „ზეთი ცხიმოვანი თხევადი ნივთიერებაა, რომელსაც იღებენ სხვადასხვა მცენარეულ და მინერალურ ნივთიერებათა გადამუშავების გზით. იხმარება უმეტესად საჭმლის მოსამზადებლად“.

მ. ნედოსპასოვა ეყრდნობა ლოვის, ფრენკელისა და გ. წერეთლის მოსაზრებას აღნიშნული ლექსემის არამეული აკა–დან მომდინარეობის შესახებ (ნედოსპასოვა 1978: 35).

ნოლდეკეს მტკიცებით, ეთიოპური zet, არაბული ც/ მომდინარეობს მცენარის სახელწოდებიდან ზეითუნი. გ. ერმანი ც-ჟ-ს უკავშირებს ეგვიპტურ ძირს set (ნედოსპასოვა 1978: 35). სომხური ძეთ ფორმიდან მიღებულად თვლის ილ. აბულაძე ქართულ ზეთს („ვეფხისტყაოსანი“ 1914: 190).

გ. ბერგშტრესერი თვლის, რომ რამდენიმე სიტყვა საერთო არაბულისა და არამეულისთვის, ერთდროულად თანაარსებობენ. ერთ–ერთი ასეთია მაგ. zaytā – არამეული; zayit – არაბული (ბერგშტრესერი 1997: 227).

ქართული ზეთი მომდინარეობს არაბული ც/ჟ/ „ზეთი, საპოხი, საზეთი“ (ბარანოვი 1984: 339). არაბული წარმომავლობა უდასტურდება ჯონსონის (1852: 669); ლისანუ ლ–‘არაბისა და ალ–ვასიტის (2004: 408) ლექსიკონებში.

სპარსულ ენაში ამ ლექსემას არაბიზმად მიიჩნევს ჰ. ანვარი (ანვარი 1382: 1221) ვულერსი (ვულერსი 1864: 166); მოინი (მოინი 1996: 1767); ხოლო თურქულ ენაში არაბული წარმომავლობა უდასტურდება თურქულ–რუსულ (1977: 946) და ოსმალურ–თურქულ (2007: 590) ლექსიკონებში.

ლ. ავალიანი „მეზეთე“ პროფესიის აღმნიშვნელ ლექსემას განიხილავს საკანდიდატო დისერტაციაში. იგი ეთანხმება ზ. ალექსიძეს, რომ ამ სიტყვის ამოსავალი zet სირიულიდანაა ნასესხები (ავალიანი 2005: 106).

შეიძლება ვივარაუდოთ ამ ლექსემის არაარაბულობაც. ისიც აღსანიშნავია, რომ იგი არაბული ენის მეშვეობით გავრცელდა მრავალ ენაში. ზეთი ლექსემა ჯერ კიდევ არაბების გამოჩენამდე არსებობდა ქართულში. შემოსვლის გზად ალბათ ბერძნული სახელდება. ქრისტიანობა, მართლმადიდებლური საეკლესიო რიტუალი ვერ ჩაივლიდა

„ზეთის ცხების“ გარეშე. თანაც, საბას აღნიშნული ლექსემის განმარტებისას მიუნიშნებია სახარება (+1 ეზრა 6,9 ZA), რომლითაც მან ისარგებლა (საბა 1991: 279).

არაბული ay დიფთონგი ქართულ ნასესხობებში ე ხმოვნით გადმოდის. შდრ.: maydān>მაიდანი/მეედანი. თუმცა, გასათვალისწინებლია ის ფაქტი, რომ არაბულში ay დიფთონგში a ისმის ემფატიკურ, ფარინგალ და გლოტალ თანხმოვნებთან, სხვაგან – e, მაგ.: şayf „ზაფხული“: seyf „მახვილი“ (ლეკიაშვილი 1977: 51).

მანანა – (+16,[32] გამოსლ. ZA) ზეცით შთამოვრდომილად ითქმის, ხოლო ენითა ასურულითა მანანა რადაო, ვინათ(გან) არა იცოდეს რა იყო, ამისთვის იკითხვიდენ რადაო, და მით ეწოდა მანანა (+მანანა თეთრი იყო, მსგავსი ქინძის მარცვლისა, თაფლებრ ტკბილი, მზე დაადნობდის ZA) ZAB (საბა 1991: 433).

მ. ნედოსპასოვა ფრეიტაგსა და გეზენიუსზე დაყრდნობით მიუთითებს ამ ლექსემის ებრაულ წარმომავლობას: იმ - იალღუნის ერთ–ერთი სახეობის ნაყოფი, რომლის წებოვანი ტკბილი წვენი დამწიფების დროს მიწაზე ჩამოდის (ნედოსპასოვა 1978: 74).

ლექსიკოლოგები ერთხმად მიუთითებენ არაბულ წარმომავლობას: წ/mann „საჩუქარი, წყალობა, მადლი, მანანა“ (წერეთელი 1951: 247). ასეთივე მნიშვნელობებით დასტურდება ეს ლექსემა „ყურანისა და ჰადისების ლექსიკონში“ (გირგასი 1881: 769).

ალ–ვასიტის ლექსიკონში ვკითხულობთ: „წ/mann 1. წებოვანი ნივთიერება, როგორც ნაყოფი, რომელსაც ზოგიერთი ხე გამოჰყოფს; 2. ცვივა ციდან, ხეებსა და ქვებზე ეწებება და ხმება, მიიღება როგორც წებოვანი მასა, რომელიც საჭმელად ძალიან გემრიელია“ (ალ–ვასიტი 2004: 203). ალ–ჯავჰარი მას მოიხსენიებს, როგორც „ტკბილ საჭმელს, მანანას სოკოები“ (ალ–ჯავჰარი:112) არაბული წარმოშობის ლექსემაა იგი ჯონსონის ლექსიკონშიც: „ციური ტკბილი ნამი, რომელიც გროვდება, როგორც ნაყოფი“ (ჯონსონი 1852:1251).

არაბიზმია იგი „ციური მანანას მნიშვნელობით“ სპარსულ ენაში (ანვარი 1382: 2315). ებრ. იם > არაბ. წ/mann > ქართ. მანანა. გემინირებულ თანხმოვანს შორის ნასესხობაში გაჩნდა „ა“ ხმოვანი.

სავარაუდოა ამ სიტყვის არამეული ან ბერძნული გზით ქართულში დამკვიდრება. ქართულ დიალექტებში მანანა ლექსემა სხვადასხვა მნიშვნელობებით ფიქსირდება. ქიზიყურში დადასტურებული მანანა უშუალოდ არაბული „მანნას“ ეკვივალენტია: „სინსლივით (ჟინჟლივით) წვიმს მზეში ივნისსა და ივლისში. იცის ცაცხვისა და კაკლის ფოთოლზე, ჭინჭარზეც. მზეზე ბრწყინავს. ფუტკარი თაფლად აგროვებს“ (ღლონტი 1984: 342).

საბას მითითებული ასახსნელი სიტყვა ბიბლიიდან ამოუწერია (+16,[32] გამოსლ. ZA). ქართული და სომხური ენა ამ ლექსემის აღსანიშნავად იყენებს manana ფორმას.

**ნამუსი - ქართულად პირისწყალი (+ და A) არაბულად შჯული ZAB (საბა 1991: 574).**

ناموس - نومیس (namūs- nawāmīsu) - კანონი, სინდისი, პატიოსნება (ბარანოვი 1984: 778). გირგასის ლექსიკონში დამატებით იძენს აღსარების მნიშვნელობას და მითითებულია ამ სიტყვის ბერძნული წარმომავლობა (გირგასი 1881: 825). ბერძნულიდან მომდინარედ მიიჩნევს ამ სიტყვას ნ. ჩუბინაშვილი - შეგნება, სკინდისი ანუ დაცვა პატიოსნებისა. თანგმუს (არაბ. შდრ. ბერძნ. սიმიც) (ჩუბინაშვილი 1961: 314).

ნამუსი გვხვდება კლასიკური ხანის ძეგლებში: „ვეფხისტყაოსანი“, „შაჰ-ნამე“. მკვლევარებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. იუსტ. აბულაძე ამ სიტყვას არაბულად მიიჩნევს და „ლირსების“ ცნებას უმატებს („ვეფხისტყაოსანი“ 1926: 270). ამავე აზრს იზიარებს გ. წერეთელიც ناموس - نومیس nāmūs/ nawāmīsu არაბული კანონი, შდრ. ქართული ნამუსი (წერეთელი 1947). თ. ბაგრატიონი კი მას შემდეგნაირად განმარტავს: „აკრძალულება არის ქართულად და პირისწყალი. ნამუსი არაბული არის. არაბულად სჯულსაც ნიშნავს ანუ ჩვეულებას კეთილ-წესიერებისას“ (წიგნი ლექსიკონი 1979: 97), ხოლო ილ. აბულაძე კი მას არაბულ-სპარსულ ლექსემად მიიჩნევს იმავე მნიშვნელობებით (ვეფხისტყაოსანი 1914: 195), ანალოგიურადაა განმარტებული „შაჰ-ნამეს“ ლექსიკონშიც (შაჰ-ნამე 1916: 819).

დ. ჩუბინაშვილი მიუთითებს მხოლოდ სპარსულ წარმომავლობას (ჩუბინაშვილი 1984: 955), სპარსულადაა ასევე ფიქსირებული იოსებ ყიფშიძის მეგრულ-რუსულ ლექსიკონში - ناموس - سინდისი (ყიფშიძე 1914). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართული

ორივე ამ ტერმინს სინონიმიკის თვალსაზრისით ერთად იყენებს სინდის-ნამუსი. ჰასან ანვარი, სპარსულ ენაში ამ სიტყვას ბერძნულიდან მომდინარე გაარაბიზებულ ფორმად მიიჩნევს და შემდეგ მნიშვნელობებს მიაწერს: სინდისი, ნამუსი, ღირსება; კაცის მეუღლე, დედა ან და, რომელსაც აკისრია მათი ღირსებების დაცვა; წესი, კანონი; ღვთისმიერი წესი (შარიათი); პოლიტიკა, დისკუსი (ანვარი 1382: 2397). ბერძნულიდან მომდინარედ, არაბულში არამეულიდან დამკვიდრებულად თვლის მას მ. ნედოსპასოვა (ნედოსპასოვა 1978: 78). არაბული ფორმაა თურქულ-რუსულ განმარტებით ლექსიკონშიც: *namus* -არაბ. სინდისი, ღირსება (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 670).

ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით ამ სიტყვას მნიშვნელობა არ უცვლია. ნამუსი ფიქსირდება ქართულ წერილობით ძეგლებში დაახლოებით XII საუკუნიდან. როგორც საკადონმდებლო სიტყვა, სავარაუდოა მისი უშუალოდ არაბულიდან სესხება ქართულში.

კისა – ქისა, ქართული არ არის, თალისა ჰქვიან ZAB (საბა 1991: 376).

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა აღნიშნული ლექსემის წარმომავლობის შესახებ. მ. ნედოსპასოვა იზიარებს გ. წერეთლისა და ციმერნის მოსაზრებას, რომ არაბ. *کیس/kīs* ნასესხებია არამ. *აჭა* – დან, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება აქად. *kīsu* – ს (ნედოსპასოვა 1978: 68). არამეულ ნასესხობაზე მიუთითებს ბერგშტრესერიც (ბერგშტრესერი 1997: 221). ეთიოპურშიც *kīs* დასტურდება (ბროკელმანი 1828: 325). ე. ლენი (1885: 2640), ვ. რადლოვი (1899: 1159) და ვ. ბელკინი (1975: 100) მის სპარსულ წარმომავლობას მიანიშნებენ.

არაბულში *کاس/kāsa* ზმნის მეორე თემის (*کیس/kayyasa*) ერთ–ერთი მნიშვნელობაა დაზილა, მასაური გაუკეთა (ბარანოვი 1984: 706) შდრ.: ქართ. მექისე – აბანოს მოსამსახურე, რომელიც ქისის წასმით მობანავეს შველის ტანის დაბანაში (ქეგლ.). არაბ. *کیس/kīs* : 1. ტომარა, პარკი, ჩანთა, საფულე; 2. (მექისის ხელთათმანი); 3. სათესლე პარკი; 4. კისტა (ბარანოვი 1984: 706). ქისა მექისეს ატრიბუტია, რომლის დახმარებითაც ახორციელებს თავის საქმიანობას. შდრ.: საბას მიერ სინონიმური მნიშვნელობით მოყვანილი – თალისა. არაბი ლექსიკოლოგის ადი შირის განმარტებით, ეს არის პალმის ფოთლებისაგან

გაკეთებული ერთგვარი ქისა, ჩანთა. ერთ—ერთი ვერსიით, ეს არის დალაქისა და თერძის ჩანთა (ადი შირი 1980: 36).

რაც შეეხება „საფულე“ მნივნელობას, მექისეს დამატებით შეიძლება ჰქონოდა გასამრჯელოდ ასაღები მონეტების ჩასაყრელი ქისა. შდრ.: ქისა (არაბ. ქისატ) 1. მომცრო პარვი ფულის ან წვრილმანი ნივთებისათვის (ქეგლ). მხოლოდ საფულეს მნიშვნელობით ფიქსირდება ეს ლექსემა ყურანში (გირგასი 1881: 714). არაბული წარმომავლობა უდასტურდება ჯონსონის (1852: 1034), ალ—ვასიტისა (2004: 807) და ალ—ჯავჰარის (498) ლექსიკონებში. ამ უკანასკნელთან იგი ფულის ერთეულია.

სპარსულში არაბიზმადა ჩათვლილი ეს ლექსემა ვულერსის (1864: 933), ჰ. ანვარის (1382: 1880), მ. გაფაროვის (1974: 679); მ. ანდრონიკაშვილის მიერ. ის აღნიშნავს, რომ საძიებელი ლექსემა არაბულად ითვლება და ძალიან გავრცელებულია წინა აზიისა და კავკასიის ენებში. მისი აზრით, ქართულსა და სომხურში ფალაური ფორმაა დაცული, რომელიც თავისთავად არამეულიდან მოდის (ანდრონიკაშვილი 1966: 247).

თურქულ ენაში kese სპარსული წარმოშობის სიტყვადაა მიჩნეული (თურქულ—რუსული ლექსიკონი 1977: 534).

ქისა, პარვი, საფულე — კისაკი (ფალაური — ანდრონიკაშვილი 1966: 247) ფორმით ქართულ წერილობით ძეგლებში, დაახლოებით XI საუკუნეში დასტურდება: „და უკუეთუ კისაკი ოქროვსად უც, შიშუელ არს სასოებისაგან და მინდობისა ღმრთისა“ („მამათა სწავლანი“ 192,22)

სრული თანხმოვანთა დაცვითაა ეს ლექსემა ქართულში დამკვიდრებული. არაბ. *کیس/kīs* > ქართ. ქისა. აქედან ტერმინი „მექისე“ (ავალიანი 2005: 115). არამეული წარმოშობის ეს სიტყვა იმდენად შეითვისა არაბულმა, რომ მისგან გავრცელდა იგი სპარსულსა და თურქულში, ხოლო როგორც პროფესიის აღმნიშვნელი სამოხელეო ტერმინი (თანაც ძალიან აქტუალური, თბილისის გოგირდის აბანოების გამო), ქართულში გაცილებით ადრე უნდა გავრცელებულიყო, სავარაუდოდ ზეპირი გზით.

ტაბაკი – ZABCaqDE. ხონი Cb (საბა 1993: 129).

საბას განმარტებით, ხონი – დიდი ტაბაკი (საბა 1993: 427).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „ტაბაკი–არაბ. ტაბაკ „თეფში, სინი“ 1. ხის მოზრდილი სინის მაგვარი თეფში, 2. იგივეა, რაც ტაბლა.

ტაბაკი მიღებულია არაბული ტე/taqaq „1. თავსახური; 2. თეფში, სინი, მოგრძო თეფში“ (ბარანოვი 1984: 469). არაბულ წარმომავლობას მიანიშნებს ჯონსონიც (1852: 812).

მოინის ლექსიკონში აღნიშნული ლექსემა ორი ფორმითაა წარმოდგენილი. პირველი, ტე ეს არის გაარაბიზებული ფორმა სპარს. თბე / თბე / tabang/tabag–დან „მრგვალი სინი, თეფში, ჭურჭელი“, ხოლო მეორე ტე/tabay მიღებულია აქად. Tubaqtu „ყველაფრის ძირი, შიდა ნაწილი, შესაფუთი, ფენა, ფურცელი, ქაღალდის ფურცელი, ფოთოლი“ (მოინი 1996: 2210). ჩვენ მიერ განსამარტი სიტყვა გაარაბიზებული სპარსული სიტყვაა, რომელიც სპარსულმა გაარაბიზებული ფორმით უკან დაიბრუნა, დამკვიდრდა ენაში და სწორედ ასეთი განახლებული ფორმით შეითვისა ქართულმაც.

ქართულ წერილობით ძეგლებში ტაბაკი ფორმა XII საუკუნიდან ფიქსირდება „ვეფხისტყაოსანში“ (1484,1) „ხონჩის“ მნიშვნელობით. ასეთივე მნიშვნელობებითაა მომდევნო საუკუნეების თითქმის ყველა ძეგლშიც.

ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში, კერძოდ, ქართლურში, ქიზიყურსა და ფშაურში „ტაბაკი – პატარა თაბახი, ხისაგან გამოთლილი სინისებრი ჭურჭელი, რომელსაც ხორბლის სარკვევად (საწმენდად) ხმარობენ; მთლიანი ხისგან ჩარხში გამოჭრილი მრგვალი ჭურჭელია სინსავით, ზედ პურსა და ხმელ საჭმელს აწყობენ“. ხოლო ლეჩხუმურ დიალექტში კი ტაბაკი ეს არის „გრძელი სუფრა, გრძელი ფიცარი ოთხ ფეხზე საჭმლის დასადებად და მოსასხდომად“ (ღლონტი 1984: 504).

ქართველი ლექსიკოგრაფები ტაბაკი ლექსემას არაბულ ფორმად მიიჩნევენ: „არაბ. ტე 1. რისამე სწორი, თანასწორი, შესატყვისი; 2. სახურავი; 3. სართული; 4. თეფში, სინი; 5. რიგი, ფენა, მდგომარეობა. შდრ. ტაბაკი“ (წერეთელი 1951). 6. ჩუბინაშვილი მის სპარსულ წარმომავლობაზე საუბრობს „დიდი ლანკანი, მრგვალი და გაშლილი“ სპარს. ტაბაკ ფორმიდან (ჩუბინაშვილი 1961: 375), ხოლო იუსტ. აბულამე არაბულ–თურქულ კვალიფიკაციას აძლევს ამ ლექსემას იგივე მნიშვნელობებით (შაჰ–ნამე I 1916: 831).

თურქულ ენაში ცალცალკე განიხილება tabak – თეფში, სინი, თასი. და tabaka – ფენა, ფურცელი (ქაღალდის). ორივე ფორმა არაბული წარმომავლობითაა ფიქსირებული

(თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 814). აღნიშნული ლექსემები ოსმალურ წყაროებშიც ფიქსირდება (ოსმალურ-თურქული ლექსიკონი 2007: 503).

ქართული ტაბაკი სპარსული წარმოშობის, მაგრამ არაბიზებული ფორმაა, რომელიც ასეთივე სახით მიიღო ქართულმა. თანხმოვანთა სრული დაცვით მოხდა ლექსემის შემოსვლა. არაბ. ፩/፪ > ქართ. ტ და არაბ. ፩/፫ > ქართ. კ მიმართება ლექსემის ადრეულ საუკუნეებში უშუალო გზით შემოსვლაზე მიუთითებს.

**ფანოსი - არაბულია, ფანარს ჰქვიან ZA (საბა 1991: 182).**

ყველა რედაქციაში საბას მიერ აღიარებულია ამ სიტყვის არაბული წარმომავლობა. საინტერესოა, როგორ განმარტავს აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს თ. ბაგრატიონი, „ფანოსი - ჩვენ რომ ფანარს უწოდთ, ღამე წინ გასამძღვარებელს, ეს არის. ფანოსი ბერძნული არის, ფანარი სპარსული არის, ქართულად ლიფლიფი“ (წიგნი ლექსიკონი 1979: 130).

„ფანარი“ ს.ს. ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით ფრანგული სიტყვაა და ლიფლიფს ჰქვიან ZAB (საბა 1991: 182). სამივე ტერმინი: ფანოსი, ფანარი და ლიფლიფი დასტურდება ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში და შესაბამისად, XVII საუკუნეში სამივე ინტენსიურად იყო გავრცელებული. „ვეფხისტყაოსანში“ მას განგაშის მნიშვნელობით ვხვდებით: „ერთგან თითქოს საგანგაშო ცეცხლის დანთებაზე უნდა იყოს საუბარი. ფიქრობენ აგრეთვე, რომ ფანოსი აქ საყვირს ნიშნავს“ (ვეფხისტყაოსანი 1976: 341). იუსტინე აბულაძე კი მიუთითებს მის ბერძნულ-სპარსულ წარმომავლობას (ვეფხისტყაოსანი 1926: 283). ბერძნულიდან მომდინარედ თვლიან მას ნ. ჩუბინაშვილი - დიდი ფანარი (ჩუბინაშვილი 1971) და ასევე ბელკინი (ბელკინი 1975: 102). ბერძნულიდან მომდინარეა იგი ჰასან ანვარის სპარსულ ლექსიკონშიც - „შემოფარგლული სანათის სახეობა, რომელიც ჩვეულებრივ, ნავთის წვით გამოიყენება და შესაძლებელია მისი გადატანა“ (ანვარი 1382: 1623).

**فانوس** (fānūs) ფანარი (ბარანოვი 1984:578). ნასესხები სიტყვები არაბულში ხმოვნებს იგრძელებენ.

როგორც საყოფაცხოვრებო საშუალება, სავარაუდოა ფანოსის, არაბიზებული ლექსიკური ერთეულის, უშუალოდ არაბულიდან დამკვიდრება ქართულში.

ფაფუჭი – სხვათა ენაა, ქართულად ჩუსტი ჰევიან ZAB; (უჯმ.) ფე(რ)ჭაცმელია (C საბა 1993: 186).

ფაფუჩი ფორმა მხოლოდ XVI საუკუნიდან გვხვდება: „სუმიბიძისა თადიასა... ერთი ცელი, ერთი ნამგალი, ერთი ქუდი, ერთი ფაფუჩი“ (ქართ.სპ.ისტ. საბ.31,12), „ბჭესა თანა ამის ჯამისასა მოგვართუნეს ახალნი ყუთლისა სამოგვისა ფაფუჩნი“ (მგზავრობანი 271,42).

არაბ. بابوج, بابوش (babūğ, bābūš) არის ჯ چ ბა (pāpūğ)-ის არაბიზებული ფორმა და ნიშნავს „რაც ფეხს ფარავს“. მისგან بابوش (babūš) თურქულსა და ქურთულში (ადი-შირი 1980: 14). ალ-თუნჯი აკონკრეტებს ფეხსაცმლის სახეობას: „უკნიდან ღია, ქუსლით ღია ფეხსაცმელი. შედგება ორი ნაწილისაგან ც (pā)-ფეხი, ტერფი, შუშ (pūš)-ჩასაცმელი, გადასაფარებელი“ (ალ თუნჯი 32).

ზენკერი აღნიშნულ ლექსემას სპარსულ-თურქულად მიიჩნევს. სპ. پاپوش, თურქ. بابوج და არაბ. بابوج (ზენკერი 1886: 157)

ნ. გურგენიძე აჭარულსა და გურულ დიალექტებში ადასტურებს ბაბუჩი ფორმას < (თურქ. pabuç) „უქუსლო, რბილი ფეხსაცმელი, ჩუსტი“. „ბაღვს ბაბუჩები მუტანა“ (ბოძაური). სალიტ. თურქ. pabuç, საშ. თურქ. papuç (<სპ. بابوش) – უქუსლო, ჩუსტი. შდრ.: ლაზური „პაპუწი“ (მარი II: 178).

სალიტ. თურქ. p, თურქ. დიალექტ. b > აჭ. ბ. სალიტერატურო თურქულის ბაგისმიერი ყრუ ხშული „ფ“ თანხმოვანი ანატოლიის დიალექტებში, სიტყვის სხვადასხვა პოზიციებში, უმეტეს შემთხვევებში, გვაძლევს მუღერ ბ თანხმოვანს. სპარსული წარმოშობის სიტყვათა ანლაუტში: ბაბუჩი < თურქ. დიალექტ. babıç, babıcı, სალიტ. თურქ. pabuç – ფაჩუჩი (გურგენიძე 1973: 118).

ფაფუჭი სპარსულიდან შესული ლექსემაა არაბულში. ც (p) ბგერის უქონლობის გამო, არაბულმა იგი თავის კონსონანტურ სისტემას მოარგო, რითაც სპარსული ყრუ, ფშვინვიერი ც (p) > არაბ. ბილაბიალ, ხშულ, მუღერ ბ-ს გვაძლევს. ქართულში შემოსვლა კი უდაოდ სპარსულს უკავშირდება, რადგან თანხმოვანთა სრული დაცვით დასტურდება. სპარსული p თავკიდურ პოზიციასა და სიტყვის შიგნით გადმოცემულია ქართულში, როგორც ყრუ, ფშვინვიერი ფ. შდრ.: სპ. palās „უხეში სამოსელი დერვიშთა“ >

ქართ. ფლასი „მაძა, ჩვრები“; სპ. xapa „მოღუშული, გაბრაზებული, მრისხანე“ > ქართ. ხაფი „მრისხანე“ (ანდრონიკაშვილი 1996: 32). სპარს. ش (ش) > ქართ. ჭ, შდრ.: شترنج (šatrang) > ჭადრაკი.

**ხაბაზი - არაბულია, მეპურე ZA. მეპურე არაბულად BCD** (საბა 1993: 412).

შდრ.: არაბ. ხაბბაზ, პურის მცხობელი, მეპურე (ქეგლი 1950-64). საინტერესოა თ. ბაგრატიონის შენიშვნა ამ ლექსიკურ ერთეულთან დაკავშირებით: ხაბაზი-მეპურე-პურისმცხობელი არის, მაგრამ ჩვენ არაბულის სახელით ვეძახით - ჯაბაზი. ჩვენ არაოდეს არ დავფარავთ, რასაც სხვის ენისას ვხმარობთ სახელებს (წიგნი ლექსიკონი 1979 ).

ტერმინი **خبار** (habbāz) არაბული წარმომავლობისად პირველად XI საუკუნის ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ გვხვდება Aithae officialist (1940: 533), იოანე ბაგრატიონის „სჯულდებაში“ (109), თეიმურაზ I -თან (312). იგი დაფიქსირებული აქვთ გ. წერეთელს (1951: 61), ნიკო (1971: 461) და დავით ჩუბინაშვილებს (1984: 1717).

**خبار** -მეპურე (ბარანოვი 1984: 210) ამოსავალია **خبر/Hubz** - პური. მ. მოინის სპარსული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **خبار** სპარსულში არაბული ნასესხობაა (მოინი 1996:1396). არაბულიდან მომდინარედ მიიჩნევს მას თურქულში ლ. ბუდაგოვიც (ბუდაგოვი 1869: 529).

საინტერესოა მ. ნედოსპასოვას მოსაზრება მეპური ფორმასთან დაკავშირებით: „სიტყვის უცხო წარმომავლობაზე არაბულ სპეციალურ ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი. ნოლდეკეს აზრით, იგი უნდა მოხვედრილიყო არაბულში მხოლოდ ეთიოპურიდან (hebest)“. თავის მოსაზრებას იგი შემდეგნაირად ასაბუთებს: არაბებისთვის პური იშვიათ ფუფუნებას წარმოადგენდა, მაშინ, როდესაც ეთიოპიაში იგი ძირითადი საკვები იყო. დღესაც ეთიოპურში ჰებბაზატ აღნიშნავს პურის ერთ-ერთ სახეობას, ხოლო ტიგრესა და ტიგრინაში პურის აღსანიშნავად ნახმარი hembäša უდაოდ დაკავშირებულია ზემოთმოყვანილ ლექსიკურ ერთეულთან. არაბულში ამ ძირიდან ნაწარმოები ნასახელარი ზმნა **خبر** (პურის გამოცხობა) წარმოდგენილია პირველი და არა მეორე თემით, რაც შესაძლებელია, აიხსნებოდეს იმით, რომ არაბულს ეს ძირი საერთოდ არ გააჩნდა (ნედოსპასოვა 1978: 24).

ჯერ კიდევ VII საუკუნეში, ყურანში გვხვდება ხაბბაზ ლექსემა იმავე მნიშვნელობით - პურის მცხობელი, პურის გამყიდველი (გირგასი 1881: 203). როგორც არაბიზებული სამოხელეო ტერმინი, მისი დამკვიდრება ქართულში უშუალოდ არაბულს ეკუთვნის, დაახლოებით VII საუკუნიდან.

### ხანდაკი – სხვათა ენაა, ქართულად თხრილი ჰებრეუ ზევიან ZAB (საბა 1993: 415).

ეს ლექსემა გვხვდება კლასიკური და აღორძინების ხანის ძეგლებში: (თხრილი), ხანდაგი გაეთხარათ. ხანდაგი გაასწორეს. (ქართ. ცხ. II), (შაჰნავაზიანი: 4794,3), (შაჰნავაზიანი: 498,3). „ხოლო სხუად სიმრავლე ხანდაკად შეივლტოდა“ (იუდებრაული 2 ; 336,9).

ქეგლ-ის მიხედვით ეს არის არაბული წარმომავლობის ლექსემა, „თხრილი, სანგარის“ მნიშვნელობით (ქეგლ-ი).

არაბული خنادق/خندق *ḥandaq* – „თხრილი, ორმო, სანგარი“ (ბარანოვი 1984: 239). აკად. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, იგი წარმოადგენს საშ. სპარ. *kantak*-ის არაბიზებულ ფორმას – „თხრილი“ ზმნიდან *kantan*- „თხრა“. ახ. სპ. *kānde*. შეადარეთ გეოგრაფიული სახელები ქართულში ხანდაკი და ქანდა, ე. ი. „დაბლობი, ჩავარდნილი ადგილი, თხრილი“ (ანდრონიკაშვილი 1996: 179).

არაბიზებულ ფორმად მიიჩნევს მას ჯავალიკიცა და ადი შირიც. ხანდაკი – ქალაქის გალავნის ირგვლივ ამოთხრილი. არაბიზებული کند < الخندق > სპარსული (თხრილი). *ḥandaq* ფორმები დასტურდება თურქულში, ქურთულსა და სირიულში (ადი შირა 1980: 57).

თურქული *hendek* (ჰენდექ) – ორმო, თხრილი (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 401). აღნიშნული ლექსემა ზმნის სახით (خندق) *ḥandaqa* დასტურდება ყურანში „ამოთხარა ორმო“ და აქედან ხანდაკი – „ორმო, თხრილი“ (გირგასი 2006: 244).

მველ არაბულ ტექსტებში ჩამოთვლილ მნიშვნელობებს ემატება „სამარხი“. აღნიშნულ ლექსემას გ. წერეთელი სპარსულიდან მიღებულ ფორმად მიიჩნევს. არაბ. کند < سپ. > (დამარხული) (წერეთელი 1951: 68).

ჯ. გიუნაშვილის აზრით, ყ ბგერის გაჩენისა და დამკვიდრების მიზეზად სპარსულში არაბული ენის გავლენა უნდა მივიჩნიოთ. არაბულიდან სპარსულმა ისესხა

მრავალი ტ-იანი სიტყვა. მაგ: خندق „თხრილი“ xandaq (xandak-ის ნაცვლად), ეს არის ეტიმოლოგიურად ირანული, მაგრამ არაბიზებული ფორმა (გიუნაშვილი 1960: 76).

აღნიშნული ლექსემა საშუალო სპარსულიდან არაბულში შესული ლექსემაა, რომელიც სპარსულმა გაარაბიზებული ფორმით უკან დაიბრუნა და ქართულში სწორედ ასეთი ფორმით მოხვდა სპარსული ენის მეშვეობით დაახლოებით XII საუკუნიდან.

**ხუმარი – მასხარა ZAa; მასხარა, სპარსულად ნაღვინევი B** (საბა 1993: 435).

ხუმარი მომდინარეობს არაბული ხمر (ḥamara) ზმნიდან, რომელიც I თემაში ნიშნავს, როგორც „დაფარვა, დამალვას“, ასევე „დაღვინება, გაფუებას“. მისგანაა ნაწარმოები ხمر (ḥamr) ღვინო და ხმარ (ḥammer) მეღვინე, მიკიტანი, მედუქნე, ღვინის გამყიდველი (ლენი 1968: 445). ასეთივე მნიშვნელობებით დასტურდება „ვისრამიანის“ ლექსიკონში (ვისრამიანი 1962: 755). მ. ნედოსპასოვა, რომელიც ეყრდნობა ფრენკელის მოსაზრებას, მიუთითებს ორი სიტყვის არამეულიდან ნასესხობაზე. მისი აზრით, მნიშვნელობები „გააფუა, დააღვინა“, სწორედ არამეულიდან ნასესხები სახელიდან უნდა მოდიოდეს (ნედოსპასოვა 1978: 27). გ. ბერგშტრესერიც ორი ლექსემას არამეულიდან მომდინარედ თვლის და მიუთითებს მის სირიულ ვარიანტს ḥamra (ბერგშტრესერი 1997: 221). ჯონსონი თავის ლექსიკონში ხმარ (ḥammer) ფორმას არაბულ ლექსემად მიიჩნევს, ხოლო ხმარ (ḥummar) ფორმას სპარსულად „ნაბახუსევის, სმის შედეგად უძლურ მდგომარეობაში მყოფის“ მნიშვნელობით. არაბული ფორმითაა „იადიგარ დაუდში“ (იადიგარ–დაუდი 1938: 734). ქართული კლასიკური ტექსტებიდან ხუმარი დასტურდება მხოლოდ „ამირან–დარეჯანიანში“ (1967: 844) მასხარას მნიშვნელობით. აღორძინების ხანის ტექსტებსა და ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში მისი მნიშვნელობა უტოლდება B რედაქციაში საბას მიერ სპარსულად მიჩნეულ ლექსემას – ნაღვინევი.

მესხურ დიალექტში „ხუმარი“–ს მნიშვნელობა სემანტიკურად სახეცვლილია: ყომარი, ზარმაცი, თამაში. აღნიშნული ლექსემა ალ. ღლონტის აზრით, სპარსული წარმოშობისაა (ღლონტი 1984: 764). სემანტიკურ ტრანსფორმაციაზე საუბრობს ვ. ლეკიაშვილიც. მისი განმარტებით არაბულ ხმირ (ḥammīr) „ლოთი“ ქართულში აქვს მოქმედების სახელის გაგება და იგი განიმარტება, როგორც „ხუმარი“ – ძვ. „ხუმრობა, მასხრობა“. მნიშვნელობის ამგვარი განვითარება დაკავშირებულია ქართულში ამ

ძირიდან ნაწარმოები ზმნის „ხუმრობს“ ფართოდ გავრცელებასთან და მისი ძირის მოქმედების სახელად გადააზრებასთან (ლეკიაშვილი 1992: 95).

„ხუმარ“ სიტყვის ფონეტიკურ ანალიზს რაც შეეხება, არაბული ჯ (ḥ) საკმაოდ მსგავსებას ამჟღავნებს ქართულ ველარულ ხ-სთან, რამდენადაც ამ ბგერის შემცველ არაბულ სიტყვას ქართულში შემოსვლისას შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში შეესაბამება ქართული ხ-ს შემცველი სიტყვა ჯ (nushā) ნუსხა, ჯ ჯინა (ḥazīnat) ხაზინა (ლეკიაშვილი 1992: 70). მ (m) იშვიათი გამონაკლისის გარდა, გადმოსულია მ-ს საშუალებით. გრძელი ხმოვნის წინ გემინირებული თანხმოვნები ქართულში აღიქმება ცალკეულ ბგერად. აღნიშნულ ლექსემაში გრძელი ხმოვნის წინ მ-ს გემინაცია არაა იმდენად გამოკვეთილი ხანგრძლივობის თვალსაზრისით (ლეკიაშვილი 1992: 59).

ამრიგად, საბას მიერ სპარსულად მიჩნეული ხუმარი არაბული ხمر (ḥamr) ღვინო, ხмар (ḥumār)-დან მომდინარე სიტყვაა: სმის შედეგად გამოწვეული მტკივნეული, ავადმყოფური მდგომარეობა, ნაბახუსევი (ბარანოვი 1984: 237), რომელმაც სპარსულში შესვლისას ფონეტიკური ტრანსფორმაცია განიცადა: არაბ. ȝ > სპ. ო. სპ. ჰomār, იგივე მნიშვნელობებით (რუბინჩიკი 1964: 566).

სავარაუდოა აღნიშნული ლექსემის ზეპირი გზით შემოსვლაც. ცნობილია, რომ საქართველოში ოდითგანვე მეღვინეობას მისდევდნენ. ბუნებრივია, არაბთა მრავალსაუკუნოვანი უღლის ქვეშ ყოფნისას ქართველი ხალხისგან მოხდებოდა ხმრ (ḥamr) სიტყვის შეთვისებაცა და აქტიურად გამოყენებაც.

არაბული ხმარ (ḥumār) სრული თანხმოვანთა დაცვითაა გადმოსული ქართულში. მისი, როგორც არაბიზებული ფორმის დაკვიდრება ჩვენში ადრეულ პერიოდს განეკუთვნება.

გუპარი, ჯავარი – (+ როსტომ. ZAa). სპარსულია, მარგალიტი. (უკმ.) მარგალიტი, სხვათა ენაა (საბა 1991: 180)

ჯავარი – წყალფერი, გინა მოკდომილობა ZAB.

ჯავარი – (ხე) სხვათა ენაა, ქართულად ჭადარი ჰქვიან ZAa (საბა 1993: 449).

კლასიკურ და აღორძინების ხანის ტექსტებში დადასტურებული „ჯავარი“ ლექსემის სხვადასხვა განმარტებებს ვხვდებით: 1. ძვირფასი ქვა, მარგალიტის თვალი.

(ძვ. ქრესტ. II ტ.). სპეკალი (არჩილ I), თვალი პატიოსანი (შაჰ-ნამე, შვ. მთ.), მოელვარე თვალი პატიოსანი (შდრ. წყალ-ჯავარი) (ძვ. ქართველი მეხოტბენი 1957: 269) 2. მახლობლობა, მეზობლობა (ძვ. ქრესტ. II ტ.), 3. ბუნება, ძირითადი ხასიათი „სენი კბილისა ჯავარისაგან არის“ (კარაბადინი 1940: 536), 4. მოხდენილობა, სილამაზე, შნო, ჭადრის ხე (ძვ. ქრესტ. II ტ; საბა 1993: 449), ეშხიანი, მიმზიდველი (თეიმ. I), 5. წყალფერი, სახე, ფერი, ბრწყინვარება, ბზინვარება, ელვარება (რუსუდანიანი; საბა 1993: 449). 6. მექომაგე, მფარველი, დამცველი, მეზობელთა და ახლობელთა წყალობის მიმნიჭებელი, კეთილის მოქმედი, დროის გამტარებელი (ძვ. ქართველი მეხოტბენი 1957: 269), 7. საგანგებოდ ნაწრთობი ხმალი ჯავარის; ერთგვარი სახე ფოლადის იარაღზე (ქილილა და დამანა 1975: 1039), 8. გვარი, მოდგმა, (ქილილა და დამანა 1975: 1039).

შაჰ-ნამეს ლექსიკონში ჯავარი სპარსულ-არაბულ ლექსემადაა მიჩნეული. ჯავპარ-არაბიზებული სპ. გოვპარ-მარგალიტის თვალი. აქედან მოციმციმე მარგალიტის თვალი (შაჰნ. II ტ.). ილია აბულაძის რედაქტორობით გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში ვხვდებით „ჯავრი“ ფორმას (არაბ. ჯავპარ) ძვირფასი ქვის მნიშვნელობით (ვეფხისტყაოსანი 1914).

აღნიშნული ლექსემა ქეგლ-ში არაბული წარმოშობისადაა მიჩნეული. „არაბ. ჯავპარ – 1. ძვ. პატიოსანი ქვა, ძვირფასი თვალი, 2. ძვირფასი თვლის წყალი, ელვა-კრთომა. 3. სიტურფე, მომხიბლაობა, მოხდენილობა, შნო, ლაზათი“. იქვე ვკითხულობთ: ჯავარდენი – (არაბ. ჯავპარ-იდან) 1. ფერადი ტალღა ჩუქურთმაზე, ზოლიანი ელვარება. (შდრ. ჯავარი). 2. საგანგებოდ ნაწრთობი ფოლადის ხმალი (ქეგლ-ი).

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში წარმოდგენილია „ჯავაირ“ ფორმა სპეკალი, ძვირფასი თვალის მნიშვნელობით, იქვე მითითებულია მისი არაბული წარმომავლობა (ჩუბინაშვილი 1763). „იადიგარ დაუდი“–ს მიხედვით ჯავარი ირ. გავპარ-არაბიზ. ჯავპარ „მარგალიტი, სხივოსნობა, ბრწყინვალება“ (იადიგარ-დაუდი 735). გავარ (gavhar) ალ-თუნჯის ლექსიკონშიც სპ. გავარ (gavhar)–ის არაბიზირებული ფორმაა და ძვირფას ქვას ნიშნავს (ალ თუნჯი 1988: 63).

თ. ბაგრატიონის „წიგნი ლექსიკონში“ ჯავარის რამდენიმე განმარტებაა მოცემული. ჯავარ – „არაბულის ენითა არსებას ნიშნავს, წყალს რომ მზე დაადგება, მაშინ

ელვარებას დაიწყებს. ჯავარი – ჯოვჰარი–არაბულად არსებასა ნიშნავს, გინა ჯოვარ. სპარსულად შემკობილებასა სახისასა მშვენიერთა ვაჟთა ანუ ქალთასა რომ რაც ნიჭნი არიან მშვენიერებისა არა აკლდესთ რა და სახისა მშვენიერისა ელვარებასაცა ჯოვჰარი ეწოდება და რომელნიმე სილამაზის ნიშანნი ბუნებითად მოცემულნი არიან მშვენიერთა სახეთა აღემატებიან. ჯავარობა–ჯავარი, წყალ–ფერი სილამაზის მშვენიერის პირის ჯავარი, პირის ელფერი. ე. ი. სითეთრე, სიწითლე და ღაწვი პირის ელვარება არის. ჯავარი უკეთესისა და ძვირფასი რკინის იარაღთა პირისა, ე. ი. სიბრტყის ეპიფანიის მღელვარებაა, რომელიც ხორასნულს რკინათა აქვსთ და რომელნიმე ხენი არიან, მათაც აქვსთ ჯავარი, ჯავარი სხვათა ენა არის ქართულში შემოღებული, ქართულად ჭადრაკი ეწოდება“ (წიგნი ლექსიკონი 1979)

აკად. მზ. ანდრონიკაშვილი გუარ, გოარ „მარგალიტის, პატიოსანი თვალის“ მნიშვნელობით ამ ლექსემას ახ. სპარსულიდან შეთვისებულად მიიჩნევს და ამოსავლად გულისხმობს ახ. სპარსულ ფორმას ფორმა. იუსტ. აბულაძე ახ. სპარს. Gouhar და guhar – 1. „მარგალიტი, თვალი პატიოსანი“, 2. „არსი, ბუნება, მატერია“, 3. „წარმოშობა, წარმომავლობა“, 4. „ელემენტი“ ადარებს სომხ. gohar – „ძვირფასი თვალი, ალმასი, ძვირფასი ნივთი“ (ანდრონიკაშვილი 1996: 85). სომხურ ენაში დადასტურებულ gohar „ალმასი“ ლექსემას არაბულიდან ნასესხებად თვლიან აჭარიანი და ჰუბშმანი (ნედოსპასოვა 1991: 26). საშ. სპ. gōhar „წარმომავლობა, გვარი“ თ. ჩხეიძე ადარებს სკრ. Gotra-ს (ჩხეიძე 1975: 102). კ. წერეთელი თვლის, რომ გავარი < სპ. گურთ. چواრ (gavahir) მარგალიტი (წერეთელი 1958: 38).

კლასიკურ ხანაში ფონემატური სუბსტიტუციის პროცესში არაბები, როგორც წერს ალ–ჯავალიკი, „ცვლიან ბგერებს, რომლებიც არ არის მათთვის დამახასიათებელი ბგერები უფრო ახლო მდგომით ან ხანდახან შორეულითაც წარმოშობისდა მიხედვით და ცდილობენ ამით გააიოლონ წარმოთქმა.“ წესისამებრ, ფონეტიკური სუბსტიტუციის პროცესს ძველი ფილოლოგები სპარსულიდან ნასესხობებში აღმოაჩენდნენ. შეთვისების პროცესში სპარსული სიტყვების სპ. (g) იცვლება არაბ. (j) – თი (ბელკინი 1975: 105). ამის ნათელი მაგალითია gōhr, gōhar > არაბ. გავარ. > ახ. სპ. gavhar, govhar.

აჭარულსა და გურულ დიალექტებში დასტურდება „ჯევაპირი“ ფორმა < თურქ. cevher, ძვირფასეულობა, ძვირფასი ნივთები. „ხიმში ბეგს რუმ ქონდა იმდენი ჯევაპირი ვის ექნებოდა“ (დიოკნისი). სალიტ. თურქ. cevahir ნასესხებია არაბულიდან چوھრ (çavhar)/چواھر (çavahir) – ძვირფასი ქები, ძვირფასეულობა. ნ. გურგენიძე აღნიშნულ ლექსემას ადარებს ლაზურ „ჯევაცირი“ (ს. ჟღ. II, 217), მესხური „ჯავაირი“ (მარი ლექსიკ. 96). ჯავაპირი ფორმა მიღებულია არაბული چوھر (çavhar) სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმიდან چواھر (çavahir). აჭარულში მრავლობით ფორმასთან ერთად იხმარება მხოლობითი რიცხვის ფორმაც (გურგენიძე 1973: 52).

ჯავარი (چوار) – წყალფერი, გინა მოკდომილობა (საბა 1993: 449). ეს არის چوრ (çawr)-ის არაბიზირებული ფორმა „გადავსებული ჭურჭლის“ მნიშვნელობით. განსხვავებული დაწერილობა და აზრობრივი სხვაობაა არაბულ (چوار) çavār და چოھრ (çavhar) სიტყვებს შორის. არაბულ ۰ /h-/სთან ფონეტიკურად ყველაზე ახლო მდგომი ქართული ჰ უმეტეს შემთხვევებში საერთოდ იკარგება (მუყაითი – معاھد، ყავა – قهوة). შემორჩენილია სიტყვებში ჰიჯრა–هجرة، მუჰაკირი–مهاجر. ვ. ლეკიაშვილის აზრით, შესაძლოა ეს ბგერა ქართულ სიტყვებში შემორჩა მაშინ, როცა შესაბამისი არაბული სიტყვა შემოვიდა წერილობითი გზით (ლეკიაშვილი 1992: 75).

çavhar-ი და çavar-ი ორივე სპარსული არაბიზებული ფორმაა, რომელიც ასეთივე ფორმით უკან დაიბრუნა სპარსულმა ენამ. ჩვენში მისი შემოსვლა უნდა უკავშირდებოდეს უშუალოდ არაბულს დაახლოებით XI საუკუნიდან.

**ჯაშუში – სხვათა ენაა, ქართულად მსტოვარი და აეშაგი ჰქვიან ZAB.**

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ჯაშუში არაბ. „ჯასუس“ – იდან მომდინარე სიტყვაა: 1. პირი, რომელიც მთავრობის დავალებით იგებს სხვა სახელმწიფოს სამხედრო საიდუმლოს. (სინონ. ძვ. მსტოვარი); 2. საუბ. მაბეზდარი, ადმინისტრაციასთან ენის მიმტანი.

ქართულ წერილობით ძეგლებში „ჯაშუში“ ლექსემა პირველად „ამირანდარეჯანიანში“ დასტურდება მსტოვარის მნიშვნელობით (625,4). საანალიზო სიტყვა ფიქსირდება აგრეთვე „შაპ–ნამეში“ (10,4); „რუსუდანიანში“ (122,6); „შაპნავაზიანში“ (822,1) და აღორძინების ეპოქის სხვა ტექსტებში.

„შაჰ–ნამეს“ ქართული ვერსიების მესამე ტომის ლექსიკონში დ. კობიძე აღნიშნულ ლექსემას სხვადასხვა ენებშიც მიუთითებს: „არაბული ჯაშუს, თურქული ჯაშუთ, გურიაში გვხვდება ჩაჩუთი, აჭარაში კი – ჩაშუთი“ (შაჰ–ნამე 1974: 650). შდრ.: აჭარული, იმერხეული– ჩაშუტი/ჯასუსი: „ეთემ სულტანს კაცი დაყენებული ყავს მის გოგოთან ჩაშუტი“; იმერული, რაჭული, გურული – ჩაჩუტი: „ჩაჩუტი არ ვყოფილვარ, კაციზა არ მიღალატნია“ (ავალიანი 2005: 62).

ჯაშუში – جاسوس/ğası̄s- ჯაშუში, მზვერავი (წერეთელი 1951: 40). საკუთრივ არაბულში აღნიშნულ სიტყვას არამეული წარმოშობისად მიიჩნევს ზ. ფრენკელი. მისი აზრით, ტერმინი მომდინარეობს არამეული აშაშა, რადგან ზმნა جسّ/ğassa მხოლოდ „ხელით სინჯვას“ ნიშნავს და არა „ზვერვას“ (ფრენკელი 1886: 243). ამ აზრსაც იზიარებს მ. ნედოსპასოვა. კერძოდ, მკვლევარის ვარაუდით, თვით ფორმა فاعول/fā’ūl და ამ სიტყვის სხვადასხვა ვარიანტების არსებობა (جسّ/ğası̄s; جسیس/ğası̄s) აშკარად მიუთითებს მის უცხო წარმომავლობაზე (ნედოსპასოვა 1978: 17).

აღნიშნული ზმნა დასტურდება ყურანშიც, მას მოეპოვება I თემა: „ის ხელით სინჯავდა, ზვერავდა, იტყობდა“. მისგან ნაწარმოები: جسّ/ğası̄s – „მზვერავი“; جاسوس/ğası̄s – „შპიონი“ (გირგასი 2006: 129). ასეთივე მნიშვნელობებით ფიქსირდება გ. წერეთლის ლექსიკონშიც (წერეთელი 1951: 40). თ. ზენკერი აღნიშნულ ლექსემის სპარსულ წარმომავლობას უთითებს (ზენკერი 1866: 341).

არაბული ეტიმოლოგია უდასტურდება „ჯაშუში“ ფორმას ალ–ვასიტის (2004: 152); მ. მოინის (1996: 1206); ჯონსონის (1852: 428); თურქულ–რუსულ (1977: 145); ოსმალურ–თურქულ (2007: 67) ლექსიკონებში.

ჯაშუში ფორმაში არაბული ۴/۵ > ქართულ შ–ს. ამის მაგალითები არაბულიდან ნასესხობებში გვხვდება, რაც უფრო გამოწვეულია ჯ–ს მეზობლობით: მეჯლისი, მეჯლიში ( مجلس/mağlis); ჯიში (جنس/ğins) (ლეკიაშვილი 1992: 62).

აზრთა სხვადასხვაობაა აღნიშნულ ლექსემასთნ დაკავშირებით. جاسوس/ğası̄s / فاعول/fā’ūl ყალიბი მის ნასესხობაზე მიუთითებს. ჯაშუში ლექსემა არაბიზებული სპარსული ნასესხობაა ქართულში, რომელიც XII საუკუნეში დამკვიდრდა.

### თავი III – ფონეტიკური ტრანსფორმაციები

არაბული წარმოშობის სიტყვები ქართულში საკუთრივ არაბულ სიტყვებთან ფონეტიკურ ურთიერთმიმართებათა თვალსაზრისით არაერთგვაროვან სურათს გვაძლევს. ეს მოვლენა სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც საქმე ეხება სიტყვათა სესხებას ისეთ ორ სრულიად განსხვავებული ფონოლოგიური სისტემების მქონე ენებს შორის, როგორც ქართული და არაბულია (ლეკიაშვილი 1992: 53). ამავე დროს, მნიშვნელოვანია მესამე, შუამავალი ენის ფაქტორი.

ერთი ენიდან მეორეში შესვლისას სიტყვის ბგერითი შემადგენლობის ცვლილებათა ხასიათს მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ენათა ფონოლოგიური სისტემების ურთიერთმიმართებების გარდა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის, თუ რა გზით მოხდა ამა თუ იმ სიტყვის შეთვისება – ლიტერატურული თუ საყოფაცხოვრებო კონტაქტის შედეგად; შეთვისების შემდგომ რამდენად ფართოდ გავრცელდა ეს სიტყვა, დამკვიდრდა იგი ერის კულტურულ ცხოვრებაში თუ მხოლოდ ხალხურ მეტყველებაში ან ჟარგონში იხმარება (ავალიანი 2005: 11).

ლექსიკური სესხება პროცესია, მსესხებელი ენა განსაზღვრავს, თუ რა იქნება ათვისებული და იმასაც, თუ როგორ იქნება ათვისებული. საბოლოო, სრული ადაპტაცია ხდება ამთვისებელი ენის კანონზომიერებათა ბაზაზე, პირველ რიგში ამ ენაში მოქმედი ანალოგიის ფაქტორის მეშვეობით. ამ დროს დასადგენია მყარი ბგერათშესატყვისობები ორ ენას შორის, რის ბაზაზეც აიხსნება ყველაფერი სხვა, მათ შორის გადახვევები და, რაც მთავარია, შემთხვევითი და არაშემთხვევითი მოვლენები. შედეგად, ისეთი ვითარებაც შეიძლება აღმოჩნდეს, როდესაც ფონეტიკური ტრანსფორმაციის ესა თუ ის ელემენტი მხოლოდ ემთხვევა მესამე ენის მოცემულობას, მაგრამ წარმოადგენს მსესხებელი ენის იმანენტური სტრუქტურის გამოვლინებას (სილაგაძე 2008: 33).

არაბული სიტყვების ბგერითი ცვლილებები ქართულში სხვადასხვაგვარია: სუბსტიტუცია, ბგერის ამოვარდნა და დისიმილაცია.

ბგერითი ცვლილებების გარდა არაბულ ნასესხებ სიტყვებში გვხვდება სემანტიკური ცვლილებები. მნელია გამოიყოს რომელიმე სემანტიკური ჯგუფი, რომლითაც შემოიფარგლებოდა არაბული წარმოშობის ქართულ ენაში შემოსული

სიტყვები. პრაქტიკულად არ არსებობს სფერო, რომელთა დაკავშირებულ არაბულ სიტყვებს არ შემოეღწიათ ქართულში. მიუხედავად იმისა, რომ ეს არაბული სიტყვები ქართულში შემოსვლისას უმეტესად ინარჩუნებენ თავიანთ ძირითად მნიშვნელობებს, ხშირად ისინი იძენენ დამატებით ელფერს და ზოგჯერ მათი ხმარების სფეროც ქართულში საკმაოდ განსხვავდება იმ ფუნქციისაგან, რასაც მათი ამოსავალი სიტყვები ასრულებდნენ არაბულ ენაში. არც თუ იშვიათად ხდება მათი მნიშვნელობის დავიწროება და შესაბამისად ქართულში ისინი მხოლოდ განსაზღვრულ კონტექსტებში იხმარებიან (ლეკიაშვილი 1992 : 79)

თავისი ბუნების მიხედვით, ეს ლექსიკა მეტად მრავალფეროვანია. უმნიშვნელო გადახვევაც კი მიუთითებს მნიშვნელოვან აზრობრივ და ფუნქციურ ცვლილებებზე გრამატიკაში. ზოგიერთი ნასესხები სიტყვა იმდენად იხმარება, რომ ისინი მყარ გამოთქმებს მიეკუთვნება. მაგ. alahma ueqis ვინ იცის, ijarit ayeba (ფენრიხი 1964: 155-163).

ე. ჰაუგენის დახასიათებით, „უცხო ენის სიტყვის სესხება ხელუხლებელი სახით, ყველა ბგერის, ფორმათა და მნიშვნელობათა დაცვით ხდება ძალზე იშვიათად, რადგანაც ეს ნიშნავს ენის სისტემაში მნიშვნელოვან ცვლილებას, ხოლო ენის მატარებლები ამას თავიდან იცილებენ ნასესხებ სიტყვაში თავისი საკუთარი ენის ჩვეული ერთეულის ჩანაცვლებით. ენის ბევრი მატარებელი სხვა ენის ელემენტთა წარმოების დროს საკმაოდ არასრულ მიმსგავსებაზე მეტს ვერ ახერხებს” (ჰაუგენი V: 366) (რუხაძე :10).

არაბულ ბგერით სისტემაში არსებული ემფატიკური და რამდენიმე სხვა სპეციფიკური თანხმოვანი, რომელთა ფონეტიკური ადეკვატიც ქართულში არ მოგვეპოვება, არაბულის ხმოვანთა სისტემა თავისებურად აისახა ქართულში ნასესხებ სიტყვებში. გარდა ამისა, ხშირად ერთი არაბული ფონემის პოზიციური ვარიანტები ქართულში გადმოვიდა სხვადასხვა ფონემის საშუალებით. ამავე დროს, ზოგ შემთხვევაში ფონემათა არაცალსახა მიმართებების მიზეზი შესაძლოა იყოს ის ფონეტიკური ცვლილებები, რომელიც უკვე „გაქართულებულმა“ სიტყვამ განიცადა სესხების შემდგომ პერიოდში (ლეკიაშვილი 1992: 54).

ფონეტიკური ტრასნსფორმაციების განხილვისას დისერტაციაში გამოყენებულია გ. ახვლედიანის კლასიფიკაცია ქართული ბგერებისა (ახვლედიანი 1949: 72–87). არაბული ბგერების დახასიათება კი აღებულია ალ. ლეკიაშვილის ნაშრომიდან „არაბული ენა 1“ (ლეკიაშვილი 1977: 42).

### 3.1. არაბულ ხმოვანთა გადმოცემა ქართულში

არაბული სალიტერატურო ენა ადრეკლასიკური პერიოდიდან მოყოლებული დღემდე ხმოვანთა იდენტური სისტემით ხასიათდება. არაბულ ვოკალურ სისტემაში ფონოლოგიურად ღირებული ხმოვნები სიგრძისა და ტემბრის მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს. მოკლე და გრძელი ხმოვნების ფონეტიკური რეალიზაცია პოზიციური და ისტორიული ფაქტორებითაა განპირობებული და ტემბრისა და სიგრძის ოპოზიციის კვალობაზე გაცილებით უფრო დიფერენცირებულ სისტემას ქმნიან (ბელოვა 1999: 27).

ხმოვნების ვარიანტულობა არაბულში ფონეტიკურია და არა გრამატიკული, რის გამოც იგნორირებული არიან დამწერლობაში, მათ არ აქვთ განსხვავებული ნიშნები. ქართულში, განსაკუთრებით ზეპირი გზით, დამკვიდრებულ არაბულ ნასესხობებში შესაძლებელი იქნებოდა ხმოვანთა ალოფონების ზუსტი ასახვა. ასე მაგალითად, *m*-ს მეზობლად ხმოვნის *ლაბიალიზაცია*, მისი ტონის დაწევა და აკუსტიკურად ა-სთნ მიახლოება: არაბ. *ḥādim* > ქართ. ხადუმი. იმავე დებულების მაგალითად ვ. *ლეკიაშვილს* არაბ. *خَمِيرٌ* / *ḥimmiṛ* > ქართ. ხუმარა მოჰყავს. გასათვალისწინებელია უფრო ახლოს მდგომი არაბული ფორმა *خَمَارٌ* / *ḥumār* – ნაბახუსევი. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქართულში შემოსულ სიტყვებში არაბულ ა-ს ი/უ ენაცვლება, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან არაბული ა-სთან შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შედარებით ნაკლებ აწეული, ი/უ მიახლოებული ალოფონით – ოქმი (*حُكْم* / *ḥukm*) (ლეკიაშვილი 1992: 78). შდრ. არაბ. *عَمَرٌ* / *'umar* > ქართ. ომარი.

სალიტერატურო არაბულში არ არის ი და ე ხმოვნები, მაგრამ არაბული წარმოშობის სიტყვებში ქართულში ვხვდებით მათ.

არაბული მოკლე ხმოვნები *a*, *i*, *u* ქართულში გადმოდის როგორც *ა, ი, ე, უ*.

არაბულში წინა რიგის პალატალებსა *i*, *ī* და ველარებს *u*, *ū*-ს შორის თავსდება დაბალი აწეულობის შუა რიგის *a* და *ā*. პირდაპირი სესხების დროს ყოველთვის გვექნება არაბ. *a/ā* > ქართ. დაბალი აწეულობის შუა რიგის „*a*“.

არაბ. *a* > ქართ. „*a*“ ანლაუტსა და ინლაუტში:

أَرَادْ / 'a'gab (سક. id., تۇرەج. acayip) > ქართ. აჯაფთა;

أَرَادْ / 'amīr > ქართ. ამირა;

أَرَادْ / 'ahmaq (س侃. id., تۇرەج. ahmak) > ქართ. ამაყი;

أَرَادْ / 'araq (س侃. id.) > ქართ. არაყი;

أَرَادْ / barakat > ქართ. ბარაქა;

أَرَادْ. علم / 'alam (س侃. id) > ქართ. ალამი

أَرَادْلُوْلِي ڭ > ქართ. „ა“ ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში:

أَرَادْ. عاشق / 'āšiq „ქართ. აშიკი;

أَرَادْ. نشاط / nišāt > ქართ. ნიშატი;

أَرَادْ. شاطر / šāṭir (س侃. id.) > ქართ. შათირი;

أَرَادْ. خَازْ / ḥabbāz > ქართ. ხაბაზი;

أَرَادْ. بخار / buḥār (س侃. id) > ქართ. ბუხარი;

أَرَادْ. لَلَّادْ / dalāl (س侃. id., تۇرەج. tallal) > ქართ. დალალი;

أَرَادْ. بَرَاءَتْ / barā'at (> تۇرەج. / ئىسەم. Berât), > ქართ. ბარათი (შდრ. س侃.id.);

أَرَادْ. تواضع / tawāḍu' (> س侃. id.) > ქართ. თავაზა;

أَرَادْ. لَمَّازْ / lammāz (س侃. id) > ქართ. ლამაზი;

ნ. გურგენიძის აზრით არაბულ სიტყვებში მოკლე ა ხმოვნის e-ში გადასვლა ქართულში თურქული ხმოვნის გადმოცემის პროცესს ასახავს. აღმოსავლეთ ანატოლიის დიალექტებში როგორც ნასესხები, ისევე თურქული წარმოშობის სიტყვათა ინლაუტში, თურქული სალიტერატურო ა ხმოვანი ყველგან e-ს გვაძლევს. იგივე ფაქტი დასტურდება თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში ტერიტორიულად მომიჯნავე აჭარის მოსახლეობის მეტყველებაში, რაც მოწმობს იმაზე, რომ აჭარელმა მოსახლეობამ აღნიშნული ნასესხები სიტყვები შეითვისა სწორედ აღმოსავლეთ ანატოლიიდან (გურგენიძე 1973: 106).

გამორიცხული არაა არაბ. a > ქართ. ე უშუალო გადასვლას გულისხმობდეს ზეპირი გზით, რაზეც, თავის დროზე, ჰ. ფენრიხი მიუთითებდა (ფენრიხი 1964: 156).

არაბ. a/ă > ქართ. წინა რიგის საშუალო აწეულობის პალატალი „ე“ ანლაუტსა და ინლაუტში:

أَرَادَ / حَاجَبٌ / *ḥāḡib* (سُك. id., تَعْرِفُ. *hacip*) > ქართ. ეჯიბი;  
أَرَادَ / فَرَّاشٌ / *farrāš* (سُك. id) > ქართ. ფარეში;  
أَرَادَ / مجلسٌ / *mağlis* (سُك. id) > ქართ. მეჯლიში; პალატალ ჯ/გ–სთან ვიწროვდება ა  
(أَرَادَ. *a* > ეგ).

أَرَادَ. *a* > ქართ. წინა რიგის მაღალი აწეულობის პალატალი „ი“ ანლაუტში:

أَرَادَ. خَبْلٌ / *ḥabl* (سُك. id) > ქართ. ხიბლი;

أَرَادَ. فَتِيلٌ / *fatīl* (سُك. id., تَعْرِفُ. *fitil*) > ქართ. ფიტილა;

أَرَادَ. ā > ქართ. „ი“ ინლაუტში:

أَرَادَ. غَلَافٌ / *ġilāf* > ქართ. ხილიფა;

أَرَادَ. i > ქართ. „ი“ ანლაუტში:

أَرَادَ. فَكْرٌ / *fikr* > ქართ. ფიქრი;

أَرَادَ. نِشَاطٌ / *nišāṭ* > ქართ. ნიშატი;

أَرَادَ. i > ქართ. „ა“ ანლაუტში:

أَرَادَ. مَفْرَشٌ / *mifraš* (سُك. id) > ქართ. მაფრაშა;

أَرَادَ. قَطَارٌ / *qitār* (سُك. id; تَعْرِفُ. *katar*) > ქართ. ყათარი.

أَرَادَ. ī > ქართ. „ი“ ანლაუტსა და ინლაუტში:

أَرَادَ. حَكَيمٌ / *ḥakīm* (سُك. id., تَعْرِفُ. *hekim*) > ქართ. აქიმი;

أَرَادَ. عَرِيفٌ / *‘arīf* (سُك. id) > ქართ. არიფი;

أَرَادَ. تَغْلِيْطٌ / *taglīṭ* (سُك. id) > ქართ. თაღლითი.

أَرَادَ. غَرِيبٌ / *ġarīb* (سُك. id) > ქართ. ღარიბი;

أَرَادَ. شَقِيقَةٌ / *šaqīqat* > ქართ. შაკიკი;

أَرَادَ. امِيرٌ / *’amīr* > ქართ. ამირა;

أَرَادَ. بَوَاسِيرٌ / *bawāsīr* > ქართ. ბავასირი/ბუასილი;

أَرَادَ. كَيسٌ / *kīs* (< أَرَادَ. امِيرٌ) > ქართ. ქისა;

أَرَادَ. شَرِيطٌ / *śarīṭ* (> تَعْرِفُ. *şerit*) > ქართ. შარიტი ;

أَرَادَ. i > ქართ. უკანა რიგის მაღალი აწეულობის ველარი „უ“ ინლაუტში:

أَرَادَ. خَادِمٌ / *ḥādim* > ქართ. ხადუმი;

أَرَادَ. u > ქართ. „უ“ ანლაუტსა და ინლაუტში:

არაბ. / خمار / *ḥumār* (< არამ. ልርም) > ქართ. ხუმარი  
 არაბ. / معبد / *mu'abba*d > ქართ. მუაბა;  
 არაბ. / مرصع / *muraṣṣa'* (სპ. id) > ქართ. მურასა;  
 არაბ. / سفرة / *sufrat* (>ოსმალ. *süfre*; თურქ. *sofre*)> ქართ. სუფრა;  
 არაბ. / بخار / *buhār* (სპ. id) > ქართ. ბუხარი;  
 არაბ. / ربع / *rub'* > ქართ. რუბი;  
 არაბ. / برج / *burğ* (< ბერძნ. Πυρόγος ) > ქართ. ბურჯი;  
 არაბ. / مطرب / *muṭrib* (სპ. id) > ქართ. მუტრიბი;  
 არაბ. / محتال / *muḥtāl* (სპ. id., თურქ. *muhtal*) > ქართ. მუხთალი;  
 არაბ. / قماش / *qumāš* (სპ. id) > ქართ. ყუმაში „ლარი“;  
 არაბ. / شغل / *šugl* (სპ. id) > ქართ. შუღლი.  
 არაბ. ۰ > ქართ. „۰“ ანლაუტსა და ინლაუტში:  
 არაბ. / مفتول / *maftūl* (სპ. id., თურქ. *meftûl*) > ქართ. მავთული;  
 არაბ. / معجون / *ma'ḡūn* > ქართ. მაჯუნი;  
 არაბ. / منشور / *manšūr* (სპ. id) > ქართ. მანშური;  
 არაბ. / جسوس / *ḡasūs* (სპ. id) - ქართ. ჯაშუში;  
 არაბული ۰ > ქართ. უკანა რიგის საშუალო აწეულობის ველარი „۰“ ინლაუტში:  
 არაბ. / فانوس / *fānūs* (< ბერძნ. ) > ქართ. ფანოსი;  
 არაბ. / عربون / *'arabūn* (<სპ. / اربون / *arābūn*)> ქართ. არაონი.

### 3.2. არაბული თანხმოვნების გადმოცემა ქართულში

არაბული ფარინგალური მჟღერი ნაპრალოვანი ე (‘) იკარგება ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში:

არაბ. عصائب / ‘aṣā’ibū > ქართ. ასაბია;

არაბ. نعل / na‘l > ქართ. ნალი;

არაბ. مرصع / muraṣṣa‘ (სპ. id) > ქართ. მურასა;

არაბ. عاشق / ‘āšiq (სპ. id) > ქართ. აშიკი;

არაბ. عرق / ‘araq (სპ. id) > ქართ. არაყი;

არაბ. اعجَب / ’a‘gab (სპ. id) > ქართ. აჯაბთა;

არაბ. علم / ‘alam (სპ. id) > ქართ. ალამი;

არაბ. تواضع / tawāḍu‘ (სპ. id) > ქართ. თავაზია;

არაბ. ფარინგალი ყრუ ح/ه ქართულში იკარგება ანლაუტსა და ინლაუტში:

არაბ. حلقة / ḥalqat (სპ. id) > ქართ. ალყა;

არაბ. احمق / ’ahmaq (სპ. id) > ქართ. ამაყი.

არაბ. حصبة / ḥaṣabat (სპ. id) > ქართ. ასაბადი;

არაბ. حلوي / ḥalwā (სპ. id., თურქ. helva) > ქართ. ალვა

არაბ. ح/ه > ქართ. ხორხისმიერი ყრუ ფშვინვიერი „ჰ“ ინლაუტში:

არაბ. زخم / zaḥm > ქართ. ზაჰმი.

არაბ. ح/ه > ქართ. უკანაენისმიერი ყრუ ფშვინვიერი ბ:

არაბ. محتال / muhtāl (სპ. id., თურქ. muhtal) > ქართ. მუხთალი.

არაბ. وَلَدَارِي خ/ه > ქართ. ბ:

არაბ. خرز / ḥaraz > ქართ. ხარაზანი;

არაბ. خبل / ḥabl (სპ. id) - ქართ. ხიბლი

არაბ. خاص / ḥāṣ (სპ. id) > ქართ. ხასი;

არაბ. خ/ه > ქართ. უკანაენისმიერი მჟღერი „ღ“:

არაბ. سخواة / saḥāwat > ქართ. შაღავათი.

არაბ. مجهَرِي وَلَدَارِي خ/غ > ქართ. „ბ“:

اَرَادٌ. غَلَافٌ / ḡilāf > ქართ. ხილიფა.

اَرَادٌ. غُّ / ḡ̄ > ქართ. „ღ“ ანლაუტსა და ინლაუტში:

اَرَادٌ. غَبَبٌ / ḡabab (სპ. ḡabḡab) > ქართ. ღაბაბი;

اَرَادٌ. غَدْدَارٌ / ḡaddār (სპ. id) > ქართ. ღადარი;

اَرَادٌ. غَلَةٌ / ḡalat > ქართ. ღალა ;

اَرَادٌ. غَرِيبٌ / ḡarīb > ქართ. ღარიბი;

اَرَادٌ. غَفْلٌ / ḡaffal (სპ. id) > ქართ. ღაფალი;

اَرَادٌ. شَغْلٌ / ḡugl (სპ. id) > ქართ. შუღლი;

اَرَادٌ. دَرْجَتْهَا لَوْلِي ემფატიკური ყრუ ـْ / t / > ქართ. ენაკბილისმიერი ყრუ მკვეთრი „ტ“:

اَرَادٌ. شَرِيطٌ / ḡarīṭ (თურქ. şerit) > ქართ. შარიტი;

اَرَادٌ. نَشَاطٌ / niṣāṭ > ქართ. ნიშატი;

اَرَادٌ. مَطْرَبٌ / muṭrib > ქართ. მუტრიბი;

اَرَادٌ. طَبَقٌ / ṭabaq (< სპ. ) > ქართ. ტაბაკი;

اَرَادٌ. غَلَطٌ / ḡalaṭ > ქართ. ღალატი.

اَرَادٌ. ط / t / > ქართ. ენაკბისიმიერი ყრუ ფშვინვიერი „თ“:

اَرَادٌ. طَائِي / ṭāi (< საშ. სპ. tāčīk) > ქართ. თაჯური;

اَرَادٌ. تَغْلِيْطٌ / tagħlīt (სპ. id) > ქართ. თაღლითი;

اَرَادٌ. قَطَارٌ / qīṭār (> სპ. qatār, თურქ. katar) > ქართ. ყათარი;

اَرَادٌ. شَاطِيرٌ / šāṭir (სპ. id) - ქართ. შათირი;

اَرَادٌ. ემფატიკური მჟღერი დენტალი ض / ḡ / > ქართ. ენაკბისიმიერი მჟღერი „ზ“:

اَرَادٌ. تَواصِعٌ / tawāḍu' (სპ. id) > ქართ. თავაზა.

اَرَادٌ. حَوْضٌ / ḡawḍ (სპ. id) > ქართ. ავზი;

اَرَادٌ. بَدَلَانِيَّةٌ اَنَّدَلَانِيَّةٌ مَجْلِئَرِيٌّ ـ / b / > ქართ. წყვილბაგისმიერი „ბ“ ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში:

اَرَادٌ. بَرَكَةٌ / barakat > ქართ. ბარაქა;

اَرَادٌ. بَيْغَاءٌ / babḡā' (სპ. babḡān) > ქართ. ბაბღანი;

اَرَادٌ. بَصَرٌ / baṣr > ქართ. ბასრი;

اَرَادٌ. قَبَالَةٌ / qabālat > ქართ. კაბალა;

არაბ. ربع / rub<sup>c</sup> > ქართ. რუბი;

არაბ. / عصائب / عصابة 'asā'ib > ქართ. ასაბია.

არაბ. قلب / *qalb* (სპ. *id*) > ქართ. ყალბი;

արած. վ / b > յարտ. წյառագիւմոյրո մշղերո „մ“:

არაბ. / كعبتين / *ka<sup>‘</sup>batayni* (სპ. id) > ქართ. კამათელი

արած. վ / b > յարտ. Բնյալիքացիսմոյրո պրոց գմբանցոյրո „գ“:

الاسماء / laqab / لقب / la‘ab (س. id) > ქართ. ლაყაფი;

არაბ. /اعجب/ 'a'gab (სპ. id) > ქართ. აჯაფთა.

արած. Վ / b > վարտ. წյանձագիւմուրո պրո մշակետրո „Վ“:

არაბ. / مشرب / mašrab (თურქ. maşrapa; ოსმ. meşreb) > ქართ. მაშრაპა. თუმცა გხვდება

პარალელური ფორმები: მაშრაბა / მაშრაფა.

არაბ. ბ / b > ქართ. Ø:

არაბ. / عربون. 'arabūn > ქართ. არაონი.

არაბ. ობილდენტალი ყრუ ფ / f > ქართ. „ფ“ ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში:

არაბ. فکر / fikr > ქართ. ფიქრი;

არაბ. فال / fa'l (სპ. id) > ქართ. ფალი;

არაბ. صفراء / *ṣafrā'* > ქართ. ზაფრა;

არაბ. قفا / qifā > ქართ. კეფა;

არაბ. دف / daff (< არამ. dup; შორ. Շֻׁם. dub) > ქართ. დაფი

არაბ. ف / f > ქართ. კბილბაგისმიერი მულერი „ვ“:

ՃՐԱԾ. / مقتول / maftūl (ԱՅ. id., ԹՂՐԺ. / ԹՍԹ. meftûl) > ՀԱՐԴ. մազտղլո.

არაბ. დენტალი ყრუ სიბილანტი ემფატიკური ს / ḥ > ქართ. ენაკბილისმიერი ყრუ „ქ“:

არაბ. صدف / sadaf > ქართ. სათაფი;

سَابِرٌ / saibr > ქართ. საბრი:

خاصة / hāsiyat (بـ id ) > d

አሮስሽ ዝርዝር / hasabat (ነጂ id ) > ተወስኗል እና የሚከተሉበት

‘రూపి వా / దస్తావేత్తలు అన్నాశించాలి’ మించిన మించిన

- أَرْأَدْ / صوت / *ṣawt* (سـ. id.) > ქართ. ზავთი;
- أَرْأَدْ / صندوق / *ṣandūq* > ქართ. ზანდუკი.
- أَرْأَدْ / صفراء / *ṣafrā'* (سـ. id.) > ქართ. ზაფრა;
- أَرْأَدْ. دَعَنْتَهُ لَهُ يَرْجُو سِيَّدِي لَهُ نَبْلَهُ أَرْأَدْ مَفْعَلٌ تِيْكَوْرَهُ س / s > ქართ. „ს“:
- أَرْأَدْ. سوداء / *sawdā'* > ქართ. სევდა;
- أَرْأَدْ. بواسير / *bawāsīr* > ქართ. ბუასილი;
- أَرْأَدْ. س / s > ქართ. ენანუნისმიერი ყრუ ფშვინვიერი „შ“:
